# კვირის პალიტრა

№ 36 (447) ◆ 8 – 14 სექტემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## ყველაფერი ისევ და ისევ ქართველი ძალოვნების უსუსურობის ბრალია...

გვ.3



კვარაცხელია მართლაც შემთხვევით გადარჩა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტერაქტის ავტორი მაინცდამაინც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ვეძებოთ... სამცხე-ჯავახეთში სიტუაციის დაძაბვა ყველაზე მეტად „მესამე ძალას“ აძლევს ხელს.

გვ.6

## როდემდე ვიქნებით წყვდიადში?



**დანგრეული და ჯართად დაჭრილი პირველი და მეორე ენერგობლოკები მესამის ფონზე, რომელსაც ასევე ჯართად გაყიდვა ემუქრება**

პირველი და მეორე ენერგობლოკი ჯართად გაყიდეს, სულ ცოტა, ათი ათასი ტონა მაინც გამოვიდოდა. რეალურად კი მხოლოდ ხუთი ათასია დაფიქსირებული. იგივე ბედი ელის კიდევ სამ ენერგობლოკსაც. არადა, არც ერთ ბლოკს ჩამოსაწერი არაფერი ჰქონდა და აქვს, კიდევ რამდენიმე წელს იმუშავებდნენ. თითო ბლოკის სიმძლავრე 150 მეგავატია, თუნდაც ორმა ბლოკმა რომ იმუშაოს, საქართველოში ენერგოკრიზისი აღარ იქნება.

**„თქვენ პირველი იქნებით, ვინც ამ ენერგომაქინაციას გაამხელს...“**



## მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის და ეკლესიის წმიდა სინოდის მიმართვა სრულიად საქართველოს

ეკლესია სულის საცხოვნებელი ადგილია და იგი ყველა მართლმორწმუნეს თანაბრად ეკუთვნის. ტაძარი სახლია უფლისა, ხოლო „მიკერძოება უცხოა ღმრთისათვის“. გვ.4

## „საქართველოს გერბი და ჰიმნი მწვანე დოლარი იქნება“

გვ.7,11



ამჯერად შევარდნაძის კარზე ოლიგარქ პატარკაციშვილის კლანი იკიდებს ფეხს და ჩვენი პრეზიდენტი უსიამოვნო სიურპრიზს გვიმზადებს სამომავლოდ — ოლიგარქია, ანუ ფული დაეპატრონება საქართველოს. საქართველოს გერბი და ჰიმნი მწვანე დოლარი იქნება.

## „ანწყობთ სვანეთში სიტუაციის დაძაბვა და საარჩევნოდ განმუხტვა“

გვ.5



**რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გირგვლიანები და ჯაფარიძეები?**

## „რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ჩვენი მთავარი პრობლემა გაერთიანება კი არა, გაყოფაა — სწორედ ძალაუფლების, გავლენისა და სახელმწიფო ფინანსების გაყოფა!“

გვ.13

### რას წერენ ჩვენზე:

## „მოსკოვი“ თუ „ვაშინგტონი“?

თუ ცბიერი მელა შევარდნაძე რაღაც ცვლილებების გამო რამდენიმე ხნით დარჩებოდა ხელისუფლებაში, ეს ყველასთვის სასარგებლო იქნებოდა — საქართველოსთვისაც, რუსეთისთვისაც და ამერიკისთვისაც.

გვ.14

*სერგეი კაზენოვი, პოლიტოლოგი*

## ცოფიანმა ძაღლმა 23 ბავშვი დაკბინა



### ცოფი დაავადება კი არა, განაჩენია, — სასიკვდილო განაჩენი!

გვყავს დაზარალებული, რომელსაც მე-14 სართულზე დაესხა თავს ვირთხა და დაკბინა თავზე... ის კი არა, ღამის 3 საათზე ახალშობილი ბავშვიც დაკბინა სახის არეში.

შესაბამისმა სამსახურებმა უნდა იზრუნონ, რომ სკოლის ეზოები, პარკები და ქუჩები გაიწმინდოს უპატრონო ცხოველებისგან. გვ.5



### ედიშერ მაღალაშვილი:

## მსახიობობაზე ვოცნებობდი, მაგრამ თქმას ვერ ვბედავდი...

### ორჯერ ვერავინ იკლავს თავს, მამაჩემმა შეძლო

დააპატიმრეს და თავი მოიკლა. ორჯერ სცადა თვითმკვლელობა. პირველად ვენები გადაიჭრა. გადაიყვანეს საავადმყოფოში, გადაარჩინეს, მაგრამ საავადმყოფოდან გაწერამდე ზეწრით ჩამოიხრჩო თავი... გვ.16

## 9 სექტემბერს შესაძლოა თავისუფალი პრესის ბედი გადაწყდეს! გვ.2

## დიდგორობა

6 სექტემბერს, დიდგორის ველზე დიდი დღესასწაული გაიმართა. საქართველოს მოსახლეობამ ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის გმირობა და დიდგორის ველზე მოპოვებული გამარჯვება იზეიმა. დიდგორობის ზეიმი დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის გახსნით დაიწყო. ახალდაშენებული ტაძარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია -მ სამღვდელო პირებთან ერთად აკურთხა.

დიდგორის ველზე არც თანამედროვეობის ღვაწლმოსილი ადამიანები დაივიწყეს. საპატიო ჯილდოები გადაეცათ: საქართველოს პატრიარქს ილია -ს, აწ დაღუპულ, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ჟიული შარტავას, მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს, მეცნიერ დავით ლორთქიფანიძეს, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილსა და სპორტსმენ გია ასანიძეს.

დღესასწაულზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ამიერიდან დიდგორობა საერთო-სახალხო დღესასწაულად იქცევა და ყოველწლიურად სექტემბრის პირველ შაბათს გაიმართება.

## სომხეთი ჩვენი წინააღმდეგია?

სომხეთი საქართველოს ვალების რესტრუქტურიზაციის წინააღმდეგია. ამის შესახებ სომხეთის ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრის მოადგილემ, ატომ ჯანჯუგაზიანმა განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ ერევანს ქვეყნის 20-მლნდოლარიანი ვალის რესტრუქტურიზაციის თხოვნით მიმართა. „ეს გადახდები 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტშია გაწერილი და საქართველოს მხრიდან აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ, შესაძლოა, სომხეთში ანალოგიური პრობლემები გამოიწვიოს", — აღნიშნა ჯანჯუგაზიანმა. მისივე თქმით, რამდენიმე წლის წინ საქართველომ ვალების რესტრუქტურიზაციის თხოვნით პარიზის კლუბს მიმართა, მაშინ სომხეთი დათმობაზე წავიდა და საქართველოს ვალის ორწლიანი მომსახურება 2002 წლამდე გადაუვადა.

## ქართულმა მხარემ, შესაძლოა, სპონსორი მოძებნოს

საქართველოში ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, რიჩარდ მაილსის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ ამერიკის მხარემ ახალქალაქისა და ბათუმის რუსული სამხედრო ბაზების რუსეთში ტრანსპორტირება დააფინანსოს. „ამგვარი რამ ამერიკამ ერთხელ უკვე გააკეთა, როცა 90-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპიდან რუსული ჯარების გაყვანა და მათთვის რუსეთში ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა დააფინანსა". თუმცა მისი თქმით, ეს საკითხი ჯერჯერობით დღის წესრიგში არ დგას.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, კახა სიხარულიძის აზრით კი, იმისათვის, რომ გადავიხადოთ, საჭიროა ვიცოდეთ რამდენია გადასახდელი, ანუ საჭიროა რუსეთმა წარმოადგინოს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა იმისა, თუ რა თანხაა საჭირო ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების რუსეთში ტრანსპორტირებისთვის. „ამის შემდეგ შესაძლოა ქართულმა მხარემ შესაბამისი სპონსორიც მოძებნოს", — განაცხადა სიხარულიძემ. 1999 წელს სტამბულის სამიტზე მიღწეული შეთანხმების თანახმად, ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის საბოლოო თარიღი 2001 წლის ბოლოსთვის უნდა დადგენილიყო. რუსული მხარე ამ ბაზების ლიკვიდაციისთვის 11 წელს ითხოვს, საქართველო — სამს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მორიგი მოლაპარაკებები ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რუსულ-ქართულ მხარეებს შორის, სავარაუდოდ, ოქტომბერში გაიმართება.

## ლორთქიფანიძის საკითხი ჯერჯერობით ღია რჩება

სახელმწიფო კანცელარიაში სახელისუფლებო ბლოკმა საქართველოს პრეზიდენტთან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ვინაობა შეათანხმა.

სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის, ვანო ზოდელავას განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ სახელისუფლებო ბლოკში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ვაჟა ლორთქიფანიძეც გაერთიანდეს. „მიმდინარეობს კონსულტაციები ამ მიმართულებით და ყველაფერი ორ დღეში გაირკვევა", — განაცხადა ზოდელავამ. რაც შეეხება ახალციხეში მომხდარ აფეთქებას, რომლის შედეგადაც სამხარეო ადმინისტრაციის შენობა დაზიანდა, ზოდელავას თქმით, „ეს იმ ხალხის გაკეთებულია, ვისაც არ აწყობს სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორად გელა კვარაცხელიას დანიშვნა". მერმა არ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე თანამდებობის დატოვებას აპირებს, რადგან სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო სიის პირველ ხუთეულში უნდა დაფიქსირდეს. რეგიონული სამსახურის უფროსმა, ირაკლი ბოჭორიძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება ქართულ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია გურიის გუბერნატორის, კარლო გუჯაბიძის გადაყენების შესახებ. „ჩემთვის გაუგებარია, საიდან გაჩნდა ეს ჭორი და ვის აძლევს ხელს მისი გავრცელება", — აღნიშნა ბოჭორიძემ.

## მემარჯვენეებმა ლიბერალები შეიერთეს

როგორც „ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა, დავით გამყრელიძემ განაცხადა, ორი პარტიის გაერთიანება არ იქნება წინასაარჩევნო ბლოკის შექმნა და დროებითი კავშირი. „ჩვენი გაერთიანება უფრო გრძელვადიანი, ახალი ტიპის მსოფლმხედველობრივ იდეოლოგიურ პრინციპებზე აგებული გაერთიანებაა", — მისი თქმით, ორივე პოლიტიკური გაერთიანება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში „ახალი მემარჯვენეების" სახელით გამოვა, თუმცა არჩევნების შემდეგ ორივე პარტია დამოუკიდებლად გამართავს ყრილობებს, რის შემდეგაც „ლიბერალური პარტია" თვითლიკვიდაციას და „ახალ მემარჯვენეებთან" შერწყმას გამოაცხადებს. როგორც ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, ყრილობის ჩატარება იურიდიულ გადაწყვეტილებასა და კავშირის იურიდიულ გაფორმებასთან იქნება დაკავშირებული. „მემარჯვენეთა" და „ლიბერალების" ლიდერების განცხადებით, მემარჯვენე ძალთა გაერთიანება დასრულებული არ არის და აღნიშნული პროცესი სულ მალე სხვა ორგანიზაციათა სრული შერწყმით და ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მძლავრი და უალტერნატივო მემარჯვენე ძალთა დამკვიდრებით დასრულდება.

## ჯემალ გოგიტიძეს ცეცხლი გაუხსნეს?

ხონის რაიონში „აღორძინების" ერთ-ერთ ლიდერს, დეპუტატ ჯემალ გოგიტიძეს ცეცხლი გაუხსნეს. ინციდენტი შუაღამისას სოფელ გელავერში მოხდა. როგორც თავად გოგიტიძემ განაცხადა, იგი საარჩევნო შეხვედრების შემდეგ ცაგერიდან თბილისში ბრუნდებოდა. „განგებამ გადამარჩინა. არ ვიცი, პოლიცია ისროდა თუ ყაჩაღები, ფაქტია, რომ ავტომატის ჯერი დამაყარეს" — აღნიშნა მან.

სოფელ გელავერის საგუშაგოზე კი განმარტეს, რომ პოლიციამ ჰაერში მას შემდეგ გაისროლა, რაც გოგიტიძე გუშაგების ბრძანებას არ დაემორჩილა და საგუშაგოზე მანქანა არ შეაჩერა.

**მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია**

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

**წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:**

1. **ვაჟა გავაშელი** — შიშველი „მზეთუნახავი" — 143 ხმა
2. **ინგა ჯაყელი** — „დი-ი-დი გულები აქვთ გურულებს..." — 72
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „იქნებ თქვენმა გაზეთმა გაბედოს და საფოსტო კონტრაბანდის ბიზნესი გაახმაუროს" — 57
4. **ეთერ ერაძე** — „გვახსოვდეს დიდგორი!" — 36
5. **ლელა ჯიყაშვილი** — „ნიაზ დიასამიძე დროს უსწრებდა..." — 31

6-7. **დაჩი გრძელიშვილი** — „საჯაროობა პატიოსან ცესკოს არ უნდა აშინებდეს..." — 20

6-7. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 20

თქვენი პრემიის მფლობელი ამჯერად **ვაჟა გავაშელია.**

***„მკითხველის პრემიის" მფლობელი 447-მა რესპონდენტმა გამოავლინა***



## თბილისი ელექტროენერგიას შეუზღუდავად მიიღებს

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან შეთანხმებით, თბილისი ელექტროენერგიას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღებს. როგორც „ეი-ი-ეს თელასში" განაცხადეს, გამრიცხველიანებული უბნები ელექტროენერგიას უწყვეტად მიიღებენ, ხოლო იქ, სადაც დენი უკანონოდ არის შეყვანილი, მოხდება სადენების ჩაჭრა და მოსახლეობის დაჯარიმება. ამჟამად ქვეყანას 760 მეგავატი ელექტროენერგია მიეწოდება, საიდანაც 270 მეგავატი თბილისზე მოდის, რაც საკმარისია იმისთვის, რომ ქალაქი მთლიანად დაიტვირთოს.

## „ჭიათურმანგანუმს" პასუხს სთხოვენ

ფინანსური დანაშაულებების გამო უშიშროების სამინისტრო ს/ს „ჭიათურმანგანუმის" კიდევ რამდენიმე ხელმძღვანელი პირის დაპატიმრებას გეგმავს. ამის შესახებ ჟურნალისტებს უშიშროების მინისტრის მოადგილემ, ლაშა ნაცვლიშვილმა განუცხადა, თუმცა მან მათი ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა. სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტთან შეკრებილი ეკონომიკური გუნდი ს/ს „ჭიათურმანგანუმში" შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას იხილავდა. როგორც ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, საწარმოს 57 მლნ ლარი აქვს დავალიანება. ამჟამად ვალების რესტრუქტურიზაციაზეც მიმდინარეობს საუბარი. მისი თქმით, „თუ საწარმო დავალიანებისგან არ გაიწმინდა, მაშინ ინვესტორები „ჭიათურმანგანუმით" არ დაინტერესდებიან". როგორც გაჩეჩილაძემ აღნიშნა, მას ინფორმაცია არ გააჩნია უშიშროების სამინისტროს მიერ დაგეგმილ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რადგან ეს არა ეკონომიკის სამინისტროს, არამედ უშიშროების უწყების პრეროგატივაა.

## გიორგაძემ, შესაძლოა, სამტრედიის მაჟორიტარობა სცადოს

გავრცელებული ინფორმაციით, სამტრედიაში შესაძლოა მაჟორიტარი დეპუტატობის არჩევნებში კენჭი იყაროს ინტერპოლის მიერ ძებნილმა, საქართველოს უშიშროების ექსმინისტრმა იგორ გიორგაძემ. ცესკოს სამტრედიის №54-ე საარჩევნო ოლქის ხელმძღვანელის, თემურ სულაქველიძის თქმით, კომუნისტური პარტიის ლიდერის, პანტელეიმონ გიორგაძის მომხრეებმა სარეგისტრაციო ბარათები გაიტანეს შესავსებად. სულაქველიძემ არ იცის, თუ ვისთვის გაითხოვეს აღნიშნული ბარათები გიორგაძის მომხრეებმა.

## ტყიბულში მამა-შვილი მოკლეს

გამთენიისას, ტყიბულის რაიონში მამა-შვილი გვენეტაძეების მკვლელობა მოხდა. ქუთაისში მცხოვრები გვენეტაძეები ჯერჯერობით უცნობმა პირებმა, ქალაქ ტყიბულში, ერთ-ერთ ოჯახში ჩაცხრილეს. ტყიბულის პოლიციისთვის ცნობილია მკვლელების ვინაობა, თუმცა მათ გვარებს პოლიცია არ ასახელებს. სამართალდამცველთა ვერსიით, ანგარიშსწორება პირადული დავის საფუძველზე მოხდა. გარდაცვლილი მამა-შვილი ქუთაისის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს პროზექტურაში გადაასვენეს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მოკვლევას ტყიბულის პოლიცია აწარმოებს.

## თბილისს გაზმომარაგება შეუწყდა

თბილისს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა. მიზეზად ივლისში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის არასრული გადახდა სახელდება.

„თბილგაზმა" „იტერას" 440.000 დოლარი გადაუხადა, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან „თბილგაზს" ივლისში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ნაწილი, დაახლოებით 300.000 აშშ დოლარი დარჩა გადასახდელი. „თბილგაზი" უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს რუსულ „გაზპრომთან", თუმცა შეთანხმება ოფიციალურად ჯერ არ გაფორმებულა.

გაზმომარაგების აღდგენის შემთხვევაში, იმ რაიონების დატვირთვას, რომლებსაც ბოლო დღეებში აირი მიეწოდებოდა, სულ ცოტა, ორი კვირა დასჭირდება.

## აფეთქება ახალციხეში

ახალციხეში მომხდარი ძლიერი აფეთქების შედეგად სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინა ნაწილი მთლიანად ჩამოინგრა. აფეთქების დროს შენობაში მხოლოდ კომენდანტი იმყოფებოდა, რომელმაც სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. სამართალდამცველთა განცხადებით, აფეთქება წინასწარ დამონტაჟებული ნაღმის ამოქმედებას მოჰყვა. სახელისუფლებო ძალები მომხდარს ტერაქტის შეფასებას აძლევენ და ამ მხარეში გელა კვარაცხელიას გუბერნატორად დანიშვნას უკავშირებენ. კვარაცხელიამ ადმინისტრაციის შენობა აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე დატოვა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას უშიშროება და გენერალური პროკურატურა აწარმოებენ.

## გათავისუფლდება პრესა გადასახადებისგან?

9 სექტემბერს პარლამენტი კენჭს უყრის კანონპროექტს გადასახადებისგან პრესის გათავისუფლების შესახებ. ინიციატივის ავტორმა, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, დემურ გიორხელიძემ განაცხადა: იმისთვის, რომ მედიამ თავისი ფუნქციები სრულყოფილად შეასრულოს, გადაწყვეტილებების მიღებისას დამოუკიდებლობა სჭირდება. ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება ეკონომიკური დამოუკიდებლობა და არ მოექცევა პოლიტიკური ძალებისა და მსხვილი ფინანსური ჯგუფების გავლენის ქვეშ. როცა ამ ინიციატივას ვაყალიბებდი, გათვალისწინებული მქონდა მრავალი ფაქტორი. გაზეთი რეალიზაციიდან და რეკლამის განთავსებიდან მიღებული მოგების გადასახადიდან უნდა გათავისუფლდეს. ეს იმდენად უმნიშვნელო თანხაა ჯამში საქართველოს ბიუჯეტისთვის, რომ სჯობს მედიამ იგი საკუთარი განვითარებისთვის გამოიყენოს. ჩემი ინიციატივის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იმას, რომ ბეჭდვით ორგანოს საკუთარი საჭიროებისთვის უცხოეთიდან შემოტანილ საშუალებებზე დღგ მოეხსნას. ვფიქრობ, ეს არის არა შეღავათები, არამედ საზოგადოებისთვის აუცილებელი პოლიტიკური გადაწყვეტილება და იმედი მაქვს, პარლამენტი მას მხარს დაუჭერს.

სამშაბათს გაირკვევა, შეძლებს თუ არა პარლამენტი მოღვაწეობის დასრულებას დემოკრატიის განვითარებისათვის ამ მართლაც საჭირო კანონის მიღებით.

## გარჩევამ ახალგაზრდა იმსხვერპლა

ჭავჭავაძის გამზირზე მომხდარ შელაპარაკებას 21 წლის შალვა გოგაძის სიცოცხლე შეეწირა. სისხლის სამართლის საქმეს ვაკის რაიონის პოლიცია იძიებს. გოგაძეს ორი ტყვია აქვს მოხვედრილი, იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. სამართალდამცველთა განცხადებით, ორი ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია.

## ბინ ლადენმა თავისი წარმომადგენელი დანიშნა




საერთაშორისო ტერორისტმა უსამა ბინ ლადენმა თავის „უმაღლეს წარმომადგენლად ერაყში" ეგვიპტელი საიფ ალ ადილისა დანიშნა. ასეთი გადაწყვეტილება „ალ-ქაიდას" ტერორისტული დაჯგუფების ხელმძღვანელებმა ავღანეთის დასავლეთში გამართულ სხდომაზე მიიღეს.

როგორც „იტარ-ტასი" ინფორმირებულ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, სხდომას ბინ ლადენი თავმჯდომარეობდა. შეხვედრაზე ასევე განიხილეს ერაყში „ალ-ქაიდას" ბოევიკთა გაგზავნის საკითხი. სხდომაში „თალიბანის" მოძრაობის სამმა უმაღლესმა წარმომადგენელმა, აგრეთვე ჩეჩნური და უზბეკური შეიარაღებული დაჯგუფებების ლიდერებმა მიიღეს მონაწილეობა.

## დააკავეს „ისლამური მემკვიდრეობის აღორძინების" წევრები

აზერბაიჯანის სამართალდამცავმა ორგანოებმა „ისლამური მემკვიდრეობის აღორძინების" ორგანიზაციის წევრთა ჯგუფი დააკავეს, რომელიც რესპუბლიკაში ტერაქტებსა და სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდა. ამის შესახებ აზერბაიჯანის რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელმა, რაფიკ ალიევმა განაცხადა.

ქუვეითური ორგანიზაცია „ისლამური მემკვიდრეობის აღორძინება" მჭიდროდ დაკავშირებულია უსამა ბინ ლადენთან. ადრე მას ბაქოში თავისი ოფიციალური წარმომადგენლობა ჰქონდა. 2003 წლის თებერვალში „ისლამური მემკვიდრეობის აღორძინების" ორგანიზაცია რუსეთის უმაღლესმა სასამართლომ ტერორისტულად აღიარა და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მისი საქმიანობა აკრძალა. რაფიკ ალიევის ინფორმაციით, დაჯგუფების წევრებს, მათ შორის, ორგანიზაციის ხელმძღვანელს — ალჟირის მოქალაქეს შესაბამისი ბრალდება უკვე წაუყენეს. გარდა ამისა, ყადაღა დაედო ორგანიზაციის ქონებას, რაც თითქმის 600 ათას დოლარს შეადგენს. ამოღებულია ჯიჰადისკენ მოწოდებების შემცველი დიდძალი ლიტერატურა. ალიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანში ექსტრემიზმში ეჭვმიტანილი ორგანიზაციები კიდევ მოქმედებენ, რომლებიც კანონის დარღვევისთანავე მხილებულნი იქნებიან.

## პრეზიდენტის ჯანმრთელობა უარესდება

ბაქოში გამომავალი გაზეთი „აზადლიგი" ერთ-ერთ სახელმწიფო ჩინოსანზე დაყრდნობით იუწყება, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევის სხეულის ცალკეული ორგანოები თანდათანობით კვდება და მას მალე კლივლენდის კლინიკიდან გამოწერენ.

გაზეთის ცნობით, ალიევი უიმედო ავადმყოფებისთვის განკუთვნილ ბაროკამერაში იმყოფება. მისი ვაჟი ილჰამ ალიევი კი ცდილობს, ის კვლავ თურქეთში, „გიულჰანეს" კლინიკაში დააბრუნოს, სადაც პრეზიდენტი 7 აგვისტომდე მკურნალობდა. ცნობილი გახდა ისიც, რომ 8 სექტემბერს ილჰამ ალიევი ერთდღიანი ვიზიტით თურქეთში გაემგზავრება. მასმედია იუწყება, რომ ვიზიტი სწორედ ჰეიდარ ალიევის მკურნალობასთანაა დაკავშირებული და ანკარაში უმცროსი ალიევი „გიულჰანეს" კლინიკის ხელმძღვანელობას შეხვდება. განხილვის საგანი თურქეთში ჰეიდარ ალიევის მკურნალობის გაგრძელება იქნება.

# ყველაფერი ისევ და ისევ ქართველი ძალოვნების უსუსურობის ბრალია

საპარლამენტო არჩევნებამდე ორ თვეზე ნაკლები რჩება. რაც უფრო ახლოვდება „სანატრელი დღე“, მით უფრო რეალურ ელფერს იძენს ჩვენი საზოგადოების შიში არჩევნებზე მოსალოდნელ დესტაბილიზაციასთან დაკავშირებით. სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის ახალი რწმუნებულის დანიშვნას სამხარეო ადმინისტრაციის შენობის აფეთქება მოჰყვა. ჯერჯერობით, კვლავაც უცნობი რჩება, თუ ვინ მოაწყო ტერაქტი, რომლის პოლიტიკურ მოტივშიც ეჭვი აღარავის ეპარება. სამაგიეროდ, ბევრი სჯა-ბაასი არ სჭირდება იმის გარკვევას, თუ ვის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს არა მხოლოდ მომხდარი, არამედ მოსალოდნელი ტერაქტები და არეულობები. ყოველ შემთხვევაში, ქართულ სახელმწიფოებრიობას ქაოსი და შეიარაღებული დაპირისპირება ნამდვილად არ წაადგება. როგორც ჩანს, ეს ყველაზე ნაკლებად ხელისუფლებას ესმის, ან უბრალოდ, არ უნდა რომ ესმოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თბილისში სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა „დამრტყმელი ბრიგადები“ და საეჭვო რეპუტაციის შეიარაღებული ხალხი არ მომრავლდებოდა. წინასაარჩევნო წესრიგის დაცვის ნაცვლად, ქართველი ძალოვნები, ვითომდაც „ბენზინის კონტრაბანდას“ ებრძვიან ისე, რომ ცოცხალი თავით არ ასახელებენ კანცელარიაში მყოფ კონტრაბანდის მფარველებს; ბიუჯეტის რა მოგახსენოთ და, უკანასკნელ წლებში მსგავსი ანტიკონტრაბანდული აქციებით ვისი ჯიბეებიც შეივსო, ნათლად ჩანს... მორიგ სიახლედ „საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში“ მორიგი ანტიკრიმინალური ოპერაცია მოგვევლინა. სვანეთში რომ განუკითხაობა სუფევს, ახალი არავისთვის უნდა იყოს, მაგრამ ჯავშანტექნიკით და სპეცდანიშნულების რაზმებით იქ წესრიგის დამყარებას რაც შეიძლება მოჰყვეს, არც ეს არის ძნელი გამოსაცნობი (თან ეს ყველაფერი საეჭვოდ ემთხვევა ავბედითი 2 ნოემბრის მოახლოებას). საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს თავგამოდებით ეცილებიან ქვეყნისა და ხალხის სიყვარულს, იმავდროულად, თითოეული მათგანი არანაკლები თავგამოდებით ამტკიცებს ქვეყნის გადარჩენის მისეული „დოქტრინის“ უპირატესობას. თუმცა, თუ ქართველ პოლიტიკოსთა „პარტიულ გადარბენებს“ გავითვალისწინებთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ პოლიტიკური დებატები ქვეყნის ხსნისა და ურთიერთკორუმპირებულობის შესახებ უბრალო დემაგოგიას არ სცილდება; „პოლიტიკური დოქტრინა“ კი ისეთივე ქიმერა გახლავთ, როგორიც კონსტიტუცია ქართველ ჩინოსანთა ხელში...

რამდენად რეალურია წინა და პოსტსაარჩევნო დესტაბილიზაციის საფრთხე, როგორია გარეშე ძალების წვლილი და გავლენა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ამ საფრთხის გამძაფრების თვალსაზრისით, რა როლს თამაშობს ფართომასშტაბიანი ოპერაციები რეგიონებში წესრიგის დამყარების კუთხით, რითი განსხვავდება ერთმანეთისგან ათეულობით პარტიის პოლიტიკური დოქტრინა — ყოველივე ამის თაობაზე ვესაუბრებით პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს **ირაკლი ბათიაშვილს**:

— წინასაარჩევნო სიტუაციაში ქართული პოლიტიკური სპექტრი ვეებერთელა დენთის კასრს მომაგონებს. ბუნებრივია, ქართულ პოლიტიკაში არსებულ დაპირისპირებებს და კონფლიქტურ სიტუაციებს გარეშე ძალებიც შესანიშნავად იცნობენ. აღარ დავაკონკრეტებ, თუ რომელი ქვეყნის სპეცსამსახურები რომელ პარტიაზე მუშაობენ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ თუნდაც რუსეთს, ჯერ კიდევ ეროვნულ მოძრაობაში საკმაოდ ძლიერი აგენტურული ქსელი ჰყავდა. ამას ვერსიის დონეზე არ ვამბობ. გეუბნებით იმას, რაზეც პირადად ვფლობდი ინფორმაციას და რაც ჩემ თვალწინ ხდებოდა. სხვათა შორის, როდესაც აგენტურაზეა ლაპარაკი, სულაც არ მაქვს მხედველობაში დასავლური ფილმების აბსტრაქტული სუპერპერსონაჟი. ეროვნული მოძრაობის შემდეგ უამრავი პოლიტიკური მოძრაობა აღმოცენდა და როდესაც მეზობელი ქვეყნების აგენტურაზე მოგახსენებთ, ამ მოძრაობაში მოღვაწე პოლიტიკოსებს ვგულისხმობ. ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, ლიდერიც იყოს, ზოგიც — პარტიის რიგითი წევრი. სხვათა შორის, უცხოეთის სპეცსამსახურების განსაკუთრებული დაინტერესება ქართული პოლიტიკური სპექტრით იმითაც არის გამოწვეული, რომ საქართველოში სახელმწიფოებრივ პროცესებზე ზემოქმედება მხოლოდ ამ კუთხით თუ არის შესაძლებელი — ჩვენ ხომ არც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები გაგვაჩნია და არც ისეთი სამეცნიერო დაწესებულებები, საიდანაც მნიშვნელოვანი და ღირებული ინფორმაციის მოპარვა და გამოყენება იქნება შესაძლებელი. აღარაფერს ვამბობ სამხედრო პოტენციალსა და შეიარაღებაზე — ამ კუთხით ისეთი არაფერი გაგვაჩნია, მსოფლიოს რომელიმე ძლიერი სადაზვერვო სამსახურის განსაკუთრებულ ძალისხმევას რომ იმსახურებდეს. სამაგიეროდ, როგორც გითხარით, საკმაოდ იოლი სამართავია სიტუაციები პოლიტიკურ სპექტრში — ეს ხელისუფლებას, ძალოვან სტრუქტურებს და ოპოზიციას ერთნაირად ეხება. ამიტომაც, შესაბამისი დაკვეთისა და სურვილის შემთხვევაში რაიმე სერიოზული პროვოკაციის მოწყობა შეიძლება უადვილესი არ იყოს, მაგრამ არც ძალიან ძნელი იქნება. აქ კიდევ ერთ მომენტზე გავამახვილებდი ყურადღებას — იმავე ეროვნულ მოძრაობაში, როდესაც სხვადასხვა ინტრიგებს და პროვოკაციებს ვაფიქსირებდით, ხელს ყოველთვის საბჭოთა უშიშროებისკენ ვიშვერდით. მაგრამ ეროვნული მოძრაობის ლიდერებიდან, სამწუხაროდ, მაშინ არავინ დაფიქრებულა — ამ ინტრიგებსა და პროვოკაციებს რომ ნოყიერი ნიადაგი თავად ეროვნულ მოძრაობაში არ ჰქონოდა, ასეთი საბედისწერო შედეგი არ მოჰყვებოდა. ანალოგიური სიტუაციაა დღევანდელ პოლიტიკაშიც. დღეს ყველა ხვდება, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები ქართულ პოლიტიკაში გადამწყვეტ გარდატეხას შეიტანს — ის, ვინც ხელში ჩაიგდებს საპარლამენტო უმრავლესობას, ან უბრალოდ, მისთვის ხელსაყრელ პოზიციაში ალმოჩნდება, შევარდნაძის საპრეზიდენტო უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ ხელისუფლების გადანაწილებაშიც მეტს მოიგებს და მიიღებს. სწორედ აქედან მოდის პარტიების გაღიზიანება, ურთიერთბრალდებები, აგრესიულობა... სხვათა შორის, ისიც ნიშანდობლივია, რომ დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის მეტი წილის ათვლის წერტილი სწორედ შევარდნაძის გაპრეზიდენტებას ემთხვევა — დღეს ბევრი ცნობილი პოლიტიკოსი, რომელიც თავს ოპოზიციონერობაზე დებს და დღე და ღამე პრეზიდენტს ლანძღავს, სწორედ პრეზიდენტის ჩრდილქვეშ წამოიჩიტა — იშოვა ფინანსები, მოიპოვა გავლენა, დაამყარა კავშირები. როდესაც შევარდნაძის უფლებამოსილება დასასრულს მიუახლოვდა, ამ ხალხმა სწორედ მაშინ დაიწყო პარტიების შექმნა და ოპოზიციონერობა — თითოეულ მათგანს პოსტშევარდნაძისტულ სივრცეში საკუთარი ადგილის დაკავება სურს. ვერ ვიტყვი, რომ ეს ამორალურია, ან ძალიან ცუდი და დასაგმობი ნაბიჯია. ეს ალბათ, უფრო საზოგადოებამ, ხალხმა უნდა განსაჯოს. სხვა პარტიაში გადასვლა, პოლიტიკური დოქტრინის შეცვლა დასაგმობი სულაც არ არის და სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. მაგრამ ასეთი რამ პრინციპების გამო უნდა ხდებოდეს და არა კარიერისტული, მერკანტილური მოსაზრებებით.



ყველაფერი ისევ და ისევ ქართველი ძალოვნების უსუსურობის ბრალია. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ძაბვის ხაზებზე ლამის ყოველდღე დივერსია ხდება, ჯერჯერობით არც ერთი აღძრული სისხლის სამართლის საქმე ბოლომდე მიყვანილი არ არის. არადა, ცხადზე ცხადია, რომ სადენებს წინასწარი განზრახვით აზიანებენ, სხვათა შორის, საკმაოდ მარტივი ხერხით — ავტომატის სროლით. არადა ვერავინ იტყვის, სადენის დამჭერს ტყვია შემთხვევით, სიმთვრალეში მოვარტყიო...

**— შესაძლებელია, მოწოდებების მიუხედავად, ოპოზიციური გაერთიანების შექმნა იმიტომაც ვერ მოხერხდა, ოპოზიციურ პარტიათა ლიდერები, უბრალოდ, ერთმანეთს არ ენდობიან და თითოეულ მათგანს ხელისუფლებაში მოსვლა გადამწყვეტი უმრავლესობით სურს. სხვა საქმეა, ძალთა გადანაწილების გათვალისწინებით ეს რამდენად იოლი მისაღწევი იქნება. პირიქით, არსებული სიტუაცია შესაძლებელია გამოუსწორებელი დაპირისპირების მიზეზიც გახდეს...**

— პოლიტიკური პარტიების გაერთიანება სწორედ ამბიციების გამო ვერ მოხერხდა, იქნებ იმიტომაც, რომ თითოეული მათგანი პარლამენტში ცალ-ცალკე უფრო მომგებიანი პოზიციის მიღწევას იმედოვნებს და ამისთვის უკან არაფერზე დაიხევს. სხვათა შორის, თავის დროზე პარტიებს სამშვიდობო მემორანდუმის გაფორმება შევთავაზე, რომელსაც ყველა მათგანი შეუერთდებოდა და უარს იტყოდა არჩევნებში ყოველგვარ ძალადობაზე. მაგრამ რა მემორანდუმზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როდესაც ყველას თვალწინ, დღისით, მზისით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სხვადასხვა პარტიის იარაღგაჩრილი „შტურმავიკები“ დადიან. მათ შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ არავინ არაფერს აკეთებს... შექმნილ ვითარებაში ხელისუფლებისა და ძალოვანი უწყებების პასიურობა დანაშაულის ტოლფასია. ყველაფრის მოგვარება ძალიან მარტივად, იარაღის ტარების შესახებ კანონის რეალური ამოქმედებით შეიძლება, რომლის თანახმადაც იარაღის ტარების უფლება საკმაოდ კონკრეტულ და ვიწრო წრეს აქვს. შესაძლებელია, ვინმემ თავი გაიმართლოს — ასეთ ქმედებას პარტიები პოლიტიკურ ტერორად გამოაცხადებენო. მაგრამ რეალურად, შეიარაღებული დაპირისპირება და ძალადობა არც ერთ პარტიას არ სურს — შეიარაღებულ დაჯგუფებებს ერთმანეთის შიშით ქმნიან. თუ იქნება გარანტია, რომ საარჩევნოდ ყველა თანაბარ პირობებში იქნება და ყველა განიარაღდება, ბუნებრივია, ხმას არავინ ამოიღებს და არ გააპროტესტებს. პირიქით, ამ პროცესს ხელსაც შეუწყობენ. საფრთხე რომ რეალურია, ამას ახალციხეში მომხდარი აფეთქებაც მოწმობს. მე ძალიან კარგად ვიცნობ სამცხე-ჯავახეთს და იქ არსებულ სიტუაციას. აფეთქების შესახებ თავიდანვე ერთმანეთის გამომრიცხავი ვერსიები გავრცელდა — იყო აზრი, რომ ტერორისტული აქტი კვარაცხელიას გუბერნატორობის მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა ძალებმა მოაწყვეს, ისიც ითქვა, — ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და მოწყობილიო. ამის დასტურად ის მოჰყავდათ, რომ კვარაცხელია აფეთქებამდე მცირე ხნით ადრე შენობის უკანა კარიდან გავიდა... კვარაცხელია მართლაც შემთხვევით, გადარჩა. მაგრამ ჩემთვის ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტერაქტის ავტორი მაინცდამაინც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში უნდა ვეძებოთ. რატომღაც, არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ სამცხე-ჯავახეთში არსებული დაძაბული სიტუაციის გამოყენება ყველაზე მეტად ე.წ. „მესამე ძალას“ აძლევს ხელს, და ამ შემთხვევაში, ალბათ ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუ რომელ ქვეყანას წარმოადგენს ეს მესამე ძალა. მთავარი ის არის, რომ ხელისუფლება შექმნილ ვითარებაში წარმოუდგენელ უსუსურობას იჩენს...

კვარაცხელია მართლაც შემთხვევით გადარჩა. მაგრამ ჩემთვის ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტერაქტის ავტორი მაინცდამაინც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში უნდა ვეძებოთ. რატომღაც, არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ სამცხე-ჯავახეთში არსებული დაძაბული სიტუაციის გამოყენება ყველაზე მეტად ე.წ. „მესამე ძალას“ აძლევს ხელს

**— სამაგიეროდ, დიდი ზარ-ზეიმით დაიგეგმა ანტიკრიმინალური და ფართომასშტაბიანი ოპერაცია სვანეთში. ოპოზიციური პარტიები დარწმუნებულნი არიან, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს წინასაარჩევნოდ დესტაბილიზაციის ასაგორებლად, რადგან პარლამენტში მოხვედრის მინიმალური შანსებიც კი არ გააჩნია; თავის მხრივ, ანალოგიურ ბრალდებებს ხელისუფლებაც აყენებს. ასეა თუ ისე, სვანეთის ოპერაცია მართლაც შეიძლება ამ მხარეში არეულობისა და სერიოზული დესტაბილიზაციის მიზეზი გახდეს...**

— საერთოდ, ჯერ ის გავარკვიოთ, თუ რა იგულისხმება ცნებაში „დესტაბილიზაცია“. ის, რაც უკანასკნელ წლებში სვანეთში ხდება, ვფიქრობ, მისი საუკეთესო განმარტება უნდა იყოს — არათუ სტუმრები, იქაური განუკითხაობით უკვე ადგილობრივი მოსახლეობაც უკიდურესად შევიწროებული და შეწუხებულია, სოფლიდან სოფელში გადაადგილების ეშინიათ, რომ ყაჩაღობისა და ძარცვის მსხვერპლი არ გახდნენ. ის, რომ სვანეთში კრიმინოგენული ვითარების მოწესრიგება აუცილებელია, ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ სხვა საქმეა, ეს რა მეთოდებითა და საშუალებებით უნდა მოხდეს. ძალიან მეეჭვება, ეს ფართომასშტაბიანი, საჩვენებელი ოპერაციები რაიმე შედეგის მომტანი იყოს. სვანეთში პროფესიონალური სამძებრო-ოპერატიული მუშაობის ჩატარებაა საჭირო, რაშიც ყველაზე აქტიური და მნიშვნელოვანი როლი თვითონ ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა ითამაშოს. რაც შეეხება ზოგადად, ქვეყანაში დესტაბილიზაციის აგორებას, რის მცდელობასაც ხელისუფლება და ოპოზიცია მართლაც ერთმანეთს აბრალებენ, ყოვლად ულოგიკოა, რატომ უნდა აწყობდეს ოპოზიციას ქაოსი და არეულობა, ქუჩაში შეიარაღებული ხალხის გამოსვლა და სისხლის ღვრა. დესტაბილიზაცია არც ხელისუფლებას წაადგება. იმის თქმა, რომ პრეზიდენტი ძალით მოაწყობს არეულობას და მერე ქულების ჩაწერის მიზნით, მას თვითონვე ჩააწყნარებს, არასერიოზულად მეჩვენება — შევარდნაძე საკმარისზე მეტად ჭკვიანია იმისთვის, რომ მიხვდეს — თუ არჩევნებზე ქვეყანა ქაოსმა მოიცვა, მას ვერანაირი ძალა ვერ ჩააწყნარებს, ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის შიგნით არსებული ძალა. გაითვალისწინეთ ისიც, რომ მცირე ხანში შევარდნაძის უფლებამოსილება იწურება და შეიარაღებული ქაოსის შემთხვევაში ისიც ისეთივე დაუცველი იქნება (მეტი ან ნაკლები ხარისხით), როგორიც თითოეული ჩვენგანი. არეულობა საქართველოში არსებული არც ერთი პოლიტიკური ძალის იმიჯს არ წაადგება, აქედან გამომდინარე, ის მხოლოდ არაკეთილგანწყობილ გარეშე ძალებს შეიძლება აწყობდეთ.

**— ალბათ ამ „არაკეთილგანწყობილ ძალებს“ ძალიან კარგად შეუძლიათ თავის სასარგებლოდ ენერგეტიკის თემით თამაში. როდესაც თელასის მეპატრონეები ამერიკელები იყვნენ, სადენებსა და მაგისტრალებზე მომხდარი დივერსიები, უმთავრესად, რუსეთს ბრალდებოდა. როგორც ჩანს, ახლა პირიქით იქნება...**

— არა მგონია, ვინმემ სერიოზულად იმსჯელოს იმაზე, რომ ამერიკელები საქართველოში დივერსანტების გამოგზავნას და გადამცემი ხაზების აფეთქებას დაიწყებენ იმისთვის, რომ ხალხს რუსეთი შეაჯავრონ, ან ზოგადად, საქართველოში ესა თუ ის ნეგატიური პროცესი გამოიწვიონ. მეორე მხრივ, ხელს ვერც პირდაპირ რუსეთს დავადებთ — ყოველ შემთხვევაში, ამისი კონკრეტული მტკიცებულება არ არსებობს. ყველაფერი ისევ და ისევ ქართველი ძალოვნების უსუსურობის ბრალია. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ძაბვის ხაზებზე ლამის ყოველდღე დივერსია ხდება, ჯერჯერობით არც ერთი აღძრული სისხლის სამართლის საქმე ბოლომდე მიყვანილი არ არის. არადა, ცხადზე ცხადია, რომ სადენებს წინასწარი განზრახვით აზიანებენ, სხვათა შორის, საკმაოდ მარტივი ხერხით — ავტომატის სროლით. არადა ვერავინ იტყვის, სადენის დამჭერს ტყვია შემთხვევით, სიმთვრალეში მოვარტყიო — ეს საკმაოდ ძნელია, თანაც მიზანში სროლაც მაგრად უნდა იცოდე. ანუ ის, რაც ხდება, წინასწარი განზრახვით და დავალებით ხდება — თუ ვის მიერ, ეს შესაბამისი ორგანოების დასადგენია, რომლებიც, როგორც გითხარით, ამ შემთხვევაშიც ძალიან უსუსურად გამოიყურებიან.

ეროვნული მოძრაობის შემდეგ უამრავი პოლიტიკური მოძრაობა აღმოცენდა და როდესაც მეზობელი ქვეყნების აგენტურაზე მოგახსენებთ, ამ მოძრაობაში მოღვაწე პოლიტიკოსებს ვგულისხმობ. ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, ლიდერიც იყოს, ზოგიც — პარტიის რიგითი წევრი...

**— განვლილი კვირა, პარტიული გადანაწილების თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესო იყო — „მეზობელ“ პარტიაში ვინ პიროვნულად გადაბარგდა, ვინ — თავის პარტიასთან ერთად. რაც მთავარია, ყველა მათგანი აცხადებს, რომ პარტიის პლატფორმა, რომელსაც შეუერთდა, მისთვის დიდი ხანია მისაღები და მოსაწონია. თუ ასეთი ურთიერთგაგება და სიყვარული არსებობს, მაშინ რაღა საჭიროა ათობით პარტია, დემარშებისა და გარჩევების მოწყობა, ათასი სიბინძურის დაბრალება ერთმანეთისთვის... საინტერესოა, რომელ პარტიას აირჩევს სათანამშრომლოდ ირაკლი ბათიაშვილი, თუ ის საერთოდ იტყვის უარს საპარლამენტო მოღვაწეობაზე?**

— საქართველოში მართლაც ბევრი პარტიაა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი — ამბიციებია. თუ გადახედავთ, არანაირი განსხვავება ამა თუ იმ პარტიის დოქტრინას შორის არ არსებობს. დიდ განსხვავებას ვერც თავად გეტყვიან. მიუხედავად ამისა, ჩვენთან ყველას უნდა საკუთარი პარტია ჰყავდეს. პირადად მე მივესალმები ისეთ გამსხვილებას, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება — არსებობს ერთი მემარჯვენე, ერთი ცენტრისტული და ერთი მემარცხენე გაერთიანება. მაგრამ იმის გამო, რომ არ შეიძლება ერთ პარტიას თუ გაერთიანებას ცხრა თავმჯდომარე ჰყავდეს, ჩვენთან ასეთი რამ წარმოუდგენლად ძნელი მისაღწევია. რაც შემეხება მე — საკომიტეტო საქმიანობაში ისე გავერთე, რომ ჯერჯერობით ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია — ვისთან ერთად მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას, ან საერთოდ, მივიღებ თუ არა. ყველასთან კარგი ურთიერთობა და მეგობრობა მაკავშირებს — ჟორბენაძესთანაც, სარიშვილთანაც. იგივე შემიძლია ვთქვა ოპოზიციურ პარტიებზე... ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტის ლანძღვაზე საარჩევნო კამპანიის აწყობას ნამდვილად არ ვაპირებ. მეტსაც გეტყვით, რიგ შემთხვევებში თავს მის თანამოაზრედაც მივიჩნევ. თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჯანსაღი კრიტიკისგან თავი შევიკავო.

***დაჩი გრძელიშვილი***

CMYK

# მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიმართვა

**მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, მთავრობას, პოლიტიკურ პარტიებს, ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, სამღვდელოებას, — სრულიად საქართველოს:**

**სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!**

ჩვენო სულიერო ძმანო და დანო, თანამემამულენო, უდიდესი ისტორიული მოვლენის — რუის-ურბნისის კრების 900 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მოგმართავთ იესო ქრისტეს უპირველესი მოციქულის, წმინდა ანდრია პირველწოდებულის მიერ დაარსებული საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით, იმ ეკლესიის სახელით, სადაც ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს დიდი ღვაწლითა და ნიშ-სასწაულებით აღსრულდა მოქცევა ჩვენი ერისა და ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად.

აღსანიშნავია, რომ საუკუნეთა მანძილზე მართლმადიდებლობას ჩვენში „ბიწი რაიმე“ არ შეხებია და ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მდგარი ივერიის ეკლესია მუდამ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან მისი წიაღიდან იღებდა სათავეს ზნეობრიობა და ერის კულტურა, მისი თვითმყოფადობა და თავისუფლებისკენ სწრაფვა... ანუ სახელმწიფოს ძლიერების განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორები.

მშვენივრად ბრძანებს წმიდა ილია მართალი: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად“.

ამიტომაც იყო, რომ 900 წლის წინ წმ. მეფე დავითმა აღმშენებლობის პროცესი ეკლესიის თანადგომითა და ერის სულიერ-ზნეობრივი გაჯანსაღებით დაიწყო. რუის-ურბნისის კრება იქცა იმ მტკიცე საძირკვლად, რომელსაც შემდეგ დაეშენა იმდროინდელ მსოფლიოში ყველასგან ანგარიშგასაწევი სახელმწიფოს ძლიერება.

საქართველოს ძლიერებასა და ერის ერთობას დღესაც საფუძვლად სულიერება და ზნეობრიობა უნდა დაედოს. ამასთან აუცილებელია თვითმყოფადი ცნობიერებისა და კულტურის შენარჩუნება, რომელიც მთლიანად ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზეა დაფუძნებული. ამით დედა ეკლესია არ ქადაგებს კარჩაკეტილობას და ოდნავადაც არ აკნინებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების მნიშვნელობას; პირიქით, ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია როგორც აღმოსავლეთმა, ისე დასავლეთმა, ოღონდ ჩვენი კულტურა ევროპისა და აზიის ცივილიზაციების ჩვეული აღქმაა და არა მექანიკური გამეორება მათი ნააზრევისა ამიტომაცაა იგი ძვირფასი. ამიტომაც შევიტანეთ ჩვენ ჩვენი წვლილი მსოფლიოს კულტურულ საგანძურში.

ჩვენი ტრადიციისთვის ასევე მიუღებელია შეუწყნარებლობა და აგრესია უცხო ერებისა და აღმსარებლობის წარმომადგენლებისადმი. ისტორიულად საქართველოში არასდროს ყოფილა დევნა და შევიწროვება ეთნიკური და რელიგიური ნიშნით. ესაა მიზეზი იმისა, რომ აქ მცხოვრები სხვა ერისა და სარწმუნოების წარმომადგენლები სიყვარულით არიან განმსჭვალულნი ჩვენი მიწა-წყლისა და ხალხისადმი. ასე რომ, ქართველი ერისათვის უცხოა როგორც ფსევდოდემოკრატია, ასევე ფსევდოპატრიოტიზმი.

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ბოლო დროს განვითარება იწყო არაჯანსაღმა მიმართულებებმა. ზოგიერთი ვერ აცნობიერებს, რომ ერთის მხრივ რელიგიური ექსტრემიზმი, ხოლო მეორეს მხრივ უკიდურესი ლიბერალიზმი აღრმავებს ხალხში ისედაც არსებულ დაპირისპირებას. ამ პროცესებს, რომელიც შეიძლება უცხოეთიდან იმართება, ერთი-ორი სასულიერო პირიც აჰყვა და საერონიც აიყოლია. ყველას გასაგონად ვაცხადებთ, რომ ისინი სამეუფეო გზას არიან აცდენილნი და არასწორი ქმედებებით თვითვე განაყენებენ თავის თავს ეკლესიისაგან. შევთხოვთ ღმერთს, მისცეს მათ გულწრფელი სინანული.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში მართლმდიდებელთა გალიზიანების მთავარი მიზეზი გახლავთ არა სხვადასხვა რელიგიური ჯგუფებისა და სექტების არსებობა, არამედ მათი მხრიდან გამოვლენილი არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი. ვფიქრობთ, სახელმწიფომ დროულად უნდა მიიღოს რელიგიის შესახებ კანონი, რომ დარეგულირდეს და აღმოიფხვრას ბოლო დროს გამოვლენილი არასწორი ტენდენციები.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ პრობლემები ეკლესიის წიაღშიცაა და ეს არც არის გასაკვირი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა თვალნათელი მაგალითია იმისა, თუ რა სერიოზული



**ეკლესია სულის საცხოვნებელი ადგილია და იგი ყველა მართლმორწმუნეს თანაბრად ეკუთვნის. ტაძარი სახლია უფლისა, ხოლო „მიკერძოება უცხოა ღმრთისათვის“. ეს ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს და გაითავისოს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სასულიერო თუ საერო პირი ანდა პოლიტიკური ძალა, რომელიც შეეცდება წარმოაჩინოს ეკლესია რომელიმე პარტიის მხარდამჭერად, ნებსით თუ უნებლიედ ეროვნული ინტერესების და ეკლესიის პოზიციის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.**

სიძნელეები არსებობდა ეკელსიაში და საზოგადოებაში მაშინაც, როდესაც ცოცხალი და უწყვეტი კავშირი იყო ასურელი მამებისა და გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ სასულიერო ცენტრებთან, სადაც ცნობილი მოსაგრენი მოღვაწეობდნენ.

ყველამ ვიცით, რომ 70 წლიანმა ათეისტურმა პერიოდმა ქვეყანას მძიმე დაღი დაასვა, მაგრამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებით ჩვენი ერი კვლავ დაუბრუნდა ეკლესიურ ცხოვრებას და დღეს, მიუხედავად მრავალი პრობლემისა, დგას ჟამი სულიერი ფერისცვალებისა. ჩვენ მადლობას ვწირავთ ღმერთს იმისათვის, რაც მისი შეწევნითა და ხალხის თანადგომით დღემდე გაკეთდა.

საეკლესიო ცხოვრების განახლება რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. ამ საქმეში სამღვდელოებასთან ერთად ხალხის მონაწილეობა, რა თქმა უნდა, მისაღებია, მაგრამ სამოქალაქო ანუ ღია საზოგადოების წესების გამოყენება და დანერგვა ეკლესიაში ისევე არაბუნებრივია, როგორც საღვთო იერარქიული წყობის შეტანა დემოკრატიის სივრცეში.

არამართლმადიდებლურ ქრისტიანულ სამყაროში არის მაგალითები როგორც ეკლესიის აქტიური ჩარევისა სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე პირიქით — საერო პრინციპების დამკვიდრებისა ეკლესიაში. მართლმადიდებელი ეკლესია კი ყოველთვის ინარჩუნებდა ზომიერებას და განრიდებული იყო მსგავს უკიდურესობებს. დღესაც ჩვენ ამ პოზიციის დამცველნი ვართ; ჩვენთვის ამოსავალია წმ. წერილის სიტყვები: „ნუ მისდრკები მარჯულ, ნუცა მარცხულ, არამედ გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ“ (2 სჯ. 5, 32, 17-11).

დღეს ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემაა ღირებულებათა გაუფასურება. ადამიანებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, არწმუნებენ, თითქოს სამშობლოს სიყვარული, უფროსისადმი პატივისცემა, პატიოსნად ცხოვრება, ენისა და სარწმუნოების დაცვა და სხვა ჩვენი ხალხისათვის დამახასიათებელი ტრადიციები მოძველდა. ამ აზრის დამკვიდრებას ხელს უწყობს ზოგიერთი სატელევიზიო პროგრამა, ჟურნალ-გაზეთი და სხვა საინფორმაციო საშუალებანი. ამასთან ისინი თესენ შიშს ხვალინდელი დღისადმი და აღვიძებენ მდაბალ ინსტიქტებს. თანამედროვე ადამიანისათვის ყოველივე ნებადართული ხდება: მრუშობაც, აბორტიც, მკვლელობაც, თვითმკვლელობაც, ძალადობაც, მამათმავლობაც, ნარკომანიაც და სულიერი დეგრადაციის სხვა გამოვლინებები. პირველ რიგში უნდა აიკრძალოს პორნოპროდუქციის ლეგალიზაცია და ყაჩაღობისა და ძალადობის ამსახველი ფილმების ჩვენება. მეტად სამწუხაროა, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ ზნეობრივი გახრწნის პროცესს სკოლის ასაკიდანვე შეუწყონ ხელი და ამისთვის სახელმძღვანელოებიც კი შეიმუშავეს. ეკლესია ასეთი საკითხებისადმი გულგრილი ვერ დარჩება, რადგან სინამდვილეში ეს არის ტოტალური ქადაგება ურწმუნოებისა, მიწიერ საცდურთა საშუალებით ხალხის შეცდომაში შეყვანა და მათი სულების გაწირვა დაღუპვისათვის.

არ შეიძლება საზოგადოებამ ნება დართოს უზნეობის, უვიცობის, არაპროფესიონალიზმის და ანტიეროვნული ფასეულობების დამკვიდრებას. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა კავშირი სკოლას, ოჯახსა და ეკლესიას შორის, რადგან პროცესები თუ ასე განვითარდა, საფრთხე უპირველეს ყოვლისა ოჯახს და სახელმწიფოს ემუქრება.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებასთან ერთად უნდა იტვირთოს თითოეულმა ჩვენგანმა, განსაკუთრებით კი ინტელიგენციამ და ახალგაზრდობამ. ყველანი უნდა დავდგეთ ჩვენი სულიერი და ეროვნული ღირებულებების სადარაჯოზე. ჩვენმა ერთობამ მოგვაპოვებინა თავისუფლება და შეგვანარჩუნებინა ეროვნული ღირსება. ჩვენი მომავალიც ერთობაშია.

ბოლო დროს მეტად აქტუალური გახდა კორუფციასთან ბრძოლის საკითხი. რასაკვირველია ეს ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ რეალური შედეგი მიღწეული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების დახმარებით ხალხი შექმნის კონკურენტუნარიან პროდუქციას და აიმაღლებს შემოსავალს. ეს კი ბუნებრივად გულისხმობს ეროვნული ეკონომიკისათვის მტკიცე საფუძვლის ჩაყრას და ხალხის დასაქმების საშუალებათა შექმნას, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა ჩვენს ქვეყანაშივე ჰპოვონ თავისი ადგილი შრომის პროცესში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეროვნული ეკონომიკა ვერ შეიქმნება, თუ მოხდება სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის უმთავრესი რესურსებისა და ობიექტების გასხვისება და კერძო სექტორში გადაცემა.

ნორმალური ანაზღაურებით სამუშაო ადგილების გამრავლება ბუნებრივად გამოიწვევს უცხოეთში სასწავლებლად და სამუშაოდ წასული ჩვენი მოქალაქეების დროულად უკან დაბრუნებას. არადა ეს პრობლემა სერიოზულია. დიდხანს ფესვებს მოწყვეტილი ადამიანი ხომ ადვილად კარგავს ეროვნულ თვითშეგნებას, თავის მეობას და საზოგადო მასის უსახო ნაწილი ხდება. ეს საშიშროება ემუქრებათ საზღვარგარეთ უკვე წლობით მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ რამდენიმე თვის წინ დასავლეთ ევროპაში სწორედ იმ მიზნით შეიქმნა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ეპარქია, რომ ხელი შევუწყოთ, ერთის მხრივ, ჩვენი მოქალაქეების სულიერი კავშირის განმტკიცებას დედა ეკლესიასთან და სამშობლოსთან ხოლო, მეორეს მხრივ, — მათ დაბრუნებას საქართველოში.

დღეს, როდესაც ჩვენს შორის მრავალი ადამიანი განიცდის სულიერ და მატერიალურ დიდ შეჭირვებას, ყოველ ჩვენგანს მართებს გამოიჩინოს განსაკუთრებული თანაგრძნობა და თანადგომა მათ მიმართ. დღევანდელი მდგომარეობა, ალბათ, გაცილებით მძიმე იქნებოდა, რომ ჩვენი ერი არ მისდევდეს მაცხოვრის მცნებას: „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“. ვიმედოვნებთ, თანალმობის ეს დიდი მადლი არასოდეს მოაკლდება ჩვენს ხალხს.

საერთო მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ბოლო დროს მრავალი ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან. ზოგმა სიცოცხლე გასწირა სამშობლოსათვის, ზოგიც გარდამავალი პერიოდის დაძაბულობას და სირთულეებს შეეწირა. გვინდა მივმართოთ მწუხარებით სავსე მათ მშობლებსა და ახლობლებს, რომ გარდაცვალება არ ნიშნავს გაქრობას. იცოდეთ, ისინი ცოცხალნი არიან და თქვენი ლოცვა და სიყვარული უდიდესი ნუგეშის მიმნიჭებელია მათი სულებისათვის. ამიტომაც ნუ მიეცემით უნუგეშობას, იცხოვრეთ რწმენით და ეცადეთ მათ სახელზე სიკეთის ქმნას.

ისევე როგორც პიროვნების განსაცდელი, ერის განსაცდელიც ღვთისაგან მისი სულიერი ამაღლებისთვის ხდება. ჩვენ ყველანი ახლა ამ პროცესს გავდივართ და დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ სწორ ნაბიჯებს გადავდგამთ იგი ზეცად აღმყვანებელ ჩვენს სულიერ კიბედ იქცევა. ის კი, ვინც გაურბის უფლისგან დაშვებულ ამ გამოცდას და იოლ გზას ეძებს, უარს ამბობს დიდების გვირგვინზე. ამიტომაც მოვლენებს სულიერი თვალით უნდა შევხედოთ და უფრო ღრმად გავაანალიზოთ ჩვენი ცხოვრება, რათა მართებული დასკვნები გამოვიტანოთ.

დიახ, დროა, თითოეული ჩვენგანი ღრმად ჩაუფიქრდეს თავის ყოფას, მიუკერძოებელი შეფასება მისცეს თავის ქმედებებს და ეძიოს გზა სრულყოფისაკენ. გამოსწორება ყველამ საკუთარი თავიდან უნდა დაიწყოს. ნებისმიერი ადამიანი — საერო თუ სასულიერო პირი, მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობს ღმერთთან სიახლოვეს და ადვილად გაუმკლავდება მის გარშემო არსებულ მრავალ სიძნელეთ.

საგანგებოდ მივმართავთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიწა-წყლის შვილებს, როგორც იქ დარჩენილთ, ისე დევნილებაში მყოფთ. ბოროტმა ძალამ დაარღვია ჩვენი ერთობა და მშვიდობა, მაგრამ ვიმედოვნებთ, მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი — უფალი ჩვენი იესო ქრისტე კვლავ მოგვანიჭებს მშვიდობას და დაგვიბრუნებს ერთობას.

კარგად ვხედავთ, თუ რამდენად მძიმე იყო თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ერთმანეთისგან დაშორების წლები. სერიოზული შეცდომები ორივე მხრიდან იყო დაშვებული. და თუ დღეს გვსურს წინსვლა, უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს, უნდა შევრიგდეთ, ვიცხოვროთ და ვაშენოთ ერთად.

ეკლესია გმობს ტერორიზმს, მათ შორის საერთაშორისო ტერორიზმს და მხარს უჭერს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირებას. იმ მძიმე პროცესებში, რაც დღეს მსოფლიოში ვითარდება, ჩვენი ერთად დგომა ჩვენი გადარჩენის საწინდარია.

ეკლესია სთავაზობს სახელმწიფოს თავის შესაძლებლობებს ჩვენს ყოფაში დღეს არსებული პრობლემის დასაძლევად, რადგან სახელმწიფოს თანადგომა მართლმადიდებელი ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი მოვლენაა.

„საერო ხელისუფლება და სასულიერო უწყებანი ერთმანეთს ისევე ეკუთვნიან, როგორც ხორცი და სული, და სახელმწიფოს მოწყობისათვის ისევე აუცილებელნი არიან, როგორც ხორცი და სული ცოცხალი ადამიანისათვის. მათი კავშირი და თანხმობა სახელმწიფოს კეთილდღეობას განაპირობებს“ (ეპანაგოგა, იმპერატორი იუსტინიანე).

ჩვენ გვესმის, თუ რამდენად ძნელია ერთი სოციალ-ეკონომიურ-პოლიტიკური სისტემიდან მეორეში გადასვლა, გვესმის ისიც, რომ აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებულ უარყოფით მოვლენებს გვერდს ვერ ავუვლით, მაგრამ არის რიგი საკითხებისა, რაზეც ჩვენ ჩვენი პოზიცია გვაქვს და ამას საჯაროდაც ვაფიქსირებთ.

ასე რომ, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ შეფასება მივცეთ ქვეყანაში მიმდინარე იმ პროცესებს, რომელსაც უშუალო შეხება აქვს ეკლესიასთან, ჩვენს მრევლთან და ეკლესიური ცხოვრების წესთან.

რაც შეეხება მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს, ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ბუნებრივია, რომ მას თან ახლავს ვნებათაღელვა და დებატები, მაგრამ, სამწუხაროდ, შეინიშნება პოლიტიკური დაპირისპირების გადაზრდა არაეთიკურ და ზოგ შემთხვევაში ძალადობრივ გამოვლინებებში, რაც შეიძლება მეტად მძიმე შედეგის მომტანი აღმოჩნდეს ქვეყნისათვის.

მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებს, ერთმანეთის კრიტიკის ნაცვლად ამომრჩევლებს სამოქმედო პროგრამა გააცნონ და უფრო ხშირად ამის შესახებ ისაუბრონ, რომ ხალხს სწორი განსჯისა და არჩევნის საშუალება მიეცეს. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ მოსახლეობას, აქტიურობა გამოიჩინონ არჩევნებისას და აუცილებლად დააფიქსირონ თავისი პოზიცია.

გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ, მართალია, ქვეყნის დემოკრატიული მოწყობა თავის თავში მრავალპარტიულობას და გარკვეულწილად ურთიერთდაპირისპირებას გულისხმობს, რაც ამ ტიპის სახელმწიფოსათვის ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ტერიტორიულად პატარა და, მით უმეტეს, განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში მყოფი სახელმწიფოსათვის აუცილებელი პირობაა ერის გამაერთიანებელი და შემაკავშირებელი ინსტიტუტის არსებობა. ჩვენი ხალხისთვის ერთ-ერთ ასეთ უმთავრეს ძალას, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ეკლესია წარმოადგენს. ამიტომაც იყო, რომ პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიულ წესზე გადასვლის შემდეგ საქართველოს საპატრიარქო მუდმივად აფიქსირებდა და აფიქსირებს ნეიტრალიტეტს ქვეყნის შიგნით არსებული ნებისმიერი პარტიისადმი.

ეკლესია სულის საცხოვნებელი ადგილია და იგი ყველა მართლმორწმუნეს თანაბრად ეკუთვნის. ტაძარი სახლია უფლისა, ხოლო „მიკერძოება უცხოა ღმრთისათვის“ (რომ. 2.11). ეს ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს და გაითავისოს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სასულიერო თუ საერო პირი ანდა პოლიტიკური ძალა, რომელიც შეეცდება წარმოაჩინოს ეკლესია რომელიმე პარტიის მხარდამჭერად, ნებსით თუ უნებლიედ ეროვნული ინტერესების და ეკლესიის პოზიციის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ამიტომაც სასულიერო პირებს წმ. სინოდის დადგენილებით აკრძალული აქვთ ამა თუ იმ პოლიტიკური ბლოკის, პარტიის წევრობა და მათი საჯაროდ მხარდაჭერა.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ: საქართველოს ეკლესია მზად არის თანადგომა გაუწიოს ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებსა და ყველა იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, საერთოდ ყველას, რომლებიც ქვეყნის ეროვნულ-სარწმუნოებრივი ინტერესების დაცვით საქართველოსა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ წარმართავენ თავიანთ საქმიანობას.

ქვეყნის აღორძინებისათვის რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენად ღვთისმოსავია ხალხი, კარგად სჩანს დავით წინასწარმეტყველის სიტყვებიდანაც: „ნეტარ არს ერისა მის, რომლისა არს უფალი ღმერთი მათი“ (ფსალ. 143, 15). სიყვარულით მოვუწოდებთ საქართველოს მკვიდრთ: „გულისხმა-ჰყოფდით, რა იგი არს ნება უფლისა“ (ეფეს. 5, 17). ჩვენის მხრივ შევთხოვთ უფალს, რომ ამ სულისკვეთებით განიმსჭვალოს სრულიად საქართველო, რათა ჩვენც ჩვენს დიდებულ წინაპართა მსგავსად ვთქვათ: „არ გეცრუვებით შენ სიწმინდით მშობელო ჩვენო წმიდაო კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიაო! არც გიღალატებთ შენ, ჩვენო სიამაყევ, მართლმადიდებლობავ!“ (რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა).

**ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო, ამინ!**

გადაწყდა: ამ კვირას შსს სვანეთში სპეცოპერაციის ჩატარებას იწყებს. მართალია, სოფელ ლატალთან მოსახლეობის ნაწილს თითქმის ერთი კვირის განმავლობაში გზა ჰქონდა გადაკეტილი და კობა ნარჩემაშვილის ჩასვლას ითხოვდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს „სტუმრობა“ ხელისუფლების მიერ დაგეგმილი სცენარის მიხედვით მიემართება. ისე კი, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სვანეთში სპეცოპერაცია უკვე დაწყებულია. ცნობილია, რომ ასეთი ტიპის ოპერაციებს წინ უსწრებს აგენტურული ქსელის შექმნა, მოსახლეობასთან მუშაობა — რომელი კრიმინალი ვისთან არის დაახლოებული, ვის ოჯახში სტუმრობს და ა.შ. და რაც მთავარია, აქ მიზნის მისაღწევად გარკვეული სიტუაციების პროვოცირებაც იგულისხმება.

სვანეთში სიტუაციის დაძაბვა ჯერ კიდევ მაისის თვეში დაიწყო. 11 მაისს, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ახალი ბატალიონის — „სვანეთის“ ჩამოყალიბებას დაემთხვა რუსეთიდან ახალჩამოსული ბიზნესმენის, გოგი ფილფანის გატაცება მესტიაში. რა თქმა უნდა, საქართველოში კრიმინალების მიერ ადამიანის გატაცება ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ამ პერიოდში ექსპერტები ფილფანის გატაცებას უფრო სხვა კუთხით აფასებდნენ. გავრცელდა ვერსია, რომ ადამიანების გატაცება იმ სვანების დაშინების მიზნით ხდებოდა, რომლებიც რბილად რომ ვთქვათ, „ჯიბეგაფხეკილები“ არ იყვნენ და არც არჩევნებში ხელისუფლებისთვის ხელის წაკვრას აპირებდნენ. თუმცა ამ ვერსიის გარდა, იყო მეორე ვერსიაც, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ უფრო და უფრო საყურადღებო გახდა. კერძოდ, ასახელებდნენ ე.წ. არეულობის იმიტაციას. ანუ, თუ ხელისუფლება საარჩევნო ხმების საჭირო რაოდენობას ვერ მოიპოვებს, ამას „საგანგებო სიტუაციით გამოასწორებს“.

„საგანგებო სიტუაციის“ შექმნის „საუკეთესო საშუალებად“ იქცა კოდორის ხეობაში, სოფელ გენწვისთან გაეროს სამი სამხედრო დამკვირვებლის — კლაუს ოტის, ჰერბერტ ჰაუერის, ჰენრიკ სორენსინისა და მათი ქართველი თარჯიმნის, ლაშა ფიქაშუას გატაცება.

ამას დაემატა მესტიის რაიონში ოჯახების დაყაჩაღების არაერთი შემთხვევა, რის გამოც პრეზიდენტი სვანეთში არსებული მძიმე კრიმინოგენული სიტუაციის განსამუხტავად დესანტის გადასხმის იდეით გამოვიდა.

თუმცა ზემო სვანეთში სპეცოპერაციის ჩატარების საბაბი გასულ კვირას სოფელ ლატალთან საპროტესტო აქციის ჩატარება გახდა. საქმე ეხება ორი გვარის — გირგვლიანებისა და ჯაფარიძეების სისხლიან დაპირისპირებას, რაც ორი წლის წინ დაიწყო.

სარწმუნო წყაროს ცნობით, ორი წლის წინ კიევში მოკლეს კრიმინალური ავტორიტეტი ბექა გირგვლიანი. პოლიციამ მის სამეგობროზე მიიტანა ეჭვი და დააპატიმრეს ამავე ქალაქში მყოფი სპარტაკ ჯაფარიძე. თუმცა მას მკვლელობა არ დაუმტკიცდა და გაათავისუფლეს. მიუხედავად ამისა, მოკლულის ახლობლებს ეჭვი მაინც ჯაფარიძეზე ჰქონდათ და ამ ორი სვანური გვარის დაპირისპირებაც აქედან იწყება. თუმცა თავად ჯაფარიძეები აცხადებენ, რომ ბექა გირგვლიანს 13 ადამიანი ჰყავდა მოკლული და შესაბამისად, ბევრი ემტერებოდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჯაფარიძეებისა და გირგვლიანების დაპირისპირება ჩრდილში მოექცა, მაგრამ რამდენიმე კვირის წინ სპარტაკ ჯაფარიძეს მანქანა აუფეთქეს, ამას მოჰყვა გირგვლიანების ოჯახში დილის 6 სთ-ზე ყუმბარის შეგდება და ამ ორი გვარის დაპირისპირებამ ისევ პიკს მიაღწია. გირგვლიანები ყუმბარის შეგდებას სპარტაკ ჯაფარიძის ძმას, ტაი ჯაფარიძეს აბრალებენ. „კვირის პალიტრა“ ესაუბრა ერთ-ერთ მესტიელს, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. ის გირგვლიანების და ჯაფარიძეების ხელახალ დაპირისპირებას სხვა ინტერესს უკავშირებს:

„ამ ორი გვარის დაპირისპირება იწყება ბექა გირგვლიანის მკვლელობით. იგი კიევში ცხოვრობდა და როგორც ამბობენ, სხვადასხვა ბიზნესში სერიოზულ წილს ფლობდა. როცა სვანეთში ხმა გავრცელდა, რომ ერთ-ერთმა პარტნიორმა მოკლა, ლაპარაკი არ ყოფილა იმაზე, რომ ის ქართველმა მოკლა და მით უმეტეს, სვანმა. ჩამოსვენების დროს ჩამოჰყვა სპარტაკ ჯაფარიძე, რომელიც ასევე კიევში ცხოვრობდა და მასთან მეგობრობდა. ამის შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი, რომ სპარტაკის მოკლული იყო. სპარტაკი თვითონაც ძალიან განიცდიდა მის გარდაცვალებას. ჩემი ინფორმაციით, მათ კონფლიქტი არც ჰქონიათ“.

**— აბა, რის საფუძველზე დააპატიმრეს კიევში?**

— ვფიქრობ, ბექას ოჯახის ეჭვების საფუძველზე, თუმცა 6 თვეში გაათავისუფლეს.

**— და დღემდე გრძელდება ეს დაპირისპირება?**

— მოგეხსენებათ, სვანეთში ძველთაგანვე მოდის სისხლის აღების წესი. თუმცა, ეს თანამედროვე სვანეთისთვის მიუღებელია, სისხლის სამართლითაც ისჯება, მაგრამ მაინც არის ასეთი შემთხვევები. მართალია, სპარტაკს მკვლელობა არ დაუმტკიცდა, მაგრამ როგორც ჩანს, გირგვლიანები მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ დამნაშავე სწორედ ის არის. ამიტომ გადაწყვიტეს თავად ეძიათ შური. ამჯერად სიტუაცია დაიძაბა მანქანის აფეთქებითა და ყუმბარის შეგდებით. რა თქმა უნდა, მე ამას ვერ დავამტკიცებ, მაგრამ ამ ორი გვარის ხელახალი დაპირისპირებით მესამე ძალაა დაინტერესებული. სპეცრაზმის შემოყვანა ჯერ კიდევ მაშინ უნდოდათ, თევზაძე რომ იყო ჩამოსული. მაშინ სვანებისგან წააწყდნენ წინააღმდეგობას. ძალიან ბევრი ხალხი ამბობდა, რომ სვანეთში არ დაუშვებდნენ ამდენი შეიარაღებული ადამიანის შესვლას.

**— რატომ?**

— იქმნებოდა საფრთხე მოსახლეობისთვისაც, რადგან ახალი დაპირისპირებების დიდი შანსი იყო. რა საჭიროა იარაღით სავსე სვანეთში ამდენი შეიარაღებული ადამიანი, ომს ვიწყებთ? როგორც ჩანს, მოსახლეობამ მაშინ თავისი გაიტანა და სპეცრაზმის შემოყვანა აღარ განხორციელდა. ახლა კი უკვე სხვანაირი სიტუაციაა... მოკლედ, სჭირდებოდათ საბაბი, რომლის შემდეგაც შესაძლებელი გახდებოდა სპეცდანიშნულების რაზმის შემოყვანა სვანეთის ტერიტორიაზე. საბაბი კი ამ ორი გვარის დაპირისპირება გახდა.

**— როგორც ჩანს, მანქანის აფეთქებით დაიწყო ხელახალი დაპირისპირება, ხომ?**

— კი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს იყო პროვოკაცია.

**— მაგრამ ოჯახის ახლობლებმა ტაი ჯაფარიძე დაასახელეს...**

— ტაის პიროვნებას ვინც იცნობს, მეეჭვება, რომ მან ეს დაიჯეროს. შესაძლოა მათ სჯერათ, რომ ტაიმ ააფეთქა, მაგრამ ვიმეორებ, ყველაფერ ამას ვიღაც მართავს, ცეცხლზე ნავთს ასხამს. სვანებს აქვთ ერთი არაჩვეულებრივი წესიც — დაპირისპირების დროს ჩნდება მესამე ვიღაც, რომელიც ცდილობს გვარები შეარიგოს. ჩემი ინფორმაციით, ბოლო დროს, არც ჯაფარიძეებს და არც გირგვლიანებს აღარ უნდოდათ ძველი წყენის წამოტივტივება. ასე რომ, არც მანქანის აფეთქება იყო გირგვლიანების გაკეთებული და არც ყუმბარის შეგდება იყო ჯაფარიძეების ნახელავი.

**— თქვენი აზრით, რაში სჭირდება ხელისუფლებას იქ სპეცრაზმის შეყვანა?**

— გარდა იმისა, რომ უკეთესი სამართავი იქნება ეს კუთხე, ამ ეტაპზე მათ სჭირდებათ სიტუაციის დაძაბვა და საარჩევნოდ განმუხტვა — ეს იქნება ხმების რაოდენობა ხელისუფლების სასარგებლოდ.

***მარინა მამისაშვილი***

# „აწყობთ სვანეთში სიტუაციის დაძაბვა და საარჩევნოდ განმუხტვა“



**რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გირგვლიანები და ჯაფარიძეები?**

# სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებს ურტყამენ(!)

სასტიკი რეალობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში მასმედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის რიცხვი სულ მალე შეიძლება შემაშფოთებლად გაიზარდოს. თუ აქამდე ძალადობა შენიღბულად ხორციელდებოდა, ამჯერად აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტსა და ოპერატორზე თავდასხმა დღისით, მზისით მოხდა. მოძალადე სახელმწიფო დაცვის თანამშრომელია, ძალადობის ადგილი — სახელმწიფო კანცელარიის შენობა, შედეგი — მძიმე. დამნაშავე ალბათ ახლაც დაუსჯელი დარჩება. ამგვარი დასკვნის საფუძველს მასმედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის გამო აღძრული და დღემდე გაუხსნელი საქმეები იძლევა. ჟურნალისტების ცემის, მოკვლის, მკვლელობის მცდელობის, უსასტიკესი მუქარების ყველა ავტორი დღემდე უცნობია. განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ როგორც საქართველოს თითოეული მოქალაქე, ჟურნალისტებიც დაუცველნი არიან. ყველაზე ამაზრზენი კი ის არის, რომ დაუცველნი არიან მათგან, ვისაც დაცვა სწორედ პროფესიულად ევალება. „კვირის პალიტრა“ დაზარალებულ ჟურნალისტ ნატა კიკნაძესა და ოპერატორ ლევან ტაბატაძეს ესაუბრა:

**ნატა** — სახელმწიფო მინისტრთან ენერგეტიკის თემაზე თათბირის დამთავრების შემდეგ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ჩაწერა გადავწყვიტეთ. მოგეხსენებათ, კანცელარიაში ჟურნალისტებისთვის კონკრეტული სამუშაო ადგილი არ არსებობს, სადაც წაასწრებ რესპონდენტს, იქ უნდა ჩაწერო. უცებ მივედით მასთან, მაგრამ დაცვამ მიგვითითა, აქ გადაღება იკრძალებაო. გავცდით იმ ადგილს. იქ უკვე ყველა ტელევიზიის წარმომადენელი იყო თავმოყრილი, ცენტრალურ შესასვლელთან ახლოს დავდექით. დავიწყეთ ჩაწერა, შემოგვიერთდა „მზის“ ოპერატორიც. ამ დროს კანცელარიის პირველი ბლოკიდან გამოვიდა სახელმწიფო დაცვის თანამშრომელი და პირდაპირ ლევანის კამერას ეცა, დაეჯაჯგურა და უთხრა, ნუ იღებო. ლევანმა უპასუხა — კამერას შეეშვი, ხელს ნუ მიშლიო. ლევანს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. წაკინკლავდნენ და ლევანი დაცვის ოთახში წაიყვანეს, ამიტომ ინციდენტი მალევე, მცირე გაქაჩვით დასრულდა.

დაცვის ოთახიდან გამოსვლის შემდეგ იმ მოძალადე თანამშრომელს უხმეს. გვეგონა უსაყვედურებდნენ, პასუხს მოსთხოვდნენ. ამ დროს კი გამოვარდა ეს შარიქაძე ოთახიდან გიჟივით, გაექანა ლევანისკენ და დაარტყა თვალში მუშტი. აღარ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდით ორივე ფილაქანზე. გონს მოსულმა დავინახე, როგორ ურტყამდა წაქცეულს ფეხებს თავში გადარეული შარიქაძე. ჩემი დალურჯებული ფეხები მოგვიანებით შევნიშნე. კამერა დაიმტვრა. ტელევიზიის ჟურნალისტები იქ იყვნენ, მაგრამ ისე გაოგნდნენ, ჩაწერა ვერავინ მოიფიქრა. ყველა საშველად მოგვვარდა. დარწმუნებული ვარ, შარიქაძე ვიღაცამ წააქეზა და იმიტომ უფრო გადაირია.




**ნინო რატიშვილი** — (აჭარის ტელევიზიის თბილისის ბიუროს დირექტორი)— ნატამ შემატყობინა, რაც მოხდა. მე დავუკავშირდი „აღორძინების“ დეპუტაციას. შეხვდნენ კახა იმნაძეს, რომელსაც ვფიქრობ, არანაირად არ აწყობდა წინასაარჩევნოდ ასეთი ინციდენტი. ყველა შეწუხებული იყო, მაგრამ კომენტარები უემოციოდ, მშრალად გააკეთეს. მოვითხოვთ სიმართლის დადგენას, დამნაშავის დასჯას და ზარალის ანაზღაურებას. ახალი კამერა დაგვიმტვრიეს, მთავარი მაინც ის არის, რომ სერიოზული საფრთხე დაემუქრა ლევანის ჯანმრთელობას: მას ვერც შარიქაძე აუნაზღაურებს და ვერც ედუარდ შევარდნაძე.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

# ცოფიანმა ძაღლმა 23 ბავშვი დაკბინა

**ცოფი დაავადება კი არა, განაჩენია, — სასიკვდილო განაჩენი!**



თბილისის ყველა უბნისათვის ნაცნობი სურათია: რამდენიმე ქუჩის ძაღლი ერთად შეკრებილი ხან ერთმანეთს ეთამაშება, ხანაც იქვე სათამაშოდ ჩამოსული პატრონის სახლეულს ტრიალებენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა გარეუბნებში, როგორიც ვარკეთილისა და გლდანის ზოგიერთი კორპუსის მცხოვრებლების მითხრის, დაბინდების შემდეგ ერიდებიან გარეთ გამოსვლას, რადგან ამ დროს იწყება ძაღლების თარეში... აზრთა სხვადასხვაობას კი ბოლო არ უჩანს. ერთნი ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან ძაღლმჭერთა ბრიგადების მიერ უპატრონო „ოთხფეხა მეგობრების“ იზოლირებას, მეორენი სვამენ კითხვას: არ ჯობია უპატრონო ძაღლები დაიჭირონ, ვიდრე ცოფით დაავადდეს ვინმე?

ამასობაში დედაქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულში ძალზე მომრავლდნენ უპატრონო ძაღლები. სად არ შეგეფეთებიან ისინი, პარკებში, სკოლის ეზოებშიც კი. ამ მხრივ კატები და ვირთხებიც დიდ საშიშროებას წარმოადგენენ.

რამდენიმე დღის წინ თბილისის ანტირაბიულ ცენტრში გლდანის მასივიდან 23 დაკბენილი ბავშვი მიიყვანეს, რომლებიც ერთმა ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა. წარმოიდგინეთ, როგორი სანახავია 23 დაკბენილი ადამიანი! რა თქმა უნდა, მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ, რაკი დროულად ჩაუტარდათ აცრები; მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ეს ფაქტი საერთოდ არ მომხდარიყო, რომ არა ანტისანიტარია ქალაქის ქუჩებში, უყურადღებოდ მიშვებული უპატრონო ძაღლები და კატები, ნაგავსაყრელებზე გაჩენილი ვირთხები.

თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის ძაღლმჭერების ბრიგადამ 1996-1999 წლებში 39000 ძაღლი წაიყვანა... თუმცა 2000 წლისათვის 10-12.000 უპატრონო ძაღლი კიდევ არსებობდა თბილისში. შარშან ცოფით 10 ადამიანი გარდაიცვალა, შარშანწინაც — 10, წელს კი, უკვე ცოფით გარდაცვლილი 9 ადამიანია რეგისტრირებული. თავადაც მიხვდებით, რომ ეს ძალზე მძიმე შედეგია.

ანტირაბიული დახმარების ცენტრის ხელმძღვანელმა **თეიმურაზ გოგიძემ** გვითხრა:

— ძაღლებთან ბრძოლა არაფრის მომცემი არ არის. პრაღაში ძაღლები გაწყვიტეს და ქალაქს ვირთხები შეესია. იძულებული გახდნენ, ისევ გაემრავლებინათ ქუჩის ძაღლები, ისინი თავს ესხმიან და გუდავენ ვირთხებს...

**— თუმცა ჩვენს ქალაქში ვირთხებიც ესხმიან თავს ადამიანებს და ძაღლებიც.**

— კი ბატონო, გვყავს დაზარალებული, რომელსაც მე-14 სართულზე დაესხა თავს ვირთხა და დაკბინა თავზე... ის კი არა, ღამის 3 საათზე ახალშობილი ბავშვიც დაკბინა სახის არეში.

**— ამას წინათ ბევრი პაციენტი მოვიდა გლდანის მასივიდან.**

— დროდადრო ხდება ასე... თავიდან ორი დაზარალებული რომ მოვა, მერე საჭირო ხდება 16-18, ზოგჯერ 28 დაზარალებულის ჩართვა აცრებში.

**— რას გვთავაზობთ, ძაღლები უნდა აიცრას?**

— საჭიროა უპატრონო ძაღლების რეგისტრაცია. უცხოეთში ორი საკიდი აქვთ ასეთ ძაღლებს. ერთი — ცოფზე აცრის მიმანიშნებელი, მეორე — რეგისტრაციისა.

**— ასეთი ქუჩის ძაღლი გინახავთ სადმე საქართველოში?**

— არა. ხშირად პატრონიან ძაღლებსაც არ ცრიან. ასეთი გულარხეინობა კი საქმეს ვნებს.

P.S. უბედურებაც ის არის, რომ საქართველოში მუდმივი ეკონომიკური პრობლემების ფონზე, ხშირად ველარ ვახერხებთ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების მოგვარებას. არადა ცოფი უდიდესი საფრთხეა. ცოფი დაავადება კი არა, განაჩენია, — სასიკვდილო განაჩენი! ვიდრე შესაბამისი სამსახური შეძლებს უპატრონო ძაღლების რეგისტრაციასა და პატრონობას, ალბათ ისევ კეთილმოწყობის სამსახურმა უნდა იზრუნოს, რომ სკოლის ეზოები, პარკები და ქუჩები გაიწმინდოს უპატრონო ცხოველებისგან...

***ხათუნა ბარნაბიშვილი***

# როდემდე ვიქნებით წყვდიადში?



დანგრეული და ჯართად დაჭრილი პირველი და მეორე ენერგობლოკები მესამე ენერგობლოკის ფონზე, რომელსაც ასევე ჯართად გაყიდვა ემუქრება

## „თქვენ პირველი იქნებით, ვინც ამ ენერგომაქინაციას გაამხელს...“

აგვისტოს ბოლოს გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-9 და მე-10 ენერგობლოკების ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად „ეი-ი-ეს თელასს“ ეკუთვნის, საგანგებო შემთხვევა მოხდა. უცნობმა პირებმა მაზუთის მიმწოდებელი მილები გადაჭრეს, რის გამოც ენერგობლოკზე საწვავის შეტანა შეუძლებელი გახდა. ამ შემთხვევას „ეი-ი-ეს თელასის“ ხელმძღვანელობა საბოტაჟს უწოდებს და აცხადებს — ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე მომხდარი ავარიების შედეგად, რომელსაც მე-9 ენერგობლოკზე მომხდარი საგანგებო შემთხვევაც დაემატა, თბილისში შემოღებულ იქნა ელექტროენერგიის მიწოდებაზე შეზღუდვებიო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „იმერეთის“ 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი ავარიულ მდგომარეობაში მუშაობს (ვიღაცას ანძის იზოლატორები ცეცხლსასროლი იარაღით დაუზიანებია), მაშინ ყველასთვის გასაგები გახდება, თუ რატომ არის ქვეყანაში ენერგოკრიზისი. ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვაზე, — რატომ არის საქართველოში წლების განმავლობაში ენერგოდეფიციტი, ვინ უშლის ხელს ამ პრობლემის მოგვარებას და სად მიდის მოსახლეობიდან ამოღებული მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური?

ქართველმა საზოგადოებამ იცის, რომ ამერიკული კომპანია „ეი-ი-ეს თელასი“ საქართველოდან მიდის — მან თავისი აქტივები რუსულ კომპანიას მიჰყიდა. ამის შესახებ ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა. ამიტომ თქვენს ყურადღებას ამჯერად ამ საკითხზე აღარ შევაჩერებთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ „ეი-ი-ეს თელასმა“ საქართველო საზამთროდ მოუმზადებელი დატოვა და მდგომარეობის გამოსწორება რუსულ კომპანიას მიანდო.

ვესაუბრებით საქართველოს ენერგეტიკოსთა დამოუკიდებელი გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარეს, **არნოლდ ჩოხელსა** და ვეტერან ენერგეტიკოსთა კავშირის თავმჯდომარეს, **ლეო მშვიდობაძეს**. მათი განცხადებით: „ფაქტობრივად, უკვე აღარ არსებობს მე-10 ენერგობლოკი. იგი შარშან აფეთქდა და მერე ჯართად გაიყიდა. მის ადგილზე ახლა მოშიშვლებული ტერიტორიაღაა. ვითომ მწყობრში მდგომი „ლეგენდარული“ მე-9 ბლოკი კი „ეი-ი-ეს თელასმა“ არ გაარემონტა, რადგან საქართველოდნ წასვლას აპირებდა და ხარჯებს მოერიდა. საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ყველაფერი ქურდებს გადააბრალეს, — მაზუთის მისაწოდებელი მილები გადაჭრეს და ჯართად ჩააბარესო. როგორ შეიძლებოდა, ენერგობლოკების ტერიტორიაზე ვინმე შეპარულიყო? 24 საათის განმავლობაში მას დაცვის პოლიცია აკონტროლებს. ქურდები ენერგობლოკების ტერიტორიაზე უზარმაზარი სატვირთო მანქანით და ამწეთი შესულან. თანამშრომლებმა იციან, ვინც იყვნენ ისინი და მანქანის ნომრებიც ახსოვთ. გამოძიებასაც აცნობეს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, დამნაშავე არ დაისჯება. როგორ შეიძლებოდა მე-9 და მე-10 ბლოკების „ეი-ი-ეს თელასისთვის“ გადაცემა. დღეს მხოლოდ ერთი საბაზისო თბოელექტროსადგური გვაქვს, რომელიც ისევ და ისევ „თელასის“ გამო არ მუშაობს. მის მაგივრობას კი ვერც ერთი ჰიდროელექტროსადგური ვერ გასწევს. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ქვეყანაში მუდმივი ენერგოკრიზისი იქნება“.

გარდაბნის თბოელექტროსადგურის ყოფილმა ენერგოინჟინერმა (რომელიც **თამაზ ბერძენიშვილად** გაგვეცნო) განაცხადა:

— სრულიად დასაშვებია, ქურდები „ეი-ი-ეს“-თან შეთანხმებულად მოქმედებდნენ. მე-9 და მე-10 ბლოკები რაღა სალაპარაკოა, როცა გარდაბნის თბოელექტროსადგურის რვა ენერგობლოკიდან მხოლოდ ექვსია დარჩენილი.

— **იმ ორს რა უქნეს?**

— რა უნდა ექნათ. პირველი და მეორე ენერგობლოკი ჯართად გაყიდეს, სულ ცოტა, ათი ათასი ტონა მაინც გამოვიდოდა. რეალურად კი მხოლოდ ხუთი ათასია დაფიქსირებული. იგივე ბედი ელის კიდევ სამ ენერგობლოკსაც. არადა, არც ერთ ბლოკს ჩამოსაწერი არაფერი ჰქონდა და აქვს, კიდევ რამდენიმე წელს იმუშავებდნენ. თითო ბლოკის სიმძლავრე 150 მეგავატია, თუნდაც ორმა ბლოკმა რომ იმუშაოს, საქართველოში ენერგოკრიზისი აღარ იქნება. „ეი-ი-ეს თელასის“ შვილობილმა კომპანიამ, „ეი-ი-ეს მტკვარმა“, რომელსაც გარდაბნის თბოელექტროსადგურიდან ორი ბლოკი (მე-9 და მე-10) გადაეცა, ბლოკები სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა...

ჩვენ გარდაბნის თბოელექტროსადგურის აღმასრულებელ დირექტორს, **თამაზ გზირიშვილსა** და ტექნიკურ დირექტორს, **ვაჟა ხანთიძეს** შევხვდით და კითხვაზე, რატომ არ მუშაობს თბოელექტროსადგური, ასეთი პასუხი მივიღეთ:

— სადგურის ბლოკები იმიტომ არ მუშაობს, რომ საწვავი არ გვაქვს. რომ გვქონდეს, მესამე, მეოთხე და მერვე ბლოკს ავამუშავებდით.

— **პირველ და მეორე ენერგობლოკებს რა მოუვიდა?**

— ისინი ამორტიზებული იყვნენ და ტენდერზე ჯართად გაიყიდა. ორივე ბლოკიდან 4 ათასი ტონა ჯართი გამოვა. ტენდერში გამარჯვებული ფირმა შპს „თეგო“ ვალდებულია 485 ათასი ლარი გადაგვიხადოს (ისეთი ხარისხის ლითონის, როგორითაც ენერგობლოკია დამზადებული, ერთი ტონა ჯართი 200 ლარამდე ღირს. — ზ. ჩ.)...

ჩვენ ასევე შევხვდით „ეი-ი-ეს მტკვრის“ საამქროს უფროსს, **ზაზა სულმანიძეს**: „მე-9 ენერგობლოკს წელს რემონტი არ ჩატარებია, ამიტომ გასაშვებად მზად არ არის. იმედია, რუსები გაარემონტებენ და ჩართავენ. მიკვირს, ენერგობლოკების ტერიტორიაზე მომხდარმა ქურდობის ფაქტმა ასეთი აურზაური რომ გამოიწვია. ის მილები, რომლებიც მოიპარეს, ბლოკს მაზუთს აწვდიდა, მაგრამ კარგა ხანია, საწვავად მაზუთს აღარ ვხმარობთ. მხოლოდ ბუნებრივ აირს ვიყენებთ...“

> ჩვენ ახლო ურთიერთობა გვაქვს საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობასთან და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავებულ ელექტროენერგიას ჩვენ ვიწერთ, თითქოს იგი „ჩითახევჰესმა“ აწარმოა. ამ ფინანსური მაქინაციის საიდუმლო კი ის გახლავთ, რომ ენგურის ჰიდროელექტროსადგური სახელმწიფო საწარმოა. მას ძალზე მცირე ტარიფი აქვს დაწესებული გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე. ჩვენი ტარიფი კი ორჯერ მეტია. ტარიფებს შორის სხვაობას ჩვენ და საბითუმო ბაზარი ძმურად ვიყოფთ.



ბლოკებზე მაზუთის მისაწოდებელი გადაჭრილი მილები

ერთი სიტყვით, პირველი მიზეზი, თუ რატომ არის საქართველოში დღეს ენერგოკრიზისი, გავარკვიეთ. ახლა მეორეს მივხედოთ.

ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა რამდენიმე დოკუმენტი. კერძოდ, სააქციო საზოგადოება „ჩითახევი-ბორჯომის“ ჰიდროელექტროსადგურის აქციათა 70%-ის მფლობელის, „ჯორჯიან პაუერ კომპანის“ წარმომადგენლის, რობერტ ტომსონის წერილი. ადრესატი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის იურიდიული ფირმის ადვოკატი, ქალბატონი ნანა წულაძე გახლავთ. მასში ვკითხულობთ (სტილი დაცულია, გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით): „ჩვენმა კომპანიამ საქართველოში საქმიანობა დაიწყო 1997 წელს და დაინტერესებული იყო ჰიდროელექტროსადგურების შეძენითა და ქართულ ენერგეტიკაში სოლიდური ინვესტიციების ჩადებით... დავიწყეთ ინტენსიური მზადება საინვესტიციო ტენდერებში მონაწილეობისათვის. საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს ხელმძღვანელთა რეკომენდაციით, ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება მოქალაქე თამაზ გელაშვილსა (ამჟამად პარლამენტის წევრი. — ზ. .ჩ.) და ოთარ კერვალიშვილთან (სოციალისტური პარტიის ლიდერის, პარლამენტარ ვახტანგ რჩეულიშვილის სიმამრი. — ზ. ჩ.). მათ არაერთი ჰიდროელექტროსადგური ჰქონდათ შესყიდული სიმბოლურ ფასებში. ასე, მაგალითად, „ჩითახევიჰესი“ — სიმძლავრე 21 მეგავატი — იყიდეს 110 მილიონ კუპონად (1 აშშ დოლარი — 1,4 მილიონ კუპონი); „საცხენჰესი“ — სიმძლავრე 14 მეგავატი — იყიდეს 82 ათას დოლარად; „თეთრიხევჰესი“ — სიმძლავრე 10 მეგავატი — იყიდეს 500 დოლარად(?!). არადა, მსოფლიო ფასებით საშუალოდ ერთი მეგავატი სიმძლავრის ჰესის ღირებულება მინიმუმ 500 ათასი დოლარია. აქედან გამომდინარე, ზემოთ ნახსენებ პიროვნებებს სულ ნაყიდი აქვთ მსგავს სიმბოლურ ფასად შვიდი ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 60 მეგავატია და გადახდილი აქვთ საერთო ჯამით 227 ათასი დოლარი. როცა ამ ჰესების მინიმალური ღირებულება 30 მილიონი აშშ დოლარია... გელაშვილმა და კერვალიშვილმა ყველა სადგური იყიდეს ქართველ ჩინოვნიკთა ხელშეწყობით. საქართველოს ცალკეული ჩინოვნიკების უვიცობის თუ დანაშაულებრივი გულგრილობის ან კორუმპირებულობის აშკარა ნიმუშია ის, რომ 500 დოლარად შეძენილი „თეთრიხევჰესი“ ერთ კვირაში 600 ათას აშშ დოლარად მიჰყიდეს თბილისის მერიას... „ჩითახევი-ბორჯომის“ შემთხვევაში, ჩვენ ქონების მართვის სამინისტროს რეკომენდაციით, მათთან შევთანხმდით აქციის საკონტროლო პაკეტის 70%-ის გაფორმებაზე. აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა ყველა წესის დაცვით და ნოტარიულად დამოწმდა, ხოლო დარჩენილი აქციები გელაშვილ-კერვალიშვილის კომპანიას დარჩა. გადახდილ იქნა შესაბამისი ბაჟი და საზოგადოების დირექტორად დაინიშნა ავსტრალიის მოქალაქე ენდრიუ უატსონი... უატსონი შეეცადა გარკვეულიყო იმ დროისათვის ჰიდროელექტროსადგურის საბუღალტრო ქაოსში. მოიწვია აუდიტი. ორთვიანმა მუშაობამ შემაშფოთებელი შედეგები გამოავლინა. კერძოდ, ტექნიკური დოკუმენტაციით ირკვეოდა, რომ ტურბინები თითქოს წლის განმავლობაში რამდენჯერმე რემონტდებოდა, რაც აბსურდია იმის გათვალისწინებით, რომ თითო ტურბინის რემონტს და მხოლოდ დაშლა-აწყობას რამდენიმე თვე სჭირდება. გაუგებარია, როდის ხდებოდა ელექტროენერგიის გამომუშავება? როცა ფაქტების გახმაურება დავაპირეთ, ჰიდროელექტროსადგურის ქართველმა ხელმძღვანელმა გელაშვილმა შეურაცხყოფაც კი მიაყენა ს/ს „ჩითახევი-ბორჯომის“ დირექტორს, ენდრიუ უატსონს. საშობაო შვებულების დამთავრების შემდეგ უატსონს თავისი კაბინეტი დალუქული დახვდა და არც სადგურის ტერიტორიაზე არ შეუშვეს. 2000 წლის დამდეგს, „ჩითახევი-ბორჯომის“ აქციათა 70%-ის მფლობელებისათვის შემთხვევით გახდა ცნობილი, რომ გელაშვილმა და კერვალიშვილმა ყალბი საბუთების გამოყენებით მოახერხეს სააქციო საზოგადოების მთელი ქონების დაგირავება ისე, რომ არ ჰქონდათ ჩვენი თანხმობა. მათი მიზანი ნათელი იყო — სესხის არდაბრუნება ბანკისთვის და შემდგომ ჰიდროელექტროსადგურის ქონების აუქციონზე ფასდაკლებით გაყიდვა. ამით ჩვენი წილი 70% მთლიანად გაუფასურდებოდა. ასეც მოხდა... ჩვენი ინფორმაციით, ეს თანხა თამაზ გელაშვილის გაპარლამენტარებასა და მის კერძო სამშენებლო კომპანიის ფუნქციონირებას მოხმარდა. ამ საქმესთან დაკავშირებით ჩვენ, „ჩითახევი-ბორჯომის“ უცხოელ აუქციონერებს, სარჩელი შეტანილი გვაქვს თბილისის საოლქო სასამართლოში. პროკურატურა ჩვენი წერილობითი თხოვნის საფუძველზე უკვე აწარმოებს გამოძიებას კერვალიშვილის, გელაშვილისა და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ პირთა ჩადენილ დანაშაულებებზე...“.

> პირველი და მეორე ენერგობლოკი ჯართად გაყიდეს, სულ ცოტა, ათი ათასი ტონა მაინც გამოვიდოდა. რეალურად კი მხოლოდ ხუთი ათასია დაფიქსირებული. იგივე ბედი ელის კიდევ სამ ენერგობლოკსაც. არადა, არც ერთ ბლოკს ჩამოსაწერი არაფერი ჰქონდა და აქვს, კიდევ რამდენიმე წელს იმუშავებდნენ. თითო ბლოკის სიმძლავრე 150 მეგავატია, თუნდაც ორმა ბლოკმა რომ იმუშაოს, საქართველოში ენერგოკრიზისი აღარ იქნება.

ჩვენ შევხვდით „ჯორჯიან პაუერ კომპანის“ ქართველ მენეჯერს, **გია ბალოზლიშვილს**: „როდესაც „ჩითახევჰესის“ საბუღალტრო საბუთებს გავეცანით, აღმოჩნდა, რომ მას თვეში 150-200 მილიონი კილოვატ/საათი ჰქონდა გამომუშავებული და მიწოდებული საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისათვის. ასეთი რაოდენობის ელექტროენერგიის გამომუშავებას გაურემონტებელი ჰესი ვერ შეძლებდა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ წყლის დონე ყოველთვის ერთნაირი არ არის და სადგური სრული დატვირთვით ვერ იმუშავებდა მთელი წლის განმავლობაში. საფინანსო დოკუმენტები კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. მოგვიანებით აგვიხსნეს კერვალიშვილმა და გელაშვილმა — ამდენი ელექტროენერგია მართლა ჩვენს ჰესს კი არ გამოუმუშავებია. ჩვენ ახლო ურთიერთობა გვაქვს საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობასთან და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავებულ ელექტროენერგიას ჩვენ ვიწერთ, თითქოს იგი „ჩითახევჰესმა“ აწარმოა. ამ ფინანსური მაქინაციის საიდუმლო კი ის გახლავთ, რომ ენგურის ჰიდროელექტროსადგური სახელმწიფო საწარმოა. მას ძალზე მცირე ტარიფი აქვს დაწესებული გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე. ჩვენი ტარიფი კი ორჯერ მეტია. ტარიფებს შორის სხვაობას ჩვენ და საბითუმო ბაზარი ძმურად ვიყოფთ. თუ საბითუმო ბაზარი ენგურის ჰიდროელექტროსადგურს საერთო გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ 10%-ს უბრუნებს, ჩვენ ჩვენზე დაწერილი ელექტროენერგიის მთელ საფასურს გვიხდის. წელიწადში ამ მაქინაციით ორ მილიონ ლარს მაინც „ვხსნით“, თქვენ პირველი იქნებით, ვინც ამ ენერგომაქინაციას გაამხელს“...

დაგვეთანხმებით, ინფორმაცია მეტად საინტერესო იყო და აუცილებლად საჭიროებდა გადამოწმებას. ამიტომ რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის წარმომადგენლებს შევხვდით. პირველად „შაორჰესის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, **ბუხუტი ორჯონიკიძეს** გავესაუბრეთ. მისი განცხადებით:

— ამ მაქინაციის შესახებ მეც ბევრი მსმენია. როგორც ჩვენი „შაორჰესი“, ისე იმერეთში არსებული ყველა ჰიდროელექტროსადგური, სახელმწიფოს კუთვნილებაა და სხვის ელექტროენერგიას ჩვენ ვინ მოგვცემს. ნეტავ საბითუმო ბაზარმა თუნდაც იმის ნახევარი მაინც აუნაზღაუროს იმერეთის სახელმწიფო ჰიდროელექტროსადგურებს, რასაც ისინი გამოიმუშავებენ. „შაორჰესისა“ და იმერეთის ყველა ჰესისათვის შეუძლებელია ენერგოსისტემაში დამკვიდრებული, ე. წ. „ეშმაკის რკალის“ დაძლევა-გადალახვა, ანუ კორუფციის დამარცხება. ენერგეტიკაში კარგად მოფიქრებული და მრავალგზის აპრობირებული ჰესების ხელოვნური გაკოტრების სისტემაა დამკვიდრებული.

— **როგორ ხდება ჰიდროელექტროსადგურების ხელოვნურად გაკოტრება?**

— მრავალი მეთოდი და ხერხი არსებობს. მაგალითად, შარშან „შაორჰესმა“ საქართველოს ენერგოსისტემას მიაწოდა თითქმის 1,5 მილიარდი კვტ/სთ. საბითუმო ბაზარს ჩვენთვის 2,2 მილიონი ლარი უნდა გადაეხადა, რეალურად კი მოგვცა მხოლოდ 630 ათასი ლარი. აქედან 10% საბითუმო ბაზარმა დაიტოვა როგორც საწევრო. საბითუმო ბაზრის დებულების მე-4 მუხლის პირველი ნაწილით ყველა საწარმოსთვის, რომელიც ფლობს ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიას, სავალდებულოა საბითუმო ბაზრის წევრობა. აქედან გამომდინარე, ჰესებმა რომც მოინდომონ, საბითუმო ბაზრის შემადგენლობიდან ვერ გამოვლენ, მაშინვე გაუუქმდებათ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია და ელექტროენერგიას ვერ გაყიდიან...

— **იქნებ საბითუმო ბაზარი ვერ ახერხებს თანხების სრულად ამოღებას და თქვენც სრულად იმიტომაც ვერ იღებთ?**

— ჰიდროელექტროსადგურებზე ამოღებული თანხები თანაბრად უნდა განაწილდეს იმის გათვალისწინებით, თუ რომელმა ჰესმა რამდენი კილოვატ/საათი ელექტროენერგია გამოიმუშავა ან იმპორტიორმა ენერგოკომპანიამ შემოიტანა. საბითუმო ბაზარს თავისი ფავორიტები ჰყავს, რომელსაც 100%-ით უხდის მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულებას, ჩვენ კი, იმერლებს, გვჩაგრავს...

***(გაგრძელება იხ. გვ. 11)***

# იტალიაში მაფიას იმიტომ სძლიეს, რომ პრეზიდენტი არ შეეკრა მას...

## ზვიადის მესაიდუმლეობას დღეს ისეთი ხალხი იბრალებს, საერთოდ რომ არ დალაპარაკებიან



**მაფია — მექრთამე, კორუმპირებული მთავრობისა და დამნაშავეთა სამყაროს კავშირს ნიშნავს და ამის იმედით მოდის ის ხალხი ხელისუფლებაში. მაფიოზებისგან თავდაცვის ერთადერთი საშუალება დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნაა, მაგრამ ამას არავინ აკეთებს. ხელისუფლება ფიქრობს, თუ გამიჭირდა, ხან რუსის ჯარს და ტანკს მოვიშველიებ, ხანაც ამ დამნაშავე ელემენტებსო.**

*ტრადიციონალისტთა ლიდერი აქამდე გვარწმუნებდა, რომ პარლამენტში ყოფნა მისი და მისი პარტიის მთავარი მიზანი არ იყო, მაგრამ ეტყობა, დღევანდელი პოლიტიკა ასეთ იდეალისტურ მიდგომებს აღარ ცნობს. კოლეგების დაძაბულობამ და ფაციფუცმა მშვიდ* ***აკაკი ასათიანზეც*** *იმოქმედა და აზრი შეაცვლევინა. ისე, პოლიტიკოსებს ნერვიულობისა და შიშის საფუძველი ნამდვილად აქვთ. ახლა რომ თამაშგარე დარჩნენ, აღარავინ იცის, რა მოხდება შევარდნაძის წასვლის შემდეგ და შესაძლოა, ახლა განზე დარჩენილს აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება კი არა, იქ დასაბრუნებელი გზის დანახვაც გაუჭირდეს. ალბათ ამიტომაცაა, რომ ტრადიციონალისტები ბევრს თათბირობენ, შესაბამისად, ბევრსაც ფიქრობენ და რაკი ნათქვამია, — ბევრი ფიქრი გადაწყვეტილების მიღებას აძნელებსო, ფაქტიც სახეზე გვაქვს, — ტრადიციონალისტებმა აქამდე ვერავისთან შეკრეს კავშირი... ამასობაში, მათი ერთ-ერთი აქტიური წევრი მაია ნადირაძე „ნაციონალების“ ბანაკში აღმოჩნდა. კულუარებში ამბობენ, მალე სხვებიც დატოვებენ ტრადიციების დამცველ პარტიას, მათ დესანტს არაერთ პოლიტიკურ ძალაში ვიხილავთო. მეფე ლირივით მარტო დარჩენის პერსპექტივა კი აკაკი ასათიანს ნამდვილად არ მოხიბლავს. თუ რას აპირებს მთავარი ტრადიციონალისტი, ინტერვიუდან შეიტყობთ:*

**— ბატონო აკაკი, არჩევნებზე მარტო გასვლას რეიტინგული პარტიებიც უფრთხიან. თქვენ რას აპირებთ? რამდენადაც ვიცი, თქვენი პოზიცია — დიდი ტრაგედია არ იქნება, თუ პარლამენტს გარეთ დავრჩებითო, — თქვენმა თანაგუნდელებმა არ გაიზიარეს.**

— ფული რომ გვქონოდა, 7%-იანი ბარიერის გადალახვა პრობლემა არ იქნებოდა. გაძვირდა პოლიტიკა — ძნელია კაცმა თავი მოუყარო იმხელა თანხას, რომელიც არჩევნების მოგებას სჭირდება... რამდენიმე მილიონი უნდა ჰქონდეს პარტიას, რათა პარლამენტში მოხვდეს (ბარიერი გადალახოს), ჩვენ ნახევარი მილიონიც გვეყოფოდა, მაგრამ ძნელი მოსაგროვებელია ამდენი ფული. სხვა ეტაპი რომ იყოს, დავრჩებოდი იმ აზრზე, — არა უშავს, გამოვტოვებთ ამ მოწვევის პარლამენტს-მეთქი, მაგრამ ძალზე გამწვავდა ვითარება, უფრო გამწვავდება მომავალში (საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის) და ასეთ რთულ დროს ნებისმიერ ოპოზიციურ გაერთიანებაში ყოფნა ყველაზე უპრიანი იქნებოდა ჩვენთვის...

**— ითქვა, რომ თქვენ და „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ ინტენსიური მოლაპარაკებები გაქვთ.**

— ქალბატონმა ნინომ და ბატონმა ზურაბმა შემოგვთავაზეს — გავერთიანდეთო. თუ ისინი ჩვენს პრინციპებს გაიზიარებენ (პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება, ქვეყნის რეგიონალური მოწყობა და დასავლური კურსი, რეფორმების აუცილებლობა), კვოტებზე აღარ შევქმნით პრობლემას. აღარ ვილაპარაკებთ იმაზე — სიაში პირველი ვინ იქნება ან ჩვენ რამდენი კაცი გვეყოლება გამსვლელ ადგილზე. მაგრამ ოპოზიციური პარტია, რომელთანაც გავერთიანდებით, თუ ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპებს არ გაიზიარებს, მაშინ კვოტების საკითხს წამოვჭრით, რათა მეტი წარმომადგენელი გვყავდეს პარლამენტში და ჩვენი იდეების ხორცშესხმისათვის შევძლოთ ბრძოლა. ხელისუფლებასთან გაერთიანება იმიტომ გამოირიცხა, რომ თუ ადრე ვამბობდით, — შევარდნაძის საგარეო პოლიტიკა კარგია-თქო — დღეს აღარც საგარეო პოლიტიკა ვარგა და აღარც საშინაო.

„ნაციონალებსა“ და ჩვენ განსხვავებული შეხედულებები გვაქვს. ბატონი მიხეილი საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელს ანიჭებს უპირატესობას, ამიტომ გაძნელდა მათთან კვოტებზე შეთანხმება. რაკი განსხვავებული შეხედულება გვქონდა ამ საკითხზე, მეტი კვოტა მოვითხოვეთ და ეს არ მოეწონათ.

**— ანუ „ნაციონალებისა“ და თქვენი გაერთიანება ჩაიშალა?**

— დღეს საქართველოში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. არავინ იცის, რა იქნება ხვალ... მე და ჩემი პარტია კი ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ოპოზიციური პარტია გაერთიანდეს. მიუხედავად იმისა, გაერთიანდებით თუ არა „ბურჯანაძე-დემოკრატებთან“, ქუთაისში მაინც დავუჭერთ მხარს ნინო ბურჯანაძეს. რომ ვთქვა, — რაკი ვერ გავერთიანდით, ამიტომ აღარ ვემხრობი-მეთქი, ხომ იფიქრებთ, რაღაც სხვა მიზნები ამოძრავებსო. საბურთალოზე კი აუცილებლად დავუჭერ მხარს ზურაბ ჟვანიას — მიუხედავად იმისა, რომ სიმპათია მაქვს გივი თარგამაძისადმი, ბატონი ზურაბი გაცილებით გამოცდილ და ძლიერ პოლიტიკოსად მიმაჩნია.

**— როგორც ბრძანეთ, „ბურჯანაძე-დემოკრატებთან“ ჯერ მხოლოდ კონსულტაციები გქონიათ, მაგრამ რაკი თქვენი თანაპარტიელები ქუთაისშიც ახლდნენ ბურჯანაძეს, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჟვანია-ბურჯანაძის ბლოკთან მოლაპარაკება, ფაქტობრივად, წარმატებით დასრულდა?**

— რა არის აქ დასამალი — ეს ჩვენი პარტნიორობის გაცხადება იყო. ბუნებრივია, გუბაზ სანიკიძე ჩემთან შეუთანხმებლად არ გაჰყვებოდა ნინო ბურჯანაძეს.

**— კულუარებში ამბობენ, — „ნაციონალები“, „დემოკრატები“ და „ტრადიციონალისტები“ ბოლოს მაინც გაერთიანდებიან და ამიტომ გადავიდა მაია ნადირაძე სააკაშვილის ბანაკშიო.**

— არ დაგიმალავთ, ეს არ ყოფილა ჩვენი გეგმა, მაგრამ ოღონდ დაიძრას ეს საქმე და სიაში მესამოცედ ჩავეწერები. 90-100 ხმას მოვიპოვებთ და ამ ხელისუფლებას შევცვლით, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი გაერთიანების შექმნის შანსი ნაკლებად ჩანს...

**— არჩევნებამდე ორი თვეა და უკვე პარტიები პოლიტიკური ილეთებით, ხრიკებით და ზოგჯერ ძალის გამოყენებითაც ცდილობენ ერთმანეთის „გაუვნებლებას“. უარესი წინ ხომ არ გვიძევს?**

— საქართველოში ჯერაც ვერ ჩამოყალიბდა პოლიტიკური ელიტა. ელიტა, საზოგადოების რჩეული ნაწილი, ერს ყოველთვის წინ უნდა უძღოდეს, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკური ელიტა საზოგადოების საშუალო დონესაც ვერ აკმაყოფილებს (ცალკეულ პოლიტიკოსებს არ ვგულისხმობ). ბევრია დემაგოგი... ამიტომ არა მგონია, ამ არჩევნებმა სანიმუშო კულტურითა და უხმაუროდ ჩაიაროს. პოლიტიკაშიც მანკიერი წრე შეიკრა — პოლიტიკური კასტა ჩამოყალიბდა. ახლა არ მოესწრება, მაგრამ მომავალი არჩევნებისთვის პირადად მე ვეცდები ბევრი ახალგაზრდა ქალი მოვიდეს პოლიტიკაში — ისინი პროგრესის მატარებლები არიან. არ არის საიდუმლო, რომ ზვიად გამსახურდიას გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქალბატონებს (ამას ზოგიერთი ოპონენტი ნაკლადაც უთვლიდა მას).

**— ალბათ ზოგიერთი პოლიტიკოსი ბოლო დროს ამიტომაც ცდილობს ქალების მხარდაჭერის მოპოვებას.**

— ზვიადი უნიკალური მოვლენა იყო... ამიტომ მისი მიმბაძველები კარიკატურას ემსგავსებიან. ზვიად გამსახურდიას მამამისი საქართველოს განმათავისუფლებლად ზრდიდა. ამ მიზნის მისაღწევ ბრძოლაში რამდენჯერმე ციხეშიც იჯდა. შესანიშნავი გარეგნობა ჰქონდა, განათლებული, ქარიზმატული კაცი იყო. ზვიად გამსახურდია თავისი თვისებებით ქართველი კაცის ოცნებას შეესაბამებოდა... გავლით ვიყავით ერთხელ ქუთაისში. თეატრის წინ, მოედანზე, სიგარეტის მოსაწევად გადავედი მანქანიდან. ზვიადს ექიმები არ აწევინებდნენ და ჩუმ-ჩუმად ეწეოდა ხოლმე: რომ დაინახეს, 5 წუთში 5 ათასი კაცი შეგროვდა, 10 წუთში ტრიბუნა აღმართეს. თანდათან გაივსო მოედანი — 30 ათასამდე კაცი მოგროვდა მის გამოჩენაზე. ვერ დამისახელებთ დღეს ისეთ პოლიტიკოსს, რომლის დანახვაზე, შეუკვეთავად და მოუმზადებლად, 100 კაცი მაინც შეგროვდება.

საარჩევნო კამპანიის დროს სამეგრელოში ვიყავით. ერთი შავოსანი, ხნიერი, სანდომიანი კაცი მოვიდა ვაჟთან ერთად, წლინახევრის წინ შვილი მომიკვდა და ჩემი ცოლი მას შემდეგ სასაფლაოზეა, იქ სძინავს, შინ აღარ მოდისო. შეწუხდა ზვიადი, სასაფლაოზე აჰყვა მოხუცს. შვილმკვდარმა დედამ რომ დაინახა, გაიხარა, „ჩქიმი ზვიადიო“ და გულში ჩაიკრა. 5 წუთი ელაპარაკა, არაქრისტიანულია ასეთი გლოვა, ქმარს და შვილებს უნდა მიხედოო. დაუჯერა ქალმა და წამოჰყვა ზვიადს... ამის შემდეგ სოხუმში წავედით. კოკისპირული წვიმა იყო და 4 საათი სტადიონზე გვიცდიდა 20 ათასი კაცი. ზვიადის დანახვაზე ისეთი ამბავი შექნეს, მსგავსი კინოშიაც არ მინახავს... ასეთი რამ აღარ განმეორდება და ნურც დაიჩემებს ვინმე. არასოდეს მითქვამს, ზვიადის გვერდით ვიდექი-მეთქი. ცოტა არ იყოს, მაღიზიანებს, მის მეგობრობასა და ლამის მესაიდუმლეობას ისეთი ხალხი რომ იჩემებს, ზვიადს რომ არც დალაპარაკებიან.

**— მომავალ პარლამენტზე საგანგაშო პროგნოზი კეთდება. იქ ისეთი ხალხი მოდის, მათგან ნახევარი პირდაპირ ციხეშია წასაყვანიო. რისი იმედით ფიქრობს ეს ხალხი ხელისუფლებაში მოსვლას?**

— მაფია — მექრთამე, კორუმპირებული მთავრობისა და დამნაშავეთა სამყაროს კავშირს ნიშნავს და ამის იმედით მოდის ის ხალხი ხელისუფლებაში. მაფიოზებისგან თავდაცვის ერთადერთი საშუალება დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნაა, მაგრამ ამას არავინ აკეთებს. ხელისუფლება ფიქრობს, თუ გამიჭირდა, ხან რუსის ჯარს და ტანკს მოვიშველიებ, ხანაც ამ დამნაშავე ელემენტებსო. ჩვენ ნელნელა მაფიოზურ სახელმწიფოდ ვყალიბდებით. მაფია იტალიის მცირე ნაწილში იყო. სიცოცხლის ფასად დაუჯდათ მისი დამარცხება იქაურ მოსამართლეებსა და პროკურორებს. მის წინააღმდეგ ხალხიც დაირაზმა. იტალიაში იმიტომ სძლიეს მაფიას, რომ პრეზიდენტიც არ შეეკრა მას. აქ კი მთელი ქვეყანა ჩაძირულია მაფიაში... ეს უკვე მიჯნაა, უკიდურესი ზღვარია, უნდა ავირჩიოთ — ან ასეთ ჭაობში დავრჩებით, ან კიდევ ნორმალურ ქვეყანას ავაშენებთ... თუ ამ არჩევნებში ხალხს კიდევ გაუცრუვდა იმედი, ერთ თვეში, მაქსიმუმ კი 2 წელიწადში, ყველაფერი ეს სახალხო აჯანყებით დასრულდება, რაც ჩვენი ქვეყნის არსებობასაც სათუოს გახდის.

***იზო რიკაძე***

# საქართველოს გერბი და ჰიმნი მწვანე დოლარი იქნება

## „არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცას ორმხრივი დარტყმა ჰქონდა ჩაფიქრებული...“



*ქართული პოლიტიკური პოდიუმი მოდელობის მსურველებს ეპატიჟება. გადამდგარი გენერლები, მსახიობები, კუნთმაგარი ბიჭები „ისე რა“ და მაგარი პოლიტიკოსები, ლამაზი ქალები, ტერორისტები (პრეზიდენტის ამფეთქებლები) და კიდევ ვინ იცის, რამდენი ემზადება ნოემბრის „ფეშენისთვის“. ძალზე ჭრელი პოდიუმია? ეს ასე კანცელარიაში მჯდომმა მთავარმა რეჟისორმა ჩაიფიქრა. ამ სიჭრელეში ზედმეტი არავინ იქნება, ყველას საჭირო დროს მოუწევს თავისი ოსტატობის გამოვლენა. მათ ფიქრი კი არა, შესრულება დაევალებათ და შეასრულებენ კიდეც... მთავარმა რეჟისორმა ერთი რიგითი რეჟისორი უკვე ცესკოში გაუშვა. რას იზამს პროფესიით დრამის რეჟისორი ნანა დევდარიანი? ალბათ, ეცდება, რომ დრამა მთელ საქართველოში არ გათამაშდეს. ვესაუბრებით ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარეს,* ***შალვა ნათელაშვილს:***

**— ახალი ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები“ რამდენად ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად მიგაჩნიათ. ამბობენ, რომ მათი სახით თქვენ და დანარჩენმა ოპოზიციამაც სერიოზული კონკურენტი შეიძინეთ.**

— ჩვენი კონკურენტი მარტივ მამრავლებად დაშლილი შევარდნაძეა, რომელმაც თავის გარშემო ორბიტა შექმნა და მასზე თავისი გაზრდილები დაატრიალა. პირამიდის სათავეში შევარდნაძეა და ამიტომ გვინდა, შევარდნაძე და მისი სისტემა მშვიდობიანად მოვიცილოთ. ამ ახალი წარმონაქმნებითა და ბლოკებით ისევ შევარდნაძე გვიპირისპირდება. ან როდის არ იყვნენ ბურჯანაძე და ჟვანია „დაბლოკილები“? დღევანდელი პოლიტიკა პიარზეა აწყობილი. დეზინფორმაციას გვახვევენ თავზე — ხალხზე, რომელიც ისედაც ერთად იყო, ამბობენ, გაერთიანდნენო, დაპირისპირებულ ძალებზე კი ამბობენ, ალიანსში არიანო...

ხალხმა იცის და ხედავს, რომ საქართველოს შევარდნაძე ანგრევს თავის „მოქალაქეთა კავშირთან“ ერთად. დღეს კი ძველმა მოქკავშირეებმა იყიდეს თავ-თავიანთი პატარა იახტები და გვერდიგვერდ მიჰყვებიან შევარდნაძის გემს.

ქვეყანაში ორი პოლუსი არსებობს. პირველი — ხელისუფლება იმ სეგმენტებთან ერთად, რომლებიც თავს ოპოზიციას უწოდებენ, მეორე — ლეიბორისტული პარტია. ხელისუფლებას სერიოზულ ძალად ვთვლი, რადგან აქვს მილიარდები, ავტომატები, ჰყავს ბანდიტები და თავისივე გაზრდილი უთავმოყვარეო პოლიტიკოსები, რომლებიც ყვარყვარესავით ხან ყვითლები არიან, ხან — წითლები, ხან — მწვანეები და რა ვიცი, კიდევ რა ფერები... ხან ოპოზიციონერები არიან და ხანაც „პოზიციონერები“. ხალხმა ან პირველი უნდა აირჩიოს და ან მეორე. თუ უნდათ, რომ ჩვენს დარაბებში გაზაფხულმა შემოანათოს, უნდა აირჩიონ ლეიბორისტული პარტია. ხოლო თუ უნდათ, რომ დარაბები მუდმივად დაკეტილი იყოს, მუდმივ სიბნელეს და სიცივეში ვიყოთ, მაშინ უნდა აირჩიონ ხელისუფლება, შევარდნაძეები და სხვა პატარა „შევარდნაძუკები“.

**— ბოლო დროს, თუ არ ვცდები, ბურჯანაძემ გაგისწროთ რეიტინგში...**

— ჟვანიას, შევარდნაძესა და კიდევ მათნაირებს, სირცხვილია, რომ რეიტინგი ჰქონდეთ, ეს გამორიცხულია. არსებობენ სოციოლოგიური სამსახურები, რომლებიც ერთ გამოკვლევაში, ანუ შეკვეთაში 30 ათას დოლარს იღებენ და ფულის გადამხდელს უპრობლემოდ დასვამენ პირველ ადგილზე. პოლიტიკურ წრეებში ეს ცნობილია, მაგრამ არ იცის მოსახლეობამ და გაკვირვებულია, როგორ აღმოჩნდა ეს ხალხი პირველ ადგილზეო. სინამდვილეში, პირველ ადგილზე არის ლეიბორისტული პარტია, რომელიც უკვე ერთი წელია 100%-ით(!) უსწრებს პარტიას, რომელიც მეორე ადგილზე მოჩანჩალებს — ამ შემთხვევაში „გელაპის“ (ამერიკული ფირმაა) გამოკითხვებს მოგახსენებთ, მაგრამ ეს დახურული გამოკვლევებია. ამიტომ ზოგიერთი პარტია შეკვეთილ გამოკვლევებს ატარებინებს თავიანთ სოციოლოგიურ ფირმებს და ტელეკომპანიებს. ეს საზოგადოების ფსიქოლოგიური ზომბირების ყველაზე მუხანათური საშუალებაა. მაგრამ ამით ვერაფერს დაგვაკლებენ. დღეს მოქმედი ყველა პოლიტიკური ლიდერი მიუღებელია ჩვენი ამომრჩევლისათვის, ამიტომ თუ რომელიმე მათგანს ამოვიყენებთ გვერდით, ეს ხალხი (ამომრჩევლები) სხვა პოლიტიკურ ძალასთან გადავა. ფანტასტიკის სფეროა, მარამ დავუშვათ, მიშასთან გავერთიანდით, ამით ელექტორატს კი ვერ შევიძენთ, დავკარგავთ. ჩემი ელექტორატი პროკომუნისტურ და პრორუსულ ძალებთან გაიქცევა და მე და მიშა ერთიმუჭა ხალხის იმედზეღა დავრჩებით. ხოლო თუ მემარჯვენე პარტიებთან გავერთიანდებით, მთელ ელექტორატს დავკარგავ. მემარჯვენეობა მსხვილი ბიზნესის დაცვას გულისხმობს და იმათ თუ კიდევ დაცვა უნდათ, აღარ ვიცი. დარჩათ რამე წასაღები დაწყებული ანაბრებით და დამთავრებული სამუშაო ადგილებით?!

**— სახელისუფლებო ბლოკზე რას იტყვით. თქვენზე რომ ამბობენ, — ხელისუფლებას არასოდეს აკრიტიკებსო.**

— ჰო, წერენ კიდევაც... სახელისუფლებო ბლოკში შეყრილია ყველა ჯურის სახელისუფლებო მაფიოზა. ჩხეიძეებსა და მისნაირებს თქვენც იცით, რამდენი მილიონი აქვთ ნაშოვი. როდესაც ამა თუ იმ ჯგუფს მხოლოდ დოლარის სიძლიერეზე დამყარებული ხელისუფლების მოპოვების სურვილი აერთიანებს, ასეთ დროს კვოტებზეც იქნება კინკლაობა, იჩხუბებენ კიდეც და ყბებსაც ჩაუმტვრევენ ერთმანეთს.

**— ბატონო შალვა, როგორც ცნობილი გახდა, ვაჟა ლორთქიფანიძე სახელისუფლებო ბლოკში იბრძოლებს არჩევნებში გასამარჯვებლად, თანაც ამბობენ, პირველი ნომრით გავაო, რა კომენტარს გააკეთებთ?**

— ეს სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან ხელისუფლება ოლიგარქიულია. ოლიგარქებს შორის მუდმივი ბრძოლა მიდის ძალაუფლებისთვის, ხან ერთი წარმომადგენელი ძლიერდება, ხან — მეორე. ამჯერად შევარდნაძის კარზე ოლიგარქ პატარკაციშვილის კლანი იკიდებს ფეხს და ჩვენი პრეზიდენტი უსიამოვნო სიურპრიზს გვიმზადებს სამომავლოდ — ოლიგარქია, ანუ ფული დაეპატრონება საქართველოს. საქართველოს გერბი და ჰიმნი მწვანე დოლარი იქნება. გაიყიდება ყველა კანონი, ყველა პოლიტიკური ორიენტაცია, ყველა პოლიტიკოსი და ყველა პარტია. ეტყობა, საქართველოში კიდევ დარჩა გასაყიდი რაღაც, თორემ ასე არ იაქტიურებდნენ.

**— შავიშვილის პარტიამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და „ახლებს“ შეუერთდა. ამ პრეცედენტს როგორ შეაფასებთ?**

— უკაცრავად, რეზოს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ სადღაც რაღაცას რომ გაატარებ რეგისტრაციაში, ეგ პარტია არ არის. ერთადერთი პარტია საქართველოში ლეიბორისტული პარტიაა, დანარჩენები მანდატებზე მონადირე გაერთიანებები არიან.

**(გაგრძელება იხ. გვ.11)**

# რა ჯდება ომის წარმოება?

## ამერიკა არ მალავს ერაყში ომის ხარჯებს, ქართველი ძალოვნები კი სპეცოპერაციების ფულით მანიპულირებენ?!



ამერიკას ერაყში 1 თვე 4 მლრდ დოლარი უჯდება

ომი, პირველ რიგში, დიდი ფულია და მხოლოდ შემდეგ — ტანკები და თვითმფრინავები.

ერაყის ომმა გრანდიოზული ხარჯები მოითხოვა არა მარტო ჩვენი, არამედ თვით ამერიკის მასშტაბებითაც კი.

პენტაგონი არ მალავს, რომ ერაყში საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან უკვე დახარჯა 48 მლრდ დოლარი, ხოლო სექტემბრის ბოლოსთვის ამ, მართლაც შთამბეჭდავ, თანხას კიდევ 10 მლრდ დოლარი დაემატება.

როგორც პენტაგონში აცხადებენ, დანახარჯების ლომის წილი — 30 მლრდ დოლარი — შეიარაღებისა და პირადი შემადგენლობის სპარსეთის ყურეში გადასროლაში დაიხარჯა. სწორედ ამიტომაა, რომ შემდგომში, ანალოგიური საბრძოლო ოპერაციების დაწყების წინ, ფინანსების დასაზოგად, პენტაგონს ურჩევნია, მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში დააფუძნოს მუდმივმოქმედი სამხედრო ბაზები, რომლებიც გააადვილებენ და, რაც მთავარია, გააიაფებენ სამხედრო ძალების სტრატეგიულ სიშორეზე გადასროლას.

ამერიკელებმა დროზე დაამთავრეს ფართომასშტაბიანი ბრძოლები, თორემ ხარჯი ბევრად მეტი იქნებოდა. თუმცა პარტიზანული ომი არანაკლებ თანხებს მოითხოვს ამერიკელი გადასახადის გადამხდელებისგან.

სხვა თუ არაფერი, ერაყში ერთი კვირით „ყოფნა" იქ განთავსებულ ამერიკულ კონტინგენტს 1 მლრდ დოლარი უჯდება, ანუ თვეში 4 მლრდ-მდე დოლარი იხარჯება.

ყოველივე ამის ფონზე საინტერესოა, რა ჯდება ის სპეცოპერაციები, რომლებიც პანკისის ხეობაში ერთ წელზე მეტია მიმდინარეობს და ახლა სვანეთშია მოსალოდნელი?

ქართული ძალოვანი სტრუქტურები, როგორც წესი, პირში წყალს იგუბებენ და სახელმწიფო ინტერესების დაცვის მოტივით, ასაიდუმლოებენ ამ მონაცემებს.

მაგრამ საკითხავია, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ხდება საწვავის დიდი პარტიების ჩამოწერა ძალოვან სტრუქტურებში, რომლებიც ვითომდა პანკისის ხეობაში ოპერაციების დროს იხარჯება?

იმის გამო, რომ შინაგანი ჯარების ბიუჯეტი ბოლომდე არ არის გამოყოფილი შსს-ს ბიუჯეტიდან და მისი სრული გამჭვირვალობა არ არსებობს, ყოველთვის მოსალოდნელია არასამართლებრივი მოქმედებები.

როგორც ამბობენ, ერთი წლის წინ, შინაგანი ჯარების საბრძოლო ტექნიკის პანკისის ხეობაში გადასროლისას, საკმაოდ დიდი თანხა გამოიყო მათ შესაკეთებლად, ხოლო იმის ზუსტი კონტროლი, თუ რამდენად კანონიერად და მიზანმიმართულად დაიხარჯა ეს თანხა, ძალიან ძნელია.

იმასაც ამბობენ, შსს-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხშირად 1 მლნ-მდე ლარი გამოაქვს და ისიც დახურული მუხლის საფარით, რაც, ფაქტობრივად, ძალიან ართულებს (თუ საერთოდ შეუძლებელს არ ხდის) კონტროლის სისტემის ამოქმედებას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩნდება ერთი საფუძვლიანი ეჭვი — საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სპეცოპერაციების განხორციელების მოტივით, ძალოვანი სტრუქტურები ცდილობენ, საბიუჯეტო თანხებით უკანონო მაქინაციების ჩატარებას, პირველ რიგში საწვავის, პირადი შემადგენლობისთვის საჭირო საკვებისა და საბრძოლო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების ძვირად შესყიდვის ან მათი დატაცების სახით.

ერთადერთი გამოსავალი ალბათ ესაა: ყველა სპეცოპერაციის მიმდინარეობის თუ დამთავრების შემდეგ მოხდეს დახარჯული თანხების მუხლებით გაწერა მათი სრული გამჭვირვალობის წარმოსაჩენად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება არა მარტო დიდი კორუფციის წყარო, არამედ ერთგვარი სახელმწიფოებრივი საფრთხეც, რადგან სპეცოპერაციების რიცხვის ზრდა ძალოვანი სტრუქტურების ინტერესებში იქნება!

რა დაჯდა ერთწლიანი სპეცოპერაცია პანკისში?



# NATO-ელი ექიმები სართიჭალელებს უმკურნალებენ

## დასავლელი სამხედროები ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზებს „შეეჩვივნენ"



ერთ დროს NATO-ელი ოფიცრების გამოჩენა საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად ალიქმებოდა.

დღეს კი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ფაქტად იქცა. ამიტომაც NATO-ს მორიგ სწავლებას, ჩვენს ქვეყანაში, შეიძლება შეუმჩნევლადაც ჩაევლო, რომ არა ერთი საინტერესო გარემოება — NATO-მ ამჯერად ორი სწავლება ერთმანეთს დაამთხვია და გადააბა.

8-22 სექტემბერს NATO-ს პროგრამის, „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში გაიმართება მრავალეროვნული სწავლებები Medceur/Rescuer-2003, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლები.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა ვიცე-პოლკოვნიკმა **ირაკლი ბატკუაშვილმა** (რომელიც, ამასთანავე, საქართველოს მხრიდან სწავლების თანაკოორდინატორია) „კვირის პალიტრას" უთხრა: — სწავლებებში, ჩვენ გარდა, მონაწილეობას მიიღებენ ალბანეთის, ბულგარეთის, გერმანიის, მოლდავეთის, აშშ-ის, ესტონეთის, უკრაინისა და თურქეთის სამხედრო მოსამსახურეები და სამხედრო ექიმები. მათი საერთო რაოდენობა 700 კაცს მიაღწევს. Medceur-ის სწავლების ეტაპზე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტზე სამხედრო ექიმებისთვის ჩატარდება ლექციები და სემინარები, ხოლო სართიჭალის გარემონტებულ პოლიკლინიკაში სამხედრო ექიმები უფასოდ ჩაუტარებენ სამედიცინო შემოწმებას იქ მისულთ.

გარდა ამისა, ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე მოხდება სცენარის გათამაშება — ჰიპოთეზური მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების აღმოჩენა.

სწავლება Rescuer-ი წმინდა ვირტუალური ხასიათისა იქნება და კომპიუტერული სამეთაურო-საშტაბო სწავლების სახე მიეცემა. მასზე გათამაშდება და დაიხვეწება მრავალეროვნული ძალების კოორდინირებული მოქმედება საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში.

სხვათა შორის, ასეთი სწავლებები, რომლებიც შეიძლება ვიზუალურად არც ისე მიმზიდველია, რადგან იქ ლოყებზე მურწასმული „რემბოები" თავით არ ამტვრევენ კრამიტებს და ამით მაყურებელთა აღტაცებას არ იწვევენ, მაგრამ რეალურად უფრო შედეგიანი შეიძლება გამოდგეს ბუნებრივი თუ პოლიტიკური კატაკლიზმების შემთხვევაში.




სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი"

უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით

- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ
- სწრაფად
- გარანტირებული ეფექტით

მის: კოსტავას 63

25 27 09

# რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !

პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე– დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მით უმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.



ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

**Abtronic Pro** საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.



ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ **Abtronic Pro!**

არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ **Abtronic Pro!**

გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ **Abtronic Pro!**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზიაში: **www.shopge.com.** ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.



# NOKIA

## სიახლე!

3-დან 6 თვემდე საგარანტიო მომსახურება Nokia-ს (ნოკია) სერვის ცენტრში შეძენილ მობილურ ტელეფონებზე

მობილური ტელეფონების და აქსესუარების ფართო არჩევანი

სერვისული მომსახურება
კვალიფიციური კონსულტანტები

კონსულტაციები უფასოა:
ტელ: 94-24-12,
ტელ/ფაქსი: 94-15-66

*ცენტრალური ოფისის მისამართი:*
თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №71
*ფილიალები:*
მარჯანიშვილის ქ. №15, ტელ: 95-80-03
რუსთაველის გამზ. №31, ტელ: 99-53-83
E-mail: nokia@geo.net.ge
nokia_info@geo.net.ge
*Nokia (ნოკია) სერვის ცენტრი*



# „დასავლეთისა“ და „ჩრდილოეთის“ „ბრძოლა“ რუსეთის სტეპებში



## სომეხი მეზენიტეების გაშვებულ რაკეტებს ქართველი თავდაცვის მინისტრი მხოლოდ თვალს აყოლებდა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ამორფული საერთაშორისო სტრუქტურა უფროა და შეიძლება გამართლებულიცაა, რომ საქართველო გამოვიდა დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციიდან.

მაგრამ, გასულ კვირას, საქართველოს ორკაციანი დელეგაცია, რომელსაც თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ხელმძღვანელობდა, რუსეთის სტეპებში მხოლოდ თვალს აყოლებდა სომეხი მეზენიტეების მიერ გაშვებულ რაკეტებს და ჩამოგდებულ სამიზნეებს.

ჩვენდა საუბედუროდ, საზენიტო რაკეტების გაშვება, სასწავლო სამიზნეების მიმართულებით, საქართველომ ბოლოს 1999 წელს განახორციელა. მაშინ ფოთის სიახლოვეს, მალთაყვიდან, C-125 ტიპის საზენიტო რაკეტები Су-25 ტიპის მოიერიშედან ზღვის თავზე ჩამოყრილი და პარაშუტებით დაშვებული მანათობელი საავიაციო ბომბების მიმართულებით გაუშვეს. მას შემდეგ ქართველ მეზენიტეებს რაკეტა აღარ გაუშვიათ (თუ არ ჩავთვლით გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექს Стрела-2М-ს), რაც მათ პროფესიონალურ დონეზე კარგს არაფერს ამბობს.

არადა ამ დროს, იგივე ჩვენი მეზობლები, სომეხი მეზენიტეები, დროს ტყუილად არ ხარჯავენ და მეგობარი რუსეთის რაკეტებით, იმავე რუსეთის ტერიტორიაზე (ისე, სომხეთს ნამდვილად არა აქვს იმ სიდიდის პოლიგონი, რომ C-125 ტიპის რაკეტები ისროლონ), იმაღლებენ საბრძოლო ცოდნას.

მათ ეს შესაძლებლობა არც წელს გაუშვეს ხელიდან. რუსეთში, ასტრახანის ოლქში, „აშულუკის“ პოლიგონზე გამართულ დსთ-ის ქვეყნების კოალიციურ სწავლებაზე „საბრძოლო თანამეგობრობა-2003“, სომხეთმა საზენიტო-სარაკეტო ბრიგადისა და საზენიტო-სარაკეტო პოლკის საბრძოლო გათვლები გაგზავნა, რომლებმაც განახორციელეს C-125-ისა და Оса-ს ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებიდან რეალური საბრძოლო სროლები, რითაც კვლავ გაამდიდრეს საკუთარი გამოცდილება. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რეგიონისთვის, რადგან საზენიტო რაკეტების სროლის რეალური გამოცდილება მარტო სომეხ მეზენიტეებს გააჩნიათ, რაც მათ დიდ უპირატესობას ანიჭებს საბრძოლო მოქმედებების დაწყებისას და რეალური სამიზნეების ჩამოგდების შემთხვევაში.

ჩვენი გენერალიტეტი ქართველი მეზენიტეების მოუმზადებლობას კი უსაწვავობას, დეტალების ნაკლებობას, რაკეტების გაუმართაობას და უფულობას აბრალებს. გასაგებია, რომ თავდაცვის სამინისტროს დღევანდელ ხელმძღვანელობას არ სურს რუს კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობა, მაგრამ ხომ შეიძლება იმავე მეზენიტეების მომზადება იმ პროდასავლურ ქვეყნებში, რომლებსაც ჯერ კიდევ რჩებათ შეიარაღებაში საბჭოთა წარმოების საზენიტო-სარაკეტო სისტემები? საზენიტო რაკეტა „კალაშნიკოვი“ არ არის, რომ მოწინააღმდეგის მოახლოებისთანავე კარადიდან გამოიღო და ისროლო. მას დიდი ყურადღება და მუდმივ მზადყოფნაში ყოფნა სჭირდება, თუმცა ქვეყნის საჰაერო თავდაცვა არასოდეს ყოფილა არა მარტო თავდაცვის სამინისტროს, არამედ ქვეყნის ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული.

მაგრამ დავუბრუნდეთ „საბრძოლო თანამეგობრობა-2003“-ს. ეს ერთგვარი, აღდგენილი საბჭოთა ტრადიციის გაგრძელებაა, როდესაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში დისლოცირებული საზენიტო ნაწილები ყოველწლიურად საზენიტო რაკეტებს უშვებდნენ „აშულუკში“.

წლეულს მასში, სომხეთის გარდა, ტაჯიკეთის, ბელორუსიისა და რუსეთის ათასამდე მეზენიტე მონაწილეობდა. თავად სწავლების სცენარი დიდ დაინტერესებას იწვევდა. ლეგენდის თანახმად, ომი დაიწყო „დასავლეთსა“ და „ჩრდილოეთს“ შორის. აგრესორად, რა თქმა უნდა, დასავლელები იყვნენ მიჩნეულნი, ხოლო ჩრდილოელებად, ბუნებრივია, რუსეთი და მთლიანად დსთ იგულისხმებოდა.

ამასთანავე, სწავლების დამგეგმავებმა გაითვალისწინეს ამერიკული და ბრიტანული ავიაციების მოქმედების ბოლო ტაქტიკა ერაყის მიმართ.

დღეს აღარავინ ეჭვობს, რომ ყველა ომი 21-ე საუკუნეში საჰაერო თავდასხმით დაიწყება. ამის დაჯერება მხოლოდ საქართველოში უჭირთ.

# „კამოვი“ პუტინის ჰობის შეეწირა




გასულ კვირას, სოჭის სიახლოვეს, კიდევ ერთი რუსული შვეულმფრენი დაიღუპა. რუსეთში ასე გახშირებული ავიაკატასტროფების შემდეგ შეიძლება აღარც ღირდა ყურადღების მიქცევა ამ ფაქტისადმი, რომ არა ერთი გარემოება — კატასტროფის მომენტში სოჭში იმყოფებოდა რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, რომელიც იქ თავის ბულგარელ კოლეგას ელოდებოდა.

თითქოს რა უნდა იყოს საერთო ამ ორ ფაქტს შორის, მაგრამ სინამდვილეში რუსული შვეულმფრენი Ka-32A და მასში მყოფი 9 ადამიანი (ეკიპაჟის 4 წევრი და 5 სპეციალისტი) სწორედ თავისი პრეზიდენტის ჰობის — თხილამურებით სრიალის სიყვარულს შეეწირა.

ცნობილია, რომ პრეზიდენტი პუტინი ხშირად სტუმრობს სოჭს, რათა „ლუნნაია პოლიანიდან“ თხილამურებით დაეშვას.

რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო მთებში ფრენა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, მაგრამ პრეზიდენტის სოჭში ჩასვლისთანავე, „ლუნნაია პოლიანაზე“ შვეულმფრენით მაინც სასწრაფოდ გაუშვეს სპეციალისტები სათხილამურო სეზონისათვის ტრასისა და საბაგირო გზის მოსამზადებლად.

პრინციპში, Ka-32A ერთადერთი რუსული შვეულმფრენია, რომელიც თვით აშშ-შია სერტიფიცირებული და გამოირჩევა მაღალი საფრენოსნო მაჩვენებლებით, რის გამოც შეისყიდეს იგი შვეიცარიამ, კანადამ, სამხრეთ კორეამ და სხვა ქვეყნებმა.

Ka-32A-ს „ლუნნაია პოლიანამდე“ მიღწევა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ მას მიჰქონდა სპეციალური ბაგირით ჩამოკიდებული ტვირთი. ერთ-ერთი ვერსიით, შვეულმფრენის ტვირთი, ღრუბლებით დაფარულ მთებზე გადაფრენისას, კლდეს წამოედო და საფრენი აპარატიც „ჩაითრია“.

შვეულმფრენი კლდეებში, 100 მ სიღრმის ხრამში ჩავარდა, სადაც დღის შუქიც კი არ აღწევს და იქ ჩასვლა მხოლოდ ალპინისტებს თუ ძალუძთ.

# თერთმეტი თუ სამი?

## თბილისში პრორუსული ძალების მოსვლის მოლოდინში მოსკოვი სამხედრო ბაზების გაყვანას აჭიანურებს

გასულ კვირას თბილისში გაიმართა ქართულ-რუსული კონსულტაციების მორიგი რაუნდი, რომელიც ახალქალაქიდან და ბათუმიდან სამხედრო ბაზების გაყვანის პრობლემებს განიხილავდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მოლაპარაკებები კვლავ უშედეგოდ დამთავრდა — ორივე მხარე თავის პოზიციებზე ურყევად დგას. საქართველო ამ ბაზების სალიკვიდაციოდ მოსკოვს სამ წელს აძლევს, რუსეთი კი 11-ს ფეხს არ უცვლის. დრო კი მიდის.

ერთადერთი, რაც რუსეთს მართლა გააქვს, ეს გახლავთ საგარეჯოს სამხედრო-საინჟინრო ბაზის შეიარაღება და აღჭურვილობა. გამოსადეგი საბრძოლო მასალები და ხელსაწყოები სომხეთში, რუსეთის 102-ე გიუმრის ბაზაში იდებს ბინას, დროგასული კი, ვაზიანის პოლიგონზე ნადგურდება, რაც უარყოფითად მოქმედებს გარემოზე, ხოლო აუფეთქებელ ჭურვებს კი უბედურება მოაქვთ პოლიგონზე ჯართის შემგროვებელთათვის.

გუდაუთის სამხედრო ბაზის ბედი კვლავ გაურკვეველია, რადგან რუსი სამხედროები და აფხაზი სეპარატისტები იქ არ უშვებენ არათუ ქართველ სამხედროებს, არამედ უცხოელ ინსპექტორებსაც.

მოლაპარაკებების შემდგომი რაუნდი ერთ თვეში გაიმართება, მაგრამ, სავარაუდოდ, ვერც ის მოიტანს შედეგს, რადგან რჩება შთაბეჭდილება, რომ კრემლს დრო გაჰყავს, ელოდება საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში პრორუსული ძალების მოსვლას, რომლებიც, არათუ გაყვანას, დამატებითი სამხედრო ძალების შემოყვანას მოსთხოვენ მოსკოვს.

# თიქრიტთან დაშავებული ქართველი მენაღმეები ტეხასის შტატში გაგზავნეს

როგორც გაზეთის წინა ნომერში გაუწყებდით, ერაყში, 21 აგვისტოს, პოლიგონზე მომხდარი ინციდენტის შედეგად დაშავებული ოთხი ქართველი მენაღმე ოფიცერი სამკურნალოდ აშშ-ში გაგზავნეს.

ძალზე ჭირს ქართულ სამშვიდობო კონტინგენტთან დაკავშირება (ფაქტობრივად, ეს კავშირი ცალმხრივია, რადგან ქართველი ოფიცრები ძნელად ახერხებენ კოსმოსური კავშირგაბმულობის სადგურამდე ან ინტერნეტამდე მიღწევას), რაც, პირველ რიგში, თავდაცვის სამინისტროს ბრალია, რომელსაც ერაყში კონტინგენტის გაგზავნისას მათთან ოპერატიული კავშირის დამყარების საშუალებებზეც უნდა ეფიქრა.

ოთხი დაშავებული ქართველი მენაღმე ოფიცერი, რომელთაც ქართველი სამხედრო ექიმი, მაიორი არაბული ახლავთ (იგი 20-კაციანი სამხედრო სამედიცინო ჯგუფიდანაა, რომელიც ქართული სამშვიდობო კონტინგენტის ფარგლებში, ასევე ერაყში, ბაღდადის სიახლოვეს იმყოფება), ჯერ გერმანიაში გადააფრინეს, ხოლო იქიდან — აშშ-ში, ტეხასის შტატში, სადაც დამწვრობის მკურნალობის თანამედროვე ცენტრია მოთავსებული. იმედი გვაქვს, რომ ამერიკელი ექიმები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ქართველი მენაღმეების გამოსაჯანმრთელებლად.

# რამდენი იარაღია მსოფლიოში?



აშშ-ის თითოეულ მოქალაქეზე თითო ცეცხლსასროლი იარაღი მოდის

დღემდე შექმნილ იარაღის სხვადასხვა სახეობას შორის ყველაზე გავრცელებული თურმე ცეცხლსასროლი ყოფილა.

639 მლნ ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის კატეგორიაშიც შედის პისტოლეტი, შაშხანა, ავტომატი, ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი და გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო სისტემები, დღეს მთელ მსოფლიოში უხვადაა და ეს რიცხვი საათობით იზრდება.

ამ უზარმაზარი არსენალის 59%, სრულიად კანონიერად, კერძო პირებს ეკუთვნით, დანარჩენი კი, არმიების და პოლიციების შეიარაღებაშია, ან სულაც უკანონოდ ინახება.

ყოველწლიურად მსოფლიოში იწარმოება 7 მლნ ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი. ეს ბევრად უფრო მეტია, ვიდრე იმ იარაღის რაოდენობა, რომლებიც ომების დროს ნადგურდება.

იარაღის ბიზნესს მსოფლიოს 100 ქვეყნის 1.134 კერძო ფირმა ეწევა. ცეცხლსასროლი იარაღის ყველაზე დიდი ექსპორტიორი ევროკავშირია. თუმცა ევროპელებს ხელზე მხოლოდ 67 მლნ ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი აქვთ, ანუ ყოველ 100 კაცზე 17 ცალი. ეს ზღვაში წვეთია აშშ-თან შედარებით, რადგან იქ 238-დან 276 მლნ ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი აქვს ხელზე მოსახლეობას, რაც ნიშნავს, რომ აშშ-ის თითოეულ მოქალაქეზე (ჩვილი ბავშვების ჩათვლით) თითო პისტოლეტი ან შაშხანა მოდის.

ცეცხლსასროლი იარაღის ბიზნესს ყოველწლიურად 4 მლრდ დოლარი მოაქვს, ხოლო უკანონო ვაჭრობას — ერთ მილიარდამდე.

ეს მონაცემები გაეროს მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაშია მოცემული. გაერო ცდილობს, ყველა ღონე იხმაროს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო გავრცელების მასშტაბების შესამცირებლად, რადგან მისგან ყოველწლიურად ბევრად მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ბომბებითა და ჭურვებით.

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## რა ელით ჩაძირულ რეაქტორებს?

როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ იპოვეს ის 7 მეზღვაური ოფიცერი, რომლებიც 30 აგვისტოს, ბარენცის ზღვაში ჩაძირულ რუსულ ატომურ წყალქვეშა ნავ K-159-ში იყვნენ. სავარაუდოა, რომ მათ ვერ მოახერხეს ფსკერისკენ წასული ნავიდან თავის დაღწევა.

რუსეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, ამოიღოს 238 მ სიღრმეზე ჩაძირული K-159, თუმცა რუსი სპეციალისტები თვლიან, რომ დახშული და გაჩერებული ნავის ორივე ატომური რეაქტორი უსაფრთხოა და ამიტომაც არ ღირს მის ამოსაღებად დიდი ხარჯის გაწევა.

K-159-ის ამოღების შემდეგ რუსეთს კიდევ 110 ატომური წყალქვეშა ნავის უტილიზაცია მოუწევს, რისთვისაც ყოველწლიურად 45 მლნ დოლარზე მეტი უნდა გამოყოს მოსკოვმა. საერთოდ ამ საქმისთვის სულ 4 მლრდ-მდე დოლარია საჭირო.

## ჩინეთი არმიას ამცირებს

2005 წლის ბოლომდე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავის შეიარაღებულ ძალებს 200 ათასი კაცით შეამცირებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც უზარმაზარი არმია დარჩება — 2,3 მლნ სამხედრო. რეფორმის დასრულებისას კი მისი რაოდენობა 1,8 მლნ კაცი იქნება. ბოლო დროს პეკინი დიდ ყურადღებას უთმობს არა არმიის რიცხოვნობას, არამედ მის თანამედროვე დონეზე შეიარაღებას, განსაკუთრებით კი საბრძოლო ავიაციის, საზღვაო ფლოტისა და სარაკეტო ტექნოლოგიების განვითარებას.

## ავღანეთში თალიბებს კვლავ მუსრს ავლებენ

ერაყის ომმა, გარკვეულწილად, ჩრდილში მოაქცია ავღანეთი და იქ მიმდინარე მოვლენები, არადა ავღანეთის მთებშიც არ წყდება პარტიზანული ომი; თუმცა, ერაყისგან განსხვავებით, ვაშინგტონმა აქ მოახერხა, თალიბების წინააღმდეგ ბრძოლა ავღანელთა ძალებით გაეგრძელებინა.

ორკვირიანი ბრძოლის შედეგად, ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ავღანეთის ახალი არმიის დანაყოფებმა, სისხლისმღვრელ შეტაკებებში 124 თალიბი და „ალ-ქაიდას“ მებრძოლი დახოცეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ავღანელებს ამ ბრძოლებში აქტიურად მხარს უჭერდნენ აშშ-ის მე-10 სამთო დივიზიის სამხედროები და საბრძოლო ავიაცია.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ავღანეთში თალიბების მოძრაობა ბოლომდე არ არის განადგურებული და მოსალოდნელია ახალი შეტაკებები.

## არმია და ბავშვები

აშშ-ში ნამდვილი კონფუზი მოხდა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსი ყველა ღონეს ხმარობდა, თავის რიგებში თანამემამულე ჯო ქროსმანის შესატყუებლად — მას მომგებიან კონტრაქტს სთავაზობდნენ. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ამერიკული ჯარის სარეკლამო ბროშურებს ყოველდღიურად ათიათასობით ამერიკელი მოქალაქე იღებს, თუმცა ქროსმანთან პენტაგონს ნამდვილი „იაღლიში“ მოუვიდა, რადგან ჯოს სულ ახლახან შეუსრულდა... შვიდი წელი! საერთოდ, ამერიკულ ფლოტში 17 წლის მოხალისეც შეიძლება ჩაეწეროს, მაგრამ მხოლოდ მშობლების თანხმობით. დანა-



შაულის გამოსასყიდად პატარა ქროსმანს პენტაგონმა საგანგებო ექსკურსია მოუწყო საზღვაო ფრეგატზე, მაგრამ ბიჭუნა უკმაყოფილო დარჩა, განსაკუთრებით არ მოეწონა სამხედრო ხომალდის ტუალეტი.

სანამ ამერიკაში 7 წლის ბიჭის გაწვევას „ცდილობდნენ“, საზღვაო ქვეითთა რიგებში, რუსეთის ფლოტში მართლაც მოხვდა... 11 წლის ბავშვი და თანაც გოგონა. ვუნდერკინდი სოფია ერმოლაევა უგამოცდოდ ჩაირიცხა მოსკოვის კადეტთა კორპუსში „საზღვაო ქვეითები“.

უკრაინაში კი მომავალი სამხედროები დიდ განსაცდელში აღმოჩნდნენ. სამხედრო ლიცეუმის 12 მოსწავლე ლენცოფით მძიმედ მოიწამლა და ჰოსპიტალში მოხვდა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ნაჩუქარი სიცოცხლის სამაგიერო...

ბევრი აღარ უფიქრია, დასაკეცი დანა გაზონებში მოისროლა, მოჩხუბრებს ხელბორკილი ახსნა და კინწისკვრით გაყარა, გალახული კი დილამდე თავისთან დაიტოვა. ე მანდ კიდევ არ გადაეყარონ და ვაითუ, მე ვეღარ მივეშველოო...

## ჩვეულებრივი შეხვედრა

იმ ღამით მილიციის ახალგაზრდა ოფიცერი რაულ შველიძე მარტო დარჩა შემოსავლელ უბანზე. მეწყვილემ, მასავით ახალგაზრდა ლეიტენანტმა სთხოვა — უფროსობას ვერ გავუმხილე, არადა ამ საღამოს ჩემი შეყვარებულის დაბადების დღეა და თუ გამიშვებ, მთელი სიცოცხლე შენი მადლიერი ვიქნები, თუ არადა, მაინც წავალო.

მეგობარს უარს როგორ ეტყოდა, მით უმეტეს, როცა თვითონაც შეყვარებული იყო და ახლა მარტოდმარტო დააბოტებდა ბარნოვისა და მის პარალელურ ქუჩებზე. იცოდა, ინსტრუქციით ეს დაუშვებელი იყო, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, — სიყვარული ინსტრუქციაზე მაღლა დგასო... მაინცდამაინც არ განიცდიდა სიმარტოვეს, მაგრამ როცა ნაშუაღამევს თითქმის რულმორეული ზემო სართულიდან გადმომდგარი ქალის შეშფოთებულმა შეძახილმა გამოაფხიზლა, — მიეშველეთ, თორემ მოკლავენ ამ უბედურსო, — გულმა რეჩხი უყო. ჩანდა, ერთ კაცს რამდენიმე სცემდა. იარაღის ხმარება არც უფიქრია. არ უყვარდა ვინმეს შესაშინებლად პისტოლეტის ტრიალი, არადა ხელდახელ ვაითუ დაგჯაბნონ, მერე?

ახლოს რომ მიირბინა, ერთბაშად დამშვიდდა. ორი ლაწირაკი მესამეს სცემდა. უეცრად ერთის ხელში დანამ იელვა და ის იყო, გალახულისთვის ფერდში უნდა ჩაეცა, რომ რაულმა სამბოს ისეთი ილეთი ჩაუტარა თავდამსხმელს, რომ იგი ერთბაშად დაასკდა ასფალტს, მალე მეორეც გვერდში მიუწვინა. მერე ორივე ბორკილებით გადააბა ერთმანეთს და წამოდგომა უბრძანა. თუმცა ვიღას ჰქონდა ფეხზე ადგომის თავი. როდის-როდის, წამოიმართნენ მოჩხუბრები და როცა მათ მძლეველში სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი იცნეს, ზიზღით მიუგდეს:

— წაგვიყვანე მილიციაში. ერთი ვნახოთ, რას გამორჩები. ჩვენ ძმაკაცურად ვარჩევდით ჩვენს საქმეს. ეს დასაკეცი დანაც მაღაზიაშია ნაყიდი. შემცდარხარ, თუ გგონია, რომ ძმაკაცს დავარტყამდით. მოდი, წაგვიყვანე, ჩვენი ფეხით მოვდივართ...

რაული ახალბედა მილიციელი იყო, მაგრამ არც ისე გამოუცდელი, მათი ყოყლოჩინობის მიზეზს რომ ვერ მიმხვდარიყო. იცოდა, ერთსაც და მეორესაც გალახულისგან „ჩაშვება" არ ადარდებდათ. ამ უბედურმა აკი იქვე დაადასტურა, — ისე რა, ჩვენთვის ვჩხუბობდითო. მიიყვანდა ახლა ამათ მილიციაში და იქაც იმავეს გაიმეორებდნენ და მორიგე ოფიცერს სასაცილოდაც არ ეყოფოდა რაულის თავგამოდება. პატაკში კი ჩაწერდა, მეწყვილე თან არ ახლდაო. ასე რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, მეგობარს გასცემდა. ამიტომაც ბევრი აღარ უფიქრია, დასაკეცი დანა გაზონებში მოისროლა, მოჩხუბრებს ხელბორკილი ახსნა და კინწისკვრით გაყარა, გალახული კი დილამდე თავისთან დაიტოვა. ე მანდ კიდევ არ გადაეყარონ და ვაითუ, მე ვეღარ მივეშველოო...

ეს ამბავი 1975 წლის ზაფხულში მოხდა. მას შემდეგ ოცი წელი ისე გავიდა, ის გალახული არსად შეხვედრია. სიმართლე რომ ითქვას, აღარც ახსოვდა, რადგან ოც წელიწადში იმდენმა ავაზაკმა თუ ჩაგრულმა გაიარა მის თვალწინ, აბა, სადღა დარჩებოდა მის მეხსიერებაში ადგილი ამ უმნიშვნელო შემთხვევისთვის. თუმცა, სწორედ ოცი წლის შემდეგ გაირკვა, რომ ბედისწერა მაინც გაახსენებდა ამ შემთხვევას...

## ინფორმაცია განსჯისათვის

ჯოჯოხეთი ტრიალებდა გურიაში 1992-98 წლებში. როგორც კი ქვეყნის სისუსტე იგრძნეს, აქაურმა არაკაცებმა ფირალობა გაიხსენეს და თავისიანებს დაერივნენ.

ოთხმოცდაათიანი წლების კრიმინალური ჯოჯოხეთი ყველაზე დიდხანს გურიაში გაგრძელდა. იმ წლებში გურიაში ბანდიტებთან ბრძოლაში დაიღუპა 21 და დაიჭრა პოლიციის 28 თანამშრომელი. ძალზე დიდი ციფრია ეს პატარა რეგიონისათვის, კერძოდ კი ოზურგეთისთვის.

პირველი, რომელიც ბანდიტებმა ჯერ დაჭრეს, ხოლო ორიოდე კვირის შემდეგ მოკლეს, ოზურგეთის სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი ნუგზარ ტყემალაძე. ორი კვირის შემდეგ ბანდიტებთან შეტაკებისას დაიღუპა ოზურგეთის პოლიციის უფროსი, იური სიორიძე და უფროსი ინსპექტორი ნუგზარ სეფერთელაძე. მძიმედ დაიჭრა პოლიციის ხუთი თანამშრომელი. კიდევ რამდენიმე ხუთი კვირა და მოკლეს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი, ავთანდილ გობრონიძე.

თებერვალში, ღამით, ავტომატებით მანქანაში ჩაცხრილეს შემოვლაზე გასული ჯგუფი: შოთა სანიკიანი, სოსო ნიკოლაიშვილი, არკადი ხაბულიანი და ვანო ბორჩხაძე, მაისში — შოთა თავდგირიძე და მაიზერ ჯანხოთელი. იმავდროულად, ბანდები გურიაში კოლეგების დასახმარებლად ჩასულ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზეც ნადირობდნენ. ერთ-ერთი ბანდის ხელმძღვანელმა ზაზა თედორაძემ, მეტსახელად „ფირალამ", ავტომატით ჩაცხრილა უფროსი ინსპექტორი თამაზ რუხაია. მანვე სასიკვდილოდ დაჭრა ოზურგეთში მივლინებული რუსთაველი პოლიციელი.

ასეთ ვითარებაში გურიაში მივლინებით გაემგზავრა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი რაულ შველიძე თავის ხუთ თანამშრომელთან ერთად. ოზურგეთის პოლიციის ახალდანიშნულ უფროსს, ვიქტორ გობრონიძეს თანადგომა სჭირდებოდა. რაიონში ჩავიდა სამინისტროს სპეციალური წარმომადგენელი, პოლკოვნიკი გენადი გიორგაძეც.

## წმენდა

ბანდიტები დიდად არ შეუშფოთებია ოზურგეთში სამინისტროს წარმომადგენლების ჩასვლას — ეგენი შიშით თბილისის ქუჩებში ვერ გამოსულან და ახლა აქ უნდა დაამყარონ წესრიგი? დღეს თუ არა, ხვალ მაგათაც ამოვჟუჟავთ აქაურებივით. ვნახოთ, რა ბიჭები არიან? — იმუქრებოდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ანგარიში მათ სასარგებლოდ იყო. ჩამოსულები კი შენობაში ჩაიკეტნენ და რამდენიმე დღე გარეთ გამოსულებიც არავის უნახავს.

— ვითომ ჩვენი აბდლები არ გვეყოფოდა, ახლა მაგენი რომ არ მიმატებოდენ ზედ? — ჩიოდნენ ბანდების თარეშით შეჭირვებული გურულები, რომლებიც თავდაპირველად თითქოს თანაუგრძნობდნენ კიდეც ფირალებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც საკუთარ თავზე იწვნიეს მათი ავკაცობა, სამართალდამცველებისკენ იშვერდნენ ხელს. მართლებიც იყვნენ, იმ სისხლის მიუხედავად, რომელიც ოზურგეთის პოლიციამ ბანდიტებთან ბრძოლაში გაიღო, ისეთებიც იყვნენ, ბანდიტებს რომ ედგნენ გვერდით. პოლიციის შენობაში სიტყვას ვერ იტყოდი, ერთ-ორ საათში ბანდიტებს რომ არ გაეგოთ.

იმ საღამოს სამი კაცი განმარტოვდა პოლიციის უფროსის კაბინეტში.

— აშკარაა, შიგნით გამცემები გვყავს. ამიტომ გადავწყვიტე ოპერაციები ძალზე ვიწრო წრეში დავგეგმო, — უთხრა პოლიციის უფროსმა შველიძესა და გიორგაძეს.

— ჩვენც ასე ვფიქრობთ, ბოლოს და ბოლოს, ამ გარეწრებმა როგორ უნდა გვაჯობონ! — სიტყვა შეაშველა რაულ შველიძემ და გენადი გიორგაძეს გახედა.

— კი, ასე უნდა მოვიქცეთ, მაგრამ იქნებ ჯობდეს, ჯერ ყველაფერი გავაანალიზოთ, ინფორმაციის მოპოვებაზე ვიზრუნოთ და მერე მივიტანოთ იერიში, თორემ სხვაგვარად ამათ ვერ მოვერევით, მეტისმეტად ბევრნი არიან, — დაასკვნა გენადიმ.

ათი დღე თითქოს მიიძინესო. ჩამიჩუმი არ ისმოდა პოლიციის შენობიდან. ამ დუმილმა უფრო შეაშფოთა დამნაშავეები, — გაურკვევლობა ხომ ხშირად შიშს წარმოშობს. თუმცა მალე თავი დაიარხეინეს და ისევ ძარცვა-ყაჩაღობას მიჰყვეს ხელი.

პოლიციაში ყველაფერი აწონ-დაწონეს, ბანდების შემადგენლობებიც დააზუსტეს და მოქმედებას შეუდგნენ. ოპერაციაზე ისე გადიოდნენ, ოპერმუშაკებმა არ იცოდნენ, სად მიდიოდნენ და რა ელოდათ.

იმ ღამესაც ასე მიადგნენ ქალაქის განაპირას მდგარ სახლს. გაუკვირდათ ოპერმუშაკებს — ყველამ იცოდა, რომ ამ სახლში მარტოხელა დედა ცხოვრობდა თავის მცირეწლოვან შვილთან ერთად. სახლს რამდენიმე წამში დაარტყეს ალყა. ამჯერად აქ თბილისელები ჭარბობდნენ. ეშინოდათ ადგილობრივებიდან არავინ გვიღალატოსო, მაგრამ ამჯერად საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ. წყაროს ინფორმაციით, სახლში ბანდიტური ჯგუფის მეთაურები, ცეცხლაძე და შარაშენიძე ათევდნენ ღამეს.

რაულმა და ვიქტორმა ათკაციანი ალყა ისე განალაგეს, რომ ბანდის მეთაურებს უკანა კარიდან გასასვლელი დაუტოვეს, თუმცა სახლიდან მოშორებით, იქითაც ჩასვეს თბილისელი კოლეგები, რადგან თუ სროლაზე მიდგებოდა საქმე, სახლში დამნაშავეთა ლიკვიდაცია გაჭირდებოდა დედა-შვილის გამო. საჭირო იყო მათი გამოტყუება და ასეც მოხდა.



პოლიციელთა მეგაფონით მოთხოვნას — წინააღმდეგობას აზრი არა აქვსო — უაზროდ სროლას მიჩვეულმა ბანდიტებმა ავტომატის გრძელი ჯერით უპასუხეს. პოლიციელთა ნასროლი ტყვიები მხოლოდ სახურავს ხვდებოდა. ბანდიტებმა ისიც შენიშნეს, რომ სახლის უკანა მხრიდან არავინ ისროდა. ერთხელ კიდევ დააყარეს ტყვიები ღამის სიბნელეს და სახლის უკანა კარს მიაშურეს.

— ვაიმე, რაულ, დამჭრეს ამ ოხრებმა... — უცებ ამოიგმინა ლუდვიგ აბრამიანმა. რაული მიხვდა, ჭრილობა მძიმე იქნებოდა, პატარა განაკაწრისთვის ამხელა ვაჟკაცი არ დაიწუწუნებდა.

ცოტაც და სახლიდან მოშორებით ერთდროულად აკაკანდა ორი ავტომატი. ორივე ბანდიტი უსულოდ დაეცა მიწაზე. იმავე წამს მათგან დაჭრილმა ლუდვიგ აბრამიანმაც მეგობრების მკლავებზე დაასრულა სიცოცხლე.

## ჩინოსანი ბანდიტები

ქართველებით სავსე ავტობუსმა სტამბოლიდან გურიამდე მშვიდობიანად გადმოკვეთა თითქმის სამი ათასკილომეტრიანი გზა და არსად არავის მოსვლია აზრად მისი გაჩერება. მაშინ კი, როცა ორი დღე-ღამის უძინარმა მგზავრებმა თავი შინ დაიგულეს, ურეკთან არმისულები, ზედ შეკვეთილთან გააჩერეს ავტოინსპექტორებმა. კი ეცადა თურქი მძღოლი არ დამორჩილებოდა მათ მოთხოვნას, მაგრამ გზა ისე ჰქონდათ ჩახერგილი მსუბუქი მანქანით, რომ გვერდის ავლა ვერ მოახერხა. ავტობუსში შესვლისთანავე „ინსპექტორებმა" და მათთან მყოფმა ერთმა რიგითმა ლაბადების ქვემოდან ავტომატები დააძრეს და მგზავრები და მათი მძღოლები ისე გაძარცვეს, სახლებამდე მისასვლელი ფულიც არ დაუტოვეს. იმავე ღამეს სამეულმა სამი მანქანა გაიტაცა და მოგვიანებით მათვე დაუმტკიცდათ ორ ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა. ბანდის ლიდერი თენგიზ ჩავლეიშვილი, მეტსახელად „ჩოფჩოფა", თბილისში დააკავეს და ჩვენთვის ცნობილი დანაშაულების გარდა, კიდევ 28 ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმასა და ადამიანის გატაცებაში წაუყენეს ბრალი, ხოლო ნამდვილი პოლიციელები, სამტრედიის საგზაო პოლიციის ინსპექტორი ბადრი ცეცხლაძე და გიზო მეფარიშვილი იქვე, სამტრედიაში, საქონლის ფერმაში აიყვანეს. იმ დღეებში სოფელ დვაბზუსთან სვანიძის ბანდასთან შეტაკება მოუხდა ვიქტორ გობრონიძეს, მას მხოლოდ ორი თანამშრომელი ახლდა: მისივე მოადგილე და მძღოლი მილიციელი. ბანდიტები ხუთნი იყვნენ: ნოდარ სვანიძე, თემურ მამალაძე, თედო ჭანიშვილი, გოჩა ანთიძე და დავით დარჩია. პოლიციელებმა იმარჯვეს და ბანდიტებმა გაქცევით უშველეს თავს. შუაღამისას კი პოლიციამ სოფელ ბაილეთში დააკავა გზად მიმავალი კახა თედორაძე. მას ამ დროს თან ჰქონდა ავტომატი ოთხი მჭიდით, სამი ხელყუმბარა და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი „მუხა". ამ კაცს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული 49 შეიარაღებულ თავდასხმაში, ადამიანების გატაცებასა და ფულის გამოძალვაში. პოლიციასთან შეიარაღებულ შეტაკებაში ლიკვიდირებულ იქნა ბანდიტი ალექსანდრე ართილაყვა.

ბანდიტთა თარეშმა თითქოს იკლო, მაგრამ ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდა ნოდარ სვანიძის ბანდა, რომელმაც მოგვიანებით სოფელ ძიმითის ცენტრში თავის მეგობრებთან, გიორგი კილაძესა და ზაზა ქავთარაძესთან ერთად მანქანაში ჩაცხრილა ოზურგეთის რაიონის პოლიციის სიხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი რევაზ მალაყმაძე და ყოფილი პოლიციელი მამია ქართველიშვილი.

ორი თვის შემდეგ ოპერატიული ჯგუფი, აკაკი ნაკაიძის ხელმძღვანელობით, სოფელ ქვემო ბახვთან პირდაპირ შეება სვანიძის ბანდას. ადგილზე გაანადგურეს ბანდის წევრი გიორგი კილაძე. მძიმედ დაჭრეს ბანდის მეთაური ნოდარ სვანიძე, რომელიც სხვა გადარჩენილმა ბანდიტებმა გაარიდეს ბრძოლის ველს. საუბედუროდ, აქეთა მხარესაც იყო მსხვერპლი. დაიღუპა სპეცდანიშნულების რაზმის ახალგაზრდა მებრძოლი გიორგი შეყილაძე.

მოგვიანებით კვლავ მოხდა რამდენიმე შეტაკება სვანიძის ბანდასთან. ერთ-ერთი ასეთი შეტაკებისას დაიღუპა ახალგაზრდა პოლიციელი ნუგზარ შალიკავა. მძიმედ დაიჭრა ბანდიტი გელა მინდაძე. სულ მალე სოფელ დვაბზუში ლიკვიდირებულ იქნა ბანდის წევრი ლევან ჟღენტი. რკალი ვიწროვდებოდა. სვანიძის ბანდა დანებებას არ აპირებდა...

## შეხვედრა ოცი წლის შემდეგ

გაუჭირდათ თბილისელ ბიჭებს უწყლო და უშუქო ოზურგეთში, ოჯახიდან შორს.

— ორი დღე გვეყოფა, ვიქტორ, დღეს წავალთ და ზეგ საღამოს ჩამოვალთ. იმედია, ისეთი არაფერი მოხდება, უჩვენოდ რომ ვერ გაართვათ თავი, — თანხმობის ნიშნად გობრონიძე რაულს გადაეხვია და მანქანებამდე მიაცილა მეგობრები.

ექვსნი იყვნენ ორი „ჟიგულით". ბინდდებოდა, მელექედურს რომ უწიეს, იქამდე არც ერთი მანქანა არ შეხვედრიათ. თუმცა ეს სულაც არ აკვირვებდათ.

— შეხედე, რაულ, სასწაული თუ გინდა ესაა. აქაურ ინსპექტორებს გზაზე გამოსვლა გაუბედავთ და მგონი გვაჩერებენ კიდეც, — ჩაილაპარაკა საჭესთან მჯდომმა დათო ღუდუშაურმა და ის იყო, მანქანა უნდა გაეჩერებინა, რომ ფარების შუქზე ავტომატმომარჯვებული დამხვდურების სახეებზე ნიღბებს მოჰკრა თვალი. იმავე წამს რაულმაც შენიშნა ნიღბოსნები და ხელი წაჰკრა დათოს — ისე გააკეთე, თითქოს აჩერებ და მერე ერთბაშად გაქანდი. შეეცადე საჭის ქვეშ ჩაიმალოო — თვითონაც ღრმად ჩაეშვა სავარძელში და ავტომატი ბანდიტებისკენ მიმართა. ისინი შვიდნი იყვნენ.

დამხვდურები მოთმინებით ელოდნენ მანქანის გაჩერებას, მაგრამ როცა ერთბაშად მოსწყდა იგი ადგილიდან, ცეცხლი გახსნეს. რაულიც ისროდა, თუმცა დამიზნების გარეშე, რადგან მანქანიდან თავის ამოყოფის საშუალება არ ჰქონდა. წამიც და მეორე მანქანაც მოადგათ უკნიდან. მასში ოთხნი ისხდნენ. რაულს ესენი უფრო ადარდებდა. სიმრავლის გამო მანქანაში ჩამალვას ვერ მოახერხებდნენ და ეს გარეწრები დახოცავენო, მაგრამ დათო ჯელიძემ, შოთა მწარიაშვილმა, კაჭარავამ და ხვიჩამ ისე სწრაფად აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას, ისეთი ცეცხლი გაუხსნეს ბანდიტებს, რომ ისინი ფორთხვით გაეცალნენ სროლის ადგილს. მათ ადგილას ახლა დაცლილი ვაზნები და მიტოვებული ნაყაჩაღარი მანქანალა დარჩა. რაულმა იმ ტყიანი ადგილის ბლოკირება ბრძანა, სადაც ბანდიტებმა შეაფარეს თავი. ერთი კაცი ოზურგეთში გაგზავნა — იქაური პოლიციის დახმარებას ითხოვდა.

ღამე თანდათან იკრებდა ძალას. ტყიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. არადა რაულმა იცოდა, ბანდიტები ამ ჯაგნარში შორს ვერ გააღწევდნენ, სადღაც აქვე იქნებოდნენ შეფარებულნი. სუნთქვაშეკრული აყურადებდა გარემოს. უეცრად, რაღაც თბილი იგრძნო მარჯვენა ფერდქვეშ. ხელი მოისვა, ერთიანად დასველებოდა პერანგი და შარვლის სათავე. მიხვდა, ეს სისხლი იყო, — მაშასადამე, დაჭრილი ვარო, დაასკვნა და მაისური გაიხადა, რამდენიმე ფენად დაკეცა, ჭრილობაზე დაიდო და ზედ ქამარი შემოირტყა.

ის იყო, საქმეს მორჩა, საფეთქელთან ავტომატის ლულის შეხება იგრძნო.

— კრინტი, თორემ აქვე გაგაგორებ... — მომხდურს კვლავაც ნიღაბი ჰქონდა ჩამოფარებული. რაულმა ინანა, ყურადღება ჭრილობის შეხვევაზე რომ არ გადამეტანა, ასე იოლად ვერ წამომეპარებოდაო. აღარც ავტომატი ჰქონდა ხელთ, ვიდრე ჭრილობას იხვევდა, გვერდზე გადადო და ახლა ასე ადვილად ვეღარ მისწვდებოდა. ჯერ კიდევ პირისპირ იდგნენ ბანდიტი და პოლკოვნიკი, რომ ქარმა ღრუბელი გადაყარა და მთვარის შუქზე განათდა რაულის სახე.

— რაულ შველიძე? — შეიცხადა ბანდიტმა. რაულს არ ესიამოვნა, რომ იცნეს. ამით კიდევ უფრო მძიმდებოდა მისი ახლანდელი მდგომარეობა. დამნაშავეთა სამყაროში მას ძალზე ბევრი იცნობდა. ისიც იცოდნენ, რომ მათ მიმართ დაუნდობელი იყო.

— ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს... — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა ბანდიტმა.

— და მით უარესი ჩემთვის, არა?

— მით უკეთესი შენთვის. სხვას არ დავინდობდი. შენ კი ჩემგან მხოლოდ მადლობას იმსახურებ, ახლაც, ოცი წლის შემდეგ.

— ვერ გავიგე... — ერთიანად დაიძაბა რაული. ბანდიტის სიტყვები სულაც არ ჰგავდა ხუმრობას.

— გახსოვს, ოცი წლის წინ, ბარნოვის ქუჩაზე, ერთს რომ ორი სცემდა. შენ რომ არა, დანას გამიყრიდნენ და ჩვენი ახლანდელი შეხვედრაც აღარ შედგებოდა. შენ იმ ღამით სიცოცხლე მაჩუქე, მე ახლა გიხდი იმ სიკეთის სამაგიეროს. ვინაობას ნუ მკითხავ, ერთი წყალწაღებული კაცი ვარ. მორჩა და გათავდა, — უცნობმა ავტომატი მხარზე მოიგდო და ტყეს შეერია.

P. S. მეორე დღეს იმ შვიდი ბანდიტიდან ხუთნი იქვე, ტყეში დააკავეს (ორი დაჭრეს) ოზურგეთელმა და თბილისელმა პოლიციელებმა.

დაკავებულთა შორის იყვნენ ვინმე მამუკა, ძეგვო, მერაბი, გოჩა, ყინჯო. რომელი იყო რაულის ნაცნობი, რომელმაც სამაგიერო სიცოცხლე აჩუქა, გამოცანად დარჩა.

ვაჟა გავაშელი



რუბრიკა „ვერსიის" რჩეული პუბლიკაციების კრებული კარგი საჩუქარია დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის!

ფასი 2.5 ლარი

# საქართველოს გერბი და ჰიმნი მწვანე დოლარი იქნება

## „არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცას ორმხრივი დარტყმა ჰქონდა ჩაფიქრებული...“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

მივესალმები პარტიული სისტემების ჩამოყალიბებას ქვეყანაში საარჩევნო ბლოკების გარეშე.

**— ლეიბორისტულ პარტიაში სხვა პარტიიდან გადმოსული ახალი სახეები გამოჩნდნენ. კიდევ ვინ იქნება თქვენთან ახალი?**

— ლეიბორისტულ პარტიას არ სჭირდება ახალი და პოპულარული სახეები. ჩვენ არასოდეს ჩაგვიწერია სიაში ისეთი ვინმე, რომელიც ენას ვერ ატრიალებს და პირში ცხელი კარტოფილი უდევს. ჩვენთან არის ცნობილი ხალხი, მაგრამ ჩვენთვის ისინი ახლები არ არიან, ჩვენი თანამებრძოლები არიან გოდერძი ჩოხელი, რეზო ჩხიკვიშვილი. ჩვენი ახალი თანაგუნდელი ჯონდი ამდენ ფულს? აქამდე რა გავაკეთეთო, იმას ვერ ამბობენ, მერე გაგიკეთებთო, გვპირდებიან. მერე ეს ხელის ჩამორთმევები ხავიერ სოლანასა და კიდევ ვიღაც-ვიღაცებისთვის ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, ვითომ ქართველები უნახავები ვიყოთ. ამით ვერ გაგვაკვირვებენ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველო სტალინის სამშობლოა, ჩვენ ვართ ერი, რომელმაც გაზარდა რუსეთის იმპერატორები, თურქეთის სულთნები, ირანის შაჰები, ეგვიპტის მმართველები, ახლა გავიგე, თურმე ერაყს 150 წელი ქართველები მართავდნენ. ვისაც ჩვენი გაკვირვება უნდა, პოეტის სიტყვებით ვეტყვი — „ვინ გაგვაკვირვოს, რამ გაგვაკვირვოს, ნადიდგორალი, ნაშამქორალი...“

**— როგორ არის თქვენი მძღოლი, რომელიც თავდასხმის შედეგად საავადმყოფოში მოხვდა?**

— აგვისტოში ორჯერ გახდა ლეიბორისტული პარტია ტერორისტული აქტის მსხვერპლი. 4 აგვისტოს ხელისუფლების მოგზავნილი შეიარაღებული მკვლელების ბანდა დაგვესხა თავს. ჩემი მძღოლი ტვინის ინფარქტის დიაგნოზით (დროშის ტარი ურტყეს თავში) ახლაც საავადმყოფოშია და ღვთის მადლით, ალბათ, გადაურჩება სიკვდილს. ორი პირადი მცველიც მკურნალობს. იმის ნაცვლად, შევარდნაძეს ეს ფაქტი დაეგმო, ჩემზე თქვა — ავი კაციაო. მე მომივარდნენ, დამარბიეს და კიდევ მე ვარ ავი და შავი?!

მეორე ტერორისტული აქტი სახლის სადარბაზოსთან მოხდა. მსხვერპლნი ისევ მძღოლი და დაცვის თანამშრომელი აღმოჩნდნენ. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ იძულებული ვარ... თავდამსხმელი სააკაშვილის დედის ბიძაშვილი იყო. არ დავაჭერინე, გავუშვი. ის კაცი კონსპირაციულად იყო ჩასახლებული ჩემს მეზობლად, ჩემი მარშრუტის კონტროლი ჰქონდა დავალებული. მანქანა რომ დაინახა, იფიქრა, ნათელაშვილიც იქ იქნება, ავტეხ დებოშს. გაშველების დროს მანქანიდან გადმოვა ნათელაშვილი, მოცვივდებიან სხვებიც, იქ ვიღაც დანას გაუყრის და ყველაფერი ეს გაფორმდება როგორც მეზობლებს შორის საყოფაცხოვრებო ჩხუბიო. ეს წინასწარ განზრახული და დაგეგმილი სცენარი იყო.

**— რატომ მოგიგზავნიდათ სააკაშვილი მაინცდამაინც თავის ნათესავს. გამორიცხავთ, რომ ვიღაც მესამე ცდილობდეს თქვენს წაკიდებას?**

— არ გამოვრიცხავ... შესაძლოა ვიღაცას ორმხრივი დარტყმა ჰქონდა ჩაფიქრებული... აშკარა ტერაქტზე ხელისუფლება ვერ მიდის იმიტომ, რომ ხალხი ქუჩაში გამოვა და შესაძლოა თვითმფრინავებამდე მისვლაც ვერ მოასწრონ. ამიტომ აირჩიეს საყოფაცხოვრებო ნიადაგზე კონფლიქტის დროს ჩემი მოცილება.

**— თქვენსა და თქვენი ოპონენტების შანსს როგორ შეაფასებთ არჩევნებზე?**

— ბარიერის გადალახვის შანსი აქვს ლეიბორისტულ პარტიას, სახელისუფლებო ბლოკსა და „აღორძინებას“, დანარჩენებს — არა. ეს რომ შეძლონ, რაღაც სასწაული უნდა გააკეთონ, რასაც ველარ მოასწრებენ.

> უსიამოვნო სიურპრიზს გვიმზადებს სამომავლოდ — ოლიგარქია, ანუ ფული დაეპატრონება საქართველოს. საქართველოს გერბი და ჰიმნი მწვანე დოლარი იქნება. გაიყიდება ყველა კანონი, ყველა პოლიტიკური ორიენტაცია, ყველა პოლიტიკოსი და ყველა პარტია. ეტყობა, საქართველოში კიდევ დარჩა გასაყიდი რაღაც, თორემ ასე არ იაქტიურებდნენ.

ბაღათურია ქართული პოლიტიკისთვის ახალი სახე არ არის. ის კორუფციასა და სოციალურ უსამართლობას კარგა ხანია ებრძვის და ამიტომ იდეოლოგიურად „ჩვენი“ იყო...

**— და ამიტომ შეიყვანეთ სიაში?**

— არა, სიაში არ შეგვიყვანია, გასულ კვირას ის ლეიბორისტული პარტიის წევრი გახდა. ჩვენ არც გვქონია სიაზე ლაპარაკი. ჟვანიას ერთ-ერთმა გაზეთმა წამოიწყო შავი პიარი — შალვა ნათელაშვილმა ლევან მამალაძის თანამშრომელი — ლელა რაზიკაშვილი ჩასვა სიაშიო. ვაჟაფშაველა მენათესავება, ლელა მისი შთამომავალია. იმის გამო, რომ ჟვანიასა და ვიღაცებს პიარის აგორება სურთ, ნათესავებს ვერ დავკარგავ. მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ ნათესავს აუცილებლად ჩავსვამ სიაში, თუ მას სხვა პოლიტიკური პოზიცია უკავია. ლელა სხვა პოლიტიკურ პოზიციაზეა და ის ლეიბორისტული პარტიის სიაში არ იქნება.

**— უკვე ირონიას იწვევს პოლიტიკოსების მცდელობა, წინასაარჩევნოდ ცალკეულ სფეროებზე აიღონ მონოპოლია და ხალხის მოჭირნახულედ მოგვაჩვენონ თავი.**

— ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმოთ. რასაც გიპასუხებთ, უთუოდ დაბეჭდეთ, — ლეიბორისტული პარტია დაკავებულია საქმით. ერთადერთი პარტია ვართ, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მხარს არ გვიჭერს, კონკრეტული საქმეები გააკეთა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ დენის გაიაფებული ტარიფი აღარ გაეძვირებინათ. ამისთვის რაო „ეეს როსიას“ შენობასთან მივარდნა და შტურმის განხორციელება დაგვჭირდა. 1-ელი სექტემბრიდან მთელ საქართველოში შემოვიღეთ უფასო განათლება, რამდენიმე დღის წინ კი მივაღწიეთ იმას, რომ მეომრებისა და ინვალიდებისთვის ელექტროენერგიაზე გაუქმებული შეღავათი აღგვედგინა.

**— თქვენი კოლეგების პოლიტიკურ კლიპებზე რას იტყოდით, მოგწონთ?**

— იმიჯმეიკერი რომ ვიყო, ან მათთან ვმეგობრობდე, ასეთი კლიპების დამზადებას არ ვურჩევდი. ამ კლიპებით ანტირეკლამას იკეთებენ. ხალხმა იცის, რომ 1 წუთი საეთერო დროის ყიდვა 2.000 დოლარი ღირს, დღეში კი დაახლოებით 10-15 წთ მაინც გადის ეს კლიპი. საიდან იხდიან

*იზო რიკაძე*

# ვინმემ თუ საბარგულის კლიტეს მოხსნა შემოგთავაზათ...



## აპარატურით შეიარაღებულ მანქანის ქურდებს კონკურენციას აფერისტები უწევენ

ავტომობილების ქურდები უცხოურ მანქანებზე ნადირობას წარმატებით აგრძელებენ. ერევნის, ცხინვალისა და აფხაზეთის შავ ბაზრებზე იმდენად დიდია მოპარულ მანქანებზე მოთხოვნილება, რომ სამართალდამცველების ბრძოლამ ქურდების წინააღმდეგ, ჯერჯერობით, ნაყოფი ვერ გამოიღო. საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, „ინომარკების“ მოპარვა-დაყაჩაღება ყოველდღიურ მოვლენად იქცა.

შსს-ს მაღალჩინოსნები თავიანთი მუშაობის წარუმატებლობას გაუკონტროლებელი ტერიტორიებისა და იქ მოსახვედრი გზების სიმრავლით ხსნიან. მათი ინფორმაციით, არსებობს ასობით გზა, რომელთა საშუალებითაც ისე შეიძლება მოხვდე დასავლეთისა თუ აღმოსავლეთისაკენ მიმავალ ტრასაზე, რომ არც ერთი პოლიციის ბლოკპოსტი არ გაიარო. ერთ-ერთი ასეთი შემოვლითი გზა რამდენიმე დღის წინ აღმოაჩინეს, სადაც პოლიციელებმა ავტომობილის ცნობილი გამტაცებელი აიყვანეს.

**თემურ ანჯაფარიძე**, შსს-ს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსი:

— ჩვენმა ოპერატიულმა ჯგუფმა დააკავა ზუგდიდელი გიორგი ესიავა, რომელმაც თემქის მე-11 მიკრორაიონში, ღამით, გატეხა მოქალაქე ვალერი ჯაჯვანის ავტოფარეხი და „მერსედესის“ მიკროავტობუსი გაიტაცა. ესიავა გლდანის მე-7 მიკრორაიონში, დილის 5 საათზე გადააწყდა პოლიციის ოპერატიულ ჯგუფს, რომელიც შემოვლით სამუშაოს ასრულებდა. პოლიციელები რომ დაედევნენ, მანქანა მიატოვა და გაიქცა. მისი დაკავება მაინც მოახერხეს. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ესიავა საშიში და მაღალი „რანგის“ დამნაშავეა. მას მოპარული მანქანები აფხაზეთში გადაჰყავდა. ზუგდიდელი კაცია, ჩამოვიდა თბილისში, მოიპარა მანქანა და აფხაზეთში გადაიყვანა. წადი და ეძებე მერე მოპარული მანქანა.

**— თუ „მერსედესი“ თემქის მე-11 მიკრორაიონში მოიპარა, გლდანის მე-7 მიკრორაიონში რაღა უნდოდა?**

— დასავლეთის მიმართულებით ჩვეულებრივი გზით რომ წასულიყო, დიღმის ბლოკპოსტზე აუცილებლად გააჩერებდნენ. ამიტომ ცდილობდა გლდანის მე-7 მიკრორაიონიდან, ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიიდან მოხვედრილიყო ცენტრალურ ტრასაზე. იქიდან გზა უკვე ხსნილი ექნებოდა. ასეთი ადგილები ძალზე ბევრია და მათი გადაკეტვა შეუძლებელია. მხოლოდ გლდანში რვა ადგილას უნდა იყოს მუდმივი საგუშაგო, რათა შემოვლითი გზები გადაიკეტოს. თბილისში კი მათი რაოდენობა უამრავია და გადაკეტვა, პრაქტიკულად, გამორიცხულია...

რამდენად საპატიო მიზეზია შემოვლითი გზების სიმრავლე, ძნელი სათქმელია. ერთი რამ ფაქტია, ასეთი გზების სიმრავლე იმ ქურდებისთვის მისწრებაა, რომლებიც დღითი დღე ვირტუოზულად ხვეწენ მანქანის მოპარვის ტექნიკას და შიშის ზარს სცემენ უცხოური მანქანების მფლობელებს.

„კვირის პალიტრა“ უკვე წერდა, რომ ამ ცოტა ხნის წინ ქურდებმა მოსკოვიდან 15 ათას დოლარად ღირებული აპარატურა ჩამოიტანეს, რომელიც თითქმის უპრობლემოდ ხსნის ნებისმიერი ავტომობილის საიდუმლო საკეტს. მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობენ იმ კატეგორიის ქურდებიც, რომლებიც აპარატურის შეძენითა და ავტოფარეხების გატეხით თავს არ იტკივებენ და პრიმიტიული აფერით აღწევენ სასურველ მიზანს.

ერთ-ერთი ასეთი აფერის თვითმხილველი ამ წერილის ავტორიც გახდა — მეტრო „ახმეტელის“ ბაზრობასთან ახალგაზრდა მანდილოსანი მაღაზიიდან გამოვიდა და საკუთარ „ოპელ-ვექტრაში“ ჩაჯდა. ის იყო, მანქანა დაქოქა, რომ მოულოდნელად ახალგაზრდა მამაკაცი მიუახლოვდა და უთხრა: შენი საბარგულის კლიტეს მოვხსნი, ძალიან მჭირდება და ნახევარ საათში დაგიბრუნებო. პასუხს არც დალოდებია, საბარგულთან მივიდა და საკეტს წვალება დაუწყო.

ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა მძღოლი მანდილოსნისთვის, რომ დაქოქილი მანქანა მიატოვა, გადმოხტა და ჩხუბი დაუწყო საბარგულის საკეტის მოხსნით დაკავებულ მომხდურს. ვიდრე ურთიერთობას არკვევდნენ, მანქანას მეორე პირი მიუახლოვდა, გააღო, სავარძელზე დადებულ ხელჩანთას ხელი დაავლო და გაიქცა. მასვე მიჰყვა მძღოლთან მოჩხუბარი მამაკაციც. მძღოლიც და იქ შეკრებილი ხალხიც მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდნენ, რომ მთელი ეს აფერა საფულის ხელში ჩასაგდებად გაითამაშეს.

„იმ ქალს გაუმართლა, რომ მანქანა არ წაიყვანეს, — გვითხრა შემთხვევის ადგილზე მოსულმა პოლიციელმა, — მანქანა დაქოქილი დაუტოვებია, რა შეუშლიდათ ხელს, რომ წაეყვანათ? ეტყობა, ესენი წვრილმანი ქურდები იყვნენ და მხოლოდ საფულეებზე ნადირობდნენ. არადა, ხშირად სწორედ ასეთი ხერხით მიჰყავთ მანქანები. სხვა მეთოდებიც აქვთ დამუშავებული. მაგალითად, შუქნიშანთან გაჩერდება „ინომარკა“. თუ მძღოლი მარტოა, ვინმე მიუახლოვდება და ან შეაგინებს, ან წყალს შეასხამს. ერთი სიტყვით, პროვოცირებას უკეთებს, რათა მძღოლი მანქანიდან გადმოხტეს და ჩხუბი დაიწყოს. ამ დროს, როგორც წესი, მძღოლებს გასაღების გამოძრობა ავიწყდებათ და მანქანას დაქოქილს ტოვებენ. ამასობაში, მეორე საჭეს მიუჯდება და მშვიდობით...“

*დათო დევიძე*

# როდემდე ვიქნებით წყვდიადში?

## „თქვენ პირველი იქნებით, ვინც ამ ენერგომაქინაციას გაამხელს...“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

**— თქვენ საბითუმო ბაზარს იმაშიც ადანაშაულებთ, რომ ხელს გიშლით მომწოდებელთან პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებაში.**

— მართალია. ზესტაფონში ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობას შევთავაზეთ, რომ ყოველთვიურად 10 მილიონ კვტ/სთ-ს მივაწვდიდით. დაგვთანხმდნენ, მაგრამ მერე უარი გვითხრეს იმ მიზეზით, ფეროს თვეში 36 მილიონი კვტ/სთ სჭირდებაო. საბითუმო ბაზარმა ფეროს უთხრა, თუ „შაორჰესიდან“ ენერგიას მიიღებ, მაშინ ბაზრიდან დანარჩენ ენერგიას არ მოგაწვდიო და აიძულა, უარი ეთქვა ჩვენს წინადადებაზე. საქმეში სამხარეო ადმინისტრაცია ჩავრიეთ და გადაწყდა, რომ იმერეთის ყველა ჰესს მიეწოდებინა ფეროსათვის საჭირო 36 მლნ კვტ/სთ. რაოდენობა ყველამ გადავინაწილეთ: ჩვენ და „გუმათჰესი“, თითოეული, თვეში 7,2 მილიონს მივაწვდიდით ფეროს; „რიონჰესი“ და „ვარციხეჰესი“ 10,8 მლნ კვტ/სთ-ს თითოეული. გარდა ამისა, ნაწყენს არც საბითუმო ბაზარს დავტოვებდით, — დანარჩენ გამომუშავებულ ელექტროენერგიას სისტემას მივაწვდიდით, მაგრამ ზოგიერთი მაღალჩინოსნის ჩარევის შემდეგ საქმე ჩაიშალა. არადა, ეს პროექტი რომ განხორციელებულიყო, მხოლოდ „შაორჰესი“ ფეროსთვის მიწოდებული 7,2 მილიონი კვტ/სთ-ისთვის სახელმწიფოს წლიურად 344 ათას მისცემდა, ხოლო იმერეთის ყველა ჰესი ნაცვლად 787 ათასი ლარისა, ბიუჯეტს ერთი მილიონ 720 ათასს შემატებდა... ყველაფერ ამას რომ თავი გავანებოთ, ზემდგომი ორგანიზაციების მიერ ნაკარნახევმა იძულებითი წესით გაფორმებულმა კაბალურმა ხელშეკრულებებმა (დაცვის პოლიციასთან, სადაზღვევო კომპანიასთან, აუდიტურ ფირმასთან) „შაორჰესი“, ისევე როგორც სხვა ელექტროსადგურები, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააგდო. ერთი სიტყვით, ყოველნაირად ცდილობენ ჰესების გაკოტრებასა და შემდეგ ნულოვან აუქციონზე მიზერულ ფასად მათ ხელში ჩაგდებას...

ვესაუბრებით „გუმათჰესის“ დირექტორს, **ვახტანგ კოზახიძეს**: „ძალზე წამგებიანია ჰიდროელექტროსადგურების დაბეგვრის მექანიზმი. მაგალითად, „გუმათჰესმა“ გამოიმუშავა 1.000 კვტ/სთ ელექტროენერგია და მიაწოდა სისტემას. საბითუმო ბაზარი მხოლოდ სისტემისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის 30%-ს გვიბრუნებს უკეთეს შემთხვევაში, ხოლო საგადასახადო ინსპექცია კი სისტემისთვის მიწოდებული მთლიანი ელექტროენერგიის საერთო ღირებულებიდან გვბეგრავს. არ გადავიხდით და ყადაღას დაადებენ ჩვენს ანგარიშებს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, რომლის საფუძველზეც ელექტროსადგურების ანგარიშები ყადაღას არ ექვემდებარება. ამის გამო ყოველთვიურად დიდი ჯარიმა-საურავები გვერიცხება... არ გვაქვს ტურბინების გასარემონტებელი თანხები. რასაც საბითუმო ბაზარი გვაძლევს, მხოლოდ ხელფასებსა და გადასახადების ნაწილის გადახდას უნდება. „გუმათჰესის“ სიმძლავრე 28 მეგავატი გახლავთ, მაგრამ იმის გამო, რომ ტურბინების სარემონტო თანხებს ვერ ვიღებთ, საქართველოს გაერთიანებულ ენერგოსისტემას მხოლოდ 12 მეგავატს ვაწვდით, ე. ი. მხოლოდ სამ ტურბინს ვამუშავებთ. თუ ასე გაგრძელდა, მალე სხვა ტურბინებიც გაჩერდება და მერე რაღას ვიზამთ. არადა, 20.000 ლარი რომ მოგვცა, ტურბინებს გავარემონტებდით და სისტემას უკვე 28 მეგავატს მივაწვდიდით...“

აი, ის მეორე მიზეზიც, თუ რატომ არის საქართველოში ენერგოკრიზისი.

*P. S. ენერგოკრიზისის გამომწვევი სხვა მიზეზებიც არსებობს. მათ შესახებ და იმას, თუ როგორ ხდება საქართველოს ენერგოსისტემაში ფულის გათეთრება, აგრეთვე ინტერვიუებს საქართველოს ენერგეტიკის ხელმძღვანელებთან, მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.*

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებს ურტყამენ(!)

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**— გამოძიება როგორ მიდის?**

— ჯერ ვერაფერს ვიტყვი. იმედს ვიტოვებ, გამოძიება ობიექტური იქნება. კანცელარიის შესასვლელ-



ნატა კიკნაძე

ში, სადაც ძალადობა მოხდა, დაყენებულია ვიდეოკამერები, ამოიღონ იქიდან ფირი, წარმოადგინონ გამოძიებაზე და ყველაფერი გაირკვევა. თუ ამას არ იზამენ, მაშინ გამოძიების ტენდენციურობაში ეჭვს შევიტანთ.

**— შარიქაძე თუ ნახეთ ამ ამბის შემდეგ?**

— არ გვანახვეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და შარიქაძე უნდა დაისაჯოს.

ჩვენ დაზარალებულსაც გავესაუბრეთ.

**— ლევან, რა დიაგნოზი დასვეს ექიმებმა?**

— მარცხენა თვალში სისხლჩაქცევა მქონდა, ვიმკურნალე, მოვირჩინე. რამდენიმე დღის გამოსული ვიყავი სამუშაოდ და ჩხუბის მერე იგივე დამემართა. ამჯერად 20%-ით დამიქვეითდა მხედველობა. ექიმებმა წოლითი რეჟიმი დამინიშნეს. საერთოდ ამ თემაზე საუბარი ძალიან მიჭირს. გაუწონასწორებელი ადამიანები სახელმწიფო დაცვის სამსახურში არ უნდა მუშაობდნენ. მე მისთვის არაფერი დამიშავებია, შეურაცხყოფა მომაყენა. შენიშვნა მივეცი — წესიერად მოიქეცი-მეთქი, მაგრამ...

**ნინო რატიშვილი** — წარმოიდგინეთ, რას უზამენ რიგით მოქალაქეს, ჩვენ რომ ასე გვექცევიან. თანაც სად, სუპერმარკეტში ან ბაზარში კი არა, სახელმწიფო კანცელარიაში.

*ეკა ლომიძე*

*„დმანისის ახალმა პალეოანთროპოლოგიურმა მონაპოვრებმა სრულიად შეცვალა ადრეული ადამიანის მიერ ევრაზიის კოლონიზაციის თარიღი. ამ აღმოჩენამ გააცამტვერა გავრცელებული ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, ჰომინიდების მიერ ევრაზიის ათვისება ქვის იარაღების განვითარებას თანხვდებოდა“.*

***ქეით ვონგი***
***„საიენტიფიკ ემერიკენი“***

*„მეცნიერებმა წარმოადგინეს უეჭველი მტკიცება იმისა, რომ ადამიანებმა აფრიკა დატოვეს სულ მცირე, 1.770.000 წლის წინ.“*

***„საიენსი“***

*„ორმა მარტივმა თავის ქალამ მსოფლიოს ყველა პრეისტორიკოსი საჯდომზე მოსვა“.*

***„ლიბერასიონი“***

# ისევ დმანისელი ევროპეიდი...

## აღმოჩენილია 1.800.000 წლის ადამიანი



რა საამაყოა, რომ ამ აღმოჩენის ავტორები ქართველი მეცნიერები არიან. მათ წელსაც წარმატებული არქეოლოგიური მონაპოვრებით გააოცეს მსოფლიო. ვესაუბრებით დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ბატონ **აბესალომ ვეკუას**.

— დმანისის უნიკალური ადგილსაპოვრის გათხრები გრძელდება.



შეხვედრა „წინაპართან“

როგორც შარშან და შარშანწინ, წლევანდელი ექსპედიციაც ამერიკის ნაციონალურმა გეოგრაფიულმა საზოგადოებამ და ლიკის ფონდმა დააფინანსეს. ორი თვის მანძილზე ინტენსიური გათხრები წარმოებდა დმანისში. მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტები. ჩვენ განებივრებული ვართ გასული წლების აღმოჩენებით და წელსაც ველოდებოდით ახალ მონაპოვრებს. მოლოდინი გამართლდა. იმავე შრეებში, საიდანაც შარშან და შარშანწინ ვიღებდით ჰომინიდების და განამარხებულ ცხოველთა ნაშთებს, ქვის იარაღებს, აღმოჩნდა ჰომინიდის ქვედა ყბა, რომელსაც მოხუცებულობის გამო არც ერთი კბილი აღარ აქვს შერჩენილი. ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იყო დიდი წვივის სრული ძვლის პოვნა, რადგან ამით შესაძლებელია დმანისელი ადამიანის სიმაღლის გამოთვლა. ნაპოვნია ასევე მცირე წვივის ძვალი, კოჭი. ამათ გვერდით აღმოჩნდა მარტორქის, სპილოს, ირმის, ხმალკბილა ვეფხვის ქვედა ყბები, კბილები, ძვლები.

**— ბატონო აბესალომ, იქნებ კიდევ ერთხელ გვიამბოთ დმანისის გათხრებზე, რომელმაც მსოფლიოში ამხელა რეზონანსი გამოიწვია...**

— როგორც ირკვევა, დმანისელი ადამიანი, რომელიც ჩვენი ვარაუდით, აფრიკის კონტინენტიდან არის შემოსული, აქ გავლით კი არ იყო, არამედ დაფუძნებული გახლდათ. ამისთვის მას ჰქონდა ყველანაირი პირობა: დახვდა შესანიშნავი, თბილი და რბილი ჰავა, ნადირით სავსე ტყე და ველი, წყალი — მდინარეების სახით, მასალა — ქვის სახით, რომელიც მდინარის კალაპოტში მოიპოვებოდა და რომლითაც იარაღს ამზადებდა... აქ ადამიანის დაფუძნებაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ვიპოვეთ ჩვილი ბავშვის კბილიც, 15-16 წლის ყმაწვილის თავის ქალაც, 25 წლის მამაკაცის თავის ქალაც და მოხუცი ადამიანის ქვედა ყბაც...

მეორე საკითხიც გაირკვა: აქ ცხოვრობდა სრულიად უკბილო მოხუციც კი და მას თანამოძმეები უვლიდნენ. თანაარსებობის ტრადიციები ალბათ მაშინაც იყო... დმანისური აღმოჩენა იმითაა უმნიშვნელოვანესი, რომ საბოლოოდ დადასტურდა: საქართველო მთელ ევრაზიაში ერთადერთი ადგილია, სადაც აღმოჩენილია ასეთი ადრეული, 1.800.000 წლის წინანდელი ადამიანი. ამ ადგილსაპოვრის უნიკალურობას განაპირობებს ის, რომ მცირე ფართობზე, გეოლოგიურად ერთ შრეში, აღმოჩენილია 4 თავის ქალა, 4 ქვედა ყბა, 13-14 იზოლირებული კბილი და 30-მდე ჩონჩხის სხვადასხვა ნაწილი. ასეთი იშვიათი აღმოჩენები ერთად და გეოლოგიურად ერთ შრეში, მთელ დედამიწაზე არსად გვხვდება, თვით აფრიკაშიც კი, რომელიც უძველესი ადამიანის სამშობლოდ ითვლება. იქ ათასობით ადამიანის ნაშთია ნაპოვნი, მაგრამ ყველა ფრაგმენტული, ერთმანეთისგან დაშორებულ ადგილებში. ხშირ შემთხვევაში მათი გეოლოგიური ასაკი დაუზუსტებელია. დასაწყისში უცხოელი სპეციალისტები ეჭვით უყურებდნენ ჩვენს აღმოჩენებს. ზოგი ფიქრობდა, რომ ის ადამიანი არ არის ისეთი ძველი, როგორსაც ჩვენ წარმოვადგენდით. ზოგი ფიქრობდა, ეს სიძველე გეოლოგიურად არ არის დასაბუთებულიო. დღეს ყველა აღიარებს, რომ ქართველი სპეციალისტების დასკვნები უეჭველია. ამ სპეციალისტებში წამყვანი იყო აკადემიკოსი ლეო გაბუნია, რომელიც, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის, დავით ლორთქიფანიძე და მე, ასევე არქეოლოგი მედეა ნიორაძე და ექსპედიციის ხელმძღვანელი ჯუმბერ კოპალიანი. ჩვენ გვერდით არიან ახალგაზრდები, რომლებიც 1991 წლიდან მონაწილეობენ გათხრებში და დიდი წვლილი მიუძღვით დმანისის აღმოჩენებში. როცა რაღაცას აღმოვაჩენდით და იმ დღეს ვერ ვახერხებდით ამოღებას, ახალგაზრდები ღამეს ათევდნენ, რომ ვინმეს შემთხვევით არ დაეზიანებინა.

**— „ზეზვამ“ და „მზიამ“ ძალიან გაითქვეს სახელი. ამბობენ, წლევანდელი აღმოჩენები მათზე უფრო ძველიაო...**

— ეს არ გახლავთ მართალი. როცა ორი თავის ქალა აღმოჩნდა, მათ ნანული შევარდნაძის თხოვნითა და წინადადებით დაერქვათ „ზეზვა“ და „მზია“. გეოლოგიური ასაკი ამ მონაპოვრებისა და მას შემდეგ აღმოჩენილი ადამიანის თავის ქალისა, არ იცვლება. ესენი გეოლოგიურად ერთ შრეშია მოთავსებული. შეუძლებელია მათი ასაკი უფრო ძველი აღმოჩნდეს, ვიდრე 1.800.000 წელია, იმიტომ, რომ ამ ძვლების შემცველ შრეს ქვემოთ უკვე ვულკანური ქანები უდევს. აღმოჩენილი თავის ქალების ასაკი დადგენილია, როგორც ბიოსტრატიგრაფიული, პალეომაგნიტური, ასევე რადიოლოგიური მეთოდებით. ვინც ეჭვობდა, იმ მეცნიერებმა თვითონვე მოისურვეს აქ ჩამოსვლა და ყოველივე ამის შემოწმება. 1995 წელს მე და ლეო გაბუნია ვიყავით ესპანეთში, ერთ-ერთ საერთაშორისო სიმპოზიუმზე. ჩვენთან ერთად იყო ამერიკელი სპეციალისტი კლარკ ჰოუველი, რომელიც დღეს პალეონტოლოგიის მამამთავრად ითვლება. ის ნამყოფია საქართველოში.



მითხრა: თქვენ ასაბუთებთ, რომ 1.800.000 წლის წინანდელი აღმოჩენები გაქვთ და მოდი, შევამოწმოთო. მართლაც, წაიღეს ნიმუშები. რამდენიმე თვეში მოგვივიდა მისი პასუხი: გილოცავთ, თქვენი დასკვნები სწორიაო.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები გაფინანსებენ, მონაწილეობენ თუ არა დამფინანსებლები ამ გათხრებში, როგორც თქვენი თანაბარუფლებიანი პარტნიორები, ანუ არიან თუ არა აღმოჩენის თანაავტორები?**

— მთელი ჩვენი აღმოჩენების დადებითი მხარე ისიც არის, რომ უმთავრესად ჩვენ, ქართველი სპეციალისტები, ვმუშაობთ ამ მასალაზე, არავის არაფერს ვაძლევთ. მთელი მონაპოვარი რჩება საქართველოში, სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიურ განყოფილებაში. ჩვენი ერთ-ერთი დამფინანსებელი, ლიკის ფონდი, დროდადრო აფინანსებს ჰომინიდების ადგილსაპოვებლების გათხრებს, უმთავრესად ამერიკაში და აფრიკაში. პირველი შემთხვევაა, რომ ის ევროპის ფარგლებში ეხმარება გათხრებს. მაგრამ დმანისი იმდენად საინტერესოდ მიიჩნია, ორი წელია ზედიზედ გვაძლევს თანხებს. ნაციონალურ გეოგრაფიულ საზოგადოებას კი მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს: პირველი ცნობები დმანისის აღმოჩენებზე, მას მივაწოდოთ. რასაც ვაკეთებთ კიდეც. მათ სამეცნიერო ჟურნალში 10 გვერდი დაეთმო დმანისის გათხრებს, წელსაც იყვნენ იქაური კორესპონდენტები. 2005 წლისათვის ამზადებენ დიდ რეპორტაჟს დმანისის გათხრებზე.

**— თქვენ ბრძანეთ, მოგვეცა საშუალება, გაგვერკვია დმანისელი ადამიანის სიმაღლეო. რა გაირკვა?**

— სავარაუდოდ, სიმაღლით, დაახლოებით 1,5 მეტრი უნდა ყოფილიყო, ორ ფეხზე დადიოდა, ქვის იარაღს აკეთებდა. დმანისელი ადამიანები ჯგუფურად ცხოვრობდნენ, ალბათ უმწეონი იყვნენ... მათ თანმხლებ ფაუნაში ძლიერი მტაცებლები არიან, როგორიცაა ხმალკბილა ვეფხვი, ავაზა, ეტრუსკული დათვი და სხვ.

**— ვიცით, რომ ბატონი დავით ლორთქიფანიძე პარიზშია, იქ მან პრემია მიიღო...**

— დავით ლორთქიფანიძემ მიიღო მონაკოს პრინცის პრემია, რომელიც ეძლევა პალეოანთროპოლოგიის სფეროში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერს. ამ პრემიის მისაღებად მიიწვიეს პარიზში და გადასცეს კიდეც.

**— გათხრები, ალბათ ისევ დაფინანსდება და გაგრძელდება.**

— რასაკვირველია, დმანისში გათხრები ალბათ არანაკლებ 10-15 წელი გაგრძელდება.

**— სად არის კიდევ ცნობილი ადრეული ადამიანის ადგილსამყოფელი?**

— საფრანგეთში არის სოფელი ტოტაველი, სადაც მღვიმე არაგოში ნაპოვნია ადრეული ადამიანის ჩონჩხი, ქვედა ყბა და კბილები, ქვის იარაღი, ცხოველთა ნაშთები. ტოტაველის აღმოჩენის „ასაკია“ 450.000 წელი. ასეთი ადგილსაპოვებელი ცნობილია იტალიაში, ესპანეთში. თითოეული მათგანი იჩემებდა, რომ ის იყო ყველაზე ადრეული ადამიანის — „პირველი ევროპელის“ — სამშობლო. მაგალითად, სოფელი ტოტაველი პატარა, კოპწია ქალაქს დაამსგავსეს. ყველა დიდ სახელმწიფოს დაამშვენებდა, ისეთი სამეცნიერო ცენტრი და მუზეუმი გახსნეს იქ. სოფლის შესასვლელში უზარმაზარი ტრანსპარანტი ეკიდა: „პირველი ევროპელი ტოტაველში ცხოვრობდა!“ ჩვენი აღმოჩენების შემდეგ მოხსნეს ეს ტრანსპარანტი. ახლახან, პარიზის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაცხადა: საქართველოში, დმანისში, აღმოჩნდა 1.800.000 წლის ადამიანი. ის არ არის არც ფრანგი, არც იტალიელი... ის ქართველიაო. სინამდვილეში მას ეროვნება, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა, უბრალოდ, საქართველოს მიწაზე ბინადრობდა პირველი ადამიანი ევრაზიაში. ეს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტია.

**— ბატონო აბესალომ, იქნებ საქართველოში, სხვა ადგილზეც შესაძლებელია უნიკალური მასალის მოპოვება, ალღო რას გკარნახობთ?**

— ყველაფერი შესაძლებელია.

**— უახლოესი გეგმების შესახებ რას გვეტყვით?**

— სიღნაღის რაიონში არის ერთი ადგილსაპოვებელი, ქვაბებს ვეძახით. ეს ხელოვნური გამოქვაბულებია, სადაც შუა საუკუნეების ადამიანები თავს აფარებდნენ; აქვე არის 2.500.000-3.000.000 წლის წინანდელი ადგილსაპოვებელი, მდიდარი ფაუნით. ამ ფაუნის 80% აფრიკული ცხოველია. იქ არის აღმოჩენილი ჰიირაქი, რომელსაც ქვაბების ჰიირაქი დავარქვით. ეს უცნაური ცხოველია, დაახლოებით კურდღლისხელა, ბინადრობს აფრიკასა და აბისინიაში. ისიც მხოლოდ კლდეებზე. ქვაბების ჰიირაქი კი დაახლოებით ჩვენი ძროხისხელა ყოფილა. საერთოდ, ეს ცხოველი იმდენად უცნაურია, რომ მეცნიერებმა მას ცალკე ჯგუფი გამოუყვეს. ეს ადგილსაპოვებელი 1960-იან წლებში გავთხარეთ. დღეს ისევ მივუბრუნდით. ახლა მეტი შესაძლებლობები გვაქვს და გულის კუნჭულში იმედიც გვიღვივის, იქნებ რომელიმე პრიმატის ნაშთი ვიპოვოთ ქვაბებში.

**— ეს სენსაცია იქნება!**

— რა თქმა უნდა...

**— წარმატებებს გისურვებთ „კვირის პალიტრისა“ და მისი მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით.**

***ლელა ჯიჯავაშვილი***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— ამბობენ, სახლში გველის მოკვლა ოჯახის კეთილდღეობაზე მოქმედებს, მისი ბარაქა ქრებაო. ეს ქრისტიანული შეხედულებაა?**

— ეს შეხედულება წარმართულ ტრადიციებთან არის დაკავშირებული და მას ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს — ეს ფაქტი ოჯახის კეთილდღეობაზე არ მოქმედებს. თუმცაღა, არსებობს ერთი ნიუანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ: ზოგჯერ ადამიანი გველებს, ჩიტებს თუ სხვა სულდგმულთ თავისი შინაგანი აგრესიის გამო ხოცავს და თავის არასრულყოფილ სამყაროს იმით ამართლებს, რომ ისინი ზიანს აყენებენ. ასეთ შემთხვევაში, სწორედ ამგვარი აგრესია უბრუნდება ცუდად პირადად მას და მის ოჯახს.

**— როგორ უყურებს ეკლესია ურწმუნო ადამიანის შესვლას ქრისტიანულ ტაძარში?**

— იესოსთან, მიწიერ ცხოვრებაში უამრავი ურწმუნო ადამიანი მიდიოდა, რჩევას სთხოვდა, ხელით ეხებოდა და კურნებას იღებდა. ტაძარი უფლის სხეულია და რატომ არ უნდა შევიდეს იქ ურწმუნო? ყველა ადამიანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ქრისტესთან მიახლოებისა, რათა შეიცნოს უფლის სიდიადე. მართლმადიდებლურ ტაძრებში ურწმუნოებიც შედიან და მოძღვართა საუბრებს ისმენენ. თუმცა, ამ ადამიანებს ეკრძალებათ საეკლესიო წესებში მონაწილეობა და ტაძარში ყოფნისას მოეთხოვებათ მოკრძალება და პატივისცემა ეკლესიისა და მისი მსახურების მიმართ.

**— ჩვენს დროში ღვთის სახელს ხშირად არაეკლესიურ გარემოში, თავყრილობებსა და პირადი საუბრების დროს მოიხსენიებენ. ამის გამო უსიამოვნო შეგრძნება მრჩება. როგორ უყურებს ეკლესია უფლის ასე წამდაუწუმ ხსენებას?**

— რაც უფრო ხშირად მოიხსენიებს ადამიანი ღვთის სახელს, მით მეტი მადლი შეემატება მას... მაგრამ უფლის ყოველ ხსენებას თავისი წესი აქვს — თუკი ღვთის მოხსენიება ადამიანს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად სჭირდება და საზოგადოებაზე საკუთარი აზრის თავს მოსახვევად, ეს ცოდვაა. უფალი ამბობს, — არა მოიღოთ სახელი ღვთისა შენისა ამაოსა ზედაო — ღვთის მოხსენიება არ შეიძლება მოკრძალების, შიშის და სიყვარულის გარეშე. ცნობილი ფაქტია, რომ ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიც ნიუტონი იყო, ღმერთს ფეხზე წამოდგომით ახსენებდა. საუბარში უფლის მოხსენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ღვთის სადიდებლად, მისი სახელისა და ნების განსამტკიცებლად.

**— ამბობენ, უფალი ეკლესიის აღმშენებელს ყველა ცოდვას შეუნდობსო. ახლა ძალიან ბევრი ტაძარი შენდება, ნუთუ ადამიანს ეს აძლევს იმის ნებას, რომ ცოდვები ჩაიდინოს?**

— თუ ადამიანი ვერ ითვალისწინებს იმას, რომ ეკლესია თავისი ცოდვების მონანიების მიზნით ააგო, არ ცდილობს შეცვალოს თავისი შინაგანი სამყარო, რა აზრი აქვს ეკლესიის მშენებლობას? ეკლესია არ არის ხარკი ღვთის წინაშე ადამიანის განუწყვეტელი ცოდვებისათვის. პირიქით, ტაძრის ამშენებელს უფრო მეტი მოეთხოვება ღვთის წინაშე, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს. ადამიანმა ჯერ საკუთარ სულში უნდა ააგოს ტაძარი, მთავარია წრფელი გული და არა შესაწირავის რაოდენობა. სამწუხაროდ, სიკეთეს ზოგჯერ დიდ და პატარა ნაწილებად ვყოფთ და გვავიწყდება ცნობილი ამბავი — როცა უფალი იერუსალიმის ტაძართან იდგა და მის თვალწინ მდიდარმა დიდი შესაწირავი გაიღო, ქვრივმა ქალმა — მცირე... იესო მიუბრუნდა მოციქულებს და უთხრა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ამ ქალის უფრო შეიწირა, რადგან — მდიდარმა ის გაიღო, რაც ზედმეტი ჰქონდა, ქვრივმა — რაც გააჩნდაო. უფალი შეიწირავს და ცოდვებს შეუნდობს მაშინ, თუ შესაწირი თავმდაბლობითა და ქრისტიანული მადლით შეიწირება.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# „კრიმანჭულმა“, მუნჯურმაც კი გააოგნა უცხოელები

პანტომიმა ხელოვნების ისეთი სახეობაა, სადაც სიტყვა გამორიცხულია და მსახიობი თავის სათქმელს მხოლოდ მიმიკებით მოგვითხრობს. ჩვენს სულიერებისგან დაცლილ დროში ადამიანებს სიტყვით თხრობითაც კი ხშირად ძნელად ესმით. წარმოიდგინეთ, რა გარჯა დასჭირდება მსახიობს, რომ ხელების, სხეულის, სახის მოძრაობით მაყურებელი მიახვედროს, მძაფრად განაცდევინოს ის, რასაც ორიგინალური არტისტული ხერხით გადასცემს. ესპანეთში, თეატრალურ ფესტივალზე, ქართველმა პანტომიმის თეატრის მსახიობებმა უცხოელ მაყურებელს უბრალოდ კი არ განაცდევინეს „კრიმანჭული“, არამედ „დაზაფრეს“ და გრან-პრიც საქართველოში წამოაბრძანეს. წარმატების მისალოცად თეატრის ხელმძღვანელსა და სპექტაკლის რეჟისორს ამირან შალიკაშვილს თეატრში ვეწვიეთ. ვამბობთ, თეატრშიო, მაგრამ გარეგნულად თუ არ ჩავთვლით შენობის არქიტექტურას, იგი ვერანაირად მოგაგონებთ ადგილს, სადაც ხელოვნება იბადება.

**— ბატონო ამირან, თქვენგან არაერთხელ გვსმენია განგაშის ზარი, რომ პანტომიმის თეატრს გადარჩენა სჭირდება, მაგრამ, როგორც ჩანს, დღემდე არავის შეუწუხებია თავი...**

— არავინ იხედება ჩვენკენ. არადა, დრომ ცხადყო, რომ პანტომიმის თეატრი განსაკუთრებით ღირებულია საქართველოსთვის, მას შენარჩუნება სჭირდება. უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ მოსული სპექტაკლებზე. ხელოვნებით კი აღფრთოვანდნენ, მაგრამ შენობის გამო ხმამაღლა თქვეს — ეს რა საღორეში მოგვიყვანეთო. კინაღამ მიწა გამისკდა სირცხვილით. თეატრი რომ გაგვირემონტოს ვინმემ, ხალხი წამოვა, შემოსავალიც გვექნება. სხვადასხვა ფირმების 15 ათასი დოლარი მაქვს ვალი. მათ ფული იმიტომ მასესხეს, რომ ბორჯომისა და ალიკანტეს ფესტივალებისთვის დასი სათანადოდ მომემზადებინა. ამაზე მეტი ჩემი ვალი აქვს სახელმწიფოს. ბიუჯეტში რა თანხაც ჩასვეს ჩვენთვის, არ მაძლევენ.

**— ესპანეთში თეატრის მოგზაურობით ალბათ კმაყოფილი ხართ.**

— რა თქმა უნდა. ეს არის ყოველწლიური თეატრალური ფესტივალი, რომელიც იმართება ალიკანტეში. 22 აგვისტოს მაყურებლის წინაშე წარვდექით სპექტაკლით — „კრიმანჭული“. მერე შეხვედრები მოგვიწყვეს უკრაინელებმა, რუსებმა, ქართველებმა. ისინი ჩვენთან შეხვედრის დროს ტიროდნენ.

*(გაგრძელება იხ. გვ 27)*

# საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტს, ქართველ საზოგადოებრიობას

ამერიკისა და დასავლეთის კოლოსალურმა სამხედრო-პოლიტიკურმა თუ ფინანსურ-ტექნოლოგიურმა უპირატესობამ და აღმოსავლეთისკენ დასავლური დემოკრატიის ძლევამოსილმა სვლამ კვლავ აქტუალური გახადა ერთპოლუსიანი მსოფლიო მოდელი. ეს პროცესები, ბუნებრივია, ყველაზე მტკივნეულად ექსტრემისტული ისლამის ფანატიკური ტერორიზმის ფრთამ აღიქვა, რომელიც შარიათის თარგზე გამოჭრილ მსოფლიოზე ოცნებობს.

ერთი ყველგანმყოფი ცენტრიდან არათუ მსოფლიო, უკიდეგანო სამყარო იმართება დასაბამიდან და, მადლობა ღმერთს, ამ დებულებას კულტურული კაცობრიობა უმთავრეს და შეუვალ ჭეშმარიტებად აღიარებს. სწორედ ამიტომაა მსოფლიო ბატონობისა და სამყაროს ცენტრად გახდომის ყველა ადამიანური მცდელობა განწირული.

ფაქტია, რომ: თერთმეტმა სექტემბერმა ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ:

1. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ფანატიკურ ექსტრემიზმსა და საერთაშორისო ტერორიზმს, რის გამოც შეიქმნა კიდეც ანტიტერორისტული კოალიცია.

2. რიგითი ობივატელიც კი მიხვდა, რომ ურთიერთდაპირისპირებულ მსოფლიოში დიდძალი სიმდიდრითაც კი ვერ შექმნი ელემენტარული უსაფრთხოების გარანტიას. მინიმალური დემოკრატიისთვის აუცილებელი თავისუფლების ხარისხი თეორიულადაც კი გამორიცხავს ყველა გამვლელის, მგზავრისა თუ ტვირთის შემოწმებას.

დღევანდელი მსოფლიოს უპირველესი ამოცანა განსხვავებულ ცივილიზაციათა უკონფლიქტო თანაარსებობაა და არა ვაშინგტონისგან „მესამე რომის“ შექმნა.

ცივილიზაციათა შეჯახების ჰანტინგტონისეული უკვე დაწყებული პროცესი საკაცობრიო კატასტროფით რომ არ დასრულდეს, ამისთვის მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობა ნამდვილად არ არის საკმარისი. პარალელურად მიმდინარე ცივილიზაციათა, კულტურათა დიალოგის პროცესი (იგივეა ჰანტინგტონის, ტოინბისა და ფუკოიამას თეორიები) იმძლავრებს და იგი ალბათ ცივილიზაციათა მშვიდობიანი თანაარსებობის შეთანხმებით დამთავრდება.

დასავლელი ექსპერტებიც კი აღიარებენ, რომ ისლამურ სამყაროსთან უკონფლიქტო თანაარსებობის ყველაზე მეტი შანსი აღმოსავლურ ქრისტიანობას, მართლმადიდებლობას აქვს, რადგან სწორედ იგია ისლამურ სამყაროსთან თანაცხოვრების ყველაზე დიდი ისტორიული გამოცდილების მქონე.

კულტურათა დიალოგის თვალსაზრისით, ძნელია მოიძებნოს კავკასიაზე უფრო მნიშვნელოვანი და უნიკალური გამოცდილების მქონე რეგიონი. საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა რა დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის უზარმაზარ სამყაროთა მუდმივ წნეხს, სწორედ კავკასიელსა და კავკასიაში მოხდა ამ კულტურათა უნიკალური სინთეზი.

კავკასიაში შემუშავდა უნიკალური ღირსების კოდექსი — საერთოკავკასიური ადათ-წესების სახით, რომელიც მნიშვნელოვნად აწესრიგებდა განსხვავებული რწმენისა და კულტურის კავკასიელ ერთა ურთიერთობებს.

კავკასია ყველა ძირითად კონცეფციაში (ნეოევრაზიულ-რუსულ, ნეოატლანტიკურ-ამერიკულ, ნეომუნდიალისტურ ევროამერიკულ თუ ისლამური ინტეგრიზმის) მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონადაა მიჩნეული.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისითაც, მეტ-ნაკლებად სტაბილური მსოფლიოსათვის აუცილებელი წინა პირობაა უკონფლიქტო ევრაზია, რაც ორი ევრაზიული გიგანტის, რუსეთისა და თურქეთის ინტერესთა სამართლიან დაბალანსებას, უპირველესად, სწორედ კავკასიაში საჭიროებს.

იმისათვის, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით არ შეფერხდეს დასავლური დემოკრატიის ასეთი სვლა აღმოსავლეთისაკენ, საჭიროა დემოკრატიის ერთადერთი სამხედრო-პოლიტიკური გარანტის — ევროკავშირის ზონაში კავკასიის ოთხი სახელმწიფოსა და თურქეთის პრაქტიკულად ერთდროული გაწევრება. ხუთივე სახელმწიფო ამ მიზნისაკენ დეკლარირებულად მიისწრაფვის. რუსეთს კავკასიური კონფლიქტებით ევროკავშირში არავინ მიიღებს, ხოლო პირველი ისლამური სახელმწიფოების, თურქეთისა და აზერბაიჯანის ევროკავშირში მისაღებად, უპირველესად, სწორედ რუსეთისა და საქართველოს გარანტიებია საჭირო.

თანამედროვე დასავლურ და აღმოსავლურ ცნობიერებას შორის ერთ-ერთი მთავარი განსხვავებაა თავისუფლებისადმი დამოკიდებულება. ეს პრობლემა ჩვენთანაც აქტუალური ხდება. თავისუფლება — ყველაფრის დაშვებას, ალვირახსნილობას არ ნიშნავს. არ შეიძლება თავისუფლების სწორი გაგება ამორალური იყოს. მორალი მხოლოდ რწმენას შეიძლება ეფუძნებოდეს („თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი დასაშვებია.“ — დოსტოევსკი). თავისუფლების ხარისხი სწორედ პიროვნების სრულყოფილებასთან ერთად იზრდება.

ადამიანის უფლებათა გაფეტიშებას მახინჯ შედეგებამდე მივყავართ. ეს ყველაზე ცხადად სქესთა შორის ურთიერთობებში ვლინდება. ერთსქესიანთა ქორწინების სამოქალაქო რეგისტრაციის შემთხვევაშიც კი (ეკლესიაზე ალარაფერს ვამბობთ), მათ ბავშვის აყვანას ვერ ან ძნელად დაუშლი. ასეთ ოჯახში აღზრდილმა ბავშვმა ალბათ ორივე უნდა სცადოს და მხოლოდ შემდეგ აირჩიოს, კაცად იცხოვროს თუ ქალად?!

ეს განწყობილებანი ევროპელთა აბსოლუტური უმრავლესობისთვისაც მიუღებელია. ასე რომ, სულაც არ არის საჭირო, ვინმეს რომის პაპზე მეტ კათოლიკეებად მოვაჩვენოთ თავი.

სწორი ფორმულა ალბათ უფრო ეს არის: „ვარ ქართველი, კავკასიელი და ევროპელიც“. კავკასიელობის გამო ევროპამ თუ ევროპელობაზე უარი გვითხრა, მან აღარც უნდა გაიხედოს აღმოსავლეთისაკენ, სადაც თავისუფლების გაცილებით მკაცრი კრიტერიუმებია. სხვათა შორის, სწრაფად იზრდება ლათინურამერიკული გავლენა ჩრდილოეთით. ლაპარაკია ერთგვარ დემოგრაფიულ ექსპანსიაზეც კი ამერიკის სამხრეთ შტატებთან დაკავშირებით. მომავალში სამხრეთულ-ესპანურენოვანი კულტურის გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება. ასე რომ, ეს პრობლემა არა მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კულტურათა შეთავსებითობის პრობლემაცაა.

ვარშავის ბლოკის რღვევის დაწყებისთანავე, პერიფერიებში, ძირითადად, კავკასიაში კონფლიქტების გადატანით რუსეთმა პრაქტიკულად თავი გადაირჩინა. კავკასიით დასაქმდა რუსეთის მთელი სამხედრო-პოლიტიკური ელიტის იმპერიული „ნაგავი“, რომელიც დღემდე თვრება რუსთა და კავკასიელთა სისხლით და ძღება იარაღით, ნარკოტიკითა და კონტრაბანდით ნაშოვნი უბინძურესი ფულით. ამ ნაგავს რუსეთი მოსკოვში ნამდვილად ვერ მოინელებდა და ისევ ჩვენს (და არა მარტო ჩვენს) თავზე კიდევ უფრო მტკივნეულად დაინგრეოდა. სამაგიეროდ, რუსეთის პოლიტიკის სხვა ვექტორები მაქსიმალურად გათავისუფლდა იმპერიალიზმის სენისაგან და ერთობ ცივილიზებულ პოლიტიკასაც აწარმოებენ.

რუსეთის პოლიტიკამ კავკასიაში, რომელიც სახელმწიფო ტერორიზმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს ურთულესი პრობლემები შეუქმნა. საქართველოში ყველაზე რთული და საინტერესო პარტია გათამაშდა: ცხინვალით, აფხაზეთითა თუ სამოქალაქო ომით დაგლეჯილ-დაჩოქებული საქართველო არა მხოლოდ „სნგ“-ში შევიდა, არამედ ГРУ და ФСБ გვინიშნავდა ვარდიკოებსა და გიორგაძეებს. პარალელურად, მსოფლიოს აგენტთა ათეულში შემავალი ეიმსის მიერ „ჩაშვებული“ ქართულ-ამერიკული სტრატეგიული თანამშრომლობის მცდელობისათვის ЦРУ-ს შეფის ხელით (რომელიც თბილისის აეროპორტიდან არ გამოსულა), ვაშინგტონში რუსულ „მესიჯად“ ვუდროფის კუბო გაიგზავნა. ასეთი რამ პოსტსაბჭოთა სივრცეში სხვაგან არ მომხდარა. ამ სასტარტო პირობებიდან მოხერხდა მსოფლიო მნიშვნელობის კავკასიური პროექტების: ტრასეკას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა თუ შაჰ-დენიზის რეალიზაცია.

ამავდროულად, გრძელდებოდა ერთობ სარისკო და საიდუმლო მუშაობა ქართულ-ამერიკულ სამხედრო-სტრატეგიულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ისე გამოცხადდა „წვრთნისა და აღჭურვის“ 67-მილიონიანი პროგრამა და საქართველოში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები ისე ჩამოვიდნენ, რომ ამის შესახებ გაოპოზიციონერებულმა სახელმწიფოს მეორე პირმაც კი არაფერი იცოდა.



რუსეთის მიმართულება ამ დროს უშიშროების საბჭოს მდივანს მიჰყავდა. ამ მოლაპარაკებათა შესახებ არც მან იცოდა, ოღონდ არა უნდობლობის გამო. მას რუს „მგლებთან“ კავკასიური სამხედრო პოლიტიკის ისეთ საკითხებზე უწევდა მუშაობა, რომ ამ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეუძლებელია არ გაეშიფრათ. შედეგად, საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველად შევიძინეთ უძლიერესი და საიმედო სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორი შეერთებული შტატების სახით. ამასთან, არსებობს დასავლეთის უმსხვილესი კომპანიების რეალური ფინანსური დაინტერესება ჩვენი რეგიონით. მსოფლიო პოლიტიკა ქართულზე არანაკლებ ბინძური საქმეა და შეუდარებლად უფრო დიდი ფულის გარშემო ტრიალებს. ამდენად, ფინანსური ფაქტორი არანაკლებ მნიშვნელოვანია.

**რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ჩვენი მთავარი პრობლემა გაერთიანება კი არა, გაყოფაა — სწორედ ძალაუფლების, გავლენისა და სახელმწიფო ფინანსების გაყოფა!**

ამ საქმეში ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის როლის გადაჭარბებულად შეფასება, უბრალოდ, შეუძლებელია. ამ დონის საერთაშორისო სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების გარანტიების შექმნას ალბათ მხოლოდ ედუარდ შევარდნაძე თუ მოახერხებდა. თუ დღეს ვინმეს ჰგონია, რომ ბუში-უმცროსი რეიგანისა და მამამისის საქმეს არ აგრძელებს და მათ სრულფასოვან პარტნიორსა და მეგობარს განსაკუთრებულ ანგარიშს არ უწევს, ანუ პიროვნული ფაქტორი ნაკლებმნიშვნელოვანია, ნამდვილად ცდება.

პოლიტიკა — შესაძლებლობათა გარდა, ურთიერთობის ხელოვნებაცაა. არსებობს ურთიერთობის ერთი უნივერსალური წესი — მაქსიმალურად უნდა ეცადო, ურთიერთობისას აქცენტი გააკეთო პოზიტიურ მომენტებზე, რომელიც ყველა ჩვენგანშია. ურთიერთობისას ნეგატიურზე აქცენტირება (რომელიც ასევე ყველას ახასიათებს) დადებით შედეგებს არ მოიტანს.

რუსეთი უდავოდ წარმოადგენს მართლმადიდებლური სამყაროს სამხედრო და ეკონომიკურ ლიდერს. სულიერ ლიდერობას ჭეშმარიტების ძალა განაპირობებს და არა — ფიზიკური. ხოლო სად, როდის და რა ფორმით დაიბადება ჭეშმარიტება, მხოლოდ უფალმა უწყის.

თუ ჩვენს ურთიერთდაპირისპირებულ ცივილიზაციათა ეპოქაში რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა მათი შერიგების საქმეში მართლმადიდებლური სამყაროს განსაკუთრებული როლის დამკვიდრებისათვის ილვაწებს, მას არც ერთი არათუ ქართველისგან, ჭკუათმყოფელი კავკასიელისაგან არ ელალატება, რადგან მეორე მხრიდან იგივე მისია თურქებმა და კავკასიისათვის ტრადიციული ზომიერი ისლამის მიმდევარმა ერებმა უნდა იტვირთონ. არც ერთი კავკასიელი სიზმარშიც კი არ ისურვებს იმის ნახვას, თუ რად შეიძლება იქცეს თურქეთის მესამე საველე არმიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის (ამ ქვეყნების უძლიერესი სამხედრო დაჯგუფებები) საომარ მოქმედებათა თეატრად გადაქცეული კავკასია.

საქართველო მხოლოდ მოსახლეობა, კულტურა, ენა, მამული და სარწმუნოება არ არის. უპირველესად, საქართველო ამ ყველაფრის გამაერთიანებელი იდეაა.

პატრიოტიზმი — ამ იდეის მაქსიმალურად სწორად გაცნობიერება და გააზრებაა.

ქართველებს სწორედ იდეა — საქართველოს იდენტური აღქმა გვაერთიანებს.

პროვინციალიზმს რომ თავი დავანებოთ, არარეალურია ისეთი პარტიისა თუ ლიდერის მოლოდინი, რომელიც ქართველებს იდეა — საქართველოზე უკეთ გაგვაერთიანებს. ხომ ცხადია, რომ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერ გაიზრდება ვერც ზვიად გამსახურდიას ქარიზმისა და ვერც ედუარდ შევარდნაძის მასშტაბის ლიდერი.

რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ჩვენი მთავარი პრობლემა გაერთიანება კი არა, გაყოფაა — სწორედ ძალაუფლების, გავლენისა და სახელმწიფო ფინანსების გაყოფა!

თუ საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების საერთაშორისო ეკონომიკური, სამხედრო თუ პოლიტიკური გარანტიების შექმნამდე ერთპიროვნული მმართველობა არათუ დასაშვები, აუცილებელიც კი იყო, დღეს ერთპიროვნული — ერთპარტიული მმართველობის გაგრძელების მცდელობა ყოვლად უპერსპექტივო და დანაშაულებრივია — დემოკრატიის უპირველესი პრინციპიც ხომ ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების განაწილებასა და ურთიერთკონტროლის რეალური მექანიზმების არსებობას გულისხმობს.

ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის დასტურით, საქართველოს პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს, ეს არის ჩვენი — ათასწლეულთა მიჯნის პარლამენტის უკანასკნელი შანსი, რათა იგი ისტორიაში არ შევიდეს, როგორც ყველაზე უღირსი და ოდიოზური პარლამენტი. ეს არის შანსი, უმძიმესი მემკვიდრეობა არ დავუტოვოთ მომავალ პარლამენტს, რომელსაც ერთი — ლეიბორისტთა ფრაქცია დაემატება, თორემ დანარჩენი 60-70%-ით პერსონალურადაც იმავე შემადგენლობისა იქნება.

ის, რომ დღევანდელ პარლამენტს ძალაუფლების კი არა, საარჩევნო კომისიაში ადგილების განაწილება ბეიკერის დახმარებითაც კი უჭირს, სულ ახლახან ვნახეთ. ამდენად, სწორედ ბევრად უფრო განათლებულმა, პატრიოტმა და პატიოსანმა, პოლიტიკით გაუსვრელმა, ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილმა — ახალგაზრდა თაობამ უნდა შესთავაზოს ქართველ ერსა და პარლამენტს ხელისუფლების დანაწილების სამართლიანი პრინციპები.

ამისათვის სავსებით საკმარისია, პარლამენტმა პირველივე სხდომებზე მიიღოს ნახევარგვერდიანი დადგენილება, რომლითაც პარლამენტის თავმჯდომარესა და ერთ ვიცე-სპიკერს (ხელისუფლებიდან) დაავალებს ერთ კვირაში (კონსენსუსის წესით) ახალგაზრდა, პოლიტიკისგან განზე მდგომი სპეციალისტებისაგან შექმნან (9-11-კაციანი) კომისია, რომელიც თვე-ნახევარში წარუდგენს საზოგადოებასა და პარლამენტს შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს. დარწმუნებული ვართ, რომ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, სადიპლომო ნამუშევრის სირთულის ამ ამოცანას პოლიტიკური ვალდებულებებისაგან თავისუფალი კომისია თავს იოლად გაართმევს. ამავე დადგენილებით პარლამენტი ნიშნავს საგანგებო სესიას (31 ოქტომბერს, პარასკევს) და ვალდებულებას იღებს, განიხილოს წარდგენილი ცვლილებების პროექტი (ან პროექტები) და სარეიტინგო კენჭისყრის შემდეგ, კონსტიტუციური უმრავლესობით ერთ-ერთი ვარიანტი დაამტკიცოს. მანამდე, ოქტომბრის ბოლოს, მოეწყობა პროექტის საზოგადოებრივი განხილვა. ვთქვათ, უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში.

ცვლილებები ძალაში ალბათ მომავალი წლის გაზაფხულიდან უნდა შევიდეს, როდესაც ახალარჩეული პარლამენტი ამ საკითხებისათვის მოიცლის (ღმერთმა ქნას, ახალ წლამდე მან სპიკერატი და კომიტეტები დააკომპლექტოს). ამასთან, მინისტრთა კაბინეტი, თუნდაც ჩვენი ენერგეტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, მუშაობას სწორედ გაზაფხულზე (და არა შემოდგომაზე) უნდა იწყებდეს.

ასეთი კომისიის არსებობა მნიშვნელოვნად განმუხტავს ერთობ ფეთქებადსაშიშ წინასაარჩევნო კამპანიას, თორემ ასე თუ გაგრძელდა, დიდი შანსია, ერთმანეთს დავერიოთ. ამისათვის უმარტივესი პროვოკაციაც იკმარებდა, რის შემდეგაც ეშმაკმა უწყის, რომელ პარტიაში რა ფორმითა და დავალებებით ამოქმედდებიან სალუსტრაციო კონტინგენტები.

დიდწილად გავთავისუფლდებით მემკვიდრის დანიშვნა-არდანიშვნის იდეფიქსისაგან. ყველას გვახსოვს, რომ ორი წლის წინ ბეწვზე გადავრჩით. მაშინაც აქტუალური იყო მინისტრთა კაბინეტი და პრემიერ-მინისტრს მემკვიდრესთან აიგივებდნენ. ერთმანეთს შეეჯახა ბოლო პერიოდის შევარდნაძის ორი უდავოდ ყველაზე ნიჭიერი და გამოცდილი მოსწავლე: პირველი ის, რომელიც „მოქკავშირის“ 25-წლიან მმართველობას გვპირდებოდა და მეორე („რკინის“ მინისტრი), რომელიც მათ „ბეჭებზე დადებას“ უპირებდა. შევარდნაძის არაერთგზისი მოწოდება — გადავდგებიო — გახდა საჭირო სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. მას შემდეგ, პრაქტიკულად, საქმეს თავი დავანებეთ და სულ წინასაარჩევნო — „მემკვიდრედ“ დამკვიდრების პროცესში ვართ.

დღეს ჯერაც ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაივლის ჩვენი სამშობლო თავის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე რთულსა და საშიშ, მაგრამ ამავე დროს ერთობ პერსპექტიულ ეტაპს. რაც უფრო მალე დავაკანონებთ უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფისა და ურთიერთკონტროლის მეტ-ნაკლებად სამართლიან პრინციპს, მით მალე დავემსგავსებით სახელმწიფოს. რეალურია, რომ მოვლენათა სწორად განვითარების შემთხვევაში, 4-5 წელიწადში დავძლევთ ბალტიის სახელმწიფოებთან მიმართებით არსებულ ჩამორჩენას და მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონში დავფუძნდებით ლიდერ სახელმწიფოდ.

უმორჩილესად გთხოვთ, ხელოვნურად ნუ შევაფერხებთ ამ პროცესს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველ საზოგადოებას ერთი გზაღა რჩება: თუ ბოლომდე დარწმუნებული არ არის რომელიმე პარტიასა და ლიდერში, ნუ მივა 2 ნოემბერს არჩევნებზე, ან მივიდეს და ყველა გადახაზოს. დღევანდელი პოლიტისტებლიშმენტი საზოგადოების ნდობის მაღალ ხარისხსა და ლეგიტიმაციას ნამდვილად არ იმსახურებს. დაბალი ლეგიტიმაციის ხარისხის მქონე ხელისუფლება საზოგადოებას ნაკლებსაც გაუბედავს და თუ საჭირო გახდება, თავიდანაც იოლად მოსაშორებელია. თუ ახალი პარლამენტი ზაფხულამდე ვერაფერს შეცვლის, შემოდგომიდან საპრეზიდენტო არჩევნების ციებ-ცხელება დაიწყება და მაშინ კი ალბათ უსისხლოდ ვეღარ გადავრჩებით.

ამ შემთხვევაში ზაფხულისათვის რეფერენდუმის გზით პარლამენტის დათხოვნა, საპრეზიდენტოსთან ერთად, 2005 წლის გაზაფხულზე ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და ყველა მოქმედი თუ ყოფილი დეპუტატისა და მინისტრისათვის იმ არჩევნებში მონაწილეობის უფლების აკრძალვა თავად საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს, რათა ერთბაშად გავთავისუფლდეთ ბოლო წლებში დაგროვილი პოლიტიკური ბალასტისაგან.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ და კიდევ უფრო რადიკალური ზომების მიღება აუცილებელი არ გახდება.

***პატივისცემით***
***თედო პაატაშვილი,***
***პარლამენტის წევრი***
***01. 09. 03***

R

# აფხაზეთის პრობლემა ეკლესიურ ჭრილში

ახლახან საქართველოს პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე დიდი კმაყოფილება გამოთქვა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის გადაწყვეტილების გამო, რომელიც „აფხაზურ პრობლემას“ ეხებოდა. ედუარდ შევარდნაძემ დადებითად შეაფასა ივლისში, საროვში, რუსეთის წმინდა სინოდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სადაც აფხაზეთი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიად არის აღიარებული. საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა რუსეთის პატრიარქ ალექსი მეორეს და სინანულით აღნიშნა, რომ ქართველმა ჟურნალისტებმა დროზე არ გააშუქეს სინოდის ეს განცხადება. ეტყობა, პრეზიდენტმა მედიის შეცდომის გამოსწორება გადაწყვიტა და ამიტომ დაგვიანებით თავად გაახმიანა ეს თემა. *(შეგახსენებთ, რომ რუსეთის წმინდა სინოდის ეს განცხადება, კომენტარებითურთ, რუსეთის პრესაში 30 ივლისს გამოქვეყნდა, მაშინვე სიტყვასიტყვით ითარგმნა და დაიბეჭდა „კვირის პალიტრაში“, N32— რედ.).*

1992-1993 წლების ომის შემდეგ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აფხაზეთის ეპარქია ფაქტობრივად ეპისკოპოსის გარეშე დარჩა. ეპარქიის მეთაური, მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) იძულებული გახდა, სოხუმი დაეტოვებინა. მას შემდეგ ეპარქიას ხელმძღვანელობს მღვდელი ბესარიონ აფლია, რომელიც აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მოსკოვის საპატრიარქოსთან მიერთების მომხრეა. ცნობილია, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სასულიერო პირებს, ბესარიონ აფლიას მეთაურობით, არაერთხელ მიუმართავთ მოსკოვის საპატრიარქოსთვის თხოვნით — დაეხმარონ კანონიკური სტატუსის მიღებაში. სინოდის განჩინებაში საბოლოოდ განისაზღვრა დამოკიდებულება აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. განჩინება დიდხანს მზადდებოდა. გულდასმით აიწონა ყველა „დადებითი“ და „უარყოფითი“ შედეგი — ბევრი აფხაზი ხომ პრორუსულადაა განწყობილი, მთავრობაცა და პარლამენტიც რუსეთთან შეერთებაზე ოცნებობს, მაგრამ მართლმადიდებელი აფხაზების რუსულ ეკლესიაში მიღება საბოლოოდ გააფუჭებდა ურთიერთობას საქართველოს საეკლესიო და საერო პირებთან, რომელთანაც რუსეთის ეკლესიას მრავალი ასწლეული მეგობრობა და კეთილმეზობლური დამოკიდებულება აკავშირებს.

სინოდის განჩინებამ ცხადყო, რომ რუსეთის ეკლესია არ აპირებს რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასთან დაპირისპირებას — რუსეთის პრეზიდენტმა არაერთხელ განაცხადა, რომ მომხრეა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა.



ეკლესიისა და სახელმწიფოს გაერთიანება ერს ერთ მუშტად შეკრავს, — იმედოვნებს საქართველოს პრეზიდენტი

თუმცა, აფხაზეთის მრევლის ქართული ეკლესიის კუთვნილებად აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ კონტაქტი რუსეთის ეკლესიასთან „ადამიანურ“ დონეზე შეწყდება. მართლმადიდებლური სოლიდარობა და ძმური თანადგომა არ არის დამოკიდებული პრეზიდენტების გეოპოლიტიკურ გეგმებსა და პოლიტიკოსთა ინტრიგებზე. ბოლოს და ბოლოს, აფხაზეთი დღეს ღია საკურორტო ზონაა რუსებისთვის და ყველა მართლმადიდებელი, მოსკოვიდან თუ ირკუტსკიდან, რასაკვირველია, შევა სოხუმის თუ ახალი ათონის ნებისმიერ ეკლესიაში და სულაც არ მიაქცევს ყურადღებას, რომელ იურისდიქციას ეკუთვნის ის.

***ნეზავისიმაია გაზეტა №159***
***ნგ რელიგია***

## მოკლედ

**საქართველოს** სპეცსამსახურებმა ზუგდიდში დააკავეს დიზელის საწვავით დატვირთული 4 ავტოცისტერნა. საწვავი, საბუთებით, ვითომდა ამიერკავკასიის ჯარების რუსეთის დაჯგუფებისთვის მიჰქონდათ ბათუმში. საქართველოს უშიშროების მინისტრის აზრით, ამ ოპერაციაში მონაწილეობენ ქართველები, რომლებიც რუსეთის სამხედროების დახმარებით აფხაზეთიდან გამოტანილი კონტრაბანდული სათბობის ლეგალიზებას აჭარაში აპირებდნენ. მერე იქიდან უკვე კანონიერი გზით საქარველოს რეგიონებში გაიტანდნენ.

**სომხეთის** ფინანსებისა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილის, ატომ ჯანჯუღაზიანის განცხადებით, საქართველომ სომხეთს თავისი ვალის — 20 მლნ დოლარის — გადავადება სთხოვა, მაგრამ ეს თანხა სომხეთს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისთვის აქვს გათვალისწინებული და საქართველოს უარი უთხრა. თუ საქართველოს დსთ-ის სხვა სახელმწიფოებმაც უარი უთხრეს ვალების რესტრუქტურიზაციაზე, მას გაკოტრება ელის.

***გაზეტა რუ***

# აფხაზეთში ისვრიან, ექო კი რუსეთში ისმის...

2 სექტემბერს აფხაზეთში, ქალაქ გუდაუთაში, მოკლეს ცნობილი ბიზნესმენი, რესპუბლიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი და თანაც აფხაზეთის პრეზიდენტის ნათესავი ლევან არძინბა.

ბევრი ამ მკვლელობას უკავშირებს თამბაქოს ბიზნესს, რომელსაც მოკლული ეწეოდა. მასვე ეკუთვნოდა რამდენიმე საცხოვრებელი კვარტალი გუდაუთაში და სხვა უძრავი ქონება.

ზოგიერთი კი არძინბას მკვლელობას შარშან, მოსკოვში მოკლული, აფხაზეთის გმირის „ამცახარას“ წევრის, სალიბეი არძინბას მკვლელობას უკავშირებს.

ჯერ კიდევ მაშინ დაირხა ხმა, ამ საქმეში ლევან არძინბას ხელი ურევიაო. მაგრამ სალიბეი არძინბას მკვლელი ჯერაც ვერ იპოვეს. აღსანიშნავია, რომ წლინახევრის წინ, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ — აკა და ლევან არძინბები ნარკოტიკებით ვაჭრობაში დაადანაშაულა — ამ გზით შემოსული თანხის გარკვეულ ნაწილს აფხაზური არმიის შეიარაღებისთვის იყენებენო. მერე ეს ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო.

ამ დღეებში აფხაზეთში კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. შსს-ს მუშაკებმა დაკავების დროს მოკლეს საქართველოს შეიარაღებულ ძალთა პოლკოვნიკი გერვასი ჯოლოგუა, რომელსაც აფხაზები რუსლან გელაევის „მარჯვენა ხელად“ თვლიდნენ.

გერვასი ჯოლოგუა რუსლან გელაევს ახლდა კოდორის ხეობაში. აფხაზმა სამხედროებმა ის დაატყვევეს. 2002 წელს ჯოლოგუას სამხედრო სასამართლომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი ტერორიზმისთვის დახვრეტა მიუსაჯა, მაგრამ ის აპრილში, სხვა რეციდივისტებთან ერთად, სიკვდილმისჯილთა იზოლატორიდან გაიქცა და ეძებდნენ.

რესპუბლიკის შშს-ს მონაცემებით, ჯოლოგუა მოკლეს ოჩამჩირის რაიონში, შეიარაღებული წინააღმდეგობისას.

ყოველივე ამის ფონზე აფხაზეთი გამალებით ემზადება დამოუკიდებლობის 10 წლისთავის აღსანიშნავად. მაგრამ ყველაზე დიდი ყურადღება უსაფრთხოებას ეთმობა.

გასულ კვირას რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ასაფეთქებელი ნივთიერების დიდი რაოდენობა. სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლების ვერსიით, ეს გამარჯვების ზეიმის დესტაბილიზაციის მიზნით არის შემოტანილი.

***ეს-ენ-გე. რუ***

# „მოსკოვი“ თუ „ვაშინგტონი“?

**საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა 2005 წლის აპრილში იწურება.**

**საქართველოს დაქუცმაცებული პოლიტიკური ელიტიდან რომელი პოლიტიკური ვექტორი აჯობებს — „მოსკოვისა“ თუ „ვაშინგტონის“?**

**რომელი პოლიტიკური ფიგურები მოიპოვებენ პრეზიდენტის სავარძელზე პრეტენდენტობის უფლებას?**

**სერგეი კაზენოვი,** პოლიტოლოგი:

— ყველა ამჟამინდელი კანდიდატი პროდასავლურად არის განწყობილი. საკვირველია, მაგრამ ყველაზე პრორუსული სულისკვეთების პოლიტიკოსი თავად შევარდნაძეა. ის საბჭოურ წყობაშია გამობრძმედილი და იცის, როგორ ელაპარაკოს რუსეთს, ყოველ შემთხვევაში, ფეთქებად სიტუაციას მოერიდება.

სხვა კანდიდატებში მე ნამდვილი ლიდერისათვის დამახასითებელ ქარიზმას ვერ ვხედავ. რასაკვირველია, შევარდნაძე თავის მემკვიდრეს არ დაასახელებს, რადგან მშვენივრად ესმის, მისმა ერთმა გაუთვალისწინებელმა ნაბიჯმა სიტუაცია შეიძლება ისე გაამწვავოს, რომ არა მარტო აფხაზეთმა მოინდომოს განაპირება...

მე არც მჯერა, რომ არჩევნები ჩატარდება. მისი ჩაშლა ხომ არც ისე ძნელია: პატარა დესტაბილიზაცია და ქვეყნის დამშვიდებამდე არჩევნებიც გადაიდება...

საქართველოზე ახლა ამერიკას უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე რუსეთს და ეს იმიტომ, რომ რუსეთს მისთვის არ სცალია — თავისი გასაჭირი ეყოფა. ერთადერთი, რაც შეუძლია, შეაჩეროს საქართველოს ორიენტაციის შეცვლის პროცესი. საქართველოში მაღალ პოსტებზე ჩვენი ხალხის ყოლა ახლა არ ძალგვიძს — ძალიან სუსტები ვართ. აფხაზეთთან შეკრულები ვართ, ჩვენი სამშვიდობოები იქიდან არ გავლენ, დასავლეთი კი ასეთ პასუხისმგებლობას არ იკისრებს. ე.ი. საქართველოში ახლა პოლიტიკური ვაკუუმია, „ჩვენი ხალხი“ იქ არ არის (თუკი შევარდნაძე ყველაზე პრორუსულია!), ალტერნატიული ლიდერებიც არ ჩანან.

ამერიკას თავისი პრობლემები აქვს... ამიტომ თუ ცბიერი მელა შევარდნაძე რაღაც ცვლილებების გამო (კონსტიტუციური ან საგანგებო) რამდენიმე ხნით დარჩებოდა ხელისუფლებაში, ეს ყველასთვის სასარგებლო იქნებოდა — საქართველოსთვისაც, რუსეთისთვისაც და ამერიკისთვისაც.

ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა იმისათვის, რომ სიტუაცია არ გამწვავდეს, უკეთესია, ხალხის მაგივრად არჩევანი სხვამ გააკეთოს, მან, ვინც უკეთესად იცის, რაც მოხდება...

***პოლიტკომ.რუ***

***გვერდი მოამზადა***
***თინათინ მარგველაშვილმა***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

* * *

— რა ლამაზი კაბა გაცვია, ძალიან გიხდება, — ეუბნება დეიდა **პატარა ნინიკოს.**

— რომ გავიზრდები და ეს კაბა გამიდიდდება, შენ გაჩუქებ, — აიმედებს გოგონა.

* * *

**პატარა თამუნა** დედიკოს ეკითხება:

— დედა, ძალიან გიყვარვარ?

— ძალიან...

— აბა, რატომ არ გაქვს ყოველდღე დასვენების დღე?

* * *

— კოდალა რატომ აკაკუნებს ხეზე? — ეკითხება **4 წლის ნათია** მამიკოს.

— ჭიებს ეძებს...

— მერე, ჭიები კარს უღებენ ხოლმე?

* * *

— დედა, წითელი ლოყები მართლა ჯანმრთელობის ნიშანია? — ეკითხება **4 წლის ნათია ბურდული** დედას.

— კი, შვილო...

— გუშინ ელენეს შევხვდი და ცალი ლოყა ჰქონდა ჯანმრთელი...



**იპოვე 10 განსხვავება**

## I ანა, გამოიცანი

**1) რა უყვარს სამხედრო საქმეს ზურიკელას მასწავლებლის განმარტებით?**

ა) დისტანცია; ბ) დისციპლინა; გ) დისკუსია; დ) დიქტატურა.

**2) ვინ არის დილეტანტი?**

ა) მეცნიერების ან ხელოვნების რომელიმე დარგით დაინტერესებული პირი, რომელსაც არა აქვს საფუძვლიანი მომზადება; ბ) სტუდენტი, რომელიც სადიპლომო შრომას ამზადებს; გ) პირი, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა; დ) ყოვლისმცოდნე ადამიანი.

**3) ანდაზის მიხედვით, რას არ დაირტყამს კარგი ცხენი?**

ა) მათრახს; ბ) სახრეს; გ) შოლტს; დ) ჯოხს.

**4) ვის უწოდებდნენ ძველად დასტაქარს?**

ა) კბილის ექიმს; ბ) ყელ-ყურის ექიმს; გ) ქირურგს; დ) ტრავმატოლოგს.

**5) ქვემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებებიდან რომელი არ ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას?**

ა) „ფესვები“; ბ) „დათვი“; გ) „ხმელი წიფელი“; დ) „ბოშები“.

**6) მათეს სახარების მიხედვით რისი ბეწვი ემოსა იოანე ნათლისმცემელს?**

ა) აქლემის; ბ) ცხვრის; გ) ვეფხვის; დ) კურდღლის.




**II იპოვე 6 ერთნაირი წყვილი**




**III რომელია ზედმეტი ხე?**

## IV რებუსი




შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ცისფერ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი სტროფიდან გამოტოვებულ სიტყვას: „... სიკვდილმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი, მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი“.




თქმულება

## უჯიშო

ერთ სოფელში ერთი კაცი ცხოვრობდა. იგი ნიადაგ ავკაცობდა — ქურდობდა, ავაზაკობდა. ამიტომ უჯიშო შეარქვეს. სოფელმა ბევრჯერ სცადა, ჭკუაზე მოეყვანა, მაგრამ ვერა გააწყო რა. ბოლოს მოჰბეზრდა მისი უწესობა და უთხრა, ჩვენი ერთად ყოფნა აღარ შეიძლება, გაგვეცალეო. რა ჩარა იყო, ადგა უჯიშო და გაეცალა. გაუდგა გზასა.

იარა, იარა უჯიშომ და ერთ სოფელში შემოაღამდა. უცებ გაწვიმდა, დაუშვა კოკისპირულმა. მთლად დასველდა უბედური, გაილუმპა. სად წასულიყო, ვისთვის ეთხოვა თავშესაფარი? ნეტა ახლა ვინმე ხელს გამომიწვდიდეს და ჩემს სიცოცხლეში არაფერს მოვიპარავ, პატიოსანი შრომით ვიცხოვრებო, — გაივლო გულში უჯიშომ, მიადგა ერთ ეზოკარს და მორიდებით დაიძახა:

— მასპინძელო!

გაიღო სახლის კარი, გამოჭიატდა სინათლე.

— რომელი ხარ, მობრძანდიო, — გაისმა მასპინძლის ხმა.

— უცხო კაცი ვარ, გზაზე შემომაღამდა. წვიმამ ძვალსა და რბილში გამატანა, აქ ნაცნობი არავინ მყავს. მადლი მოისხი და ღამე გამათევინეო, — შეეხვეწა მასპინძელს უჯიშო.

— სტუმარი ღვთისააო, — მიუგო მასპინძელმა და შინ შეიპატიჟა.

ამ სახლში ერთი კეთილი ცოლქმარი ცხოვრობდა. ბევრი არაფერი ებადათ, მაგრამ სტუმრისათვის კარი მუდამ ღია ჰქონდათ. ბუხართან დასვეს ღამის სტუმარი, გააშრეს, ავახშმეს და ცალკე ოთახში მოასვენეს, გაქათქათებულ ლოგინში ჩააწვინეს. თვითონ ხმადაბლა საუბრობდნენ, სახლში ფეხაკრეფით დადიოდნენ, ბავშვებიც გააფრთხილეს, არ იხმაუროთ, სტუმარი არ შევაწუხოთო.

უჯიშომ კი ჩვეულებას არ უღალატა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, მოსაპარავს ეძებდა. მოძებნა კიდევაც. კედელზე ჩამოკიდებული თეთრი ნაბადი დაინახა და გაიფიქრა: წავიღებ, ქალაქში კარგად გაიყიდებაო.

მამლის პირველი ყივილობა რომ მოთავდა, უჯიშო წამოდგა, ტანთ ჩაიცვა, ნაბადი მოისხა და სიბნელეში გაუჩინარდა. ასე გადაუხადა მადლობა კეთილისმყოფელებს.

დილით ადრე ადგა დიასახლისი, სტუმარს საუზმე მოუმზადა, ქმარს უთხრა, ხელ-პირი დააბანინე, ვინ იცის, ეჩქარება და მშიერი არ წავიდესო.

მასპინძელი მორიდებით შევიდა სტუმრის საძინებელში და სახტად დარჩა: იქ აღარც სტუმარი დახვედრია და აღარც თავისი თეთრი ნაბადი. მიხვდა, რომ ავაზაკი შეეფარებინა და გადაწყვიტა, დასდევნებოდა. ცოლმა უთხრა, სად მიდიხარ, ნაბადს შენი ჭირი წაუღია, თავს რად იწვალებო. ნაბადს რა თავში ვიხლი, სხვა რამ მაწუხებსო, მიუგო ქმარმა და ავაზაკს გაეკიდა. ირბინა მასპინძელმა, ირბინა და დაეწია სტუმარს. უჯიშოს შეეშინდა, მომკლავსო და დაუჩოქა: შევცდი, სულმა წამძლია, მაპატიე, აჰა, შენი ნაბადი, ბეწვი არ აკლიაო.

მასპინძელმა მიუგო:

— ნაბადი სულ არ მენანება, შენი იყოს, მაგრამ ერთსა გთხოვ, რაც ჩაიდინე, არავის მოუყვე, შენს ახლობლებთანაც, შენი ჯიშის კაცებთანაც სიტყვა არ დაგცდეს, თორემ ეს ამბავი ქვეყანას მოედება, კაცი კაცის ნდობას დაკარგავს და გაჭირვებულს ხელს არავინ გაუწვდის, რადგან შენისთანა ქურდი და მამაძაღლი ეგონებათო.

## VI გამოცანები

ა ერთ მინდორზედა დახტოდა
ერთი უკუდო კატაო,
რაც საკუდეზე დააკლდა,
ყურებზე მოემატაო.

ბ წითელ ჭურში წითელი
კენჭები აწყვია.

## ენის გასატეხები

- ერთი ხეა ხერხოვანი, რა ხნისაა? შენ ხნოვანი.
- ჭინჭარი ჭირის ჭირია.
- დედავ, რამან დაგაბერა, რამან დაგადედაკაცა.

## დედიკოს ვფიცავარ

წერა-კითხვა ვისწავლე,
აი, უკვე დიდი ვარ.
არ წამიყვანთ სკოლაში?
ბაღში აღარ მივდივარ!..
თვლა ხომ ვიცი ასამდე,
თანაც ექვსი წლისა ვარ,
პატარა რომ ვიყავი,
განა ისევ ისა ვარ!
სულ ხუთებზე ვისწავლი,
ჩემს დედიკოს ვფიცავარ!

***ნოდარ დუმბაძე***

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

„ესეც ჩემი გოგოობის დროინდელი სურათებია“, — გვეცყოდა ხოლმე ჩემი ახლობელი და გადმოგვილაგებდა ნაცვშვებს ქართველი მსახიობების ფოტოებს... იქიდან მახსოვს ედიშერ მაღალაშვილის გაცრეცილი, ვინ იცის, რამდენი თაყვანისმცემლის ხელში გამოვლილი ფოტოც. ის უსაზღვროდ უყვარდათ და უყვართ. ამბობენ, თეატრიდან გამოსულს გოგონების ანთებული თვალები მიაცილებდაო. ეს ყველაფერი, დღეს ლეგენდასავით რომ გვიამბობენ, მართლა ასე იყო... უბრალოდ, ცოტა ცივი დრო დადგა, შეიძლება თეატრის კართან აღარ იცდიან მაყურებლები სპექტაკლის შემდეგ, მაგრამ მათი სიყვარული მაინც არ განელებულა ბატონი ედიშერის მიმართ. მის სცენაზე გამოსვლას დღესაც დაუცხრომელი ტაში ახლავს, ეს არის მსახიობის ბედნიერება.



# ედიშერ მაღალაშვილი:

## მსახიობობაზე ვოცნებობდი, მაგრამ თქმას ვერ ვბედავდი...

### ორჯერ ვერავინ იკლავს თავს, მამაჩემმა შეძლო



— როცა რაღაცას შეჰქმნი და ამით ადამიანებს სიხარულს მიანიჭებ, ეს მნიშვნელოვანი რამ არის. მქონია ასეთი წუთები და ამ მხრივ ცხოვრებისგან ძალიან ნასიამოვნები ვარ. არ მინდა ვთქვა, ბედნიერი-მეთქი. მეჯავრება ეს სიტყვა, რადგან არსებობს მეორე სიტყვაც — უბედური... ამიტომ ვამბობ, ნასიამოვნები ვარ-მეთქი.

**— თქვენ თურმე ინჟინრობას აპირებდით. როდის გიკარნახათ ალღომ, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მსახიობობა იქნებოდა?**

— ბავშვობაში ჩემ გარშემო ხელოვანი ხალხი ტრიალებდა. მამა ინჟინერი იყო, მაგრამ ერთხანს კონსერვატორიაში სწავლობდა, მღეროდა, შესანიშნავი ბარიტონი ჰქონდა. დათიკო გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი ხშირად იყვნენ ჩვენი ოჯახის სტუმრები. მამაჩემის ძმა ბრწყინვალე სახასიათო მსახიობი იყო, მაგრამ სასმელს ეძალებოდა და დაიღუპა თავი. მეორე ბიძა პიანისტი იყო. მე ბავშვობიდანვე ვოცნებობდი მსახიობობაზე, მაგრამ ვერ ვბედავდი მეთქვა. ჩვენს სკოლაში იყო დრამწრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი ვანო შახელი. ჩავეწერე დრამწრეში, მაგრამ არაფერს მაძლევდნენ, უფროსკლასელები ინაწილებდნენ როლებს. მე, უმცროსკლასელი, არავის ვახსოვდი. ესეც გახდა ჩემი გაუბედაობის მიზეზი. მერე სამედიცინოზეც ვსწავლობდი, იურიდიულზეც, ბოლოს, რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში შევედი. დიდედაჩემის, ბარბარე ბაგრატიონის ძმის ოჯახში მნახა რეჟისორმა დავით რონდელმა და დიასახლისს სთხოვა, ეს ბიჭი მომიყვანეთ კინოსტუდიაშიო. მეორე დღეს მივედით. რონდელი „ჯურღაის ფარს“ იღებდა. შეაჩერა გადაღება, კამერის წინ დამაყენა და მომცა მარტივი ამოცანა. თავი იოლად გავართვი. მეორე დღისთვისაც დამიბარა და ახლა შედარებით რთული ამოცანა მომცა. მერე კი მითხრა: — აუცილებლად უნდა ისწავლო კინოსამსახიობო სკოლაშიო. ამ სკოლაში უგამოცდოდ ჩამრიცხეს. არაჩვეულებრივი პედაგოგი შემხვდა — დიომიდე ანთაძე — ლეო ანთაძის მამა. კინოსტუდიაში შემამჩნია კონსტანტინე პიპინაშვილმა და „აკაკის აკვანში“ მიმიწვია ბაგრატის როლზე. ასე დაიწყო ჩემი სამსახიობო გზა. მერე ვახტანგ ტაბლიაშვილმა მიმიწვია „ქეთო და კოტეში“ — დიდ როლს ვერ გთავაზობ, კოტეს მეგობარს ითამაშებო. გადაღებებისას, რეპეტიციებზე, ერთ ამბავში ვიყავი, დავხტოდი... უცებ მესმის ვახტანგ ტაბლიაშვილის ყვირილი: — ედიშერ, ედიშერ! შემეშინდა, მივვარდი. მეორე რეჟისორს უთხრა, — ახლავე მოიტანეთ ლერმონტოვიო. კინოსტუდიაში კარგი ბიბლიოთეკა გვქონდა. მოიტანეს. გადამიშალა „დემონი“ — ამას ისწავლიო... როიალზე დამაკვრევინა, დემონი წამაკითხა. ასე შეიქმნა გამოკვეთილი სახე. ვახტანგ ტაბლიაშვილმა ეს სულ ჩემთვის მოიფიქრა.

**— ხშირად ხდება, რომ კინოში მოხვედრილი მსახიობი თეატრში აღარც კი მიდის. თქვენ კი თეატრშიც იღბლიანად მოხვედით.**

— ტაბლიაშვილი მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. მითხრა, — ფილმის დასრულების მერე ჩემთან წამოხვალ თეატრშიო. მართლაც, ერთხელ დამიძახა: თეატრში „რომეო და ჯულიეტას“ ვდგამ, შენ მერკუციო უნდა ითამაშოო. რეპეტიციაზე ერთი სცენა არაფრით არ გამომივიდა. ხან მაგიდის ქვეშ შემაძვრინეს, ხან მაგიდაზე ამიყვანეს, ხან ასე მათქმევინეს, ხან ისე... არ გამოვიდა. ვიფიქრე: წავალ და აქ აღარასოდეს დავბრუნდები-მეთქი. მეორე დილით არ წავედი რეპეტიციაზე. ვდგავარ გაჩერებაზე და ვფიქრობ, — რა ვქნა, თეატრში ხომ უნდა დავრეკო, გავაფრთხილო, რომ არ მოვალ-მეთქი. ამ დროს გავიხედე და ტაბლიაშვილი არ დგას იქვე? თურმე მიხვდა, რომ აღელვებული წამოვედი და დილით ჩემთან წამოსულა, რათა თეატრში წავეყვანე. ფეხით ნელ-ნელა გავუყევით თეატრისკენ. ეს იყო დიდი, ბრწყინვალე რეპეტიცია. მე ტაბლიაშვილს ჩემს ნათლიას ვეძახი.

**— მსახიობს ინტელექტუალური ბაზისი სჭირდება. მნიშვნელობა აქვს აღზრდას, ოჯახს. ალბათ თქვენზე ოჯახის წევრებმა დიდი გავლენა იქონიეს. გვიამბეთ მათზე, თქვენს დიდედაზე...**

— დიდედა ბაგრატიონ-დავითაშვილების შტოდან იყო. მამამისს ედიშერი ერქვა. სწორედ მის პატივსაცემად დამარქვეს სახელი. საოცარი ქალი იყო. ჩიხტიკოპის გარეშე გარეთ არ გავიდოდა. კლასიკური განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ყველაფერი იცოდა, ლექსებს წერდა. თავისი საქციელით გვაძლევდა კეთილშობილების მაგალითს. ჩვენთან ცხოვრობდა, მაგრამ მერე მამა დააპატიმრეს, ძალიან გაგვიჭირდა და ბიძაჩემმა გადაიყვანა თავისთან.

**— მამა გადასახლებული იყო?**

— არა, დააპატიმრეს და თავი მოიკლა. ორჯერ სცადა თვითმკვლელობა. პირველად ვენები გადაიჭრა. გადაიყვანეს საავადმყოფოში, გადაარჩინეს, მაგრამ საავადმყოფოდან გაწერამდე ზეწრით ჩამოიხრჩო თავი. ორჯერ ვარავინ ვერ იკლავს თავს, მან კი შეძლო. წერილიც დატოვა, სადაც რუსულად წერს „Уважаемый Нарком“-ს... წერდა, არასოდეს, არც ერთი ორგანიზაციის წევრი არ ვყოფილვარ, უსამართლო პატიმრობით შეურაცხყოფილი ვარო... ჩვენზე, შვილებზე, წერდა — გევედრებით, ყურადღება მიაქციეთ, კარგი ბიჭები არიანო. გულის ამაჩუყებელი წერილი იყო...

**— ამის შემდეგ ხომ არ გეშინოდათ, რომ დედასაც წაიყვანდნენ? შიში ხომ დაპატიმრებულთა ოჯახების თანმდევი იყო.**

— რა გითხრათ... გიამბობთ ერთ ამბავს. ჩვენ საკუთარი სახლი გვქონდა ვაკეში. ერთ მშვენიერ დღეს მოგვადგა დატვირთული მანქანა — ერთი ოთახი უნდა გაათავისუფლოთო და ვიღაც ჩვენსავით გაუბედურებული მოგვიყვანეს. დედამ გამოიტანა საბუთები, სადაც ეწერა, — სახლი ჩემზეა გაფორმებული და კონფისკაციას არ ექვემდებარებაო. კარგი, მოითმინეთო. ეს მანქანა დგას, შიგ მობუზული ქალი ზის. შეგვეცოდა, შევიყვანეთ შინ. რაც გვქონდა — გამოვიტანეთ. გავიდა ხანი. მოვიდა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. მისი გვარი ახლაც მახსოვს — დოლიძე. დედაჩემის საბუთები გადახია და შეასახლეთო, — ბრძანა. გავგიჟდი. დავავლე ხელი რაღაცას, გავუქანე და ვხეთქე. დამაკავეს... არ ვიცი, რა ჰქვია ამას... შიში?

**— სასოწარკვეთა შიშის ზღვარს მიღმა...**

— მართალს ბრძანებთ. სასოწარკვეთისაგან გონდაკარგული ვიყავი.

**— ვიცი, როგორი ხართ სცენაზე, რეპეტიციაზე, კინოში გახამებული პერანგით, მაგრამ ბუნებაში როცა გადიხართ? გიყვართ ნადირობა, თევზაობა?**

— საშინელი მონადირე ვარ. რამდენჯერაც სანადიროდ წამიყვანეს, ვერასოდეს ვერაფერი ვერ მოვკალი. ერთადერთხელ ვესროლე ძერას და ჩამოვაგდე. გამეხარდა. დავწვდი. რომ დამაფრინდა ხელზე ბრჭყალებით, ხორცი ამომგლიჯა... ახალგაზრდობაში სამეგრელოში წამიყვანეს, ფოთთან ახლოს, ერთ-ერთ სოფელში. სამი ნავით გავედით ტბაზე სათევზაოდ. სხვებმა გაავსეს ნავები თევზით... მე ერთიც ვერ დავიჭირე... ჰოდა, რომ არ გამომივიდა, ისე შევეშვი ნადირობას და თევზაობას, როგორც თავის დროზე ხატვას.

**— ხატავდით?**

— ვხატავდი. ჩემს კლასში იყო ზურაბ ლეჟავა. მისი ნახატები ჯობდა ჩემსას. მე ვწვალობდი, ვხატავდი, ის გაავლებდა ერთ-ორ შტრიხს და ნახატი მზად იყო... ხატვასთან არის დაკავშირებული ერთი ღიმილიანი ამბავი. მამაჩემი კითხულობდა მოხსენებას, უცებ თვალი მოჰკრა გაზეთში ღიპიანი, ულვაშებიანი კაცის კარიკატურას, რომელსაც ქვემოთ ეწერა: „მაღალაშვილი“. ენა დაება, ძლივს ჩაამთავრა მოხსენება და გაზეთი აიღო. წაიკითხა: „ლუარსაბი“. VI კლასის მოსწავლე ე. მაღალაშვილის ნახატი. მხოლოდ მერე ამოისუნთქა თურმე თავისუფლად.

**— მსახიობის პროფესია დიდი ძალის გაღებას მოითხოვს, მაგრამ დიდი ძალით გავსებთ კიდეც, თორემ როგორ შეძელით „ღია შუშაბანდში“ თამაში ძმის სიკვდილის დღეს?**

— ჩემზე მეტად იმათ უჭირდათ, ჩემ გვერდით რომ იყვნენ. ვერ მიყურებდნენ თვალებში. 4 საათზე ველაპარაკე ძმას. დედა საავადმყოფოში იწვა და თენგიზმა იქიდან დამირეკა, — დედა უკეთ არის, საღამოს თუ მოხვალო. ვერ მოვალ, სპექტაკლი მაქვს-მეთქი. ჰოდა, ძალიან კარგი, საღამოს მე მივალო... 6 საათზე მირეკავენ — შენი ძმა გარდაიცვალაო. გავცივდით... არადა საღამოს „ღია შუშაბანდია“, ყველა ბილეთი გაყიდულია. რა მექნა. მითხრეს, — მოვხსნით სპექტაკლსო... არ მოვახსნევინე. მეორე დღეს „სამიდან ექვსამდე“ იყო. იქაც ყველა ბილეთი გაყიდული იყო და მივედი... ვითამაშე...

**— პროფესიამ ბევრ კარგ ადამიანთან დაგაკავშირათ. ეს ხომ თქვენი სიმდიდრეა.**

— რა თქმა უნდა... არაჩვეულებრივი მეგობრები მყავდა და მყავს. მე, გოგი გეგეჭკორს, ეროსი მანჯგალაძეს და ბადრი კობახიძეს ერთი საგრიმიორო გვქონდა. ახლაც გვერდით მყავან რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, კარლო საკანდელიძე... ჩემი განუყრელი მეგობარია ზინა კვერენჩხილაძე. ზინაზე დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო. ერთხელ შვილმა ჰკითხა ზინას, — დედა, როდის იქნება შენი და ძია ედიშერის ოქროს ქორწილი სცენაზეო. ხომ ლამაზი ნათქვამია?

**— ახალგაზრდა მკითხველს ვუთხრათ, რომ თქვენ ერთად თამაშობდით ბევრ სპექტაკლში: „სეილემის პროცესი“, „ფედრა“, „მედეა“, „ანტიგონე“, „სიყვარული თელებქვეშ“, „ჩვენი თანამედროვე“, „სამიდან ექვსამდე“, „ღია შუშაბანდი“, „ვთამაშობთ ჯინს“.**

— მართლაც კარგი დრო იყო...

**— მართალია, ყველაფერს ერთ წერილში ვერ დავტევთ, მაგრამ ზოგიერთი რამ თეატრზე მაინც გაიხსენეთ.**

— გიორგი შავგულიძე ჩემზე უფროსი იყო, წესით, თქვენობით უნდა მიმემართა, მაგრამ ასე მივმართავდი — „ჟორჟიკ“. 1950 წელს სვანეთში ვიღებდით ფილმს „გაზაფხული საკენში“. სოხუმიდან მივდიოდით ზემო სვანეთში. სატვირთო მანქანის ძარაზე გადებულ ხარიხებზე ვისხედით. მოვიდნენ ჟორჟიკა და მისი ცოლი — ლიზიკო ვაჩნაძე. მოაქვთ ერთი დიდი ჩემოდანი, ერთიც პატარა. ისეთი მძიმე იყო, გამიკვირდა. არ მასვენებს ცნობისმოყვარეობა — ნეტავ, რა არის შიგ. ჰანტელები აუცილებლად ექნება, მაგრამ უფრო მძიმეა ჩემოდანი-მეთქი... ავაღწიეთ მესტიაში. იქიდან უშბისკენ გავემართეთ. საშინელი გზაა. ჟორჟიკას ის პატარა ჩემოდანი სასოებით მოაქვს. რის ვაი-ვაგლახით ავედით. დაგვირიგეს კარვები. დაღამდა. შევიყუჟეთ კარავში და ამიხდა ოცნება — ჟორჟიკამ გახსნა ჩემოდანი: წიგნებით იყო გატენილი, რა თქმა უნდა, ჰანტელებიც ეწყო. ყველას ეგონა, გიორგი შავგულიძე წიგნს არ ეკარებოდა. არადა ჩემი თვალით მაქვს ნანახი, იმ კარავში, ღამით, ჭრაქის შუქზე განთიადამდე როგორ კითხულობდა. იმ დროს თეატრში ტაბლიაშვილი დგამდა „ანტონიო და კლეოპატრას“. ჟორჟიკა ოქტავიოს თამაშობდა, პიერ კობახიძე — ანტონიოს, ვერიკო — კლეოპატრას. ტაბლიაშვილისთვის უთხოვია შავგულიძეს, — ოქტავიოს ვთამაშობ და რამე მასალა მომეციო. მასაც, თუ რამ უშოვია, რომაული კოსტიუმების ისტორია, ქანდაკების ისტორია — ყველაფერი მიუცია. ეს წიგნები ედო ჩემოდანში.

**— თქვენ ბრძანეთ, ყველას ეგონა, კითხვა არ უყვარდაო, რატომ?**

— იცით, ეს საიდან მოდიოდა? გიორგი შავგულიძე ბევრს კითხულობდა, მაგრამ არ აჩვენებდა ხალხს. შალვა ღამბაშიძე უშანგი ჩხეიძის შემდეგ მას ყველაზე დიდ მსახიობად თვლიდა. დაჯდებოდა შალვა თავის კაბინეტში და დაუძახებდა ჟორჟიკას, — მომიყევი ახლა, გუშინ რა მოხდაო... ისიც დაიწყებდა: რა იყო, ბატონო შალვა და... მივედი შინ, დავწექი. არ დამეძინა, კაცო. დაიძინე, ჟორჟიკ, — ვეუბნები ჩემს თავს. არა... უცებ მომაგონდა და ვუთხარი, — ჟორჟიკ, დაიძინე, თვარა წიგნს მოგცემ ხელში-მეთქი. მაშინვე დამეძინა, ბატონო... თვითონ იგონებდა თავის თავზე ასეთ რაღაცებს, თორემ მთელი რომის იმპერიის და საბერძნეთის ისტორიები, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გადაბულბულებული ჰქონდა. სწორედ ამიტომაც, სცენაზე ოქტავიოს კეისრის როლში ნამდვილი რომაული ქანდაკება იყო. ოთხი საათით ადრე მოდიოდა. ცალ-ცალკე ილაგებდა და იღებავდა თმას სპექტაკლისათვის ჩვეულებრივი საღებავით. ერთხელ წავისვი ის საღებავი თავზე და ორი კვირა ვერ მოვიცილე... მას კი ყოველდღე შეღებვა არ ეზარებოდა.

**— ბატონო ედიშერ, რას იტყვით, რა არის ადამიანისთვის უმთავრესი?**

— მე ხნიერი კაცი ვარ... თუ რამ გაჭირვება გადავიტანე, ოჯახმა გადამატანინა. თორემ ჩემი მეგობრები, ვინც მარტოსულები იყვნენ, ადრე წავიდნენ. თუმცა მარტო ყოფნა ერთი რამით მაინც არის კარგი: აანალიზებ, რა გააკეთე გუშინ... კარგია, რომ ჩაიკეტები, დაიფარებ საბანს და ფიქრობ, რა შეცდომა დაუშვი, შეგიძლია თუ არა იმისი გამოსწორება... ცხოვრებაში მთავარი ის არის, უკან მოხედვისა არ შეგრცხვეს...

***ლელა ჯიყაშვილი***




**როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება**

***ახალი პროგრამა***

ვიტამინებისა და ბიოლოგიურად აქტიური სამკურნალო კვებითი დანამატების ამერიკული კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ მსოფლიოში აღიარებულ პრეპარატებს:

*სახსრების მკურნალობა*
გლუკოზამინი — Glucosamine & MSM
ინოლტრა — Inholtra
ბონსაპორტი — Bone Support w/ostivin

*გახდომა კომფორტულად*
გრეიფრუტის დიეტა — Grapefruit Diet

*ალერგიის მკურნალობა*
სეზონური ალერგიის ფორმულა — Allergy Season Formula
ალერგიასთან მებრძოლი — Allergy Fighters

*თირკმელების მკურნალობა*
თირკმელების გამწმენდი — Kidney Cleanse
თირკმელების დამცველი — Kidney Aid
თირკმელების მოვლა — Kidney Care

*პროსტატის მკურნალობა*
პროსტა სტრონგი — Prosta Strong
პროსტ-იზი — Prost Ease

*საჭმლის მომნელებელი სისტემის დისფუნქციის მკურნალობა*
პრიმადოფილუსი — Primadophilus
ნივრის ექსტრაქტი — Garlic

*ვიტამინების კომპლექსი*
სუპერ მულტი-ვიტამინი — Super Multi-Vitamin
ვიტამინი C — Vitamin C

*ვიტამინები დიაბეტით დაავადებულთათვის*
დიაბეტიქსი — Diabetiks

*ცენტრალური ნერვული სისტემის მკურნალობა*
გინკო სმარტი — Ginko Smart
მელატონინი — Melatonin
ბავშვის ყურადღების ფორმულა — Attention Focus Child

*გულსისხლძარღვთა სისტემის მკურნალობა*
ჯანმრთელი გული — Healthy Heart

*თვალების მკურნალობა და დაცვა*
კომპიუტერის თვალი — Computer Eyes
ჯანმრთელი თვალი — Healthy Eyes

*იმუნური სისტემის დაცვა და გაძლიერება*
სინგლ ჰერბი — Singl Herb
ფაუერ ჰერბი — Power Herb

„ნუტრიმენტ ჰაუსი“, მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე
კვირის გარდა 10.00 - 18.00
www.shopge.com

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

# ბასარას დარდიანი თვალები

ბასარა ბებერი ძაღლია. ბეწვიც გაუჭაღარავდა უკვე და კბილებიც ბერიკაცივით დასცვივდა. მეზობლებს ეცოდებათ და ხშირად მიაქვთ მისთვის წვნიანში ჩამბალი პური. უფრო შაქრო პაპა პატრონობს და ძაღლიც მიენდო თითქოს, არადა:

— შინ არ მომყვება. ხანდახან დიდი ხვეწნის შემდეგ გამომყვება, მაგრამ ხათრიანი სტუმარივით უცებ აწრიალდება და წამოვა, მაინც თავის ეზო-გარემოში ურჩევნია ყოფნა. ცოდვაა მარტო, არც ხმის გამცემი ჰყავს, არც გამწყრომ-მომფერებელი. კარგი ძაღლი იყო, ჭკვიანი, მტრისა და მოყვრის მცნობი და გამრჩევი, კაცივით ედგა გვერდით კატოს.

— მარტოხელა იყო კატო ბაბოც...

— ეეჰ, კაი ქალი იყო, ცხონებული! ჩვენი სოფლის რძალი იყო. მისი ქმარი, ვალიკოც მახსოვს და მაგათი ქორწილიც. ლამაზი წყვილი იყო, მოიტაცა ვალიკომ კატო. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ერთი შვილის მეტი არ მიეცათ. ვალიკო რომ ომში წაიყვანეს, ბიძინა 10 წლის იქნებოდა მაშინ. კაი შვილი იყო, დედის მოყვარული, დამფასებელი, კარგადაც სწავლობდა და მუშაობასაც არ თაკილობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვალიკოს დაღუპვის ცნობა მოვიდა ფრონტიდან... 16 წლისა დაიღუპა ბიძინა, ბრმა ნაწლავი გახეთქოდა. გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ დაუგვიანდათ, სისხლი მოეწამლა...

კატოს საცოდაობით იწვოდა სოფელი. გვეგონა, ვერ გაუძლებდა დარდს, მაგრამ გადაიტანა უბედურება: „შვილის და ქმრის ხსოვნას პატივისმცემელი სჭირდება, ოჯახს ვერ წავაქცევო!..“ კაციან ოჯახებზე ნაკლები ჭირნახული როდი მოჰყავდა კატოს, სავსე ჰქონდა მარანიც და საკუჭნაოც, პირუტყვიც ჰყავდა და ფრინველიც... მეზობლის შვილებს და შვილიშვილებს ეფერებოდა, მათთვის ინახავდა ლოყაწითელ ვაშლებს და ჩურჩხელებს. ძალიან უყვარდა პატარები და ბავშვებსაც უხაროდათ მასთან ყოფნა...

...ბასარა სიკვდილს გადაარჩინა კატომ. ბაწარჩაბმული ლეკვი მდინარეზე დასახრჩობად მიჰყავდა პატრონს — ეგ ძაღლად აღარ ივარგებს, კვერცხის ჭამაზე წავასწარი, წუწკიაო! ბაწარი ხელიდან გამოჰგლიჯა თურმე კაცს — ძაღლის წუწკობა ძუნწი პატრონის ბრალია, ალბათ აშიმშილებდი. სულიერის დახრჩობა როგორ იფიქრეო!

პატივს სცემდა სოფელი ქვრივს და სიტყვა ვერ შეუბრუნა კაცმა, დატუქსული ბავშვივით თავჩაქინდრული შეტრიალდა და წავიდა. ბასარა კი გულში ჩაკრული მოიყვანა კატომ შინ. დაუყვავა, დაამშვიდა, მოეფერა: — სანამ ცოცხალი ვარ, არაფერი გაგვიჭირდება, ლუკმასაც გაგიყოფ და ძალიან მაწყენინებ, ქურდობა რომ იფიქროო!..

ჩვეულებრივი ძაღლი რომ არ იყო, იმავე საღამოს დაამტკიცა თურმე ბასარამ. გაოცებული კატო მეზობლებს უამბობდა: — ჯამით რძეში ჩაფშვნილი პური დავუდგი და ხარბად კი არ მივარდა, წყნარად, მშვიდად მიირთვა, ცხვირ-პირი გაილოკა, ჩაჯდა და ისეთი საწყალი თვალებით მომაჩერდა, გული მომეწურა. იქვე, ბუხართან ვიჯექი დაბალ სკამზე, დავუძახე, — რა იყო, ბასარა, შენ რაღა დარდი შეგყრია-მეთქი. მოვიდა, თავი კალთაში ჩამიდო, თვალები დახუჭა და იმოდენა ცრემლი გადმოუგორდა, დავიბენი, აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. თავზე ხელი დავადე და კაცივით დავუწყე ლაპარაკი: — გული კი არ უნდა გაიტეხო. ძაღლი ხარ და წუთისოფლის სისასტიკემ როგორ გაგაკვირვა, როცა ადამიანებიც კი ძაღლურად ცხოვრობენ. ნურც იმაზე გწყდება გული, ქურდობისთვის რომ გაგიწყრა მათე... არა, სასიკვდილოდ რომ გაგიმეტა, ეგ არაა მოსაწონი, მაგრამ ქურდი და მამაძაღლი არც შენ უნდა გიყვარდეს, პასუხი უნდა მოსთხოვო, რომ მეორედ არ იფიქროს ხელმრუდობა-მეთქი. ისეთი ჭკვიანი თვალებით მიყურებდა, მეგონა, ძაღლი კი არა, ბალღი იჯდა ჩემ წინო.

...ბავშვივით გაზარდა ბასარა კატომ, არიგებდა, ასწავლიდა და მასაც ყველაფერი ესმოდა, მართლა ესმოდა. მარტო კატოს ეზოს სიახლოვეს კი არა, მთელ უბანში ვერ გაჭაჭანდება ქურდი. ერთხელ ხამიცაძეების ხელმრუდე ბიჭმა ქათმები გადმოუსხა საქათმიდან კატოს მეზობელს — ნუცას. ქალის მოთქმაზე ბასარა კაი გამომძიებელივით ჩავიდა ეზოში, მიათვალიერ-მოათვალიერა გარემო, გზაწვრილი და საქათმის ეზო დაყნოსა და კვალი აიღო. უმცდარად მიადგა ხამიცაძეების ჭიშკარს, სადაც ეზოში, ჰამაკში ეძინა ქათმების ქურდს და „ჩიჩია ისევ კბილებში ჰქონდა“ — მოქეიფე ბიჭებისთვის ჩაუყვანია რიყეზე — ბაზარში ვიყიდე მსუქან-მსუქანი დედლებიო!.. ისე დაგლიჯა ბასარამ ქურდი, ძლივს გადაარჩინეს სიკვდილს, მაგრამ საყვედურიც ვერავინ გაუბედა ძაღლს. ქურდი სოფელს არ უყვარს და არც შესცოდებიათ საკადრისად დასჯილი...

მათეც, თავდაპირველი პატრონი, ისე ჩავიდა საფლავში, ვერ აპატია ბასარამ დასახრჩობად გამეტება. კბენით არ კბენდა, მაგრამ ახლოს არ იკარებდა, უღრენდა და თავგამეტებით უყეფდა, თითქოს უყვიროდა — „მძულხარო.“

კატო კი საოცრად უყვარდა ბასარას, სულ უკან დასდევდა. განსაკუთრებით მის ავადმყოფობას ვერ იტანდა. ერთ ზამთარს ფილტვების ანთება დაემართა მოხუცს. მეზობლის ქალები უთევდნენ ღამეს, თორაძეების რძალი ნემსს უკეთებდა. რომ მომჯობინდა, მარტო დატოვეს — ყველას თავისი ოჯახი ექაჩება... ღამით კვნესა რომ დაუწყია კატოს, გადარეული ძაღლი, რომ ვერაფერი გაიგო, გარეთ გავარდა, თორაძეების კარს მიადგა და მანამდე ყეფდა გაავებული, სანამ ექთანმა ნინომ არ გამოხედა და ვიდრე თან არ გაჰყვა, არ გაჩერდა ძაღლი. ზოგი კაციც ვერ მოიფიქრებს ამდენს!.. პირუტყვს მთაში ვუშვებთ დილით და საღამოს



მოვრეკავთ. კატოს ბოლოს გაუჭირდა ტყეში სიარული. ვეუბნებოდით მეზობლები, ჩვენ მოგირეკავთო, მაგრამ არ იშლიდა: „სულ სხვას ხომ არ შევაწუხებ, სანამ შემიძლია, ვივლი და როცა სულ მომეკვეთება მუხლი, ავდგები და მოვიშორებ საქონელსო!..“

ბასარამ, ეტყობა, იგრძნო მოხუცის გასაჭირი. საღამოობით, სანამ კატო ტყეში წასასვლელად გაემზადებოდა, გაიპარებოდა და წინ შეაგებებდა მოძებნილ პირუტყვს... მარტო კატოს კი არა, მთელ სოფელს შეუყვარდა ბასარა. ამიტომ არ ივიწყებენ და არც ლუკმას აყვედრიან. მაგრამ რაც კატო გარდაიცვალა, უცებ მოტყდა და აღარც მისი სიხარული უნახავს ვინმეს!..

92 წლისა იყო უკვე კატო. ან ამდენი ხანი რამ აცოცხლა იმხელა დარდის პატრონი! უტკივილოდ მიიცვალა. დილით ნახეს მკვდარი მეზობლებმა — ბასარას საბრალო ყმუილმა მიიქცია მათი ყურადღება... ორმოცამდე სახლში ვერ წამოვიყვანეთ ბასარა. დავაბით, მაგრამ აიწყვიტა. მაინც საფლავზე ათენებდა და ხშირად უბრწყინავდა თვალში ცრემლი. ორმოცის შემდეგ დაბრუნდა შინ და უკვე გითხარით, არავის მიჰყვება. სამი წელი გავიდა, რაც კატო აღარ არის და მაინც ვერ დაივიწყა. დღე არ გავა, სასაფლაოზე არ ავიდეს. თავჩაქინდრული, მძიმედ მიუყვება აღმართს და მერე კუდამოძუებული, ყურებჩამოყრილი ბრუნდება შინ. სოფლის ძაღლები გზას უთმობენ, თითქოს თანაუგრძნობენ მის დარდს...

...შაქრო პაპა რომ ამ ამბავს მიყვებოდა, მსხლის ძირში დადგმულ ხის მერხზე ვისხედით და იქვე იწვა მიწაზე თავდადებული ბასარა, ისეთი სევდიანი თვალებით გვიყურებდა, უეჭველად ესმოდა ყველა ჩვენი სიტყვა და დროდადრო კაცივით მძიმედ ამოიხვნეშებდა... დარდად გამომყვა ქალაქში ბასარაზე ფიქრი და ახლა თქვენ გიყვებით ამ უცნაურ არსებაზე, რომელმაც ისეთი ერთგულება და თანადგომა შეძლო, ბევრ კაცს რომ შეშურდება ალბათ და გული დასწყდება საკუთარ თავზე... ბასარასთან ერთად კი ქალაქის ქუჩებში მომრავლებულ უპატრონო ძაღლებზე ვფიქრობ და მათ გამოც მწყდება გული — უპატრონობისთვის რომ არ გაგვემეტებინა, ვინ იცის, იქნებ არც ისინი ყოფილიყვნენ ასე ავები.

ეეჰ, ადამიანებმაც რომ ვიცოდეთ ძაღლივით ერთგულება, მადლიერება და სიყვარული, რამდენად ადვილი იქნებოდა ალბათ ცხოვრება!..

***ინგა ჯაყელი***




CMYK

# ჩემს ფილმში ნიკ ნოლტი ლოთ სომეხ მხატვარს განასახიერებს...

— კინობიზნესი ჩვენთან ისეთივე შემოსავლიანი იქნება, როგორიც... სიგარეტის და ნავთობის ბიზნესი



ნიკ ნოლტი



ახლახან თბილისს სტუმრობდა ჰოლივუდის ვარსკვლავი ნიკ ნოლტი. მან ირლანდიელ რეჟისორ ნილ ჯორდანთან ერთად მხარდაჭერა გამოუცხადა ქართველ კინოპროდიუსერებს და რეჟისორს, რომლებიც ახალ ქართულ მხატვრულ ფილმს იღებენ. ნიკ ნოლტი კვლავ ესტუმრება თბილისს. „კვირის პალიტრას“ ერგო პატივი მკითხველებისთვის ეცნობებინა, რომ ამერიკელი მსახიობი კვლავ ითამაშებს ნუცა კუხიანიძესთან ერთად, ამჯერად ქართულ ფილმში, რომელსაც კინორეჟისორი **ლევან თუთბერიძე** იღებს. ლევანს მაყურებელი იცნობს ფილმიდან „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“. ასევე მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და სატელევიზიო ფილმებიდან. სწორედ მასთან გთავაზობთ ინტერვიუს.

**— ლევან, ფილმის „გასეირნება ყარაბაღში“ გადაღება მგონი პირველი აგვისტოდან უნდა დაგეწყოთ, რამ შეგაყოვნათ?**

— მოსამზადებელი პერიოდი გაგვიგრძელდა. გადასაღებ მოედანზე 15 სექტემბრიდან გადავინაცვლებთ: ლოს-ანჯელესიდან ჩამოსულია ოპერატორი გორან პავიჩევიჩი. იგი ჰოლივუდში მუშაობს. ძალიან საინტერესო ხელოვანია, ბევრი ფილმი აქვს გადაღებული. ერთ-ერთი მათგანია „ამერიკის რჩეულნი“, რომელშიც ჯულია რობერტსი მონაწილეობს. ჩიკაგოს კინოფესტივალზე მიღებული აქვს რამდენიმე ოქროს გლობუსი. ჩვენი ფილმისთვის მისი სტილი ყველაზე ახლობელი აღმოჩნდა. თანაც ერთი თაობის ხალხი ვართ...

**— როდის ვარაუდობთ ფილმის მაყურებლის წინაშე წარდგენას?**

— მომავალი წლის გაზაფხულზე იქნება პრემიერა.

**— თვე-ნახევრის წინ, პრესკონფერენციაზე განაცხადეთ, რომ ფილმში „გასეირნება ყარაბაღში“ ნუცა კუხიანიძე ითამაშებს. ახლა გავიგე, თურმე ნიკ ნოლტიც მიიღებს მასში მონაწილეობას.**

— ნიკ ნოლტს ძალიან მოსწონს შეთავაზებული როლი, ყველანაირად ცდილობს, რომ ჩვენთან გადაღებებისთვის 5-6 დღით მაინც გაითავისუფლოს თავი. მისი მხრიდან ეს ქართული კინოსთვის საჩუქარი იქნება. იგი ჩვენგან ჰონორარს არ იღებს. ფილმში ნიკ ნოლტი ითამაშებს სომეხ ლოთ მხატვარს, ვალერას, რომელიც ყარაბაღში ცხოვრობს.

**— ისევე, როგორც თქვენს ბევრ კოლეგას, თქვენც კარგა ხანს გქონდათ უქმობის პერიოდი შემოქმედებაში, დარდს რით იქარვებდით?**

— ცუდი დრო იყო. პატარ-პატარა არაპროფესიული საქმეებით ვიყავი დაკავებული. მალე მივხვდი, ადამიანმა მხოლოდ თავისი საქმე უნდა აკეთოს. სხვებთან ერთად კინოთეატრი გავხსენი.

**— ალბათ კინო ადრიდანვე შემოვიდა თქვენს ცნობიერებაში, თქვენ ხომ განსაკუთრებულ გარემოში იზრდებოდით...**

— მე რომ კინორეჟისორი არ გამოვსულიყავი, ალბათ ყველას გაუჩნდებოდა კითხვა — რატომ ავირჩიე სხვა პროფესია. ჩემი ორი ბიძა — ქართლოს და ბუბა ხოტივარები რეჟისორები არიან, მამა — კინომხატვარი, ჩემი ძმა ზუკაც რეჟისორი იყო. ბავშვობიდან გამუდმებით მესმოდა საუბარი კინოზე, კინო მიტრიალებდა თავში შინაც და გარეთაც. ვცხოვრობდი უშანგი ჩხეიძის 23 ნომერში „კინოშნიკების“ კორპუსში. მათ სამყაროში ვტრიალებდი. ვიცოდი, რა იყო მონტაჟი, „რასკადროვკა“...

**— ხშირად ხელოვანთა ოჯახში შვილებს სხვა მიმართულებით წასვლას ურჩევენ. თქვენ გქონდათ რაიმე წინააღმდეგობა?**

— ბაბუაჩემი მეუბნებოდა — ლევან, იცოდე რეჟისორობა ურთულესი რამ არის, როგორც პროფესიული, ისე შემოსავლის თვალსაზრისით. შეიძლება 6 თვე იმუშაო გადაღებაზე. რაღაც თანხა გადაგიხადონ, მაგრამ მერე 5-6 წელი უმუშევარი დარჩეო... სამწუხაროდ, ჩვენთან ისე არ არის, როგორც ჰოლივუდში. იქ შეიძლება ერთი ფილმი გადაიღო და მერე ათი წელი მაიამიში, სანაპიროსთან გაატარო უზრუნველად.

**— თქვენი პროგნოზით, რა შეიძლება იყოს თუნდაც 5 წლის შემდეგ, კვლავაც მხოლოდ ტელესერიალების ბუმი?**

— ტელესერიალებსაც თავისი დატვირთვა აქვს. არის ძალიან საინტერესო რეჟისორი რობერტ ოლდმენი. ფული რომ დაეგროვებინა და სერიოზული ფილმები შექმნა, 54 წლამდე იღებდა იაფფასიან ტელესერიალებს. მერე შექმნა „ჩვენ, ყველანი ქურდები ვართ“ და ა.შ. ჩვენთანაც იგივე ხდება — ჯერ ტელესერიალებს იღებენ, მერე დაიწყებენ სერიოზული მხატვრული ფილმების გადაღებას და ვფიქრობ, ჩვენი ფილმი „გასეირნება ყარაბაღში“ იქნება ლენტის გამჭრელი. ვერ გეტყვით, რომ იგი ვარსკვლავებს დაკრეფს, მაგრამ ბიზნესმენებს კი დაარწმუნებს, რომ კინოში ჩადონ ფული. კინობიზნესი ძალიან სერიოზული და ისეთივე შემოსავლიანი იქნება საქართველოში, როგორიც (უხეში შედარებაა, მაგრამ ასეა) სიგარეტის და ნავთობის ბიზნესი...

*ეკა ლომიძე*

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა,
4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
10. ფიზიკა და მათემატიკა, 11. ქიმია და ბიოლოგია,
12. ისტორია და რელიგიის ისტორია, 13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-17 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2 (ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).

☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.



# „ყველაზე საყვარელი ჭორიკანა“...



*მას ძალიან არ უყვარს ჭორები. თუმცა, მაყურებელმა „ყველაზე საყვარელი ჭორიკანა“ შეარქვა... დღესაც ძველებური ინტერესითა და ხალისით უყურებენ* ***თეა გვასალიას*** *გასართობ გადაცემას — „ამბობენ“. თანაც, ბევრს წარმოდგენაც არა აქვს, რომ საქართველოში ძალზე პოპულარული კოლუმბიელი მწერლის გაბრიელ მარკესის სერიული მთარგმნელი სწორედ თეაა, რომელიც ახალი წიგნის გამოცემისთანავე „ჩასაფრებულივით“ იწყებს თარგმანს. ამჯერად თეა ძველებურად დიდ ყურადღებას ველარ აქცევს მთარგმნელობით მუშაობას. მიზეზი კი ძალზე სასიამოვნოა — სამი თვის წინ თეა გვასალიას, ზუსტად წმინდა ელენეს დღესასწაულზე, პატარა ელენე შეეძინა.*

**— „ამბობენ“ სეკვესტრირებულ გადაცემათა ნუსხაში არ მოჰყვა, როგორც ჩანს, თქვენ კვლავაც „ყველაზე საყვარელი და პოპულარული ჭორიკანას“ სტატუსი გაქვთ...**

— ძალიან არ მომწონს ეს იარლიყი, რადგან ვერ ვიტან ჭორებს და საერთოდ, მე ამბებს ვაშუქებ და არა ჭორებს, მაგრამ რახან ხალხს ასე მოსწონს, რას ვიზამ. „ამბობენ“ მრავლისმომცველი სათაურია, ჩარჩოს არ გულისხმობს. ეს რუბრიკა ყველას აინტერესებს... თანაც უკვე გაცილებით მეტ დროს ვუთმობთ ადგილობრივ ბომონდურ ახალ ამბებს, ვიდრე უცხოურს.

**— ლიტერატურული თარგმანი რომ შეძლო, უცხო ენა მშობლიურივით უნდა იცოდე. პირველად როდის თარგმნეთ ესპანური ენიდან?**

— 16 წლისამ. უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ მოვკიდე ხელი პირველად მარკესის მოთხრობებს და ვთარგმნე კიდეც. დაიბეჭდა „ახალგაზრდა კომუნისტში“. „დიდფრთებიანი მოხუცი სენიორი“ — ასე ერქვა მოთხრობას. ყველაზე ახლობელი მარკესია ჩემთვის, თორემ ისე კორტასარიც, ბორხესიც და სხვებიც ძალიან მიყვარს.

**— შენს შემოქმედებით „ანგარიშზე“ ამჟამად რა ირიცხება?**

— ესპანურიდან ქართულად ვთარგმნე მარკესის თხუთმეტი რომანი, გარსია ლორკას ერთი პიესა, მიგელ ოტეროს ვალსარის „როცა მეტირება, არ ვტირი“, პირსო დე მოლინას ერთი პატარა რომანი, ანტონიო მაჩადოს „სენტენციები“ და კიდევ ბევრი სხვა. მე თარგმნის პროცესი მიყვარს, თორემ მისი დაბეჭდვა და გამოცემა არ მეხერხება. 20 წლის ვიქნებოდი, მარიონეტების თეატრმა მადრიდში საერთაშორისო ფესტივალზე წარსადგენი სპექტაკლის „ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა“ სინქრონული თარგმანის გაკეთება მთხოვა. ვგიჟდებოდი ამ სპექტაკლზე. ვთარგმნე და ხმაც დავადე. მერე მიხაროდა, სპექტაკლმა რომ გაიმარჯვა ფესტივალზე. არავინ იცოდა, ვისი ხმა იყო სინქრონში და მსახიობები მეუბნებოდნენ — კარგი თარგმანია, ხმაც კარგია, მაგრამ ეტყობა, ამ გოგოს ენა ეჩლიქებაო. ესპანურში ასო „ს“ რბილია და ამიტომ ჩამთვალეს ენამოჩლექილად. ასევე დიდი ხნის წინ მათარგმნინეს გურამ დოჩანაშვილის „ვატერპოლო“. მაგრამ მოგეხსენებათ, როგორი სტილი აქვს, ამიტომ არ ვიცი, რა გამომივიდა.

**— ესპანეთში ბასკებთან თუ გქონდათ ურთიერთობა?**

— რა თქმა უნდა. აქ, ასპირანტურაშიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბასკურ-ქართულ ურთიერთობებზე ჩავაბარე. ერთი-ორი წელი ვიმუშავე კიდეც ამ მიმართულებით, მაგრამ მაინცდამაინც არ დამაინტერესა, რადგან, მირჩევნია ესპანურიდან ლიტერატურა ვთარგმნო და ხალხთან ცოცხალი ურთიერთობები მქონდეს, ვიდრე რაღაც თეორიები ვამტკიცო ქართველებისა და ბასკების ნათესაობის შესახებ. თუმცა ვმუშაობდი საინტერესო თემაზე — „მთვარის კულტი ქართულ და ბასკურ მითოლოგიაში“. მეცნიერული კვლევებისთვის აუცილებელია ენის ღრმა ცოდნა, ბასკური კი ესპანურისგან აბსოლუტურად განსხვავებული და რთულია, ისე როგორც ქართული ენა არ ჰგავს არც ერთ სხვა ენას.

**— ქართულს თუ ჰგავს ბასკური? ურთიერთობებში როგორები არიან ბასკები?**

— საუბრის დროს ვერანაირ მსგავსებას ვერ ნახავ. მაგრამ თუ ჩაეძიები, საერთო სიტყვებს ნამდვილად აღმოაჩენ. მაგალითად, „არჩანდა“ ჰქვია მთას ბილბაოში, იმიტომ, რომ ღრუბლებში არ ჩანს. ლენტეხია იქაც სოფელი... ბასკები არაჩვეულებრივი ხალხია. ვიზუალურად ჰგვანან ქართველებს. საოცარი სტუმართმოყვარეები და გულკეთილები არიან. თუ მათი კულტურით დაინტერესება შეგატყვეს, თან გადაგყვებიან.

**— მიკვირს, რომ ესპანეთში არ დარჩით.**

— როცა იქ ვსწავლობდი, ჩემზე ქუჩაში უთითებდნენ ერთმანეთს, „ნახეთ სოვიეტი მოდისო“. მაშინ სსრკ-დან იქ თითქმის არავინ სწავლობდა. ძალიან უკვირდათ რომ ესპანელივით ვსაუბრობდი ესპანურად. ბევრ კარგ ადგილზე მთავაზობდნენ მუშაობას, მაგრამ უარს ვამბობდი. ახლა გული მწყდება, მაგრამ დედა ხშირად ავადმყოფობდა და იქ ვერ მოვისვენებდი. მაშინ სატელეფონო კავშირებიც ძალიან ჭირდა. ზოგჯერ ორი თვე ვწვალობდი, თბილისში რომ დამერეკა.

**— ამჟერად რას თარგმნით?**

— მარკესის ბოლო ახალ რომანს, თუმცა, გავიგე, მის შემდეგ კიდევ გამოუცია ახალი წიგნი. ჩემი პატარა ელენეს გამო აქტიურად ველარ ვმუშაობ, მაგრამ დაწყებული თარგმანის შემდეგ აუცილებლად შემოგთავაზებთ მარკესის ბოლო წიგნსაც ქართულ ენაზე. რამდენიმე წლის წინ კოლუმბიის ყოფილი პრეზიდენტი იყო საქართველოში. მისთვის უთქვამთ — გაგაცნობთ ქალს, რომელიც მარკესს თარგმნისო. როცა მე მივედი, პრეზიდენტი სადღაც ჩემს ზურგს მიღმა იცქირებოდა. აშკარად ვიღაცას ელოდა ან ეძებდა. მერე გაირკვა, რომ ვერ წარმოედგინა მის წინ მდგომი პატარა გოგო თუ იქნებოდა ის ქალი. მითხრა, გაბო ჩემი მეგობარიაო. წერილი მივწერე საყვარელ მწერალს და მის მეგობარს გავატანე. არ ვიცი, რა ბედი ეწია, შეიძლება ადრესატამდე მივიდა, ეგებ პასუხიც გამომიგზავნა, მაგრამ კავშირგაბმულობა მაშინ კი არა, ახლა არ მუშაობს გამართულად. მოკლედ, კონტაქტი ვერ შედგა. მეტჯერ დაკავშირება არც მიცდია.

*ეკა ლომიძე*

ავიაკომპანიები „საქავიასერვისი“ და „სამარა“ 25 აგვისტოდან ასრულებენ რეისს

**თბილისი — სამარა** – ორშაბათობით

**სამარა — თბილისი** – სამშაბათობით

მის: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. №4

ტელ: 99-02-37; 99-83-87

# 13-დან 19-მდე

## — დაკვრის დროს ყველაზე მეტად ქართული ჯვარი მეხმარება...



„რა უნდა იყოს კონკურსის ორგანიზატორისთვის იმაზე კარგი, ვიდრე შესაძლებლობა მიესალმო დარბაზს, სადაც ყველა ადგილი გაყიდულია!" — წერდა ამ ცოტა ხნის წინ გერმანული გაზეთი „ნიურტინგენ ცაიტუნგი" და დასძენდა, რომ ნიურტინგენი ევროპული სავიოლონჩელო სცენის მომავალს — 18 წლის გიორგი ხარაძეს მასპინძლობდა.

### 18 წლის ქართველ მუსიკოსს ევროპული სავიოლონჩელო სცენის მომავალს უწოდებენ

— ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე აღტაცება! — ამბობდა მაყურებელი.

— გიორგი ხარაძის ვირტუალობას და ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად განსაცვიფრებელ მუსიკალურ სიმწიფეს ძნელად თუ ვინმემ გადააჭარბოს მის მეორე სამშობლოში, პარიზშიც კი.

— ეს ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსი ცნობილ პიანისტ ვოლფგანგ ვალტერთან ერთად ორი საათის განმავლობაში მრავალფეროვან მუსიკალურ მოგზაურობაში იწვევდა მსმენელს... — წერდნენ გერმანელი მუსიკათმცოდნეები.

„დაფნის გვირგვინი გიორგი ხარაძეს!" — ამ სათაურით დაიბეჭდა სტატია ფრანგულ გაზეთ „ჩრდილოეთის ხმაში".

— საშუალება მქონდა მომესმინა პარიზში, დიმიტრი შოსტაკოვიჩის სახელობის ცენტრში გამართული კონცერტის აუდიოჩანაწერი (წარმოიდგენია, რამდენად ეფექტური იქნება ცოცხალი შესრულება). ამ კონცერტის ნამდვილი გმირი გიორგი ხარაძე იყო და ჩემთვის აშკარა გახდა, რომ მისი სახით საერთაშორისო დონის მუსიკოსი იზრდება — გვითხრა კომპოზიტორმა და დირიჟორმა შავლეგ შილაკაძემ.

გიორგი ხარაძის მშობლები, ცნობილი მუსიკოსები 1993 წელს წავიდნენ საფრანგეთში შვილებთან ერთად. თავდაპირველად ქალაქ ბლუაში ცხოვრობდნენ, ახლა პარიზში არიან.

გიორგიმ თავისი განსაცვიფრებელი ნიჭით აღაფრთოვანა ფრანგი მუსიკოსები და არა მარტო ისინი. ჯერ მარტო 15 წლისა პარიზის კონსერვატორიის სტუდენტი იყო, სადაც პირველკურსელმა მოიპოვა პირველი პრემია საფრანგეთის ეროვნულ კონკურსში. მოგვიანებით გერმანიაში, შტუტგარტის ვიოლონჩელისტთა საერთაშორისო კონკურსის უმაღლეს ჯილდოს დაეუფლა.

— ბლუაში ჩასული მუსიკოსთა ოჯახი სულ მალე მოექცა იქაურ ხელოვნების მოყვარულთა ყურადღების ცენტრში, — მიამბობს გიორგის მამიდა ქალბატონი ეფემია ხარაძე. — არჩილი საკმაოდ ძლიერი ალტისტია (სიმებიან კვარტეტ „თბილისში" უკრავდა), ლიანა — მევიოლინე, უფროსი გოგონა თეონაც მევიოლინეა, გიორგიმ კი ვიოლონჩელო აირჩია. მათმა საოჯახო კვარტეტმა „ხარაძე" ლამის მთელი საფრანგეთი აალაპარაკა... გიორგი მსოფლიოში ერთ-ერთმა ცნობილმა მუსიკოსმა და პედაგოგმა როლან პიდუმ აიყვანა თავის მოწაფედ საფრანგეთის უმაღლეს კონსერვატორიაში. უკვე მესამე კურსი დაასრულა. მაესტრო როლან პიდუმ ისიც უთხრა, ახლავე შეგვიძლია კონსერვატორიის უმაღლესი ხარისხის ატესტატი მოგცეთო, მაგრამ გიორგიმ არ ისურვა, მირჩევნია ცოტა ხანს კიდევ ვისწავლო კონსერვატორიაშიო...

***— თუ გირეკავთ ხოლმე გიორგი, ქართულად თუ გელაპარაკებათ? — ვეკითხები ქალბატონ ეფემიას.***

— ხშირად გვირეკავს მეც და ჩემს დებსაც. აქედან 8 წლისა წავიდა, მაგრამ მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად. მამიდებმა წმინდა ნინოს ჯვარი ვუყიდეთ და-ძმას და პარიზში გავუგზავნეთ. ვიოლონჩელო ზუსტად იმ ადგილას მიდევს გულთან ახლოს, სადაც ჯვარი მიკიდიაო, მითხრა. ვიცი, დაკვრის დროს ყველაზე მეტად მამიდების ნაყიდი ქართული ჯვარი მეხმარებაო... — ერთ ინტერვიუში ასე უთქვამს ჩვენს გიორგის...

***— თეონას როგორი წარმატებები აქვს?***

— შეიძლება ითქვას, რომ უკვე ცნობილი მევიოლინეა. პარიზის კონსერვატორიის ვიოლინოს კლასიც დაამთავრა და ასპირანტურაც. სტუდენტობისას სამ ფრანგ გოგონასთან ერთად სიმებიანი კვარტეტი შექმნა, რომელსაც „სულიკო" უწოდა და რომელიც აგერ უკვე ექვსი წელია ხიბლავს ფრანგებს. გარდა ამისა, თეონა ქალაქ რუანის ორკესტრის სოლისტი და კონცერტმეისტერია...

***— მართლაც უდიდესი წარმატებაა...***

— მაგრამ გიორგიმ წალეკა ხარაძეები... — იცინის ეფემია მამიდა. — ხუმრობა საქმე ხომ არ არის, რომ უდიდეს საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე 18 წლის მუსიკოსის შესახებ თვით ჟიურის თავმჯდომარემ ვერნერ ესერმა განაცხადოს, რომ გიორგი ხარაძის გამოსვლა ჟიურისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო!..

***— საქართველოში ჩამოსვლას თუ აპირებს და როდის?***

— სულ საქართველოზე ოცნებობს. ყველა კონცერტსა თუ კონკურსზე ითხოვს, რომ მისი ეროვნება გამოაცხადონ. მისი ყველაზე დიდი ოცნებაა თბილისში ჩამოსვლა და აქ კონცერტის გამართვა...

P.S. იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველი ვიოლონჩელისტი უახლოეს მომავალში ეწვევა მონატრებულ თბილისს და ქართველ მუსიკის მოყვარულთ ექნებათ საშუალება მოუსმინონ მუსიკოსს, რომელსაც დღეს ევროპული სავიოლონჩელო სცენის მომავალს უწოდებენ.

***სალომე შოშიტაშვილი***

## რატომ ირჩევენ ბიჭები თავისუფლებას



თავდავიწყებით გიყვარდა, მისი გჯეროდა და ფიქრობდი, რომ დედამიწაზე ყველაზე ბედნიერი იყავი, უცებ აღმოაჩინე, რომ ეს სიყვარული საპნის ბუშტივით გასკდა და ჰაერში გაიფანტა. ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს, უპირველესად კი ის, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები „უცნაური" ბუნებისანი არიან.

- წარმოიდგინე, ნაყინი გინდა და ამ დროს დაჟინებით შოკოლადს გაჩეჩებენ. გახსოვს, პირველი შეხვედრებისას თვალები გიბრწყინავდა და მის თითოეულ სიტყვას „ყლაპავდი", ახლა კი მისი ხუმრობაც აღარ გაინტერესებს, შეცდომა დაუშვი, მან იგრძნო, რომ მომაბეზრებელი გახდა (თუმცა ამას არ აღიარებს).
  ბიჭებს არ უყვართ გოგონების „გამოსწორება", ე.ი. უკვე დროა, სხვაზე გადაერთონ.

- გიყვარს საჩუქრები, რომანტიკული შეხვედრები, გიყვარს, როდესაც შეყვარებული ბიჭი საინტერესო გეგმებზე გესაუბრება. შენი როლი მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ მას ყოველთვის ხელგაშლილი ეგებები, მას კი მოჰბეზრდა. ის ანიმატორი კი არ არის, რომ მხოლოდ ორგანიზება „გაუკეთოს" შენს სურვილებს.

- სიყვარული — უპირველესად მოვალეობების ჯაჭვია. მას მეგობრებთან გართობა ურჩევნია, იმაზე ტვინის ჭყლეტას, რა მოიფიქროს, რომ თავი იმართლოს, რატომ არ დაგირეკა. უბრალოდ ის ჯერ კიდევ ბიჭუკელაა და კაცობამდე დიდი გზა აქვს გასავლელი.

- ზოგიერთი ბიჭი ფიქრობს, რომ შეყვარებულების ხშირი ცვლა მას თვითდამკვიდრების საშუალებას აძლევს, ან თავს ვერ უტყდება, რომ ეშინია, გოგონამ პირველმა არ მიატოვოს. ამიტომ ურჩევნია, სანამ მიატოვებენ, თავად დაასწროს და გადადგას ეს ნაბიჯი.

## საყვარელო „პალიტრავ"!

**რედაქციაში უამრავი წერილი მოდის. სამწუხაროდ, თითოეულის გამოქვეყნებას ვერ ვახერხებთ, ამ წერილის დაბეჭდვა კი იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ მისი ავტორი საშინლად დათრგუნვილია; საშა — ასე უწოდებს ბიჭი თავის თავს, თუმცა სინამდვილეში სულ სხვა სახელი ჰქვია, ძალიან განიცდის იმ ადამიანის დაკარგვას, რომელსაც, როგორც თავად ამბობს, კარგად არ იცნობს, მაგრამ ამის მიუხედავად, უკვე მთელი გულით უყვარს. ამ ისტორიაში თუ ვინმე ამოიცნობს ამ გოგონას, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ, რადგან საშამ თავისი კოორდინატები რედაქციაში დატოვა.**

ძვირფასო „კვირის პალიტრის" რედაქციავ! მოგესალმებით დიდი სიყვარულით და პატივისცემით, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ და მაპოვნინოთ ჩემი საყვარელი ადამიანი, ჩემი ნანა.

ვარ 16 წლის. ახლახან ქობულეთში ვისვენებდი, ერთხელ სანაპიროზე სეირნობისას, დამსვენებლებს ვაკვირდებოდი. შევამჩნიე ორი ულამაზესი ქალიშვილი, 15 წლისანი იქნებოდნენ, როგორც შემდეგ გავიგე, ნანა და ნინო რქმევიათ, მე ნანა მომეწონა და დავუწყე თვალთვალი, მანაც შეამჩნია ჩემი გადამეტებული ყურადღება. ნანას გარეგნობამ (და არა მხოლოდ გარეგნობამ) მომაჯადოვა, ხასიათითაც კარგი ადამიანი აღმოჩნდა. ნელ-ნელა დავუახლოვდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ თბილისელი იყო, ვფიქრობდი, წამოსვლისას ტელეფონის ნომერს გამოვართმევ და უფრო ახლოს გავიცნობ-მეთქი. ერთმანეთს თვალს ვერ ვწყვეტდით, ისე, მხოლოდ ზრდილობისათვის თუ გავიხედავდით სხვადასხვა მხარეს, მის ყურებას კი არაფერი სჯობდა. ოთხი დღე გავიდა ერთმანეთის თვალთვალში. არ მინდოდა ოჯახის წევრებთან შექმნოდა პრობლემები, ამიტომ საუბარს მხოლოდ ზღვაში ცურვისას ვახერხებდით (სხვათა შორის მშვენივრად ცურავდა). გაცნობიდან მეოთხე დღეს, როგორც იქნა, გადავწყვიტე სერიოზულად დავლაპარაკებოდი, მაგრამ იმ დღეს ზღვა ძალიან ღელავდა და ამიტომ ვერ მოვახერხე, თუმცა სანაპიროდან წასულებს უკან გავყევი, რომ გამეგო, სად ცხოვრობდა. ჩემი რჩეული სულ უკან-უკან იყურებოდა და მაკვირდებოდა, მეც შემრცხვა და გამოვბრუნდი. ახლაც თვალწინ მიდგას თვალები, ის დღე... მას შემდეგ ნანა აღარ მინახავს. მომდევნო დღე ლოდინში გავატარე... იმ სახლში, სადაც მე ვისვენებდი, კიდევ ერთი ბიჭი ცხოვრობდა, რომელმაც დამამშვიდა: ალბათ ბათუმის დასათვალიერებლად წავიდნენ და მალე გამოჩნდებიანო. მეც იმ საღამოს დავმშვიდდი, მომდევნო დღეს ზღვისკენ გახედვაც აღარ მინდოდა, მას ველოდებოდი. როცა „ვეფხისტყაოსანს" ვსწავლობდი, ტარიელის ტირილი სასაცილოდ მეჩვენებოდა, ახლა კი ვხვდები, თუ რა ყოფილა ნამდვილი სიყვარული. გოგო კი არა, სილამაზის ქალღმერთი იყო, ის, ვისაც დიდხანს ვეძებდი, მე კი რამდენიმე დღეში დავკარგე ადამიანი, რომლის შესახებ პრაქტიკულად არაფერი ვიცი.



არ ვიცი ჩემი სიცოცხლე კითხულობს თუ არა თქვენს გაზეთს, მაგრამ იმედი მაქვს, კეთილი ხალხის ნებით „კვირის პალიტრის" ეს სტატია მაინც მოხვდება მის ხელში. დარწმუნებული ვარ, თუ შეიტყო, რომ ვეძებ, აუცილებლად შეგეხმიანებათ.

ერთმანეთს რომ ვნახავთ, სიცილით გავიხსენებთ ზღვის ამბებს. ამჟამად კი საშინელ დეპრესიაში ვიმყოფები, თვითმკვლელობაზეც კი ვფიქრობდი. თუ რომელიმე მკითხველმა ამოიცნო ჩემი რჩეული, გთხოვთ, ნუ დაიზარებთ და მომაწოდეთ ინფორმაცია, რომელიც დამეხმარება მის პოვნაში.

**ძვირფასო „კვირის პალიტრის" რედაქციავ, ძალიან მიხარია, რომ არსებობს რუბრიკა 13-დან 19-მდე. მინდა ერთი თხოვნა ამისრულოთ. ჩემი ფავორიტია ენრიკე იგლესიასი. ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ენრიკეს და ანა კურნიკოვას ერთმანეთი შეუყვარდათ, იქნებ ორივეს შესახებ ინფორმაცია მომაწოდოთ: რამდენი წლისანი არიან, ზოდიაქოს რა ნიშნით დაბადებულნი და ა.შ. დარწმუნებული ვარ, ჩემს თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებთ, მე კი ველი ახალი ნომრის გამოსვლას.**

***ერთგული მკითხველი ნუციკო, 16 წლის, სამტრედია***





**ენრიკე იგლესიასი** თქვენი მშობლების კერპის, ხულიო იგლესიასის ვაჟია, შთამომავლობით მამისგან მუსიკალური სმენა გადმოეცა, დედისაგან კი — სახეზე პატარა ხალი. მისი პირველი ალბომი 6 მლნ ტირაჟით გაიყიდა, მეორე — 5 მლნ. ენრიკეს სულ 6 ალბომი აქვს გამოცემული და ყველა წარმატებულია.

ასაკი: 28 წლის.

**ზოდიაქოს ნიშანი:** ვერძი.

**თმის ფერი:** წაბლისფერი.

**თვალის ფერი:** თაფლისფერი.

**ტიტული:** მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ლათინურ-ამერიკელი მსახიობი.

**ყოფილი მეგობარი ქალები:** ჯენიფერ ლავ ჰიუიტი, არსებობს ჭორები, რომ რაღაც პერიოდი რუს მომღერალ ალსუსთანაც ჰქონდა რომანი.

**ანა კურნიკოვა** — პროფესიით ჩოგბურთელი. 2000 წელს მსოფლიოს მერვე ჩოგანი, მონაწილეობას იღებდა ისეთ პრესტიჟულ ტურნირებში, როგორიცაა დიდი შლემი, თუმცა არასოდეს გაუმარჯვია. მიუხედავად ამისა, ცნობილი ფიგურაა შოუ და სარეკლამო ბიზნესში.

ასაკი: 22 წლის.

**ზოდიაქოს ნიშანი:** ტყუპები.

**თმის ფერი:** ქერა.

**თვალის ფერი:** ცისფერი.

**ტიტული:** ცნობილი რუსი ლამაზმანი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური ქალი.

**ყოფილი მეგობარი მამაკაცები:** ჰოკეისტი სერგეი ფიოდოროვი, ჩოგბურთელი პაველ ბურე.

სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია, როგორც ჩანს, სიძულვილიდან სიყვარულამდეც არცთუ შორია. ანა კურნიკოვას საშინლად სძულდა ენრიკე, მას მამიკოს შვილსაც კი ეძახდა, ამის მიზეზი კი ის გახლდათ, იგლესიასმა ერთხელ ისე შეურაცხყო რუსი ლამაზმანი, რომ ეს უკანასკნელი, 6 საათი ტიროდა. ბედის ირონიამ ისინი ერთ-ერთი კლიპის გადაღებისას შეახვედრა. — არავინ მთხოვოს, რომ ამ ქალბატონს ვაკოცო, — მკაცრი სახით განაცხადა ენრიკემ და მისი გადარწმუნება ვერავინ შეძლო. შედეგიც სახეზე იყო, კლიპის სცენარი შეიცვალა. მოგვიანებით კი მოხდა სასწაული, ერთ-ერთ ინტერვიუში ენრიკემ განაცხადა, ანა საკმაოდ სიმპათიური და სექსუალური მეჩვენება და სურვილი მაქვს უფრო ახლოს გავიცნოო. თქვა და შეასრულა: ლოს-ანჯელესში — იტალიური რესტორანი, მაიამიში — ბარები, იგლესიასის თეთრი კატერით გასეირნება. ისინი თავიანთ შეხვედრებს არც მალავდნენ. ერთმანეთს კამერების წინ კოცნიდნენ. მოგვიანებით იგლესიასმა ფლორიდაში, ანასთან ახლოს, პატარა სახლი იყიდა. ერთი სიტყვით, ყველა მოუთმენლად ელოდება, შეყვარებულები როდის გამოაცხადებენ ქორწინების დღეს.

***გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა***

# „ერთადერთი“ და „ნამდვილი“?

...ზღვის სანაპიროზე თითქმის ერთდროულად გავდიოდით მე და ის უცნაური ქალი. მე — ჩემი ორი შვილით, მას — დედა, დეიდა და 5 წლის გოგონა ახლდნენ. მისი უცნაურობა ის იყო, რომ თითქმის ხმას არ იღებდა. ლაპარაკობდნენ მხოლოდ თანმხლებნი. ქალი გოგონას ზღვაში ცოტა ხანს აჭყუმპალავებდა, მერე კენჭების მოგროვებას ურჩევდა, ხელში შეაჩეჩებდა პატარა დაწნულ კალათს, თვითონ კი მუხლებამდე წყალში დიდხანს იდგა გარინდებული. მერე ზღვაში შეცურავდა და ისე შორს გადიოდა, თვალს ვერ მიაწვდენდი.

ერთ დილას გადავწყვიტე, გავცნობოდი, მით უმეტეს, რომ ჩვენი გოგონები უკვე კარგა ხანია ერთად თამაშობდნენ და ამჯერადაც მხიარულად შეეგებნენ ერთმანეთს. ბავშვების შეხვედრამ თიკოს დედასაც მოჰგვარა ღიმილი, მან მისალმების ნიშნად თავი დამიკრა. წყალში რომ შევიდა, ცოტა ხანს იდგა, ხელებით თითქოს ტალღებს ეფერებოდა, მერე შეცურდა და ძალიან შორს წავიდა. საათ-ნახევარი გავიდა. როგორც იქნა გამოჩნდა და შვებით ამოვისუნთქეთ... ნასადილევს სანაპიროსკენ გამიწია გულმა.



ცოტა ხნის მერე ჩემსა და თიკოს დედას შორის საუბარი ისე ბუნებრივად აეწყო, როგორც ახალგაცნობილ და დაახლოებულ დამსვენებლებს შორის ხდება ხოლმე.

— ბავშვები ზემოთ დარჩნენ, მე კი მზეს და ზღვას ვერ ველევი, მალე თბილისში ვბრუნდები და... — ვუთხარი მას. ქეთი მქვიაო, — გამეცნო და ჩემითაც დაინტერესდა. მივხვდი, მარტო დარჩენილი აღარ იქნებოდა ჩვეულებისამებრ ჩუმი.

— ზღვა ყოველთვის მიყვარდა. ცურვაზე 6 წლიდან დავყავდი მშობლებს. ალბათ გავყვებოდი კიდეც ამ სპორტს, მაგრამ გავიპარე. სკოლა არც მქონდა დამთავრებული, ისე გავყევი ჩემს პირველ ქმარს, დათოს. მერვე კლასიდან გვიყვარდა ერთმანეთი. ჩემებს არ მოსწონდათ სასიძო, მე კი ვერ წარმომედგინა დათოს გარდა სხვა ვინმეს, თუნდაც ოდესღაც, დარქმეოდა ჩემი ქმარი, ამიტომაც დავკარი ფეხი და გავყევი.

— **ნანობ?**

— ბედისწერისა არ მწამს-მეთქი, ვერ გეტყვი, თუმცა იმასაც ვერ უარვყოფ, რომ ადამიანს თავადაც ძალუძს თავისი ბედის „გამოჭედვა“. ალბათ ის მივიღე, რაც დავიმსახურე, მაგრამ...

— **სხვანაირად შეგეძლო შენი ცხოვრება წაგემართა?**

— კი, შემეძლო — შორს, სადღაც, ზღვის იქით გაექცა ქეთის ფიქრი, მაგრამ ჩემმა შეკითხვამ გამოაფხიზლა.

— **თიკოს მამა დათოა?**

— არა. დათოსთან ბიჭი შემეძინა. ნაადრევი მშობიარობის გამო ბავშვი დაიღუპა. მერე მალევე დავშორდით... პატარა ვიყავი, ვერ გავუძელი ცოლქმრობის ტვირთს. წელიწად-ნახევარი ასე ვიყავით, ცალ-ცალკე. ისევ მიყვარდა. ამ პერიოდში დათო სამ თვეში ერთხელ შემეხმიანებოდა. შემახსენებდა, რომ მისთვის ერთადერთი, ნამდვილი სიყვარული მხოლოდ მე ვიყავი და მერე ისევ გაქრებოდა. მიკვირდა ბევრი რამ: ჯერ ერთი, როგორ ძლებდა თვეობით უჩემოდ, მეორეც, რანაირად შეეძლო დაეხარისხებინა „სიყვარულები“ ნამდვილად და არანამდვილად. გამოდის, რომ ჩემს მერე გატაცებებიც მრავლად ჰქონდა... ბოლო დარეკვისას ისეთი რამ მითხრა, საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩი და გადავწყვიტე, რომ აღარ ღირდა შერიგება. დროზე გადაწყვიტე რამე, თორემ იცოდე, სხვა გახდება ჩემიო. არ ვიცი, ეს შესაშინებლად მითხრა, რომ ჩემივე ფეხით მიმერბინა მასთან, თუ მართლაც ვიღაც შეიყვარა. ასე იყო თუ ისე, ორივე ვარიანტი მის კაცურ ღირსებას ეჭვქვეშ აყენებდა, მე კი ასეთ კაცთან ვერ ვიცხოვრებდი. საოცრად დამწყდა გული. ჩემს თავში ჩავიკეტე. ორი წელი ბაიყუშივით შინ ვიჯექი. მერე დეიდამ (სწორედ იმან, ახლა რომ თან გვახლავს) ამბავი მომიტანა, — დათოს ცოლი შეურთავს, შენ კი გულს ასკდებიო. ძალიან გავმწარდი და „სასწაულების“ მოხდენა მომინდა. უკვე 19 წლის ვიყავი, ჩავუჯექი წიგნებს და იმავე წელს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე.

გავიდა წლები. მეგობრებისგან გავიგე, რომ დათო ცოლს გაშორდა, რომელთანაც გოგონა ჰყავდა. თითქოს იმედი გამიჩნდა, მეგონა, შემეხმიანებოდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე... უნივერსიტეტს ვამთავრებდი, რომ გამაგებინეს — დათო ამერიკაში წავიდაო. მწარედ ავქვითინდი. მაშინ მივხვდი, თუ როგორ მყვარებია იგი. თუმცა ამას მანამდეც უნდა მივმხვდარიყავი — საკმაოდ ბევრ ბიჭს მოვწონდი, მე კი გამუდმებით მასზე ვფიქრობდი.

გავიდა დრო. ჩემებმა — როდემდე უნდა იყო გაუთხოვარი, სადაცაა 30-ის შესრულდებიო. დეიდაჩემმა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი გამაცნო — ინტელიგენტია, მასთან ბედნიერი იქნებიო. აღარ მითქვამს უარი და ლევანს გავყევი ცოლად. სწორედ ლევანია თიკოს მამა. დათო რომ არ ყოფილიყო ჩემს ცხოვრებაში, ლევანს უფრო იოლად შევეთვისებოდი, იქნებ შემყვარებოდა კიდეც, მაგრამ ვერა და ვერ გავცდი ცოლქმრული ურთიერთობების ჩარჩოებს. სტუმრად ერთად დავდიოდით, ერთად ვიძენდით საოჯახო ნივთებს, რაღაც გვიხაროდა, რაღაც გვწყინდა, რაც მთავარია, გვყავდა თიკო, მაგრამ... დათო ამერიკიდან სამი წლის წინ დაბრუნდა. ავფორიაქდი, მასთან შეხვედრის მოლოდინმა მოსვენება დამიკარგა. ტელეფონი რომ დარეკავდა, ვერავინ დამასწრებდა მისვლას, მეგონა, ის რეკავდა. ქუჩაში თვალებს ვაცეცებდი — გვერდით უჩუმრად ხომ არ მომყვება-მეთქი... კვლავ გადამეწურა იმედი, მაგრამ დათო ისეთ დროს, ისეთ ადგილას გამოჩნდა, სულ რომ არ ველოდი. სამსახურის მერე ბაზარში გავიარე, თიკოს დაბადების დღე ახლოვდებოდა და წინდაწინ რაღაცების ყიდვა მინდოდა. ნიგოზს ვყიდულობდი, უკნიდან ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები რომ გავიგონე: იქით უფრო კარგი ნიგოზი იყიდება, ამას ნუ იყიდიო, — ტანში გამცრა — დათოს ხმა იყო... მერე ხელის შეხებაც ვიგრძენი და ის სიტყვა გავიგონე, რომელსაც სულ ველოდი მისგან — „მომენატრე“. შევბრუნდი... გადავეხვიეთ ერთმანეთს... მერე საღამომდე ვისხედით რესტორანში და ვსაუბრობდით. გამიკვირდა, მაგრამ დათომ დაწვრილებით ჩამომითვალა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი შემთხვევები, ასევე, ამ ორი თვის მანძილზე გადადგმული ჩემი თითოეული ნაბიჯიც. თურმე უკან დამყვებოდა. ახლაც მიკვირს, როგორ ახერხებდა ჩემთან არ მოსულიყო?! უცნაური ვინმე იყო, მგონი, მისი უცნაური თვისებები მეც გადამედო სენივით.

...დათომ მაიძულა, ოჯახი დამეტოვებინა. იგი მოსკოვში აპირებდა სამუშაოდ წასვლას. დათოს წასვლიდან რამდენიმე ხანში მოვკიდე ხელი თიკოს და მასთან გავემგზავრე. ვიცი, გული ვატკინე თიკოს მამას, მაგრამ ის უფრო ცუდი არ იქნებოდა, რომ მომეტყუებინა? დათოსთან ხელმეორედ დაბრუნებული, მართლა უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. რაღაზე უნდა მეოცნება? — ვიყავი საყვარელი ადამიანის გვერდით, თან მყავდა ჩემი გოგონა... ბოლო ხანს ეჭვის ჭია შემიჩნდა და აღარ მომასვენა: მეჩვენებოდა, რომ დათო საღამოობით საქმეს იმიზეზებდა და ოფისში სულაც არ მიდიოდა. ბოლოს ვერ მოვითმინე და გულახდილად ვუთხარი ჩემი ეჭვის შესახებ. შეცბა, მერე გაეცინა და დამამშვიდა, ეგ ეჭვი სისულელეა და ზედმეტი სიყვარულის გამო გაგიჩნდა, ამიტომაც გპატიობო. დავმშვიდდი. ორი კვირის მერე კი იმ „ეჭვმა“ ხორცი შეისხა და შინ მომადგა. რუს-ქართველა ლენამ დამტვრეული ქართულით დიდხანს იჯახირა, ნება მივეცი, რუსულად ესაუბრა. გაირკვა, რომ დათომ მას ცოლობა სთხოვა, იგი ორსულად იყო და როგორც დათოს მომავალი ცოლი, მის სახლში იმიტომ მოვიდა, რომ იქაურობა დაეთვალიერებინა, თანაც საქმროს პროვინციელი ნათესავი, რომელიც თურმე შინამოსამსახურის მოვალეობას ასრულებდა (ეს მე გახლდით!) ბოლოს და ბოლოს, გაეცნო. ლენას უკვირდა, რომ დათომ ვერაფრით მოაბა თავი ამას, ამიტომაც „ნათესავის“ გაცნობის ინიციატივა თავის თავზე აიღო. რომ არ წავქცეულიყავი, სავარძელში ჩავჯექი. ლენა რაღაცას მიხვდა, წყალი მომიტანა, ვალიდოლი შემომთავაზა, მაგრამ მანაც რაღაც იეჭვა და ფეხი არ მოიცვალა, სანამ დათო არ მოვიდა. მე ისევ ისე ვიჯექი სავარძელში, ხმას არ ვიღებდი. ლენა კი გამომცდელად, დოინჯშემოყრილი შემოგვყურებდა ხან მე, ხან დათოს. დათო მიხვდა, რომ დადგა ის მძიმე წუთი, როცა ყველაფრისთვის ნათელი უნდა მოეფინა. მან პატიება მთხოვა, ლენას კი მიუბრუნდა და უთხრა, რომ მისი ცხოვრების ერთადერთი და ნამდვილი სიყვარული მე ვიყავი (ისევ ეს ნერვების მომშლელი „ერთადერთი“ და „ნამდვილი“). ლენამ ხანმოკლე ისტერიკის მერე კარი მოგვიჯახუნა და წავიდა. ვერ ვიტყვი, შვებით ამოვისუნთქე-მეთქი. იმ წუთებში თითქოს თვალწინ გაიყინა ჩემი ვეებერთელა სიყვარული დათოს მიმართ, რომელიც დღენიადაგ მაფორიაქებდა. შურისძიების გრძნობა მომერია. სამი თვის ორსული ვიყავი. მეორე დღესვე მოვიშორე ნაყოფი და თბილისში დავბრუნდი. შინ მისვლისთანავე მოცელილივით დავეცი. მოძრაობის უნარი წამერთვა თითქოს, ამიტომაც მთელი წელი „ძლიერი დასამშვიდებელი“ პრეპარატები დამჭირდა, მერე ზღვა გვირჩიეს და როგორც ხედავ, აქ ვარ. მგონი, ცოტათი მართლაც გამოვედი მდგომარეობიდან.

— **დათო სად არის?**

— ისევ მოსკოვშია. რამდენჯერმე დამირეკა, მაგრამ ტელეფონთან არ მივედი.

— **ნანობ ლევანთან დაშორებას?**

— არა! ის საოცრად დახვეწილი კაცია, რომელმაც ყოველთვის იცის, სად რა და როგორ თქვას... ზოგჯერ იმდენად უემოციო იყო, მაგიჟებდა. ჩემს საყვედურებზე ასე მპასუხობდა: წესი არ არის, არაეთიკურია, გრძნობიერება პროვინციალიზმიაო და ა.შ. ერთი სიტყვით, ზედმიწევნით „წესების კაცი“ იყო, გრძნობაც მოზომილი იცოდა (ან უბრალოდ მეტს ვერ ახერხებდა), მე კი დათოსგან ამ მხრივ, განებივრებული ვიყავი. მართალია, მიღალატა (თანაც, არაერთხელ), მაგრამ ვიცოდი, რომ მხოლოდ მე ვუყვარდი. ერთადერთი, რასაც ვნანობ, ისაა, რომ გაბრაზებულ გულზე დიდი ცოდვა ჩავიდინე, შვილი მოვკალი. რა ბედნიერი ვიქნებოდი, ახლა თიკოსთან ერთად მეორე პატარაც რომ მყოლოდა.

— **რატომღაც მჯერა, ისევ შერიგდებით.**

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ახლა ამაზე არ ვფიქრობ... ახლა ცოტა ხანს გავცურავ, მოგონებებმა ამაფორიაქა და „წამლის“ მიღების დრო მაქვს.

ქეთიმ კვლავ შორს შეცურა. თვალი გავაყოლე და უცბად გავიფიქრე: ქეთი და დათო მაინც ერთად იქნებიან-მეთქი. ტრაბახად არ ჩამითვალოთ — ინტუიცია ხშირად მიმართლებს.

***მარინა ბაბუნაშვილი***

ჩვენ გვწერენ

# მამაკაცებს სურთ, მათი წერილები დაიბეჭდოს გვერდში „თქვენთვის, ქალბატონებო!“

**რედაქციაში ძალიან გვიხარია, როცა რუბრიკა „თქვენთვის, ქალბატონებო“ იღებს მამაკაცების წერილებს. გვთხოვენ, მათი ამბავი სწორედ ამ გვერდში დაიბეჭდოს, რადგან იმედოვნებენ, ერთ დროს სანატრელი (ხშირ შემთხვევაში — დღემდე სასურველი) ქალი აუცილებლად წაიკითხავს და გაიგებს კაცის გულისთქმას, თავის დროზე რომ ვერ გაუმხილა ძვირფას ადამიანს.**

**აი, ახლაც, ხაშურიდან გვწერს ბატონი გურამი და გვთხოვს, უყურადღებოდ არ დავტოვოთ მისი ბარათი:**

„ძვირფასო „კვირის პალიტრავ“, გადავწყვიტე, ჩემი ფიქრი გაგიზიაროთ. იქნებ ცოტაოდენი შვება ვიგრძნო...

10 წლის ვიყავი, როცა მამა გარდამეცვალა. დედა თავდაუზოგავად შრომობდა, რომ შვილები ფეხზე დავეყენებინეთ. განათლებაც მიგვაღებინა. მუშაობა დავიწყე მეზობელ რაიონში. ოთხი დღის შემდეგ მთავარმა ბუღალტერმა თანამშრომლები გამაცნო. მათ შორის იყო ერთი სტატისტიკოსი გოგონა, ნონა. ძალიან მომეწონა. დავუახლოვდი და მალე მივხვდი, რომ მიყვარდა. ვგრძნობდი, მასაც მოვწონდი, მაგრამ სიყვარულს მაინც ვერ ვუმხელდი. ისე მიყვარდა, რომ უიმისოდ ცხოვრება ვეღარ წარმომედგინა...

სამსახურში ტრადიცია გვქონდა: თანამშრომლები რიგრიგობით ვეპატიჟებდით შინ ერთმანეთს. ჩემი ჯერიც დადგა. წვეულთა შორის, რაღა თქმა უნდა, ნონაც იყო. მართალი გითხრათ, ძალიან ვღელავდი, რადგან ოჯახის სათანადო მოწყობა მანამდე ვერ მოვახერხე. დედაჩემს კი, აბა, რა შეეძლო?

როდესაც შინ შემოდიოდნენ თანამშრომლები, ნონას მზერა დავიჭირე. ის შეცბუნებული ათვალიერებდა ჩემს პატარა, დაბალჭერიან სახლს, ძველ ავეჯს. გულმა უსიამოვნოდ ჩამომკრა, ისიც ნირწამხდარი იჯდა სუფრასთან. დანარჩენებმა შეგვამჩნიეს უგუნებობა და გვეხუმრებოდნენ: ზედმეტები ვართ და მალე გაგეცლებით შენ და ნონასო. ის კი არ იცოდნენ, რა ჯოჯოხეთიც მიტრიალებდა გულში...

იმ დღიდან ნონა ნელ-ნელა ჩამომცილდა. მივხვდი, ანგარებიანი იყო, მაღალი იდეალებით მხოლოდ საუბრობდა. მაინც გადავწყვიტე, ცოლობა მეთხოვა. ცივი უარი მივიღე: ჩემს შენახვას ვერ შეძლებო. მეორე დღესვე დავწერე განცხადება სამსახურიდან გათავისუფლებაზე.

ისე წამოვედი, არავის გამოვთხოვებივარ.

ამის შემდეგ ჩემთვის ყველაფერი სულერთი გახდა: ქალი მხოლოდ პატარა ფრაგმენტივით იყო ჩემს ცხოვრებაში... მერე დედა გარდამეცვალა... საშინელ დღეში ჩავვარდი.

ახლა 45 წლის ვარ, ცოლის შერთვაზე აღარ მიფიქრია. ძმა, თავისი ცოლ-შვილით, თბილისში ცხოვრობს, მე კი მარტო ვარ. ნათესავები ჩამჩიჩინებენ: დაოჯახდი, ცოდო ხარ მარტოხელა კაციო, მაგრამ ვპასუხობ: უსიყვარულოდ არ შემიძლია ცოლის შერთვა-მეთქი. ეცინებათ — რაღა დროს შენი სიყვარულიაო.

ყოველივე ეს, რაც გიამბეთ 17 წლის წინ იყო.

ამას წინათ ძველი თანამშრომელი შემხვდა და მითხრა, ნონა ისევ გაუთხოვარია, იქნებ დაელაპარაკოო.

მე კი არ შემიძლია მასთან მისვლა, მისი თვალები (როცა ჩემს ოჯახში შემოვიდა) და სიტყვები მაგონდება — ვერ შემინახავო.

თან მიყვარს, თან მეშინია მასთან სიახლოვის.

ვიცი, რომ სიყვარული არც ბრძანებით, არც დაკვეთით მოდის, მაგრამ ხომ შეეძლო ტაქტიანად ეთქვა უარი?

ნუთუ შეიძლება დასცინო და აბუჩად აიგდო ისეთი წმინდა გრძნობა, რასაც სიყვარული ჰქვია?!

***პატივისცემით — გურამი“.***

# კაცი სუსტია, სუსტი...

*შარშან, ხუთიოდე დღით, ერთ პატარა საკურორტო ქალაქში შევჩერდი. მასპინძლის აივნიდან ყოველ საღამოს უცნაურ სცენას ვუყურებდი მოპირდაპირე ბინის ფანჯრებში. შინ დაბრუნებულ ქმარს ცოლი ჩხუბს უტეხდა. ბოლოს, ქმარი აივანზე გამოდიოდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ქალი კი ოთახებში დარბოდა და იწყევლებოდა. მიატოვებს ეგ კაცი მაგ ქალს და მერე ურტყას თავი კედელსო, — ჩაილაპარაკა ერთ საღამოს მასპინძელმა. რა სჭირთ-მეთქი, ვიკითხე. მოყვანის დღიდან წიოკობს, ქმრის ყველა ნათესავი დაიფრინა, მეზობლებსაც ჭამს. ქმარი ღირსეული კაცია და ვერავის გაუგია, ასეთ ქალს როგორ ერთგულობს. ალბათ უყვარს, მაგას შესაყვარებელი არაფერი აქვს, მაგრამ სიყვარულს რას გაუგებო, — მიპასუხა მაშინ მასპინძელმა. აგერ, ორი დღის წინ კი მასთან ტელეფონით საუბრისას გავიგე, რომ იმ კაცს ცოლი მიუტოვებია, ვიღაც ქალი გაუჩენია და მასთან გადასულა საცხოვრებლად. ახლა დადის თურმე ცოლყოფილი და ქმარს ევედრება, დამიბრუნდიო...*

*რატომ ტოვებენ ცოლებს ქმრები, რატომ მიდიან სხვასთან, — საინტერესო თემაა, არა? გადავწყვიტე, ამჟამინდელი „პოლემიკის“ საგნად ეს საკითხი ვაქციო:*

**ნატა (46 წლის):** — გვიან მივხვდი, რომ ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. მოვიდოდა საღამოს, პატარა ბავშვივით ენას მიჩლექდა და ათასნაირ საალერსო სახელს მეძახდა. უნდოდა, სულ კალთაში ვყოლოდი. მე კი ვბრაზობდი, უხეშად ვიშორებდი. ცივი ქალის როლი მომწონდა, რადგან მახსოვდა მამიდაჩემის ნათქვამი — ქმარი რომ შეინარჩუნო, არ უნდა მიეფერო, ძაღლივით შენი ალერსი უნდა ენატრებოდესო. რა სულელი ვყოფილვარ. როგორ დავიჯერე ეს უაზრობა. სამი წელი გამიძლო, მერე გაცივდა. ვერ ავიტანე მისი გადაგვარება, მაგრამ არც ვტყდებოდი, ჩხუბის მიზეზს ვეძებდი. ჯერ მითმენდა, მერე ერთხელ წამეჩხუბა, კარი გაიჯახუნა და წავიდა. ახლა სხვა ქალთან ცხოვრობს, შვილებიც ჰყავთ. ვინც მათ იცნობს, გიჟდებიან — ქალის და კაცის ასეთი ჰარმონიული ურთიერთობა არ გვინახავსო. ხმას ვერ ვიღებ. რა ვთქვა — ჩემთან ცუდი იყო-მეთქი?



**ელგა (38 წლის):** — 7 წელი ბედნიერად ვცხოვრობდით. მერე უცებ გაცივდა ჩემი ქმარი. ისე მიყვარდა, კითხვასაც ვერ ვუბედავდი. ვატყობდი, ჩემთან თავს დამნაშავედ გრძნობდა, მაგრამ საყვარელსაც ვერ ელეოდა. გადავწყვიტე, გამეგო, რა მაკლდა ისეთი, რასაც სხვასთან პოულობდა. დიდი ოსტატობა დამჭირდა იმ ქალის გასაცნობად. დღესაც არ იცის, ვისთან ურთიერთობდა. ვყვებოდით ერთმანეთის ცხოვრებაზე, მიამბობდა თავის საყვარელზე, ჩემს ქმარზე! მერე საღამოს, მისგან „განათლებული“, ზუსტად იმ ნიუანსებზე ვამახვილებდი ყურადღებას, რომელიც თურმე ძალიან მოსწონდა ჩემს ქმარს. მახსოვს, პირველად მისი გაოცება... მე გავიმარჯვე. ყველაფერში გამომიტყდა და მითხრა, — შენ ვერავინ შეგედრებაო. დღემდე არ იცის, რა გარჯის ფასად მივაღწიე ამას. თუ ქმარი გიყვარს, მისთვის უნდა გაისარჯო კიდეც.

**ლევანი (45 წლის):** — ჩემი ცოლი რომ ოდნავ თბილი და გამგები ყოფილიყო, არ დავშორდებოდით. მოითხოვდა, სულ მის გვერდით ვყოფილიყავი. არადა, რა მექნა — სამსახური ისე მღლიდა, იმხელა დროს ითხოვდა... თანაც საქმესაც ხომ ცოლ-შვილისთვის ვაკეთებდი. ყელში ამომივიდა მისი ბუზღუნი. შინ მისვლა აღარ მინდოდა. სამსახურიდან გამოსული მანქანით ქუჩებში დავდიოდი გვიანობამდე, ვიღაცას ვეძებდი, ვინც მომიალერსებდა, დამიამებდა. ეჭვიანობა დაიწყო — საყვარელი გყავსო. არ მყავდა. შენი დედაც-მეთქი, ვუთხარი ერთ საღამოს, ყელში რომ ამომიყვანა და წამოვედი. არიან ჩემს ცხოვრებაში ქალები, მაგრამ მაინც მარტო ვარ. მე ცოლი მინდა თბილი, მოსიყვარულე და მეგობრული. ცხოვრებას ვანაცვალებ ასეთ ქალს.

***ეკა ლომიძე***

CMYK

# სკანვორდი ფრაგმენტებით





- ვაკის ..., ან კიკვიძის ...
- 42 კმ 195 მ
- მრგვალი მაგიდა (მეფე) / ოჯახი
- მტაცებელი კატისებრ-თა ოჯახიდან
- ტეკილას ნედლეული
- ლარნაკი ყვავილებისთვის
- სივრცე დედამიწის თავზე
- პიანინოს და როიალის საერთო სახელწოდება
- „იუვენტუსის“ ახალწვეული
- პეტრარკას შეყვარებული
- თევზების მეფე (ლუარსაბი)
- მამალი თხა
- კანის დეფექტი კროუფორდის სახეზე
- მდინარე ვოლგის უძველესი სახელი
- რაიმეს მოპარვა
- მტკვარი არაქართულად
- ზანგი „ოსკაროსანი“ ქალი
- ოჯახში გაზიანი წყლის დასამზად. ხელსაწყო
- ბაზილიკის ინტერიერის ნაწილი
- კასიუს კლეის ფსევდონიმი
- თეატრალური ოპტიკური ხელსაწყო
- „მენთოლიანი“ მცენარე
- ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენა
- თმის ბუნებრივი საღებავი
- ი. ბაშმეტის სამუშაო ინსტრუმენტი
- საქეიფო ტრანსპორტი მტკვარზე
- მოჩვენება უდაბნოში
- ვენეციის რესპუბლიკის მეთაურის ტიტული
- ბ. ბრეხტი „არტური ...ს კარიერა“
- მეღვინეობის ცენტრი საფრანგეთში
- მომავალი მეზღვაური
- ფრანგი მსახიობი მიუ-...
- დედალი ღორი
- გერმანული რომანტიკ. ოპერის ფუძემდებ.
- ჰერას მიერ ძროხად ქცეული
- ნოტი / თურქეთის დედაქალაქი
- ბეიძინი არაჩინელთათვის
- ... ბაღვაში / ნაგებობის „ჩონჩხი“
- ოქტომბრელსა და კომკავშირელს შორის
- მინდვრის მღრღნელი / ... ბლიაძე
- იძულებითი ყაიმი ჭადრაკში
- მუხის ნაყოფი
- ხორკლიანი ტყავი ბალზაკის ნაწარმოებიდან
- ქალაქი ნევადის შტატში
- უდაბნო მონღოლეთში
- დგამი ფოტოაპარატისთვის
- გადაწოდება სპორტში / სასცენო ნაწარმოები
- მაჰმადიანთა ქვეყნის მმართველის ბრძანება
- ვაჭარი, უფრო ჟღერადი ტერმინი
- ჰიპოტენუზის მოპირდაპირე გვერდი
- კუდიანების უფროსი
- იუმორის და
- მოედანი კრივისთვის
- „ამერიკული“ თამაში ბილიარდში
- საერთაშორისო კომპიუტ. ქსელი
- შვედური ავტომობილი
- „აეროპორტი“ (მწერალი)
- გამოცანა ნახატებით
- დანიელი მეზღვაური რუსეთის სამსახურში
- დაბა იერის ხეობაში
- კისრის წინა მხარე / ბამბის ქსოვილი
- ცეკვის ნაბიჯი / სახლი გურიაში
- ყურის სამკაული
- ხმელეთში შეჭრილი ზღვის ნაწილი
- ქიმიური ნაერთი კულინარიაში
- ადამის შვილი / დათვის ნაშიერი
- შარაგზა, გზატკეცილი








**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ზაფრანა; 2. ფარიკაობა; 3. ორბიტა; 4. ნამი; 5. არბატი; 6. ნია; 7. დანია; 8. პინოქიო; 9. კარე; 10. ბოროდინო; 11. აბაზი; 12. ატრიუმი; 13. მანა; 14. რაიტი; 15. პა; 16. „დაიჰაცუ“; 17. როკოკო; 18. კოკო; 19. პოლ; 20. კაპა; 21. „კოლომბა“; 22. კუპიურა; 23. რენო; 24. ბოლერო; 25. ონო; 26. დამიანე; 27. ორბი; 28. სულა; 29. რადა; 30. მონა; 31. ქუსლი; 32. ქიტონი; 33. დასი; 34. ხორგო; 35. რეპლიკა; 36. სამბა; 37. ტოკატა; 38. „ტაბა“; 39. ღომი; 40. კომში; 41. ბრედა; 42. საკურა; 43. კატა; 44. რინო; 45. რამპა; 46. პიპინია; 47. აგა; 48. ბინი; 49. შიში; 50. შეიკი; 51. ლიკა; 52. ისტორიკოსი; 53. ატაკამა; 54. კურარე; 55. კანკანი; 56. აბი; 57. საკე; 58. ალასკა; 59. ტაბაკა; 60. არე; 61. კები; 62. ჰაშიში; 63. რამსი; 64. მარე; 65. მუშკი; 66. კრისტო; 67; რე; 68. ოსტი; 69. აბაკა; 70. რეპი.
1. ზიარი აბაზანა; 2. დედაშვილობა; 3. შარკოს შხაპი; 4. მეგობრები; 5. ჰულა-ჰუპი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა რამაზ ალანიამ

CMYK

# ლალი მოროშკინა ქმარს არ გაშორებია...

**— ერთ-ერთ ჟურნალში ამოვიკითხე, რომ ლალი მოროშკინა მეუღლეს გაშორდა და ახლა ნამდვილ მამაკაცს ეძებს. იქნებ თავად ლალიმ გვიპასუხოს, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს და ვის თვლის იგი ნამდვილ მამაკაცად?**

***ლუხუმ ხორგვანი***

კითხვაზე უპასუხებს თავად **ლალი მოროშკინა**.



— ძალიან გამიკვირდა, როდესაც ნაცნობებმა ჩემი ოჯახური მდგომარეობისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ამიხსნეს, შენი ინტერვიუ წავიკითხეთ და იქიდან შევიტყვეთო. პირად ცხოვრებაზე ნაკლებად ვსაუბრობ და მით უფრო მსგავსი ინტერვიუ ან ინფორმაცია სახალისოდ ჟურნალ-გაზეთებისთვის ამ მიმიცია. თანაც, არაფერი ჩემს ცხოვრებაში ისეთი არ მომხდარა, მით უმეტეს, არც რადიკალურად შეცვლილა. სახელისუფლებო სტრუქტურაში ვმუშაობ და შვებულებამდე მხოლოდ სამსახურით ვიყავი დაკავებული. შემდეგ შვებულებაში გავედი და სწორედ ჩემი აქ არყოფნის პერიოდში იბეჭდება სტატია, რომლის წაკითხვისას ვერც ერთი სიტყვა ვერ ამოვიცანი ისეთი, რომ ოდესმე რომელიმე ჟურნალისტისთვის მეთქვას. საქართველო რომ ცივილური ქვეყანა იყოს, სასამართლოს მივმართავდი და მილიონერიც კი გავხდებოდი, იმდენი ჭორი და პრესტიჟის შემლახველი სისულელე დაიბეჭდა ჩემ შესახებ. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ჩემს სამომავლო გეგმებთან, ანუ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან უშუალო კავშირშია. ვაპირებდი წინასაარჩევნოდ ახალი ნაბიჯის გადადგმას. ვიცოდი, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა და მომზადებულიც კი ვიყავი მსგავსი ჭორებისთვის, თუმცა რაღა დაგიმალოთ და გულის სიღრმეში ძალიან მეწყინა. ჩემი იმიჯის შელახვა დაკვეთილია და ალბათ დამკვეთებსაც მალე აეხდებათ ფარდა. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ. მინდა გავიმეორო, რომ ჩემს ცხოვრებაში ისეთი არაფერი მომხდარა, რომ პრესის ფურცლები აეჭრელებინათ ათასგვარი ჭორით. ქმარს არ გავშორებივარ. უბრალოდ, ჩემი მეუღლე ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება სამსახურებრივი მივლინებით. მას სურდა, რომ მეც თან წავეყვანე. მაგრამ ვინაიდან ნახევარი წელი მოუწევს სხვა ქვეყანაში მოღვაწეობა, უარის თქმა მომიწია, რადგან ეს დრო ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია კარიერის თვალსაზრისით. თავდაპირველად უთანხმოება მართლაც გვქონდა ამის გამო. თუმცა, საბოლოოდ იგი გაგებით მოეკიდა ჩემს პოზიციას. ეს არის და ეს...

# «ბრიტიშ ეარვეისი» ფრენას მალე განაახლებს...

**— ვსწავლობ ლონდონში და ხშირად ვსარგებლობდი „ბრიტიშ ეარვეისის“ მომსახურებით. ამჟერად, როგორც ცნობილია, მისი რეისები შეჩერებულია და როგორც ამბობენ, იგი იბლოკება საქართველოს მხარის მიერ. გთხოვთ განგვიმარტოთ, როდის აღდგება პირდაპირი რეისი თბილისსა და ლონდონს შორის?**

***დემეტრე გრძელიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **გოგი ქორქია**, საქართველოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესცენტრის უფროსი.

— თავდაპირველად გიპასუხებთ იმას, რომ კითხვა არასწორად არის დასმული, ანუ „ბრიტიშ ეარვეისის“ რეისები და მათი მომსახურება საქართველოს მხარის მიერ არ იბლოკება. მიმდინარეობს ორმხრივი მოლაპარაკებები ჩვენს მხარესა და ზემოთ ნახსენებ კომპანიას შორის. ვინაიდან მთელი რიგი საკითხები შეუთანხმებელი და მოუგვარებელი იყო, წარმოიშვა ორმხრივი უთანხმოებანი. მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, მხარეებს შორის უთანხმოება აღმოიფხვრება და მსოფლიოში უდიდესი გადამზიდველი „ბრიტიშ ეარვეისი“ 2003 წლის ბოლოს ფრენას განაახლებს საქართველოში.

# მობილური ტელეფონის პირველი მწარმოებელი «მოტოროლაა»

**— ერთ-ერთ სერიულ გამოცემაში ამოვიკითხე, რომ მობილურის პირველი გამომგონებელი „ერიქსონა“, მაგრამ ძმა მიმტკიცებს, გამოგონება „მოტოროლას“ ეკუთვნისო. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია მობილური ტელეფონის გამომგონებელზე და დაგვიკონკრეტოთ, თუ ვინ იყო „პირველი მერცხალი“ ამ საქმეში.**

***გიორგი არჯევანიძე***



— მობილური ტელეფონის გამომგონებლები მართლაც ამერიკელები არიან, პირველი მწარმოებელი კერძო კომპანია „მოტოროლაა“, ფიჭური ტელეფონის ამწყობი კი ამერიკელი მარტინ კუპერი გახლდათ. მას შემდეც, რაც პირველი ფიჭური ტელეფონი გამოვიდა, 20 წელია გასული (1983 წ. 6 მარტს). სწორედ ამ დღეს კომპანია „მოტოროლამ“ წარმოადგინა აპარატი DUNA TAS 8000X. ეს აპარატი გახლდათ ფირმის დაუღალავი 15 წლის მუშაობის შედეგი. მის შექმნაზეც 100 მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა. პირველი ტელეფონი თითქმის კილოგრამს იწონიდა და მისი ზომა იყო 33X4X9სმ. დატენილი ტელეფონის აკუმულატორი მხოლოდ 8 საათს მუშაობდა და მისი თავდაპირველი ღირებულება 3.995 დოლარი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ტელეფონის შეძენა თავდაპირველად მართლაც ძვირი სიამოვნება იყო, „მოტოროლაში“ შეკვეთებს ვერ აუდიოდნენ. პირველი პარტიის გაყიდვის შემდეგ ათასობით ადამიანი ჩაეწერა რიგში, რომ მომდევნო პარტიის „ახალი ხილი“ ეგემათ. გარდა ფიჭური სატელეფონო აპარატისა, „მოტოროლას“ გამოგონება გახლავთ პეიჯერი, ასევე მანქანაში დამონტაჟებული რადიოტელეფონი, რადიოგადამცემი (ე. წ. რაცია) და ა.შ.

პირველი ტელეფონის გამოშვების შემდეგ 20 წელია გასული და ფიჭური კავშირის აბონენტთა რიცხვი მსოფლიოში დღითი დღე მატულობს. 1984 წლისათვის, მისი გამოგონების წლისთავზე მომხმარებელთა რიცხვი 300 ათასით გაიზარდა, ხოლო სადღეისოდ — 1,2 მილიარდით!

# სიტყვათა კონა

**გაზა** — წვივის ძვალი, წვივი.

**გავაზი** — მტაცებელი ფრინველი ერთგვარი.

**გაზი** — 1. ლითონის ორტუჩა ხელსაწყო, რომელიც იხმარება რისამე, (მაგ. ლურსმნის) ამოსაძრობად. 2. ბრჭყალი (ცხოველისა და ფრინველისა).

**გაზულუქებული** — გამდიდრებული და კეთილი ცხოვრებით მეტისმეტად კმაყოფილი.

**გაიჯარ**! (სამხედრო სპორტ.) — ბრძანება მწყობრში მდგომთა ერთიმეორისაგან დასაშორებლად, მათ შორის მანძილის გასადიდებლად.

**გალეტი** (ფრ.) — ტკბილი ნამცხვარი ერთგვარი.

**გალიფე** — მუხლებს ქვემოთ ვიწროდ და ზემოთა ნაწილში ფართოდ გამოყვანილი შარვალი ჩექმებში ჩასატანებელი (ფრანგი გენერლის გვარის მიხედვით).

**გალო** — 1. (კუთხ.) ძვალი კიდურისა ან ნეკნისა. 2. (სპეც.) ფრინველის ფეხის ნაწილი თითებიდან წვივამდე.

**გარაბადი** — კავებიანი დგამი ტანსაცმლის ჩამოსაკიდად.

**გარიბალდი** — კრაველის ქუდი ერთგვარი (მე-19 საუკ. იტალიელი მოღვაწის სახელის მიხედვით).

**გარიელი** — გარეული ფრინველი ბატების ოჯახისა.

**გარო** — წვნიანი საჭმლის თავზე მომდგარი ცხიმი.

**გაფუყული** (საუბ.) — გაბერილი, გაფხორილი.

**გაქრი** — 1. ჯიუტი, ოჩანი. 2. სიჯიუტე, სიკერპე.

**გეენა** (ძვ. ებრ.) — ჯოჯოხეთი, ჯოჯოხეთის ცეცხლი.

**გეზელი** — მამალი მონადირე ფრინველი.

**გეზელქორი** — მამალი ქორი.

**გელა** — ხის ან რკინის კეტი, ცეცხლის საჩხრეკი.

**გელაზი** — ზეთის სახდელი დიდი მრგვალი ქვა.

**გელაქნური** — კალმახი ერთგვარი: იცის სევანის (ანუ გოგჩის) ტბაში.

**გემა** (ლათ.) — ძვირფასი ქვა ზედ ამოკვეთილი წარწერით ან რაიმე გამოსახულებით.

# წავუკითხოთ თუ არა ბავშვებს «ჰარი პოტერი»

**— თითქმის მთელი ქრისტიანული სამყარო აშხედრდა ძალზე გახმაურებული წიგნის, „ჰარი პოტერის თავგადასავალის“ წინააღმდეგ. რა აღარ დაიწერა. მათ შორის ისიც, რომ ეს წიგნი საკმაოდ საშიშია ბავშვების ფსიქიკისთვის, რადგან მასში დეტალურადაა ასახული შავი და თეთრი მაგიის რიტუალები. მაინტერესებს, რატომ არ აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას ამ წიგნისადმი მართლმადიდებლური ეკლესია. ჩემი შვილი დიდი მონდომებით ელოდება „ჰარი პოტერის“ მორიგი წიგნის თაგმანს. მე კი შეშინებული ვარ. არ ვიცი, ავუკრძალო თუ არა მას ამ წიგნის წაკითხვა. იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ...**

***ნელი ბუჩუკური***

კითხვაზე უპასუხებს **ნანა ბოკუჩავა**, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის კონსულტანტი.



— მე შემიძლია განვაცხადო, რომ არ გირჩევთ, ეს წიგნი ბავშვებს წააკითხოთ, ვინაიდან ჯ. ქ. როულინგის მსოფლხედვა ზოგადად ქართული აზროვნებისთვის მიუღებელ და უარყოფილ პრინციპებს იდეალად სახავს. ამასთან გაფეტიშებულია ჯადოქრობა და მოზარდებს ახალ მისაბაძ შაბლონს სთავაზობს, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: „თუ არ ჯადოქრობ, ე. ი. გამოქლიავებული ხარ“...

ქრისტეს ეკლესიამ პირველივე საუკუნეებში ამხილა და უარყო ყოველგვარი სახის ოკულტიზმი. იგი 20 საუკუნის შემდეგაც ნებისმიერი სახის მაგიას (თეთრი იქნება თუ შავი) სულისთვის, ორივე სოფლად, ამქვეყნად და მარადისობაშიც, დაღუპვის პირობად მიიჩნევს.

შეიძლება, რომ მშობელმა საროსკიპო გააცნოს თავის პატარა შვილს? ჯადოქრობა შეიძლება შევადაროთ სულიერ მეძავობას, მაგრამ იგი გაცილებით მძიმე შედეგებს იწვევს, ვიდრე ხორციელი დაცემა. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მკვეთრად არ საუბრობს ამ თემაზე იმის გამო, რომ განსაკუთრებულმა ყურადღებამ თუ აკრძალვამ ზედმეტი დაინტერესება არ გამოიწვიოს, ანუ არ მოხდეს ამ წიგნის რეკლამირება. რუსეთის ეკლესიამ გამოხატა თავისი პოზიცია ამ საკითხთან დამოკიდებულებაში. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქიც ქადაგებს მრევლთან ამ წიგნის თაობაზე, ხოლო საბერძნეთის ეკლესიამ კი ძალზე მკვეთრად გამოხატა თავისი დამოკიდებულება. ზრდასრულმა ადამიანმა შესაძლოა წიგნის წაკითხვისას ბევრიც კი იცინოს მასში მოთხრობილ ამბებზე. მაგრამ ბავშვის ცნობიერებაში შესაძლოა მაგია გაიდეალდეს. თუმცა მე მაინც არ ვურჩევ მშობლებს კატეგორიულად დაუშალონ ამ წიგნის კითხვა თავიანთ შვილებს, რომლებიც მომდევნო წიგნის გამოსვლას ელოდებიან (რადგანაც აკრძალული ხილი, მოგეხსენებათ, უფრო გემრიელია)... მაგრამ მშობლებმა, რომელთა შვილებსაც „ჰარი პოტერი“ საერთოდ არ წაუკითხავთ, სჯობს მოარიდონ პატარებს ეს წიგნი.

# ზუმბას «მოგზაურობა» სვანეთში

**— ამბობენ, რომ ზუმბა ახალ სიმღერაზე კლიპს იღებს და ამისთვის სვანეთშიც გამგზავრებულა. ჩემი მეგობარი ირწმუნება, რომ მასთან ერთად უმგზავრია თვითმფრინავით სვანეთიდან. ზუმბას ძალიან შეშინებია ფრენის, მუხლებზე დამხობილა და ღმერთს გადარჩენას სთხოვდაო. რამდენად შეესაბამება ეს ამბავი სიმართლეს და ფრენის გარდა რისი ეშინია ზუმბას? როდის ვიხილავთ მის ახალ კლიპს?**

***მაიკო ბენდელიანი***

კითხვაზე უპასუხებს **ზაზა კორინთელი — ზუმბა**.

— საქართველო მთლიანად პარადოქსების ქვეყანაა და უკვე აღარაფერი მიკვირს. ეს ამბავი აბსურდია და გამოგონილი. მსგავსი ჩემს ცხოვრებაში არაფერი მომხდარა. რაც შეეხება თვით სვანეთში ვიზიტს, გიპასუხებთ, იქ მართლაც გახლდით სტუმრად და არა კლიპის გადასაღებად. კლიპის გადაღების რა მოგახსენოთ, მაგრამ სვანეთში კონცერტის გამართვაზე კი არ ვიტყვი უარს, თუკი ამის შესაძლებლობა იქნება. დიდი სურვილი მაქვს, ეს რეალურად განხორციელდეს. სვანეთში მეორედ ვიყავი, თუმცა პირველად ბავშვობაში გახლდით იქ და ფაქტობრივად ეს კუთხე ახლა დავათვალიერე. სვანეთი ისეთივე განუმეორებელია, როგორც საქართველოს სხვა კუთხეები. განსაკუთრებით სვანების ნამდვილმა ქართულმა ხასიათმა მომხიბლა. მაგრამ ამ კუთხეს ახლა ძალზე უჭირს და ბევრი პრობლემა აქვს. მას დახმარება და გვერდში დგომა სჭირდება. სულიერება სვანეთს არ აკლია, მაგრამ ელემენტარული ცხოვრების პირობებია გასაუმჯობესებელი. მაგალითად, თეატრის შენობის, სპორტდარბაზებისა და სხვა კულტურულ-მასობრივი დაწესებულებების აღდგენა-განახლება.

ჩემს უახლოეს სამომავლო გეგმებს თუ გადავავლებთ თვალს, გეტყვით, რომ 27 სექტემბერს მე და ჩემს მეგობრებს, მეზობლებს დაგეგმილი გვაქვს ჯანაშიას ქუჩაზე (ჩემს ეზოში) საქველმოქმედო აქციის ჩატარება. შემოსული თანხით გადაწყვეტილი გვაქვს ეზოს რესტავრაცია და ბავშვებისთვის სათამაშო მოედნის გაკეთება. სწორედ ამ ეზოში დაიბადა აკაკი ხორავა, დოდო აბაშიძე და უბრალოდ სირცხვილია, რომ ასეთ პირობებში იყოს მათი სახლები. აქციას ვატარებთ ყველასგან დამოუკიდებლად, მასში არ მონაწილეობს არანაირი პოლიტიკური თუ სახელისუფლებო ძალა. ალბათ ჩემი მომღერალი მეგობრები გვერდში ამომიდგებიან და კონცერტიც კარგი გამოვა.

# ყველაზე საიმედო ავტომობილი

**— ჩემს მეგობარს ჰყავს ავტომანქანა „გოლფ-4“. წამჭამა ტვინი ტრაბახით, თუ რა უსაფრთხო და მშვენიერი მანქანაა. არადა, რადიოთი თუ ტელევიზიით მოვისმინე (აღარ მახსოვს), რომ „გოლფი“ არასაიმედო მანქანების სიაში მოხვდა. ვერ ვუმტკიცებ იმდენად, რამდენადაც ვერ მივაგენი წყაროს, რომელსაც ეს ინფორმაცია ეყრდნობოდა. იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ და გაგვარკვიოთ?**

***მერაბ ბურდული***

— ბრიტანულმა ჟურნალმა WHICH-მა თავისი 80-ათასიანი მკითხველის გამოკითხვის შედეგად და მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაადგინა და გამოაქვეყნა არასაიმედო და საიმედო მანქანების რეიტინგი. მკითხველთა მტკიცებით აღმოჩნდა, რომ მანქანათმშენებლობის წამყვანი გერმანული კომპანიების Wolksvagen-ის, BMW-სა და MERCEDES-ის მიერ წარმოებული ავტომობილები ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო არასაიმედო ხდება. გამოკითხვაში მონაწილე მკითხველებს ძირითადად თურმე 138-ე მოდელის ავტომობილი ჰყოლიათ. MERCEDES BENZ-მა წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით, რეიტინგში ორი პოზიცია დათმო და „საუკეთესოდან“ „დამაკმაყოფილებელზე“ გადაინაცვლა. ცნობილი და თქვენთვის საინტერესო „გოლფი“ და მასთან ერთად „პასატი“ (მწარმოებელი კომპანია Wolksvagen-ი) „ცუდის“ კატეგორიაში გადავიდა. პოპულარულმა Audi TT-მ კი ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი შეფასება მიიღო და არასაიმედო მანქანების სიაში მოხვდა. მისმა მომხმარებლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ხშირად ექმნებათ პრობლემები მანქანის ელექტროგაყვანილობასთან დაკავშირებით.

Which-ის ვერსიით ყველაზე საიმედო მანქანების ხუთეული ასე გამოიყურება: 1. NISSAN, 2. HONDA, 3. HYUNDAI, 4. LEXUS, 5. MAZDA. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ეს სია მაინც კონკრეტული ჟურნალის მკითხველთა აზრის მიხედვითაა შედგენილი და შესაძლოა ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**


INTERCLINIC
ინტერკლინიკა

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**გთხოვთ მიპასუხოთ: თუკი ადამიანს ალერგია დაემართა, ეს სამუდამო ავადმყოფობაა თუ შესაძლებელია მისგან თავის დაღწევა? რა მეთოდებით ებრძვიან მსოფლიოში ალერგიას?**

***პატივისცემით, დალი ზანდუკელი***

ალერგიასთან ბრძოლა შესაძლებელი კი არა, აუცილებელია, რადგან თუ დროულად არ შევეწინააღმდეგებით ალერგიულ პროცესს, იგი აღარ იქნება კონტროლირებადი და შესაძლოა, ძლიერი დარტყმა მიაყენოს ადამიანის იმუნიტეტს. დასაწყისში, როგორც წესი, დაავადება გამოწვეულია ერთი ალერგენით — მაგალითად მატყლით ან კატის ბეწვით. თუ დაუყოვნებლივ შევწყვეტთ ალერგიის გამომწვევ ცხოველთან კონტაქტს, ალერგია უკან დაიხევს და გაქრება. მაგრამ თუ ავადმყოფობა ხანგრძლივდება, აგრესიულ ნივთიერებათა წრეც უფრო და უფრო ფართოვდება. ზოგიერთი მათგანისაგან (მაგალითად, ოთახის მტვერი) დამალვა შეუძლებელი ხდება. ასეთ შემთხვევაში უკვე დაავადებისაგან თავის დაღწევა ძნელია. ადამიანს მთელი ცხოვრება უწევს ალერგიისაგან თავდაცვა გარდამავალი წარმატებით. ამიტომ აუცილებელია გამომწვევი ალერგენის დროული გამოვლენა და მასთან კონტაქტის შეწყვეტა.

თუმცა, მედიკები ამ სენთან ბრძოლის სხვა, რამდენიმე ეგზოტიკურ, მაგრამ შესანიშნავ ხერხსაც გთავაზობენ, მაგალითად მაღალმთიანი კურორტები, ან სპელეოთერაპია — გამოქვაბულებში ჩასვლა. მიწის ზემოთ და ქვემოთ ალერგენთა რაოდენობა მინიმალურია, ვინაიდან ალერგენები ცილოვანი სუბსტანციებია, მათ გააჩნიათ ნახევარდაშლის პერიოდი და ადრე თუ გვიან, ორგანიზმი მათგან თავისუფლდება, მგრძნობელობაც ქვეითდება და შედეგად ადამიანი ან გამოჯანმრთელდება, ან უფრო იოლ ფორმებში აქვს გამოხატული დაავადება. სეზონური ალერგიის დროს ეფექტურია მემბრანოტროპული მოქმედების პრეპარატები, მაგრამ ნებისმიერი საშუალება უნდა დაგინიშნოთ ექიმმა! გახსოვდეთ: რაც უფრო დროულად დაიწყებთ მკურნალობას, გამოჯანმრთელების მით მეტი შანსი გექნებათ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*



## ტვინსაც სჭირდება მასაჟი

თავის და სახის ბიოლოგიურად აქტიური წერტილების მასაჟი (აუტომანუალური კომპლექსი) აუცილებლად უნდა გაკეთდეს ყოველ დილას. ეს ხელს შეუწყობს ორგანიზმის გაღვიძებას. აუტომანუალური მასაჟი მარტივია, მაგრამ საოცრად ეფექტური. ის შეუცვლელია ჰაიმორიტის, ფარინგიტის, უძილობის დროს. ყნოსვა დაქვეითებულები უკვე პირველი სეანსის შემდეგ გრძნობენ სურნელებას.

საუკეთესოა მასაჟის გაკეთება 3 თითის ბალიშებით — საჩვენებელი, შუა და უსახელო თითებით, მაგრამ შეგიძლიათ მარტო ცერა თითითაც. თითოეულ წერტილზე ზემოქმედება 30 წამი უნდა გაგრძელდეს, მანამ არ იგრძნობთ მსუბუქ ტკივილს. თანაც ზემოქმედების მიმართულება უნდა იყოს ვერტიკალური.

გასწორდით მხრებში, ასწიეთ თავი და გაიღიმეთ. დაიწყეთ მასაჟი წარბებს შუა წერტილით, ე.წ. მესამე თვალით. გააკეთეთ ნელა და სიამოვნებით. შემდეგ გადადით ცხვირის ნესტოების მიდამოებში. შემდეგი წერტილი მდებარეობს სახის შუაგულში — ქვედა ტუჩისა და ნიკაპს ზემოთ ღრმულში. ამას მოჰყვება ღაწვები და ყურის ძირში — ყბის არე. აქედან გადადით კეფაზე. აქ უნდა დაამუშაოთ 3 მნიშვნელოვანი წერტილი: პირველი — თავის ქალის შუა ადგილზე ჩაღრმავება და ორი წერტილი ქალის დასაწყისში.

გადადით ყურის ნიჟარებზე. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ, რადგან მათზეა განლაგებული 170 ბიოლოგიურად აქტიური წერტილი. მარჯვენა ნიჟარაზე ხდება სხეულის მარჯვენა ნაწილის ორგანოების პროეცირება, მარცხენაზე — მარცხენა ნაწილისა.

ყურის ბიბილოები ზომიერი ძალით ქვემოთ ჩამოქაჩეთ, შემდეგ ნიჟარები ზემოთ აქაჩეთ, ახლა გვერდებზე გასწიეთ. თითოეული მოძრაობა უნდა გაკეთდეს 10-15-ჯერ, მანამ არ იგრძნობთ სითბოსა და მსუბუქ წვას. ბოლოს, ყურის ნიჟარები დაატრიალეთ სხვადასხვა მიმართულებით 10-15-ჯერ (ჯერ საათის მიმართულებით, შემდეგ საწინააღმდეგო).

თავის ქალის ბიოლოგიურად აქტიური წერტილებისა და ყურის ნიჟარების მასაჟი ითვლება ძალიან ეფექტურ საშუალებად მთელი ორგანიზმის გასაახალგაზრდავებლად. რეგულარული ვარჯიშის შედეგს პირველსავე დღეებში შეამჩნევთ.

***მედიცინა №4***

## ძილი მოგერიათ?

ქრონიკული დაღლილობის სინდრომი დღეს ერთ-ერთი „მოდური“ დაავადებაა. ეს არის დაღლილობა, რომელიც ყველა ჩვენგანს განუცდია და მოულოდნელად დაატყდება ხოლმე თავს. თუ როგორ ვებრძოლოთ ამ უსიამოვნო შეგრძნებას, გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

...თუ თავი დაგიმძიმდათ და დაღლილობას გრძნობთ, დაჯექით გამართულად, თავი ძალიან გადასწიეთ უკან და 8-10 წამით გაჩერდით ამ მდგომარეობაში, შემდეგ გადმოხარეთ წინ, მკერდისკენ, დაყოვნდით რამდენიმე წამი და ისევ გაიმეორეთ ვარჯიში.

...თუ თვალები დაგეძაბათ, 5 წამით დახუჭეთ და გაახილეთ. ვარჯიში გაიმეორეთ 5-ჯერ.

...თუ ძალიან აღელვებული ან გაღიზიანებული ხართ, ღრმად ისუნთქეთ.

...თუ ძილი მოგერიათ, დაჯექით, გაიმართეთ მხრებში, ოდნავ გასწიეთ განზე, ნიკაპი ასწიეთ ზევით, ხელები (ხელისგულები შიგნით) ტანის გასწვრივ, პარალელურად დაუშვით, დაჭიმეთ ზურგის, ხელისა და კისრის კუნთები, 10 წამით გაჩერდით ასე, მოდუნდით და ვარჯიში ისევ გაიმეორეთ.

...თუ ფეხები შეგიშუპდათ და დაგიბუჟდათ, გაშალეთ მაგიდის წინ ძლიერად, თითის წვერები დაჭიმეთ, შემდეგ ადექით და 10-ჯერ აიწიეთ ფეხის თითის წვერებზე. დაჯექით და მოადუნეთ ფეხები.

***ტრუდ-7 №129***


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**


## ნაყინი მსუქნებისათვის

ექიმები ამტკიცებენ, რომ ნაყინის ზომიერად ჭამა სასარგებლოა, თუმცა არა იმათთვის, ვისაც ზედმეტი წონა აწუხებთ, მასში ხომ საშუალოდ 820 კალორიაა. ამერიკელმა დიეტოლოგებმა გამოიკვლიეს, რომ ყველაზე „ნაყინთმოყვარენი“ მსუქნები არიან. ექიმები ცდილობენ „ნაყინის პრობლემის“ გადაჭრას — ერთმა ამერიკულმა სანაყინე გიგანტმა დაიწყო ნაკლებკალორიული ნაყინის გამოშვება, რომელიც მარტივი ინგრედიენტისაგან მზადდება — ის გაყინული იოგურტია, სხვადასხვა ხილის დანამატებით. ახალი იოგურტი-ნაყინი დიეტის მოყვარულთა სასარგებლოდ სულ 170 კალორიას შეიცავს.

***ნიუზუიქ***


**პირველად საქართველოში!**

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: 99 64 99
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

**ანონიმურობა დაცულია!**



**კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:**

1. დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
2. ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
3. სამეანო განყოფილებას;
4. ახალშობილთა განყოფილებას;
5. გინეკოლოგიურ განყოფილებას;
6. თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
7. ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);
8. სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
9. რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა. მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით. მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255 (ყოფ. I სამშობიარო სახლი)*
☎ 66-73-70 71 72 73 74




## სიახლე C ჰეპატიტის მკურნალობაში



სამედიცინო ლიტერატურის მონაცემების მიხედვით მსოფლიოში 300 მლნ-მდე ადამიანია ინფიცირებული C ჰეპატიტით. მათგან 80% ქრონიკული ფორმითაა დაავადებული. როგორც ყველგან, საქართველოშიც ბევრი რამ კეთდება C ჰეპატიტთან ბრძოლისათვის. თერაპიის ეროვნული ცენტრის, ჰეპატოლოგიისა და გასტროენტეროლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი გურამ დილმელაშვილი ამ მხრივ სიახლეს გვთავაზობს.

— ავადმყოფობის დასაძლევად დიდი მნიშვნელობა აქვს C ჰეპატიტის დროულ ეფექტურ მკურნალობას. რაც სამწუხაროდ, დღეისათვის არ არსებობს. ინტერფერონი და ვირუსის საწინააღმდეგო სხვა პრეპარატები ეხმარებიან დაავადებულთა დაახლოებით 30%-ს. ინტერფერონით მკურნალობის საერთო ხანგრძლივობა მინიმუმ ერთი წელია. დაწყებითი მკურნალობის კურსი კი 3 თვეს შეადგენს. თერაპიული ეფექტის არარსებობის შემთხვევაში მკურნალობა წყდება. არც ხანგრძლივი მკურნალობის კურსი იძლევა დადებითი შედეგის გარანტიას. ღვიძლის ციროზის მოგვიანებით სტადიაზე ხშირია გართულებები და უარყოფითი შედეგები. ჩვენში ინტერფერონით მკურნალობა პრეპარატის სიძვირის გამო ერთეულ პაციენტებს შეუძლიათ. თანაც, ამ პრეპარატს აქვს ზოგიერთი უკუჩვენება (ასაკი, სისხლის წითელი და თეთრი უჯრედების შემცირება, აუტოიმუნური რეაქციები და სხვა) და გვერდითი მოვლენები (ტემპერატურის მატება, კუნთების ტკივილი და სხვა).

**— ღვიძლის გადანერგვის თაობაზე რას იტყვით?**

— ღვიძლის ტრანსპლანტაცია უფრო ექსპერიმენტულ მიდგომას წარმოადგენს. მისი ეფექტურობის შეფასება ჯერ ადრეა, რადგან გადანერგილი ღვიძლი შეიძლება კვლავ დაინფიცირდეს პაციენტის სისხლში დარჩენილი ვირუსით. დიდია დაინვალიდების ალბათობაც. გარდა ამისა, ოპერაცია 300.000 დოლარს აღემატება. ამას ემატება ძვირადღირებული პრეპარატები, რომლებიც გადანერგილი ღვიძლის შეუთავსებლობის მოსახსნელად და დამატებით სამედიცინო დახმარებისთვისაა საჭირო.

ქართული და მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურის მონაცემებითა და ჩვენი მრავალწლიანი პრაქტიკული სამედიცინო გამოცდილების საფუძველზე შევიმუშავეთ მკურნალობის ახალი მეთოდი. ჰეპატიტის პათოგენეზში ცენტრალური ადგილი უჭირავს ციტოლიზის სინდრომს, რომელიც განსაზღვრავს ღვიძლის დაზიანებას და ხასიათდება უჯრედული მემბრანის განვლადობის მომატებით. მკურნალობის ჩვენეული პროგრამა ძირითადად შეიცავს 3 მძლავრ ანტიოქსიდანტის კომბინირებულ გამოყენებას (ალფა-ლიპოის მჟავა, სილიმარინი და სელენი), რომლებიც ეფექტურად ანეიტრალებენ თავისუფალ რადიკალებს. აქვთ ანტივირუსული თვისება და იმუნიტეტის გაძლიერების უნარი. მკურნალობის პარალელურად სხვადასხვა დოზით და ხანგრძლივობით ვნიშნავდით ქართული წარმოშობის ჰომეოპათურ საშუალებებს: რინაშის, ნორმას და ოქსიგენ-იბერიკას.

ჩატარებული მკურნალობის შედეგად ავადმყოფების სუბიექტური და ობიექტური მდგომარეობა და ლაბორატორიული მონაცემები სწრაფად გაუმჯობესდა. აქტიური პროცესი სწრაფად „დამუხრუჭდა“, ავადმყოფები აღარ უჩივიან სისუსტეს, დაღლილობას, გაუქრათ შიში, უძილობა, შეუწყდათ ტკივილი ღვიძლისა და ელენთის მიდამოში, გაუქრათ კანის სიფერმკრთალე, გახდნენ ენერგიულნი და გააგრძელეს საქმიანობა. პარალელურად აღინიშნა ღვიძლის ფერმენტების დადებითი დინამიკა, კერძოდ, ალტ-ს მაჩვენებლებისა. გაუმჯობესდა ღვიძლის ფუნქციები, თრომბოციტების რაოდენობა. ორ ავადმყოფს, შაქრის მაღალი რაოდენობა სისხლში, ნორმაში ჩაუდგათ.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული მკურნალობის დადებითი შედეგების გამო ვთავაზობთ C ჰეპატიტის მკურნალობის მნიშვნელოვნად უფრო იაფ მეთოდს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ინტერფერონი თერაპიის დაწყებამდე განსაკუთრებით მისი გამოყენების უკუჩვენების შემთხვევაში ან ღვიძლის გადანერგვის ოპერაციაზე გაგზავნის წინ, განხილული იყოს საკითხი ზემოთ აღნიშნული კონსერვატული მკურნალობის შესაძლებლობების შესახებ. პაციენტის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუმჯობესების შემთხვევაში, შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ტრანსპლანტაცია. იმედს გამოვთქვამთ, რომ შემდგომი დაკვირვებები გვიჩვენებს ჩვენს მიერ არჩეული გზის სისწორეს და სამკურნალო საშუალებების ეფექტურობას.

R

**ესპანეთი**

## ასნარი: ერთი კაცის დიდხანს ყოფნა სათავეში ქვეყნისთვის საზიანოა

ესპანეთის სახალხო პარტიის აღმასრულებელმა საბჭომ ახალი ლიდერი აირჩია — მარიანო რახოი. ოპერაცია „მემკვიდრე“ მარტში, საპარლამენტო არჩევნების დროს დამთავრდება, როცა მარიანო რახოი პრემიერის პოსტზე შეცვლის ბატონ ხოსე მარია ასნარს.



**ხოსე ასნარი (მარჯვნივ) და მარიანო რახოი**

ესპანეთის ამჟამინდელი პრემიერი 50 წლისაა. ასნარი საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის დღევანდელ ხელმძღვანელებზე უმცროსია, იგი ტონი ბლერის ტოლია, თუმცა ბლერი სულაც არ აპირებს პოსტის დათმობას.

— მესამე ვადით არაფრით აღარ დავრჩები, ხელისუფლების სათავეში ერთი კაცის დიდხანს ყოფნა საზიანოა, ქვეყანაში დაძაბულობას იწვევსო, — ბრძანა პრემიერმა და წამოაყენა მემკვიდრის კანდიდატურა — პირველი ვიცეპრემიერი მარიანო რახოი. ბატონმა რახოიმ ასნარის ნდობა იმით დაიმსახურა, რომ ყველაფერში ეთანხმებოდა, — ასეთი კომენტარი გაუკეთა სახალხო პარტიის ახალი გენერალური მდივნის არჩევას ოპოზიციური სოციალისტური პარტიის ლიდერმა ხოსე ლუის როდრიგეს საპატერომ.

*კომერსანტი №157*

**აშშ**

## კიდევ ერთხელ 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ

აშშ-ში გამოქვეყნდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის დროს სამაშველო სამსახურების მიერ ჩაწერილი მოულოდნელი საუბრები. მსოფლიო სავაჭრო ცენტრის პირველი კოშკის 92-ე სართულზე მომუშავე მამაკაცი პოლიციელს ეკითხება: — აფეთქების ამბავი ვიცით, დავტოვოთ აქაურობა? პოლიციელი: — არა, დაელოდეთ მითითებას. მამაკაცი: — გასაგებია...



განწირული ადამიანების ხმები, მაშველებთან ბოლო საუბრის ფრაზები, საშინელი ტკივილით აღსავსე წუთები...

ამ ჩანაწერებმა მსოფლიოს უნდა მოუთხროს დაღუპულებზე, იმათზეც, ვინც თავი გასწირა ადამიანთა გადასარჩენად.

*ნიუზუიქი*

## აზვირთებულ ერაყს რა დააწყნარებს?

მუსლიმანთა წმინდა ქალაქ ნაჯაფში დაკრძალეს ერაყელი შიიტების ლიდერი, აიათოლა მოჰამედ ალი ხაკამი. იგი მეჩეთიდან გამოსვლისას მოკლეს. სამი დღის განმავლობაში აიათოლას კუბოს დაატარებდნენ ერაყის მთავარ ქალაქებში, რათა მორწმუნეებისთვის მასთან გამოთხოვების საშუალება მიეცათ. იგი ნაჯაფში იმ ადგილას დაკრძალეს, სადაც მეჩეთის აშენება სურდა.

გავლენიანი შიიტი პოლიტიკოსის მკვლელობამ შეაძრწუნა ერაყელები. ქალაქებში, სადაც მის ცხედარს ეთხოვებოდნენ, იმართებოდა მასობრივი მანიფესტაციები, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ანტიამერიკულ მიტინგებად იქცეოდა. მოსახლეობა საოკუპაციო ხელისუფლებას ადანაშაულებს, რადგან მან ვერ შეძლო ქვეყანაში მშვიდობის დამყარება.

ჯერჯერობით, არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია თავის თავზე აიათოლას მკვლელობა. ყატარის ტელემაუწყებლობამ გაავრცელა ჩანაწერი — ვიღაც მამაკაცი თავს სადამ ჰუსეინად აცხადებს და ირწმუნება — მაგ გველებს (ამერიკელებს გულისხმობდა) სურთ, პასუხისმგებლობა ჩემს მომხრეებს დააკისრონ. მე რომელიღაც პატარა დაჯგუფების მეთაური კი არა ვარ, არამედ დიდი ერაყელი ხალხის მიერ არჩეული ლიდერი. ამ არჩევნებს თავის დროზე მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალსო.

დაკრძალვაზე მასობრივი ისტერიით შეპყრობილი შიიტები თანამოძმეებს შურისძიებისაკენ მოუწოდებდნენ. ალი ხაკამის მკვლელობამ (იგი ქვეყნის დროებითი მმართველი საბჭოს წევრი იყო) ამერიკელთა ბევრი გეგმა ჩაშალა. მმართველი საბჭო დატოვა მეორე შიიტმა ლიდერმა მუჰამედ ალ ალუიმ. მან განაცხადა: — ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ძალით დავიცვათ წმინდა ქალაქები — ქარბალა და ნაჯაფიო. ეს იმას ნიშნავს, რომ შიიტებს, რომლებიც მოსახლეობის 60%-ს შეადგენენ, თანდათან უმტკიცდებათ საკუთარი შეიარაღებული ძალების იმედი, რაც ძირს უთხრის ამერიკელთა გეგმებს. შიიტთა ლიდერები დაუფარავად აცხადებენ, უცხოელთა ოკუპაცია ხელს უშლის ერაყის აღორძინებასო.

140-ათასიანი ამერიკული სამხედრო მანქანა კი თანდათან პარტიზანული ომის ჭაობში ეფლობა. ამერიკელებს თითქმის ყოველდღე ხოცავენ, არ ინდობენ ბრიტანელ ჯარისკაცებსაც. ამერიკულ კონტინგენტს ერაყში ერთკვირიანი ყოფნა მილიარდი დოლარი უჯდება, ქვეყნის დაწყნარებას დიდი დრო და თანხები დასჭირდება. ამერიკელები ყველაფერს ხან სადამს და მის მომხრეებს აბრალებენ, ხან საერთაშორისო ტერორისტებს, მაგრამ იძულებულნი არიან, აღიარონ, რომ ერაყელები სულ უფრო მეტ და ორგანიზებულ წინააღმდეგობას უწევენ მათ.

ამერიკელები ხედავენ, რომ მოკავშირეთა დაუხმარებლად დასახულ ამოცანას ვერ გადაწყვეტენ და სურთ, მათი სამხედრო კონტინგენტის თუნდაც ნახევარი ინდოეთის, პაკისტანის ან თურქეთის სამხედროებმა შეცვალონ.

*ვლასტი №34*

## ლიბიური აბსურდის თეატრი

ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი გახარებულია. ლოკერბისა და ნიგერიის ცაში კატასტროფები წარსულს ჩაჰბარდა, ევროპისა და ჩვენს ურთიერთობაში ახალი ერა იწყება, — განაცხადა ეროვნული ტელევიზიით გამოსულმა კადაფიმ.



იგი აშკარად თავს იკატუნებდა, როცა ტერმინი „კატასტროფა“ იხმარა. იმას, რაც ამერიკულ „ბოინგს“ და საფრანგეთის ავიაკომპანიის თვითმფრინავებს დაემართათ 1988-89 წლებში, „ტერაქტი“ ჰქვია. ორივე თვითმფრინავი ააფეთქეს, პირველი შოტლანდიის ქალაქ ლოკერბის თავზე (დაიღუპა 270 ადამიანი), მეორე — ნიგერიის უდაბნოს თავზე (დაიღუპა 170 ადამიანი). ორივე ტერაქტი ლიბიის სპეცსამსახურის აგენტებმა განახორციელეს.

ლიბიის ხელისუფლება დიდხანს უარობდა, — ჩვენ არაფერ შუაში ვართო და აღშფოთებული იყო გაეროს მიერ მათ მიმართ შემოღებული სანქციებით. ბოლოს და ბოლოს, კადაფი იძულებული გახდა, ფაქტობრივად ეღიარებინა თავისი სპეცსამსახურების დანაშაული. მერე „კატასტროფების“ მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემაც იკისრა და დასავლეთს ცოდვების შენდობა სთხოვა.

მისი იმედი გამართლდა. ჯერ ინგლისელებმა და ამერიკელებმა აპატიეს — ეს 2,7 მლრდ დოლარი დაუჯდა, ახლა ფრანგებსაც შეურიგდა მნიშვნელოვანი თანხის საფასურად. საფრანგეთის ხელისუფლებამ, ინგლის-ამერიკასთან ერთად, უარი თქვა ლიბიის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებაზე. დასავლეთთან მრავალწლიანი კონფლიქტი დასრულდა. კადაფიმ საკმაო თანხა გადაიხადა, თუმცა არც ისე მნიშვნელოვანი — ქვეყნისათვის, რომელიც ნავთობის უმდიდრეს მარაგს ფლობს. ერთი სიტყვით, ყველაფერი მოგვარდა. ყველამ ყველაფერი აპატია თავზეხელაღებულ პოლკოვნიკს. ის მალე საფრანგეთში აპირებს ვიზიტს. ის, რაც კადაფისთან დაკავშირებით დღეს ხდება, აბსურდის თეატრს ჰგავს, დემოკრატიული ქვეყნების ლიდერები ტელეფონით მეგობრულად ესაუბრებიან ადამიანს, რომლის ბრძანებას 440 მგზავრის სიცოცხლე შეეწირა. სადამ ჰუსეინსაც შორსმჭვრეტელობა რომ გამოეჩინა და პალესტინელი ტერორისტების დაფინანსების ნაცვლად, ქუვეითში ერაყის შეჭრის მსხვერპლთა ოჯახებისათვის გადაეხადა ფული, შეიძლება ამერიკელებს არც ეფიქრათ მისი დამხობა.

*იზვესტია №156*

### მოკლედ

**აშშ-ის** გამოძიების ფედერალურმა ბიურომ საერთაშორისო ძებნაში გამოაცხადა ოთხი მამაკაცი — ადნან შუკრი ჯუმახი, ქარიმ ალ-მეჯათი, ზუბაირ არ რიმი და აბდერაუფ ჯიდეი. ისინი ეჭვმიტანილნი არიან იმაში, რომ აშშ-ის წინააღმდეგ ტერაქტების მოწყობას გეგმავდნენ. გფბ-ს მონაცემებით ისინი აშშ-ში არ იმყოფებიან.

**ეგვიპტელმა** არქეოლოგებმა და ანთროპოლოგებმა დაადგინეს, რომ მუმია, რომელიც წლების განმავლობაში ფარაონ ეხნატონის მეუღლის, მშვენიერი ნეფერტიტის ნეშტად ითვლებოდა, 16-19 წლის ეგვიპტელ ჭაბუკს ეკუთვნის. თუმცა ამერიკელი მეცნიერები არ იზიარებენ ამ მოსაზრებას, მათ მიაჩნიათ, რომ მუმიას აშკარად ეტყობა 18-დან 30 წლამდე ასაკის ქალის კარგად განვითარებული სარძევე ჯირკვლები.

**პალესტინის** პრემიერ-მინისტრმა მაჰმუდ აბასმა დაადასტურა, რომ გადადგომას აპირებს. იგი ითხოვდა უსაფრთხოების სფეროში ყველა უფლებამოსილების მისთვის გადაცემას, მაგრამ იასირ არაფატი არ დათანხმდა. მაჰმუდ აბასი პრემიერად არაფატმა აშშ-ის ზეგავლენით დანიშნა, ამ უკანასკნელთ მიაჩნდათ, რომ სწორედ ის შეძლებდა „საგზაო რუკის“ სამშვიდობო გეგმის განხორციელებას.

**ქურთთა** მუშათა პარტიამ გამოაცხადა, რომ განაახლებს სამხედრო მოქმედებას თურქეთის მიმართ, რადგან ანკარა, შეთანხმების მიუხედავად, აგრძელებს ამ პარტიის წევრთა შევიწროებას.

**ფიდელ** კასტროს რევოლუციური საქმიანობისათვის ჩრდილო ამერიკელმა ინდიელებმა გადასცეს აშშ-ის აბორიგენი მოსახლეობის უმაღლესი ჯილდო „არწივის ფრთა“. ინდიელები ამ უმაღლეს ჯილდოს ანიჭებენ მამაც და გაბედულ ადამიანებს.

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა გერჰარდ შრედერმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თავის კანდიდატურას არჩევნებში მესამედ წამოაყენებს. შრედერმა კანცლერის პოსტი პირველად 1998 წელს დაიკავა და ჰელმუტ კოლის 16-წლიანი მმართველობა შეწყვიტა.

**ლიბერიაში** დამთავრდა 14-წლიანი შეიარაღებული კონფლიქტი. ქვეყანას 2005 წლის საყოველთაო არჩევნებამდე კოალიციური გარდამავალი მთავრობა უხელმძღვანელებს. ლიბერიაში ამჟამად 2000 სამშვიდობო ჯარისკაცი იმყოფება, უმთავრესად ნიგერიელები.

**აზერბაიჯანის** დედაქალაქში პირველად გაიხსნა ებრაული სკოლა. ახლა 30 ათასი ებრაელი შვილებს დედაენაზე მისცემს განათლებას. სკოლის საზეიმო გახსნას ბევრი სტუმარი დაესწრო. ერთ-ერთმა მათგანმა, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა, ლორდმა ჯანერმა, მუსლიმანურ ქვეყანაში ებრაული სკოლის გახსნას „სასწაული“ უწოდა.

**პეკინში** ორივე კორეის, ჩინეთის, რუსეთის, იაპონიისა და აშშ-ის წარმომადგენელთა შეხვედრაზე ფხენიანმა განაცხადა, რომ აშშ-ისგან ითხოვს თავდაუსხმელობის გარანტიას, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას და ეკონომიკურ დახმარებას. ვაშინგტონი კი აცხადებს, რომ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ წაყენებულ პირობას იმ შემთხვევაში შეასრულებს, თუ იგი უარს იტყვის ბირთვული იარაღის შექმნაზე.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*


«მუვ ფრი»: იმოძრავეთ თავისუფლად!

არტრიტის ფონდი რეკომენდაციას უწევს ბიოპრეპარატს «მუვ ფრი» ოსტეოართროზის ყველა ფორმის მკურნალობისათვის.





• ტკივილი სახსარში მოძრაობისას ან მოსვენების დროს?

• „გამომშრალი სახსარი“ და დაზიანებული ხრტილი?

• შებოჭილი მოძრაობები?




«მუვ ფრი»

• გააჩნია ხანგრძლივი ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი, არ გააჩნია გვერდითი ეფექტი.

• აღადგენს დაზიანებული ხრტილის ქსოვილს და ხელს შეუწყობს სინოვიალური სითხის გამომუშავებას.

• შეგინარჩუნებთ მოძრაობის სიფართესა და სახსრის ფუნქციონალურ მდგომარეობას.





ARTHRITIS FOUNDATION

პრეპარატის გენერალური სპონსორია ამერიკის ართრიტის ფონდი

წარმოებულია GMP-ს საერთაშორისო სტანდარტის ხარისხის კონტროლის ზედამხედველობით

«მუვ ფრი» - დაგიბრუნებთ უმტკივნეულო მოძრაობას და სრულფასოვანი ცხოვრების ხალისს.

ჩვენთან მოგისმენენ და გაგიგებენ, დაგიბრუნებენ იმედსა და ჯანმრთელობას!

ჯეოვიტი GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),

ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56.

www.schiffvitamins.com

Schiff 60

# „კრიმანჭულმა“, მუნჯურმაც კი გააოგნა უცხოელები

(დასაწყისი იხ. გვ. 12)

იქაური კულტურის მინისტრი პირადად შეგვხვდა. საფრანგეთიდან-აც კი ჩამოვიდნენ ქართველები. სამი-ოთხი დღე ჩვენთან დარჩნენ. მათ შორის იყვნენ დედა-შვილი აბაშიძეე-ბი. ბიჭს აქედან წაღებული აჯიკა ვაჩუქე. კინაღამ გაგიჟდა სიხ-არულისაგან — ბატონო ამირან, ჯიპი რომ გეჩუქებინათ, ასე ვერ გამახარებდითო — მითხრა და ქილა-ჩახუტებული დადიოდა მთელი დღე. ამ ფესტივალს ერთი უცნაურობა აქვს, მაყურებელს თვითონ მიაქვს გასაშლელი სკამები, თუ არ მოე-წონება წარმოდგენა, თავის სკამი-ანად მიდის. თანაც წინასწარ გაფრთხილებენ, რომ სპექტაკლი ერთ საათზე მეტს არ უნდა გაგრ-ძელდეს. ჩვენ კი საათ-ნახევარი ვიყავ-ით სცენაზე და მომდევნო საათ-ნახევარი მაყურებელს ველარ ვი-ცილებდით. ჩვენს მსახიობებს ქუ-ჩაში ცნობდნენ და ავტოგრაფები-სთვის დასდევდნენ.

**— ალბათ ასეთი წარ-მატების შემდეგ მაინც გამ-ოიჩინენ თქვენი თეატრის მი-მართ ყურადღებას.**

— არა მგონია, რამე შეიცვა-ლოს. არ სცალიათ ჩვენთვის, ისევე როგორც არ სცალიათ თუნდაც გურამ დოჩანაშვილისთვის და კიდევ ბევრისთვის.

**— მახსოვს, თქვენ სერიო-ზული შემოთავაზებები გქონ-დათ უცხოეთიდან.**

— წავედი კიდეც, მაგრამ ვერ გავჩერდი და დავბრუნდი. ჩემი პედ-აგოგი ანტონ თავზარაშვილი ადრევე მეუბნებოდა, — უნდა წახვიდე უცხ-ოეთში, თორემ ამ ხელოვნებას საქართველოში ვერ გაგიგებენო. ვერა, ვერსად წავალ. ჩემს ემოციას ვერც ერთი ერი ვერ გაიგებს. ის მხოლოდ ქართულ ჯიშს ეკუთვ-ნის, თორემ მე ყოველ წუთში შემ-იძლია წასვლა, რუსეთის კულტურის მინისტრი მზად არის ჩემს მისაღე-ბად. მე იქ თეატრი მექნება, ერთი წლის შემდეგ საგასტროლოდ აქ ჩამოსულს კი მქუხარე ტაშს დამიკრავენ, მაგრამ მე, ქართველი, უცხო ვიქნები ჩემს ქვეყანაში და თქვენ ქუჩაში მოგცემთ ინტერვიუს რუსული ხელოვნების შესახებ. ეს არ შემიძლია. არ წავალ იმიტომაც, რომ ვიღაცას რაღაცის ხელში ჩაგდე-ბა უნდა და ძალიან სურს წავიდე.

**— რას გულისხმობთ, შე-ნობის ხელში ჩაგდება სურს ვინმეს?**

— დიახ. ტერიტორიული ინ-



ამირან შალიკაშვილი და მარსელ მარსო მოსკოვში შეხვედრის დროს

ტერესი დღემდე არსებობს აქ. იყო შემოთავაზებები ვიღაცების მხრი-დან, — „აი თქვენ 50 ათასი და ერთი შემოსასვლელი მოგვეცით რუსთაველის გამზირის მხრიდანო. მე ჩემი ეროვნული ხელოვნების აქამ-დე გაუხსნელი უჯრედი გავაღვიძე პანტომიმის თეატრის სახით და არავის მივცემ მისი მიძინების სა-შუალებას. ხუფი ავხადე და დაგა-ნახვეთ ოქრო. გამოიყენეთ ეს გან-ძი. ვერიკო ანჯაფარიძე ამბობდა, ჩვენ ვქმნიდით საბჭოთა თეატრს და პანტომიმა, ეს მარგალიტი ნაგა-ვში გადავყარეთ. რა ბედნიერებაა, რომ შალიკაშვილმა ამოიღო ეს მარ-გალიტი და ჩვენამდე მოიტანაო. სერგო ზაქარიაძე მოდიოდა ჩემთან და მაფრთხილებდა — აქ რომ მოვდივარ, არავის უთხრა, თორემ გაგანადგურებენო და ნახულობდა ჩემს რეპეტიციებს.

**— ბატონო ამირან, პან-ტომიმის თეატრის ბედი რაღაცნაირად თქვენს ბედს ხომ არ უკავშირდება? როგორც ჩემთვის ცნობილია, მძიმე პირობებში, „რეპრესირე-ბული“ დაბადებულხართ.**

— მართალია. მამაჩემი გადა-სახლებული იყო შუა აზიაში და მეც იქ დავიბადე, კოლონიაში, 65 წლის წინ 22 მარტს. ამ დღეს არის დაბადებული ფრანგული პანტომი-მის გენია მარსელ მარსოც.

**— მარსელ მარსომ თუ იცის, რომ ქართული პანტომიმის გენიაც მისი დაბადების დღეს მოევ-ლინა ქვეყანას?**

— მარსელ მარსო 1965 წელს ჩამოვიდა თბილისში. მაშინ მახარაძეში ვიყავი გას-ტროლებზე მუსკომედიის თეატრიდან. ძლივს გამოვაშ-ვებინე თავი რეჟისორს, „გოფილექტში“ — ფილარ-მონიაში გამოდიოდა მარ-სო. დავჯექი ბაღში მე-გობართან ერთად. გამოჩნ-და მარსო, კაფეში შევიდა და 400 გ ნაყინი შეჭამა. ორჯერ მიართვეს. მეგობარს პანტომიმაზე და მარსოზე ვე-ლაპარაკებოდი. იგი გვხედავ-და, კაფედან გამოსული იდგა და მიყურებდა. ხელი დამიქნია, თავისთან მიმიწვია სპექტაკლის შემდეგ, მაგრამ კაგებე არ მიშვებდა. ფილარ-მონიის დირექტორმა გუგ-ული ყიფიანმა მიხსნა. შემი-ყვანა, კულისებიდან დამი-ნახა თუ არა მარსომ, კარგი ძმაკა-ცივით გამოიქცა. ყველა გაოცებუ-ლი იყო. შევედით საგრიმიოროში, ვითომ შამპანური აიღო, გახსნა, დამისხა და ჭიქა მომაწოდა. ეს ყვე-ლაფერი გაითამაშა, მეც ვუპასუხე და გაიმართა პანტომიმის საშუ-ალებით დიალოგი. დავახლოვდით. მე ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი. „პარტიამ“ მყისვე გამომიყო დროე-ბითი ბინა, რესტორანში უფასოდ ვქეიფობდი მარსოსთან ერთად. მარ-სოს ყურადღება თავდაპირველად ჩემს ხელებს მიუქცევია. ამბობდა — ამას ისეთი ხელები აქვს, ორ წელიწადში სცენიდან ხელებით ისაუბრებსო. იმავე წელს მარსოს წერილი მივიღე. ეს წერილი ჩემს დიდმელ მემწვანილე დეიდაშვილს კარში გარჭობილი უნახავს, აუღია, გადმოუბრუნებია და დაუწერია: „მოვედი, მოგიტანე ბოლოკი, მწვა-ნილი...“ მოვედი სახლში. ვა, დავხედე, უცნაური წერილია, ერთ მხარეს უცხოური წარწერით, მე-ორე მხარეს ბოლოკ-მწვანილით, გავშალე, მარსოს წერილი აღმოჩნ-და. ატყდა ერთი ამბავი, არ დაიჯერეს, რომ მარსოს წერილი იყო. გაიტანეს განსახილველად კო-მისიაზე, იყიდეს ჩემგან 25 მანეთად სამუზეუმოდ და მერე მე გამაბი-თურეს — მარსელ მარსოს წერ-ილი 25 მანეთად გაყიდა, თანაც ასეთ წერილს ნახეთ უკან რა აწერია: „ბოლოკი“, „მწვანილიო“.

**— ეს სურათი, რომელიც ახლა თქვენს ოთახს ამშ-ვენებს მარსოსთან ერთად, თბი-ლისში გადაიღეთ თუ პა-რიზშიც იყავით?**



კრიმანჭული უსიტყვოდ

**იმავე წელს მარსოს წერილი მივიღე. ეს წერ-ილი ჩემს დიღმელ მემწვანილე დეიდაშვილს კარ-ში გარჭობილი უნახავს, გადმოუბრუნებია და დაუ-წერია: „მოვედი, მოგიტანე ბოლოკი, მწვანილი...“ მოვედი სახლში. ვა, დავხედე, უცნაური წერილია — ერთ მხარეს უცხოური წარწერით, მეორე მხ-არეს ბოლოკ-მწვანილით, გავშალე, მარსოს წერ-ილი აღმოჩნდა. ატყდა ერთი ამბავი, არ დაიჯერეს, რომ მარსოს წერილი იყო...**

— მოსკოვში გადავიღე. ვერი-კო ანჯაფარიძე გაგიჟდა, — ბიჭო, ორი კვირა ერთად იყავით, სურა-თი როგორ არ გადაიღეთო. რაც შეეხება ჩემს პარიზში წასვლას, მარსელმა მიმიწვია, მაგრამ აქედან არ გამიშვეს, ვიღაც რუსი გაგზა-ვნეს. უკან გამოაგდო მარსომ — მე შალიკაშვილი მინდაო. მოგვიანებით მასთან შეხვედრის ბედნიერება ისევ მხვდა წილად. მოსკოვში საგას-ტროლოდ ვიყავი ჩასული. იმ დროს ჩამოვიდა მარსო. ისიც გასტროლე-ბზე. ჩემი სპექტაკლის ნახვა უნდო-და, მაგრამ ერთსა და იმავე დროს გვქონდა დანიშნული, ავდექი და ღამის 12 საათზე გადავიტანე მის საჩვენებლად სპექტაკლი. ბედი არ გინდა, სწორედ მაშინ მოვიწამლე. რუსმა მსახიობებმა როგორც მარსე-ლის მეგობარი, სუფრასთან მიმი-წვიეს თეატრალურ რესტორანში, სადაც „მიასა პა სუვოროვსკი“ მოატანინეს, ძალით გამასინჯეს და იმან მაწყინა. მთელი ჯანდაცვა ფეხზე დადგა. მომაბრუნეს ამქვეყნად. მერე „გუმში“ წამიყვანეს, 250-მანეთიანი ფრანგული კოსტიუმი მიყიდეს. ჩემს ცხოვრებაში ერთადერთხელ მეცვა ასე ძვირფასად. ღამის 2 საათზე დამთავრდა სპექტაკლი. მარსო რესტორანში დავპატიჟე.

**— როგორც ვიცი, მაშინ რესტორნები 12 საათზე იკეტე-ბოდა, თქვენ როგორ მოახ-ერხეთ?**

— გავითვალისწინე ეგ. დიდი რუსი მსახიობი ტოლია რამაშინი გავუშვი თეატრალურ ინსტიტუტ-ში. ვთხოვე, წადი, რომ არ დაკე-ტონ. მთელი რესტორნის პერსონ-ალი დაპატიჟე, სუფრა გაუშალე-მეთქი. მართლაც 2 სთ-ზე მარსელთან ერთად მისულს იქ გახურებული ქეიფი დამხვდა, ყვე-ლა მთვრალი იყო. „ბუფეჩიკები“ ხელგაშლილი, ღრიალით შეხვდნენ მარსოს. დავსხედით მოსკოვის „შპანასთან“ ერთად. მარსელმა ხე-ლით გაათამაშა კურდღელი, გად-მომიგდო მე, მეც რაღაც გავაკეთე და გადავეცი მეორეს. იმან, რუსმა „დასვა“ თეფშზე, აიღო დანა და დაკლა. მარსელს ცრემლები წამოუ-ვიდა... დილის 6 საათზე დამთავრ-და ქეიფი. ეს 60-კაციანი სუფრა 500 მანეთი დამიჯდა. მეორე დღეს სუპერპოპულარული გავხდი. უცხ-ოური ტელევიზიები მიღებდნენ. გა-დასცემდნენ თავის ქვეყნებში, რომ ფრანგი და საბჭოთა პანტომიმის ოსტატები შეხვდნენ ერთმანეთს. მერე რამდენიმე წლის შემდეგ ბო-რია წიფურია იყო წასული არგენ-ტინაში ქართულ ცირკთან ერთად. იქ მისულა მარსელი. ბორიას შეხ-ვედრა მოუწყვია და ახსნა-განმარტე-ბებს აპირებდა თურმე მარსოსთვის, რა იყო საქართველო, სად იყო და ა.შ. მარსელს ხელით უნიშნებია, გაჩ-ერდიო. მერე კი ღიმილით უთქ-ვამს: მე მშვენივრად ვიცნობ თქვენს ქვეყანას და ძალიან მენატრება იქაური მეგობარი, ამირან შალიკაშ-ვილი, როგორ არის, იქნებ მომი-კითხოთო. გადარეულა ბორია — ამირანს აქაც იცნობენო, კაცო?

*ეკა ლომიძე*

მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს
კომპიუტერული ცენტრი
«მზიური» აცხადებს მოსწავლეთა და
სტუდენტთა მიღებას

პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში

მიიღებიან IV-X კლასების მოსწავლეები
მის: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎ 29-48-61; 95-45-75; 91-03-17

სამრეცხაო
„თეთრი გედი“
გთავაზობთ თეთრეულისა
და ხალიჩების რეცხვას
ხარისხის გარანტიით და
უფასო ტრანსპორტირებით.
სასტუმროებსა და რესტორნებზე
მნიშვნელოვანი ფასდაკლება.
☎93-63-62

ასლგადამღები
აპარატები
ევროპიდან და იაპონიიდან
აღდგენილი და ახალი
1. იჯარა - ლიზინგი
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

ქსეროასლები
შავ-თეთრი წითელი ლურჯი
2-დან 5 თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი ქსეროასლები
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
სარეკლამო პლაკატების და ბუკლეტების
კომპიუტერული დიზაინი
ფოტოების მხატვრული გაფორმება, ბეჭდვა ნივთებზე, „ნაკლეიკები“ თქვენი ბავშვის ფოტოთი, ეტიკეტები, აკინძვა, ლამინირება
Web-დიზაინი

თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1,
მოზარდ-მაყურებელთა თეატრი,
ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“ Company LTD

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
6 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1300 |
| ევრო | 2,3287 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3709 |
| რუსული რუბლი | 0,0694 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5390 |

„ალუტექნიკ“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა,
მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი“ აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ფირმა „ლაზისი“
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად და ხარისხიანად ევროსტანდარტის
პროფილით ესაანური სისტემის საკეტებით
ფერები — სხვადასხვა.
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან,
სალაროების მხრიდან)
☎ 33-75-87; 899-18-66-15;
899-55-62-77; 34-52-93 (საღამოს)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ამერიკას რუსეთი ჯობია!..



„ეი-ი-ეს თელასის" წასვლას და რაო „ეეს როსიის" შემოსვლას დიდი მითქმა-მოთქმა და აყიოტაჟი მოჰყვა. ეს ამბავი თბილისელების ბიუჯეტზეც აისახა და თქვენ წარმოიდგინეთ, დადებითად! თუ არ გჯერათ, ჩემი მეზობლების დიალოგს შემოგთავაზებთ, რომელსაც სულ ახლახან შევესწარი ჩვენსავე ეზოში:

— ხომ გეუბნებოდი, სინათლის ამბავში ამერიკას რუსეთი ჯობია-მეთქი?! — ამაყად აცხადებდა რუსეთის „ბალელშჩიკი" გივი დ., თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი რომ სწორედ რუსეთში აქვს გატარებული.

— მერე, რაში აჯობა? — ირონიულად ჩაეკითხა პროამერიკელი ზალიკო მ.

— იმაში, რომ დანახარჯს ნახევარს ვიხდი, ვიდრე ამერიკელების ხელში!

— ხუმრობ თუ მართლა ამბობ მაგას?! — გადაირია ზალიკო.

— რას მომშტერებიხარ თუ იცი! რუსეთი შუქს ნახევარჯერ არ გვაძლევს და მრიცხველიც ნახევარს წერს. იაფი მიჯდება!!! — გამოსავალი იპოვა გივიმ.

*თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი*

## რეტრო



ერთ-ერთ ფილმში სტალინის როლს გამოჩენილი მსახიობი მიხეილ გელოვანი ასრულებდა.

ერთხელ მოითხოვა ეცხოვრა სტალინის აგარაკზე — რიწის ტბაზე ფეშენებელურ შენობაში რამდენიმე ხნით.

სტალინისგან დამალულად ამას ვინ გაბედავდა და მოახსენეს ამის თაობაზე ბელადს.

— მაინც რატომ სურს გელოვანს რიწაზე ცხოვრება? — იკითხა მან.

— მას უნდა თქვენს ადგილზე წარმოიდგინოს თავი. ასე ვთქვათ, თქვენს ხასიათს ჩასწვდეს.

— მაშინ რიწას ჯერჯერობით მოეშვას და ტურუხანის გადასახლებიდან დაიწყოს!.. — ჩაიცინა ბელადმა.

*მურმან მერკვილიშვილი, თბილისი*

## — დამშრალა ბაიკალი!..



გეოგრაფიის მასწავლებელი მყავდა ერთი, რაჭველი კაცი, სიმონიკა. მის გაკვეთილზე ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდი. სულ ზეპირად გვასწავლა მაშინდელი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანა თუ კუთხე-კუნჭული, ტბები და მდინარეები, ზღვები და სტეპები... ოღონდ ეგ იყო, ხანდახან დალევა უყვარდა და ამ დროს არაერთხელ ჩავარდნილა კომიკურ სიტუაციაში.

ერთხელაც, სკოლაში ნასვამი მოვიდა, დაიწყო მოყოლა ბაიკალზე — ეძებს, ეძებს რუკაზე და ვერაფრით მიაგნო... გული არ გაიტეხა, მოჭუტული თვალებით გადმოგვხედა და „დაგვამშვიდა", ხდება ხოლმე, ჩემო ჭუკებო, დამშრალა ბაიკალი, დამშრალაო!..

*გიორგი თავდიდელი, თბილისი*

## ორიგინალური კითხვა-პასუხი

### საარჩევნო ციებ-ცხელება, ანუ ვინ ვის აძლევს... ხმას?



**კითხვა:** ვის მისცემთ ხმას?

**მეგრელი:** — პირველს, მეორეს თუ მესამეს?

**სომეხი:** მერე მე არაფერი მამივა?!

**ებრაელი:** მუნჯი ვარ დაგენაცვლეთ, მუნჯი!

**ოსი:** კოსტა ხეთაგუროვის შემდეგ, ხმა სულ დავკარგეთ, სენი წილიმე!

**კახელი:** ჩვენი მედიკოი (მეზვრიშვილის) პატრონსა, კიდევ ხმა ამაგვეღება?!

**იმერელი:** რანინა, რანინა, რანინა, რანინა!..

**ქართლელი:** მომაბარეს რამე, რომ მივცე?!

**ხევსური:** ხმას კი ვაძლევთ, მაგრამ ექო უკან გვიბრუნებს!

**გურული:** ოთხი წლის წინ რომ მივეცით, ბანი დღესაც არ მოუციათ.

**რაჭველი:** სანამ მოვიფიქრებ, ქვე არჩევნებიც დამთავრდება!

**სექსოპათოლოგი:** სულ ჩაგვძახიან, იმპოტენტი მთავრობა გვყავსო და ვის მივცეთ?!

**გეოლოგი:** იმდენი ვთხარეთ, რომ ყველა კანდიდატი მოვთხარეთ!

**ფსიქიატრი:** ჩვენთან ხმებს, ჰაროპერიდოლით მკურნალობენ.

**ბიზნესმენი:** ნაღდ ანგარიშზე თუ გადარიცხვით?

**ოქრომჭედელი:** დუმილს ოქროს ფასი აქვს!..

**სინოპტიკოსი:** წვიმამ პირში წყალი ჩაგვიგუბა...

**სტუდენტები:** რაც ინგლისურად ავლაპარაკდით, ქართული სულ „დაგვავიწყდა".

**„ქართული ხმები":** ერთმანეთს!

*ნაია კოკიელი, თბილისი*

## ყურმოკრული დიალოგები

### ქუთაისური „დიდსულოვნება"




ამ ამბავს ქუთაისში შევესწარი ამას წინათ. ხომ იცით, რა დროა ახლა, ძალზე პოპულარული გახდა ძველმანების მაღაზიები, ე. წ. „სექენდ ჰენდები"...

ჰოდა, ერთ ასეთ „სექენდ ჰენდთან" ვარ, ბალახვანზე. სულ პატარა ჯიხურია, გამყიდველი შუახნის თმაშეღებილი ქალი ძლივს ეტევა შიგ. კლიენტები მიდიან და მოდიან. ძველმანების ჯიხურს ერთი ქალი უახლოვდება, ხელში ბავშვის ფეხსაცმელები უჭირავს და მოკრძალებით მიმართავს გამყიდველს:

— ქალბატონო, თქვენთან ვიყიდე ფეხსაცმელი ბავშვისთვის, არ მოერგო და თუ შეიძლება, დიდ ბოდიშს გიხდით, ძალიან გთხოვთ, რომ დაიბრუნოთ... — კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა მოსაბოდიშებლად, მაგრამ გამყიდველმა შეაწყვეტინა:

— ნეტა ვიცოდე, რას მთხოვ, ან რას ბოდიშობ. სამი გოგო გავათხოვე, სამივე უკან მომიბრუნეს. არც ერთზე ვარი არ მითქვამს და შენ გეტყვი, ქალბატონო, ორლარიანი ფეხსაცმლის დაბრუნებაზე ვარს? — დაამშვიდა გამყიდველმა კლიენტი.

*ვაჟა ჭყონია, ქუთაისი*

### გურული სხარტულა



სხვა რა უნდა დავარქვა იმ ამბავს შარშან ზაფხულს რომ გურიაში სტუმრად ჩასულმა მოვისმინე მაკვანეთის „ბირჟაზე". გამოვიდა ერთი იქაური თავმომწონე კაცი, ძაღლი ჰყავდა თან, ოღონდ რა ჯიშის იყო, კინოლოგიც ვერ გაარკვევდა ალბათ და დაიწყო ტრაბახი, მაგრამ რა დაიწყო:

— ჩემი ძაღლი იმფერია, ძამა, მგელს დიეტევება (დაეტაკება), მგელს!..

უსმინა, უსმინა იქვე მდგარმა ჩემმა ნათესავმა, ზურიკო შარიქაძემ და სხვათაშორის ჩაილაპარაკა:

— მასე აბელიეც ქე დეეტაკა მატარებელს, ძამა!.. მარა რაი მერე!..

*ჯანო ორიანი, ქუთაისი*

### დამშვიდებაც ამას ჰქვია!..



ერთი ჩემი მოხუცი ნათესავის სატირალში (გასვენებაში) ვართ გურიაში, ნატანებში. ოზურგეთიდან მოვიდა ახლო ნათესავი ცოლ-ქმარი, მოიტანეს უშველებელი გვირგვინი. დასხდნენ ჭირისუფლებში და... უცებ წამოხტა ცოლი.

— რაია? — შეეკითხა ქმარი.

— გაზი დამრჩა მოშობილი, უნდა წევიდე და ჩა[illegible]ქრო!

— დაჯეი [illegible]აქანე, ნუ გეშინია, მე კრანი დამრჩა მოშობილი!.. — დაამშვიდა არხეინად ქმარმა.

*ჯანსულ ბოჭორიშვილი, ქუთაისი*

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ჭიჭიკია და მოშე დგანან და საუბრობენ. მოვიდა ერთი გლეხი — ხურჯინგადაკიდებული, დაღლილი ეკითხება მათ, სადაა, ბიძია, აქ ბანკიო. ბანკი არაა აქ, დაგენაცვლეო — უპასუხა მოშემ.

წავიდა გლეხი, ჭიჭიკია გადაირია — კაცი არა ხარ, გული არ გაქვს, რატომ არ უთხარი, სადაა ბანკი?!

— რა ვიცი, ვინაა, წავიდეს, გატეხოს, დაიჭირონ, ვინ გასწავლაო, რომ ჰკითხონ?..

*გიორგი თავდიდელი, თბილისი*

ინტელიგენტი შედის აბანოში და მოლარეს ეკითხება:

— დღეს აბანო ფუნქციონირებს?

— რაა?

— მუშაობს აბანო?

— მუშაობს!

— წყალი ცირკულირებს?

— რაა?

— წყალი არის?

— არის.

— მაშინ მომეცი ბილეთი ერთი პირისათვის.

— ვაა, მარტო პირი უნდა დაიბანო?!

*თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

## მადლობა

მადლობა ბატონ კახა რუსიას. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ისეთი ადამიანები, როგორიც გახლავთ კახა რუსია. ეს არის პიროვნება, რომელსაც გაჭირვებული ადამიანების სატკივარი გულთან ახლოს მიაქვს. მადლობას ვუხდით გაწეული დახმარებისათვის, რომლის წყალობითაც ბავშვს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

*ნაზი ბერიშვილი*

## გთავაზობთ სამუშაოს

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯები). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. ,,დიდუბე'', ,,სამთო ქიმიის ინსტიტუტი'', I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

Деловому центру требуются сотрудники с высшим образованием на административно-кадровую работу. Т: 34-96-04 (9-16ч.)

მაღაზია იწვევს სამუშაოდ ქალბატონებს 19-დან 35 წლის ჩათვლით, კონსულტანტის თანამდებობაზე (შუამავლების გარეშე). გასაუბრება. ტ: 92-08-50

გთავაზობთ სამუშაოს ოჯახებში (ქალებისთვის) და სწავლას ოპერის პროგრამით გერმანიაში, საფრანგეთში. ასაკი შეზღუდული არ არის, მაღალი ანაზღაურებით. მის. წერეთლის 95 ა (მანეჟი), ოთხშაბათს (2-3 სთ). ტ: 899-22-26-37

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, აუ-პაირ პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)-

## ვეძებ სამუშაოს

გამოცდილი ბუღალტერი, საერთაშორისო ბუღალტერიის, კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების (ორის-ბუღალტერია, ინფობუღალტერი) მცოდნე, ვიმუშავებ ბუღალტრად (შეიძლება შეთავსებაც), მაქვს ჩემი კომპიუტერი საბუღალტრო პროგრამით. ტ: 899-78-24-96

## მომსახურება

,,ფესვები''! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: გაგარინის ქ. №10, მე-2 სად, ბინა №17. ტელ: 37-77-58; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

შპს ურეკის სამშენებლო კომპანია შეგისრულებთ ნებისმიერი სახის სამშენებლო სარემონტო სამუშაოებს. დაგეხმარებით ურეკის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის შეძენაში. ვღებულობთ შეკვეთებს კოტეჯების მშენებლობაზე. მის. დაბა ურეკი, თაყაიშვილის ქუჩა №2, რკინიგზის გადასასვლელთან. ტ: 899-28-67-79; 899-17-05-62

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ვაყუმით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უძოკლეს ვადაში ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი პირველივე სეანსზე. სახის გაწმენდა, მასაჟი საკუთარი მალამოებით. ისარგებლეთ, ფარწყენდებით. ოოსენბის 66. II სად. VIII სართ. ბ. 46. ტ: 37-74-22 მანანა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი 6. ყიფშიძე. მის: მ. ,,300 არაგველი'', არამიანცის სავადმყოფოს ზედა კართან, ანშტეის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საუკეთო დების წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VII სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გოროზიბაძე

## მკურნალობა

სიახლე საქართველოში! სენსაციური შედეგები! მოზარდმა 3 თვეში სიმაღლეში 13 სმ მოიმატა. მშობლებისთვის კონსულტაციები უფასოა. ექსპერტ-კონსულტანტი ქ-ნი მორენა. ტ: 899-74-86-24; 66-68-66 (საღამოს)

სმენის აღდგენა აპარატისა და ოპერაციის გარეშე. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ვმკურნალობ სხვადასხვა დაავადებებსაც. მის. ღ. აღმაშენებლის გამზ. № 115 (ეზოს ბოლოში), კაბ. № 77. ლევან სეხნიაშვილი. მიღება 9-14 სთ. ტ: 95-83-54; 25-11-46; 53-44-39; 899-97-85-46

გაძლევთ უნიკალურ შესაძლებლობას სწრაფად და უმტკივნეულოდ დიდიდებს მთელი ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობა. ფასი 25 ლარი. სამედიცინო ცენტრი ,,ლაზერი''. ბახტრიონის ქ. №18. ტ: 91-18-33; 893-32-13-07

ნევროზების, ოსტეოქონდროზის, პროფუზოური ნერვების დაავადებების მკურნალობა ლაზერით, სწრაფად და უმტკივნეულოდ. სამედიცინო ცენტრი ,,ლაზერი''. ბახტრიონის 18. ტ: 91-18-33

ქართული ფლორის მცენარეებით გთავაზობთ ბავშვთა და მოზრდილთა ორგანიზმის კომპლექსურ მკურნალობას (საკუთარი მეთოდით). ასევე ონკოლოგიურ ავადმყოფთა უვნებელ მკურნალობას მცენარეებით. აქვე ტარდება მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული დიაგნოსტიკა. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტ: 96-35-92; 94-89-14; 899-74-23-69; 897-58-29-18

სხეულის კორექცია უნიკალური მცენარეული არაჰორმონალური საშუალებებით: წონაში დაკლება დიეტისა და შიმშილობის გარეშე, ორგანიზმის გაწმენდის, იმუნური სისტემის აღდგენის, ნივთიერებათა ცვლისა და ნერვული ფონის მოწესრიგების ხარჯზე; სიმაღლეში ზრდა 5-10 სმ-ით გოგონებისა და ვაჟებისთვის 25 წლამდე. ტ: 95-33-47; 899-14-64-95

ჰაპატონია, არითმია, ნევროზები, ვირიკოზი, თრომბოზი, სისხლძარღვების შევიწროება, ფსორიაზი, კანის სხვადასხვა დაავადებები, ბაქტერიებიან, ვირუსები...

## უნივერსალური სასათბურე ფირები

***სასათბურე საქმე ძალზე მომგებიანია, მაგრამ მცენარის მოვლა სათბურში იმდენ პრობლემასთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომ ბევრმა მიატოვა კიდეც ეს საქმიანობა. უცხოეთის მრავალ ქვეყანაში სასათბურე საქმე დიდ აღმავლობას განიცდის, საქართველოში კი სადაც საუკეთესო ბუნებრივი პირობებია, ბაზარი მთელი წლის განმავლობაში გაჯერებულია საზღვარგარეთიდან შემოტანილი ბოსტნეულით.***

ჩნდება კითხვა: რატომ?

მრავალ მიზეზთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია ის, რომ სასათბურე მეურნეობებში არ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, ისინი საკმაოდ ძვირადღირებულია და ჩვენს პირობებში არარენტაბელური. შპს ,,შალი''-მ პირველმა დანერგა საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიის ისეთი მიღწევა, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მსხვილი ფერმერებისათვის, ასევე რიგითი მეურნისთვისაც. ასეთ ტექნოლოგიურ სიახლეს განეკუთვნება **სპეციალური მრავალდანიშნულების ფირები** — სასათბურე, სანერგე, საჩითილე და საყვავილე მეურნეობებისათვის. ფირების, განსაკუთრებული შემადგენლობის წყალობით ***სათბურში არ ჩნდება ცვარი, ვერ აღწევს მზის მავნე გამოსხივება, არ ჩნდება ვირუსი და მავნე მწერები, შიდა ტემპერატურაზე ვერ ახდენს გავლენას სითბოს დღეღამური ცვალებადობა, უძლებს ძლიერ ქარებს, სეტყვას და ყინვას. ფირები არის 1, 2 და 3-წლიანი მომხმარების გარანტიით.***

წელიწად-ნახევრის წინ შპს ,,შალის'' მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაკეთდა რამდენიმე საცდელი სათბური. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: მოსავლიანობა და ხარისხი მიღებულ იქნა შეუდარებლად მაღალი, ვიდრე ეს ხდებოდა შუშისა და ჩვეულებრივ პოლიეთილენის სათბურებში. მნიშვნელოვნად შემცირდა შხამქიმიკატების გამოყენება, ზედმეტი შრომითი და ფინანსური დანახარჯები.

დღეს შპს ,,შალი''-ს ფირებმა უკვე დიდი აღიარება მოიპოვა ფერმერებს შორის. გაკეთდა ბევრი სათბური. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიღებული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი არ ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების სასათბურე მეურნეობებში მოწეულ მოსავალს.

ეს იძლევა იმის იმედს, რომ საქართველოში მესათბურეობა განვითარდება მოკლე დროში, ჩვენს მეურნეს მისცემს სოლიდურ შემოსავალს და ბაზარიც ზამთარ-ზაფხულ ქართული, ეკოლოგიური სუფთა პროდუქციით შეივსება.

**გვინდა მესათბურეების ყურადღება გავამახვილოთ ერთ ფაქტზე:** *ბოლო დროს ზოგიერთ ქალაქში გამოჩნდნენ არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებმაც ისარგებლეს ,,შალი''-ს ფირების პოპულარობით, რეალიზაციას უკეთებენ ჩვეულებრივ სქელ (რომელიც არ განსაზღვრავს მოხმარების ვადას) ცელოფანს და ასაღებენ მას ,,შალი''-ს ფირების მახასიათებლების მქონე ფირებად.*

*შპს ,,შალი''-ს ფირებს აქვს: სპეციალური დამცავი წარწერები მთელ სიგრძეზე, მითითებულია დამზადების თარიღი, შპს ,,შალი''-ს კოორდინატები და კოდი. ფირების რეალიზაცია ხდება მხოლოდ თბილისის ოფისიდან, აქვე შეგიძლიათ მიიღოთ კონსულტაცია, გაეცნოთ ვიდეო და ფოტო მასალებს.*

**მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5 III სართული შპს ",,შალი''", ტელ: 969195; 969164; 899 569195; 899 931110**

R

# სიურპრიზები CAUCASUS NETWORK-ისგან



საქართველო აშკარად არ ექვემდებარება არანაირ კანონზომიერებას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა განვითარებად სახელმწიფოთა რიგებს მიეკუთვნება, კომპიუტერული ქსელი განვითარებულ ქვეყნებისათვის შესაფერი რიტმით ვითარდება, რაზეც უდაოდ მეტყველებს ჩვენში არსებული ინტერნეტ-პროვაიდერთა რაოდენობა. მათგან CAUCASSUS NETWORK-ი საქართველოში ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა, რომელიც არა მხოლოდ ინტერნეტსიახლეებს ამკვიდრებს, არამედ ხელს უწყობს მისი მომსახურებით დაკავებულთა ბიზნესსაც. CAUCASSUS NETWORK-ის გენერალური დირექტორი, **გამის სანადირაძე** ამას ბიზნესის ჯანსაღ და სტრატეგიულ მიმართულებას უწოდებს. იგი თვლის, რომ ნებისმიერი კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მისი პროდუქციის თუ სერვისის, პოტენციურ ან ახალბედა მომხმარებელთა წარმატებებზე. სხვათა შორის, თვითონ მამია სანადირაძეც საქართველოსთვის უჩვეულო ლიდერთა ტიპს მიეკუთვნება. მას არა მარტო მომხმარებელთან, თანამშრომლებთანაც მუშაობის თავისებური პრინციპები აქვს. იმედია, მასთან ინტერვიუ შეგიქმნით წარმოდგენას საქმიანი კაცის პორტრეტზე და კონკრეტულად შეიტყობთ, რა სიახლეებს პირდება მომხმარებელს კომპანია CAUCASSUS NETWORK-ი.

**— ბატონო მამია, როგორც ვიცი, თქვენ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს დაიწყეთ კერძო ბიზნესი. არ გაგიჭირდათ?**

— სტუდენტი ვიყავი, როცა კოოპერატივების გახსნის უფლება მისცეს მოქალაქეებს. მათ ,,ნიანგში'' დასცინოდნენ, რასაც მჭკიუნეულად აღიქვამდა ზოგიერთი ახალბედა ბიზნესმენი. ჩემთვის კი ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა და მხოლოდ ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო ნებართვის მიღებამდე ენერგიულობდი. ორი თვე მარბენინეს დოკუმენტებისთვის ალმასკოშში. ბიუროს სხდომებზე ოროსანი მოსწავლესავით მაყენებდნენ კუთხეში და დაკითხვებს მიწყობდნენ — რად ვიწყებდი კერძო ბიზნესს. მალე ეს დრო წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა იძულებული გამხადა ბიზნესი უცხოეთში მეწარმოებინა. ამასთანავე, ვსწავლობდი აშშ-ში ჰარვარდის და მასაჩუსეტის უნივერსიტეტებში. იქ დავეუფლე ახალი ტექნოლოგიების თეორიების ჩასახვისა და განვითარების სპეციალობას. ასევე ჩემი სპეციალობა პოლიტიკური ეკონომიკაა.

**— რამ გადაგაწყვეტინათ მაინც და მაინც საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნესის წამოწყება?**

— როცა საქართველოში დავბრუნდი, ეს ყველაზე პერსპექტიული დარგი იყო. თუმცა, ჩვენში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი ჯერ არ იყო დიდი. მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი კაცი სიახლეების მიმართ ყოველთვის ინტერესიანია, ჩავთვალე, რომ ეს ბიზნესი სწრაფად განვითარდებოდა და მისი წარმოებაც უპრიანად მივიჩნიე, რაც ნაწილობრივ, გამიმართლდა კიდეც. CAUCASSUS NETWORK-ი 1996 წელს დაფუძნდა. იგი ექსპორიდან შევიძინე და 1999 წლიდან მის განახლებას შევუდექი. შევიძინეთ ახალი აპარატურა, დავნერგეთ ახალი ტექნოლოგიები და მეთოდები და ვცდილობთ, ინტერნეტით მომსახურების სფეროში ლიდერობის შორის ვიყოთ.

**— ცხადია, თუ მაღალკვალიფიციურებული პერსონალი არ გყავს, მარტო ტექნოლოგიებით და აპარატურით შორს ვერ წახვალ. ზრუნავთ თქვენი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე?**

— ძალიან. ყველაფერს ვაკეთებ ამისათვის. ჯერ ერთი, ძალიან ლიბერალური ურთიერთობა გვაქვს, არც გარე წოდება და არავის არ ვზღუდავ სამუშაო დროის რეგლამენტით. ჩემთვის მთავარია, მყავდეს გუნდი, რომელსაც ექნება დიდი პასუხისმგებლობა თავისი საქმის მიმართ და მთელი დღით რომ არ მივიდე კომპანიაში, საქმეს არაფერი დააკლდება. თანამშრომლებისთვის ვყიდულობ წიგნებს, აპარატურას, რომ უზრუნველყოფილნი იყონ, სიახლე შეიცნონ, დაშალონ, ააწყონ, თუნდაც გააფუჭონ, ოღონდ კი ისწავლონ. ვცდილობ, ჩემი მოქმედებებით მათ მოტივაცია მივცე იმისა, რომ დღეს დასავლური ტემპით მუშაობა ღირს, თუნდაც ენთუზიაზმით. ეს ახალი წარმატების გარანტი გახდება. ჩემი კომპანია ამითაც განსხვავდება სხვა კომპანიებისაგან.

**— რაც ცხადია მნიშვნელოვანია, მაგრამ ამჟამად მომხმარებლისათვის — მას სხვა რამე აინტერესებს — მომსახურების უმაღლესი დონე და დაბალი ფასები.**

— ეს მომხმარებლის ლოგიკაა და არცთუ უსაფუძვლო. ჩვენთანაც ასეა — გვაქვს მომსახურების მაღალი ხარისხი და დაბალი ფასები. ვცდილობთ, ინტერნეტი ბევრი მომხმარებლისთვის გახდეს მისაწვდომი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ქართველებს ინტერნეტის მიუწვდომლობა ხვალ უფრო ძვირი დაუჯდეთ.

**— თქვენი პოზიცია ძალიან საინტერესოა, მაგრამ ბაზარზე რა ხდება, მატულობს მომხმარებელთა რიცხვი წინა წლებთან შედარებით?**

— 1998-1999 წლებთან შედარება არ შეიძლება. მოთხოვნა კი იზრდება, მაგრამ მეიდეველობითი უნარიანობა მცირდება. ხალხი ზოგადად დიდ ინტერესს იჩენს ინტერნეტის სიახლეების მიმართ, მაგრამ ფინანსური საშუალებები გასაცნობს არ აძლევს მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს ინტერესი. სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს მცირე მეწარმეობის განვითარებას. მაშინ ხალხს გაუჩნდება სურვილი უცხოეთის მსგავსად, კომპიუტერით აწარმოონ ბიზნესი, თუნდაც მაღაზიების ინტერნეტით ივაჭრონ და ხალხმაც შინიდან გაუსვლელად შეიძინოს პროდუქცია, მიიღოს ექიმის ან სხვა სპეციალისტის რჩევა. საქართველოშიც არის რამდენიმე მაღაზია, რომელიც ინტერნეტ-ქსელშია ჩართული. ერთი მათგანი ჩვენი მომხმარებელია. თუ ხალხი აითვისებს თანამედროვე ტექნოლოგიებს და ინტერნეტი ფართოდ დაინერგება, ქვეყნის ეკონომიკასაც მიეცემა სტიმული. საამისოდ, პოპულარიზაცია სჭირდება ნებისმიერ ახალ ტექნოლოგიას. მომხმარებელმა უნდა იცოდეს რაში გამოიყენებს მას, მერე კი გამოყენებას უნდა მიეჩვიოს. ჩვენთან ეს მომსახურების, ფასის შემცირებითაც შეიძლება, მაგრამ ეს გზა ბიზნესისთვის ნაკლებად მომგებიანია. თუ სახელმწიფო გადაჭრის პრობლემას გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რომელსაც ჩვენ, ინტერნეტ-პროვაიდერები ვერ ვაგვარებთ, ე.ი. თუ ისინი ევროპაში ოპტიკურ ბოჭკოვან კაბელს ჩადებენ, ჩვენი მომსახურების ღირებულებაც ბევრად დაბალი იქნება.

**— ბატონო მამია, ცნობილი გახდა, რომ თქვენ სერიოზული სიახლეებს გაქვთ ინტერნეტულ მომსახურებაში. ტელეფონით სარგებლობა მაშინაც შესაძლებელია, როცა მომხმარებელი ინტერნეტშია ჩართული?**

— დიახ. მას ,,ადვესლი'' ჰქვია. იგივე სერვისი სხვა ინტერნეტ-პროვაიდერებსაც აქვთ, მაგრამ ჩვენთან გაცილებით ხელმისაწვდომია. თანაც მათთვის, ვინც ჩვენს სერვისზე ჩაერთვება, ექნებათ მომსახურების ბევრად მაღალი სიჩქარე საქართველოს ინტერნეტში. ძალიან სწრაფად შეძლებენ საჭირო ინფორმაციების გადმოწერას. გვაქვს უამრავი სიახლე, თუნდაც ,,რადიო-ინტერნეტი''. შეგიძლიათ თქვენი ნოუთბუქი არ ჩართოთ ელექტროქსელში, არამედ დაამონტაჟოთ ,,რადიო-ინტერნეტი'' და სადაც გინდათ, იქ იმუშაოთ. ეს ძვირი სიამოვნება არ არის. $200 ჯდება. სხვაც ბევრი სიახლე გვაქვს. ეს კარგია, მაგრამ მთავარია, რამდენად შეუძლია ხალხს ჩვენი მომსახურებით სარგებლობა. ჩვენ შეგვეძლია ვიდეოკონფერენციების მოწყობაც. მაგალითად, თბილისის სხვადასხვა უბნებში განლაგებულ ოფისებში შეუძლიათ ერთმანეთთან კონტაქტი ჰქონდეთ ინტერნეტის ადგილობრივი ქსელით და მიმდინარეობდეს კონფერენცია.

საქართველოში ინტერნეტული მომსახურების გაიაფებას ხელს შეუწყობს ადგილობრივი ინტერნეტის განვითარებაც, რაც უფრო გაფართოვდება ქართული ინტერნეტი, მით უფრო გაიაფდება მისი თვითღირებულებაც. დაბალი ფასები კი ინტერნეტში ხალხის მასობრივ ჩართვას გამოიწვევს. უკმაყოფილო არავინ დარჩება. ჩვენ ზოგიერთ ბიზნეს-პროექტს ვებ-სიერცეს უფასოდ ვუთმობთ, ვუწევთ კონსულტაციას, ვეხმარებით რომ ფეხზე დადგნენ, ბიზნესი გამართონ და მერე განდენ ჩვენი აქტიური მომხმარებლები. ძალიან ბევრს ვფიქრობ, რით შეიძლება აიტაცოს ხალხმა მასობრივად ინტერნეტი. უამრავი გზის მოძებნა შეიძლება თუ სახელმწიფოც დაგვეხმარება, მაგრამ აშკარაა, რომ მარტო მისი ლოდინიც არ გვარგებს. ყველაფერს აჯობებს, ჩვენი საქმე კარგად ვაკეთოთ და მჯერა, ურთიერთხელშეწყობით წინ იოლად წავალთ.

*ეკა ლომიძე*

R

ან, სოკოსთან, სხვადასხვა მავნე აგენტებთან ბრძოლა, პროსტატიტი, ცისტიტი. მკურნალობა აკადემიკოს ლიხაოევის მეთოდიკით – ნატურალური პრეპარატებით. ტ: 899-22-63-90

## ვასწავლი

შეგასწავლით ბუღალტრულ აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტებით. საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობას. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს „ორის ბუღალტერია“, „ინფო ბუღალტერი“, კურსდამთავრებულებს ერთი წლის მანძილზე გაეწევათ პრაქტიკული დახმარებები. ფასი ჯგუფში 70 დოლარი. ინდივიდუალურად – 250 დოლარი. ტ: 33-30-88; 899-78-24-96

გამოცდილი ფიზიკა-მათემატიკოსები მოვამზადებთ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკურ საგნებში ან დავეხმარებით ყველა საგნის მომზადებაში მაღალი ნიშნის გარანტიით. ტ: 39-08-42

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა უახლოესი გერმანული აპარატურით ლიცენზირებულ სამედიცინო ცენტრში. მის. ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ. რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-15 სთ. ტ: 899-97-58-77; 39-58-77 (ბინა)

სამკურნალო ცენტრ „ფანასკერტელში“ გაიხსნა დამატებითი პროფესიული სწავლების კურსები: 1. საპარიკმახერო საქმე. 2. კოსმეტიკა. სწავლებას ატარებენ წამყვანი სპეციალისტები. კურსებს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის პრემიის ლაურეატი, დოცენტი. მის. აღმაშენებლის 113, შესასვლელი თაღიდან, კაბინეტი 55. ტ: 95-83-54

ნაძალადევის კულტსასახლე აცხადებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე. შეისწავლება სახის კანის დეფექტები, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ლოსიონები, ნიღბები, საპნები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის. ც. დადიანის №26 (ყოფილი ოქტომბრის). მ. „ვაგზლის მოედანთან“. ტ: 66-53-56; 893-33-09-66

ვამზადებ ბავშვებს ბიოლოგიაში ქართული, რუსული და ინგლისური ლიტერატურის გამოყენებით. მაქვს როგორც ბიოლოგიური, ასევე სამედიცინო განათლება და დიდი გამოცდილება. ბინაზე ვერ მივალ. ფასი 50 ლ. ტ: 893-92-34-48; 64-65-15 ლელა

ვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ფასი ასაკისა და პროგრამის სირთულის შესაბამისად. ტ: 37-38-10; 893-26-70-98 ნატო

გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი, აბიტურიენტებს მოამზადებს ისტორიაში შეღავათიანი პირობებით. ტ. 22-78-56

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე, მასაჟი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი), კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი), ვიზაჟი. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

შევასწავლი თურქულ ენას. ტ. 39-77-81 მარინა

## იყიდება

საგურამოდან ერთ კილომეტრში ახალაშენებული ევროდიზაინის სახლი (ს/ფართი 350 კვმ), შიდა ტერასული 4 სართულით, 4 საძინებლით. თითოეული თავისივე აბაზანა-ტუალეტით, ეზო 1200კვმ, კაპიტალური შემოღობვით, დეკორატიული ბაღით, მუდმივი დენით, ცივი და ცხელი წყლით, ბ/აირით, შიდა აუზით. ტ: 899-94-11-94

სასწრაფოდ! იყიდება 40 კვმ მიწის ნაკვეთი პროექტით და მშენებლობის ნებართვით, დიღმის მასივის მე-5 კვარტალში, ხეივანთან, გზის პირას. ტ: 899-94-11-94

იყიდება სუფთა სისხლის ინგლისური პოინტერის ლეკვები. ტ: 899-95-81-58; 829-25-23-01

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართავით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

## შევიძენ

რეალურ ფასად 1997-2000 წლებში გამოშვებულ ავტომობილს „ნივა“. სასურველია ქარხნულ მდგომარეობაში ან მცირე დაზიანებებით. დასაშვებია, რომ არ ჰქონდეს საბურავები, აკუმულატორი, ტექდათვალიერება. ტ: 899-24-92-47 ალექსანდრე

## სხვადასხვა

**მკითხველთა საყურადღებოდ!**

16 აგვისტოს, მეტრო „რუსთაველის“ ამოსასვლელთან მდებარე ფოტომომსახურების მაღაზიაში ერთ-ერთმა მოქალაქემ შეცდომით წაიღო კონვერტი, რომელშიც იდო ორი ფოტოფირი. კონვერტზე ეწერა „ნესტანი“. მპოვნელს ვთხოვთ, დააბრუნოს აღნიშნული ფირი იმავე მაღაზიაში ან დარეკოს: 33-39-54.

მკითხველთა საყურადღებოდ! ამერიკულ-უნგრულმა ბიზნეს-ცენტრმა 1-ლი ივლისიდან დაიწყო საქმიანობა ამიერკავკასიაში. საქმიანობა ხასიათდება მაღალი შემოსავლიანობით. გვესაჭიროება პარტნიორები, როგორც თბილისიდან, ასევე სხვა ქალაქებიდან. ტ: 877-71-69-35 მერაბი; 37-86-15 ფარვიზი

შპს „აგროკონსორციუმი წეროვანი“ ა/წ 1-ელ ოქტომბრამდე აცხადებს ტენდერს სადისტრიბუციო კომპანიებს შორის ფირმის მიერ წარმოებული ფართო ასორტიმენტის პროდუქტებით სავაჭრო ქსელის მომარაგებაზე. (გთხოვთ კერძო პირები არ გამოგვეხმაურონ). ტ: 899-56-76-48; 899-58-08-06 (ჩარჩო)

## ხსოვნა

**გიორგი ზედგინიძის ხსოვნას**



დედის ატირება განა ადვილია?
შვილთან განშორება განა ადვილია?
ნეტავ რამ შეძლო ჩვენი განშორება?
მხოლოდ ერთმა ტყვიამ შეძლო მწუხარება?
ვაი შენს მშობლებს, დარჩენილს მარტოდ,
შვილის ალერსის მონატრებულებს,
გიო, შენთან ვართ, არ შეგეშინდეს,
ეს განშორება არის ხანმოკლე...

გიო, ჩვენო ლამაზო და კეთილო შვილო, უკვე ერთი წელი გავიდა იმ საბედისწერო დღიდან, რაც შენი ხმა არ გვესმის. როგორ შეიძლება გამოხატოს მშობლებმა ის დიდი ტკივილი, ის მწუხარება, რაც შვილის დაკარგვას შეუძლია. დავდივართ და დაგეძებთ, შვილო, მაგრამ ამაოდ. ამ შემოდგომაზე შენი ქორწილი უნდა გადაგვეხადა შვილო, მაგრამ ახლა რა ხდება, რისთვის ემზადებიან შენი გამწარებული მშობლები... როგორ გიყვარდა სიცილი, წახვედი და თან წაიღე ჩვენი იმედები, ოცნებები, სიხარული... არც კი ვიცით, ოდესმე თუ ვყოფილვართ ბედნიერები. შენმა წასვლამ ყველაფერი დაგვავიწყა, ცხოვრება დაგვიმახინჯა, იმედი, ოცნება წაგვართვა.

შენი გაზრდილ პატარა დას, მარიამსაც გაუმწარე სიცოცხლე, რომელსაც მშობელ მამასავით დასტრიალებდი. დარჩა მარტო. შენ მისთვის დიდი იმედი იყავი, შვილო. დარჩა მხოლოდ ნატვრა: „ოჰ, ნეტავ, ახლა გიონამ გააღოს კარი და შემოვიდესო“, მაგრამ ამაოდ, შენი გულდათუთქული დის ნატვრა მხოლოდ სიზმარში სრულდება, როცა ცოცხალივით გამოეცხადები და ეუბნები: „მარი, ჩემო დაიკო, დედას, მამას უთხარი, ნუ ტირიან, იცი, აქ რა კარგად ვარ!“ აბა, როგორ არ ვიტირო, შვილო, როგორ ვანუგეშო შენი გულმკვდარი მამა, გულში რომ იკლავს ამ გაუსაძლის ვარამს. ან რითი მოვფინო რწმენა და იმედი შენს პირველ, ლამაზ და უმანკო სიყვარულს. მიჭირს ამ ყველაფრის გაძლება. ნეტავ მეც შენთან ვიყო. ვინ გარეწარმა წამართვა შენი ცხრამეტი წლის სიცოცხლე. ვაი ჩემს დღესა და მოსწრებას, ნეტავ, ის ბრმა ტყვია მე მომხვედროდა.

დღეს შენი მკვლელი იმალება, მაგრამ ღმერთის სად წაუვა. დაე, უფალმა განიკითხოს მისი სისხლიანი, ცოდვილი სული. ვაი მის მშობლებს, ასეთი შვილის გაზრდისთვის. აქედან გეფერება, შვილო ყველა, არავის ავიწყდები, ყველას ენატრები, შენს გამწარებულ ბებიებს, ბაბუას, ბიძებს, მეზობლებს, მეგობრებს. ყველა ამაყობს შენით შვილო, ასეთი კეთილი რომ იყავი. ნათელში იყავი, შვილო! შენს გულზე დაყრილი მიწა, რომელსაც ხელის კანკალით ვეფერებით, მსუბუქი ყოფილიყოს. ღმერთს ვევედრები, დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი, ამინ.

*შენი უბედური დედა*

**თამაზ (თაზო) ყულოშვილის გახსენება**



9 სექტემბერს შენი დაბადების დღეა, 21 წელი შეგისრულდებოდა, 20 წლის იყავი, როცა ჯალათებმა მოგისპეს შენი ლამაზი სიცოცხლე. მოვალთ შენს საფლავთან ცრემლებით და ყვავილებით, ავანთებთ სანთლებს, გავიხსენებთ შენს ლამაზ ბავშვობას, გვენატრები მამას, დედას, დას და პატარა ძამიკოს (გიორგის), ყოველთვის ჩვენ გვერდით იქნები ჩემო ლამაზო ბიჭო. გვიყვარხარ, გვენატრები. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი სული.

*ოჯახი*

**ელენე გოგილაშვილის გახსენება**



ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა ჩვენგან შენი წასვლის დღიდან.

ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. შენი დიდსულოვნება, სიკეთე, სისპეტაკე და სათნოება მისაბაძია ყველა ჩვენგანისთვის. წასვლის წინ პირჯვარი გადაიწერე და ყველა დაგვილოცე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ქმარ-შვილი*

*სიკო, ეთერი, ირაკლი ღელაღუტაშვილები*

**რატი გეგუჩაძის მონატრება**



რატი, დაბადების დღეს გილოცავთ, ჩემო 21 წლის ვაჟკაცო. წელს, 13 სექტემბერს პირველად ვხვდებით შენ გარეშე და ძალიან გვიმძიმს იმის დაჯერება, რომ ჩვენთან აღარა ხარ. დედის სიამაყევ და დიდო იმედო, უკვე გავიდა ცრემლითა და დარდით სავსე 8 თვე იმ დღიდან, როცა სამარადისოდ, ტკბილად ჩაიძინე. სიცოცხლე გიყვარდა ძალიან, რამდენ სიყვარულსა და სითბოს იტევდა შენი გული, ჩვენო სულითა და ხორცით უზადო ბიჭო. ძალიან უჭირს უშენობა შენს სათაყვანებელ დედიკოს, მამიკოს, ძმას, სამეგობროს. ბიჭები შენს ნათელ სულს იფიცებენ. ნეკა ხშირად გხედავს სიზმარში და ძალიან ბედნიერია მაშინ. ბებომ ვერ გაუძლო შენზე დარდს და ფერიცვალობას შენკენ გამოეშურა. ახლა ძველებურად ერთად იქნებით, ბიძია შენზე ფიქრებში სულ გაჭაღარავდა. რატი, უზომოდ მენატრები, ჩემო გამორჩეულო ბიჭო. მჯერა, ასეთივე გამორჩეული ადგილი გექნება სამუდამო სასუფეველშიც. ჩვენ ყოველთვის ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის, მერე კი ყველანი ერთად ვიქნებით.

*შენი საყვარელი ნეკა და დეიდა*

**კახა სტეფანიშვილის გახსენება**



ისევ დადგა შენი დაბადების დღე, კახა, 10 სექტემბერი. ოღონდ უშენოდ. 25 წელი შეგისრულდებოდა. ეს სამი წელი სამ საუკუნედ იქცა, შვილო. აღარ მესმის შენი მძიმე ნაბიჯების ხმა, შენი მხიარული სიცილი. თითქოს ყველაფერი გაქრა. დარჩა ღრმად ფესვებგადგმული ტკივილი, უსაშველო მონატრება, რომელიც ჩვენი ცხოვრების მეგზურად იქცა. შენმა სულმა მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა, კახა, „იქ, სადაც მართალნი განისვენებენ“ და მოგონებად დარჩა წარსული.

*დედა*

**გურამ ბაზუაშვილის მონატრება**



ჩვენო დიდო ტკივილო და დარდო გურამ, თავზარდამცემი და მოულოდნელი იყო შენი ამ ქვეყნიდან წასვლა. სევდითა და ტკივილით, საოცარი მონატრების განცდით გავიდა რვა თვე. დრო კი არა და არ ანელებს დარდს, პირიქით, უფრო და უფრო ამძაფრებს და გვანატრებს სიცოცხლეზე, მეგობრებზე, ახლობლებზე უზომოდ შეყვარებულ ვაჟკაცს. გურამ, უსაშველოდ ენატრები ყველას – დედ-მამას, რომელთათვისაც მოუშუშებელი ტკივილი ხარ. მეუღლეს, რომელიც უსაზღვროდ გიყვარდა და ეფერებოდი, თითქოს გრძნობდი, რომ დიდხანს არ გეწერათ ერთად ყოფნა. შენი წასვლით ქეთინოს დაუამებელი ტკივილი და მოუშუშებელი იარა დაუტოვე, რომლის მორჩენაც შეუძლებელია. იგი იმედად იმასღა იტოვებს, რომ ბოლოს მაინც იქნებით ერთად, რამეთუ ყველას დასასრული მარადისობაა. ენატრები შენს პატარებს – მარისა და მიშოს, რომელთაც ძალიან ატკინე პატარა გულები, გვენატრები ჩვენ – შენი მეუღლის ახლობლებს. უშენობა უსაშველო ტკივილია, რომელსაც დრო ვერასდროს განკურნავს. გურამ, 6 სექტემბერი შენი დაბადების დღეა. პირველი დაბადების დღე უშენოდ, ზეციურ სასუფეველში გილოცავთ დაბადების დღეს. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული. სანამ ვიცოცხლებთ, სანთელ-საკმეველი არ მოაკლდება შენს ვაჟკაცურ სულს, შენს საფლავს კი ცრემლი და ყვავილები.

*შენი სიმამრის, ვალიკო ბერიანიძის ოჯახი*

**ხათუნა ბებურიას მონატრება**



4 სექტემბერს შენი დაბადების დღე იყო, ხათუ! 24 წლის გახდებოდი. მაგრამ განგებამ სამარადისო სასუფეველს მიგაბარა. უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე. ბუნებამ რა ბედი გარგუნა, ასე ტრაგიკულად რომ დაამთავრე სიცოცხლე. 7 მტანჯველი და უბედური თვე გავიდა იმ ავბედითი დღიდან, როგორ მოულოდნელად გამოგვეცალე ხელიდან. მოულოდნელი და შემზარავი იყო შენი ტრაგიკული სიკვდილი. სიცოცხლით სავსე იყავი, ხათუ! შენი ლამაზი და მოღიმარი სახე არასდროს დაგვავიწყდება. მოვდივართ შენს საფლავთან და იქაც შენი ღიმილიანი სურათები გვხვდება. ყველგან სიცარიელეა უშენოდ. ენატრები შენს შვილებს – ლანას და მინდიას. ისინი ხომ ჯერ სულ პატარები არიან. მათ აკლიათ შენი სითბო. რაც დრო გადის, მით უფრო გვენატრები, ხათუ! უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სპეტაკი სული, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

*მამიდაშვილები და ბიძაშვილები*

**დავით კობახიძის მოსაგონარი**

კიდევ ერთი ნათელი კაცი წავიდა ჩვენგან, კიდევ ერთმა მეგობარმა დაგვწყვიტა გული. უკვე ორმოცი დღეა, ჩვენთან აღარ ხარ ჩვენო დათო, დაისვენა შენმა ტანჯულმა სულმა. რომ იცოდე, როგორ გვაკლიხარ ყველას, გვენატრება შენი ღიმილი, რაინდობა, კეთილშობილება, შენ მიერ გადაღებული შესანიშნავი ფილმები. დღეს სამუდამოდ დაგვშორდი და ზეციურ საქართველოს შეუერთდი, ჩვენ კი მარადიული სევდა დაგვიტოვე.

*შენი მეგობარი კოლეგები*

**ნანა ჭელიძის ხსოვნას**



ექვსი ცრემლიანი, ტკივილიანი და უნუგეშო თვე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩემო საყვარელო, თბილო, მხიარულო და იმ ქვეყანაში ფანჯრიდან მერცხალივით გადაფრენილო გოგო. ჩემთვის დაუვიწყარი და მუდმივი დარდი ხარ. 7 სექტემბერს შენი დაბადების დღეა. 24 წლის გახდებოდი. პირველად შევხვდებით ამ დღეს უშენოდ. მოვალთ შენს საფლავთან, მოგიტანთ ცრემლიან ყვავილებს, აგინთებთ წმინდა სანთლებს და ვილოცებთ, რომ ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სპეტაკი სული და დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*შენი მამიდა მანანა მათიაშვილი*

**ელგუჯა ვლადიმერის ძე გაბუნიას მონატრება**



ერთი წელი და 6 თვე გავიდა უშენოდ 12 სექტემბერს, ჩემთვის კიდევ უფრო დამძიმებული, სევდიანი, ტკივილიანი და ცრემლიანი. ხანმოკლე აღმოჩნდა ის ბედნიერი დღეები, ერთმანეთს სიცოცხლეს რომ ვულამაზებდით. მიჭირს სიტყვებით გადმოვცე ის მწუხარება, რომელიც შენი მოულოდნელი გარდაცვალებით დაატყდა თავს შენს საყვარელ ცოლშვილს, შვილიშვილებს, სიძეებს და მთელს შენს სანათესაოს. მიწა დამძიმდა ჩემი ცრემლით, ცრემლი თვალზე შემეყინა, როდესაც შენი ცუდად ყოფნა შემატყობინეს და 20 წუთში ჯერ კიდევ თბილ სხეულს დამაყენეს თავზე, მე კი წუთი-წუთზე გელოდებოდი კარგად მყოფს შენს სახლში, საუბედუროდ, პირიქით მოხდა. მენატრები, ძალიან მენატრები, მენატრება შენი თბილი ხმა, შენი ომახიანი შეძახილი. 14 სექტემბერი შენი დაბადების დღეა. მეორედ ვხვდებით ამ დღეს უშენოდ, 63 წელი შეგისრულდებოდა. გილოცავ შეუსრულებელ დაბადების დღეს. დრომ ვერ ამოავსო სულში შენი დაკარგვით გამოწვეული სიცარიელე. თავდახრილები ვდგავართ შენს საფლავთან და ვნატრობთ იმ ბედნიერ დღეებს, რომელიც შენთან ერთად გაატარა შენმა გამწარებულმა ოჯახმა.

რაც დრო გადის, მით მეტად გვინდა შენზე საუბარი, შენი გახსენება, რათა დავიწყების ჩრდილი არ დაეფაროს იმ ადამიანის ხსოვნას, რომელსაც ელგუჯა ვლადიმერის ძე გაბუნია ერქვა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისთვის. იძინე ტკბილად, მშვიდად ჩემო სიცოცხლეზე, ოჯახზე გულდაწყვეტილო ელგუჯა. ნათელი გეფინოს მუდამ, ვევედრებით ღმერთს, ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული და შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ, ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

„მოვალ საფლავზე,
აგინთებ სანთლებს,
დარდებს გაგანდობ
ჩუმს და დამალულს,
გულზე დაგაწყობ
მინდვრის ყვავილებს,
ჩუმად დადენილს,
ცრემლით დანამულს“.

*მეუღლე გულიკო გაბუნია*

**ირინა კეკელიას მონატრება**



ჩვენო საყვარელო ირა, გავიდა ორმოცი ტკივილიანი დღე, რაც ჩვენთან აღარ ხარ, მოყვასის კეთილდღეობისათვის უშურველად მზრუნავს, საკუთარი თავი დაგრჩა ყურადღების გარეშე. შედეგმაც არ დააყოვნა, სულით და გულით ებრძოდი უკურნებელ სენს, რომლის მკურნალობა ვერავინ ვერ შესძლო, მოუშუშებელი ტკივილი დაუტოვე შენს უბედურ დედას, შენს ძმას. ვერაფრით ივსებენ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია. რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა გულში, უფალს ვთხოვთ მანდ, ზეციურ სასუფეველში ეღირსოს ასრულება შენს ლამაზ ოცნებას. მჯერა, რომ სასუფეველში იქნება შენი სპეტაკი ლამაზი სული, ღმერთს ვთხოვთ შეისმინოს ჩვენი ლოცვა-ვედრება და ზიარებით წასულს ამ ქვეყნიდან გაგიბრწყინოს სული ცათა სასუფეველში.

*მალხაზ ხელაიას ოჯახი*

**თორნიკე მიქაშვილის ხსოვნას**



ახალგაზრდა, ნიჭიერი, კეთილშობილი, საქმისადმი ერთგული – ასეთი ლამაზი პიროვნება წავიდა ჩვენგან. მოულოდნელმა უბედურებამ ყველა შეგვძრა და საოცრად გვატკინა გული. თორნიკესთან ორი წლის ურთიერთობები გვაკავშირებდა. წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის ფონზე ახალ სამომავლო გეგმებს ვაწყობდით. ვაი რომ ეს გეგმები განუხორციელებელი დარჩა. 4 სექტემბერს მას 27 წელი შეუსრულდებოდა. ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის და თანამშრომლებისთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა ხალისიანი თორნიკეს მოულოდნელი ტრაგიკული აღსასრული. ძნელია შეეგუო რეალობას, თუმცა ყველაფერი ღვთის ნებაა და უფალს ვთხოვთ, რომ სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდროს თორნიკეს სულს.

*შპს „ააფ-მენეჯმენტის“ თანამშრომლები*

**გივი (გუგულა) ბერაიას მონატრება**



ჩვენო კეთილო, საყვარელო მამა, 13 სექტემბერს 13 წელი ხდება, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ. როგორიც ფაქიზი, კეთილი და ვაჟკაცი იყავი, ასევე ფაქიზად დატოვე შენი საყვარელი ოჯახი. ჩვენ მოგვაყენე გაუნელებელი ტკივილი. ტკივილი, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს. უსაშველოდ ენატრები შენს მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს. ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენთვის. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი და კეთილი სული.

*შენი საყვარელი ოჯახი*

**აბესალომ (ბესო) გაბედავას**



ცივ სამარის ქვაზე ვზივარ,
ძმაო, როგორ მენატრები?
შენზე ფიქრში ჩაძინებულს,
ცოცხალივით მევლინები.
ჩემო ძმაო, ჩემო ბესო,
მენატრები, მენატრები...

5 სექტემბერი შენი ოჯახის ტრაგედიის დღეა, ბესო! გაუსაძლისი, ტანჯვისა და წამების, ტკივილიანი 2 წელი გაილია უშენოდ, რომელიც საუკუნედ გვეჩვენება. ყოველი დღის გათენება უშენოდ ახალი სიკვდილია შენი უბედური ოჯახისათვის. გვენატრება შენი ხმის გაგონება, შენი დანახვა, შენი ღიმილიანი სახე. ჩვენო კეთილო, პატიოსანო, უსაზღვროდ ალალი გულის პატრონო. შენ ხომ მხოლოდ სიკეთეს თესდი ყოველთვის. როგორ ვიფიქრებდით, რომ უშენოდ სიცოცხლეს შევძლებდით, უშენობა უსაშველო ტკივილია ჩვენთვის, ტკივილი, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და გთხოვთ პატივს, რომ უშენოდ ვაგრძელებთ ამ ტანჯვით სავსე ცხოვრებას...

*ოჯახი*

**გიორგი წიქარიძის გახსენება**



ტკივილამდე გაუსაძლისი 4 თვე გავიდა, რაც უშენობას ვუძლებთ გიორგი. მეხის დამცემი იყო 13 აპრილის დილა შენი ოჯახისთვის, უნივერსიტეტში გაგაცილეთ, ლექციაზე გამეხმალა ბედისწერამ, 19 წლის ვაჟკაცს და კითხვა რატომ? – დღესაც პასუხგაუცემელია ჩვენთვის. უშენოდ მიილია გაზაფხული, ზაფხული და 11 სექტემბერს 20 წლის გაგხდებოდი. შენს საფლავზე მოვალთ, შვილო, ჩაგძახებთ, მოგილოცავთ, ცრემლით დავალბობთ მიწას. გვენატრები ძვირფასო გიორგი, შენი მშობლები, და, ბებია. გვიყვარხარ, გვენატრები. შენ კი ხედავ, ოღონდ გაღიმებული თვალებით გვიყურებ სურათიდან.

ღმერთმა ზეციურ სასუფეველში დაგიმკვიდროს სამარადჟამო სასუფეველი.

*ოჯახი*

**ნათელა ალადაშვილის სულს**



ყვავილში ბუტკო იყავი,
გარს გეხვევდით ფოთლები,
ამდენი სიყვარულისთვის
შენ სამოთხეში მოხვედი.
ქარი მოგიტანს ჩემს ამბებს,
აშრიალდება ხეები
და სიზმარად შენს მოლოდინში
მინდა, დაღამდეს დღეები.
ასე ხომ მოხვალ, ძვირფასო?
მაშინდა მოგეფერები,
ჩემთან იხმოში გელიან
შენ შემოდგომის ფერები.
ვერ დაგივიწყებ ვერასდროს
უსაყვარლესო ნათია,
რაჟამს გრძნობის შენდამი
გულში „ნათელად“ ანთია...

*მზია ჩაჩავა-ბოგავა*

უახლოესი მეგობრები ჯენი მუჟირიძე, მზია გულისაშვილი, გუგუნი ინწელიშვილი, ჯულიეტა სიტუა, ციალა ცინცაძე, მზია ჩხეიძე დიდი გულისტკივილით იუწყებიან

**მედეა ქაჯაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს

# წვიმის მბრძანებელი



როცა რაჭველებმა ოცი წლის წინ გარდაცვლილი ევა სხირტლაძე და მისი უჩვეულო უნარი გაიხსენეს, დავიჯერე, რომ საქართველოში უძველესი დროიდან შეეძლოთ ბუნების ძალებზე ლოცვით და შესაწირავით ზეგავლენის მოხდენა. ალბათ ბევრს თვალწინ მლოცველი ქალების პროცესიაც დაუდგება, რომლებიც მონოტონური ღაღადით ევედრებიან ტაროსს წვიმას: „აღარ გვინდა გორახიო, ღმერთო, მოგვეც ტალახიო!..“

...ევა სხირტლაძე 1983 წლის მიწურულს გარდაიცვალა. 100 წელს იყო გადაცილებული და სიკვდილამდე შეინარჩუნა მახვილი მზერაც და სმენაც.

იხსენებს ევას ძმის შვილიშვილი ბატონი კარლო სხირტლაძე:

— ბაბუდაჩემი არ გათხოვილა, არც დაუძალებიათ, რაგან ბავშვობაში და ახალგაზრდობაში ეპილეფსია სჭირდა თურმე. ზოგჯერ დღეში რამდენიმე შეტევა ჰქონდა და ისე ცუდად იყო, ერთხელ თავის მოკვლაც უფიქრია. სათონეში ჩამოუბამს ბაწარი და თავიც გაუყრია შიგ, მაგრამ ვერ გაუძლია მისი სიმძიმისთვის ყავრის სახურავს და ჩამოვარდნილა, უგონოდ მყოფი უნახავთ ახლობლებს. მთელი კვირა იწვა თურმე თვალდახუჭული და ხმას არ იღებდა, მერე ამდგარა და უთქვამს: „მთაში უნდა წავიდე, არ შემაჩეროთ და არც შეშინდეთ, თუ დამაგვიანდა. აუცილებლად დავბრუნდებიო!..“

მართლაც დაბრუნებულა ორი კვირის შემდეგ, დაღლილი, გასავათებული, თან უამრავი ბალახი ჩამოუტანია, უფალმა მითხრა, საკუთარ თავს თავად უნდა უშველო, ამ ბალახეულით წამალი დაამზადე და აღარასოდეს მოგივლის ავი ზნეო. მთაში უფლის ანგელოზები მიმიძღოდნენ წინ და მასწავლიდნენ, რომელი ბალახი მჭირდებოდაო. ევამ მოხარშა და დალია ბალახეულის ნახარში და ისე გარდაიცვალა, ერთხელაც არ მოსვლია შეტევა.

**— ნუთუ ამ უმძიმესი დაავადების განკურნება შეეძლო ევას?!**

— არა, სამწუხაროდ, ამ დაავადების განკურნება შეუძლებელია და არც ევას შეეძლო, მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, რომ ევას ნაყენის სისტემატურად მიღების შემთხვევაში, შეტევების ბლოკირება ხდებოდა. ბევრ ეპილეფსიით დაავადებულს შეუმსუბუქა ევამ მდგომარეობა. ევა ძალიან წუხდა — გაფრთხილებული ვარ, რომ ნაყენის მომზადების საიდუმლო არ გავცე, თორემ ძალას დაკარგავს. ჩემ შემდეგ რა ეშველება ამდენ გაჭირვებულსო. უფლის ანგელოზებს ყოველ დილით თაფლის სანთელს უნთებდა მადლობის ნიშნად!

**— ევა ბებოს „წვიმის მბრძანებელსაც“ ეძახდნენ თურმე.**

— ბუნების მოვლენებზე მტკივნეულადაც კი რეაგირებდა და ამინდის ცვალებადობასაც წინასწარ გრძნობდა. რაც მთავარია, მართლა შეეძლო ზემოქმედება — ღრუბლებს მიმართულებას უცვლიდა, საათობით იჯდა გორაკზე და ბუტბუტებდა. ღრუბლის ფთილაც რომ გამოჩენილიყო სადმე, იმასაც კი „მიიზიდავდა“ და თითქოს ლაპარაკით „გულს უმძიმებდა“, ისეთ რამეებს „ეტყოდა“ და ისე შეაცოდებდა ხალხს, მართლა „აატირებდა“... როცა წვიმა წამოვიდოდა, იმ ღამეს ეკლესიაში ათენებდა და მთელი ღამე არ აქრობდა სანთელს...

ბევრჯერ ვთხოვეთ, ესწავლებინა ჩვენთვის ლოცვა და წვიმის გამოწვევა, მაგრამ უარს გვეუბნებოდა — არ ვიცი, როგორ გამომდის, ყველაფერი ჩემდა უნებურად ხდებაო. ამიტომაც ეძახდნენ სოფელში „წვიმის მბრძანებელს“. თუ გვალვა გაჭირვეულდებოდა, მოადგებოდნენ სოფლელები ჩვენს ჭიშკარს და ევაც დახმარებას ჰპირდებოდა...

ევა ძალიან კეთილი იყო და სიგიჟემდე უყვარდა ბავშვები. გულიანად დალოცავდა თუნდაც სრულიად უცხო პატარას. სოფელში ამბობდნენ: „ევას დალოცვილმა ბავშვებმა ტკბილი ძილი იციან და ჯანმრთელობაც უკაჟდებათო!..“

კიდევ, დიდჯიბიანი წინსაფარი მუდამ სავსე ჰქონდა ხილით, კოკროჭინა კაკლებით და მოკითხული კანფეტებით. თუ სალაპარაკოდ შეუჩერდებოდი, აუცილებლად მოგაწოდებდა ნუგბარს: „მიირთვი, შეგერგოსო!..“

ერთიც, თუ ამას უცნაურობა ჰქვია, ფულის ცნობა არ იცოდა და არც აღიარებდა, ვერაფრით გააგებინეს მისი მნიშვნელობა და იქნებ ამიტომაც იცოცხლა ას წელზე მეტი... ვინ იცის?!

***ინგა ჯაყელი***

ჩვენ გვწერენ

# ცდუნებას ვერ ვუძლებ და ისევ ვმკითხაობ სიზმრით...

— ჩემი მონათხრობის გამო შეიძლება გამკიცხოთ და ცრუმორწმუნეც მიწოდოთ, მაგრამ ნამდვილად არა ვარ ასეთი. შარშანწინ, ალექსანდრეს ბაღში, საღამო ხანს ბავშვს ვასეირნებდი. ცოტა ხნით ხის მერხზე ჩამოვჯექი, სადაც ჭაღარა, სანდომიანი ქალბატონი იჯდა. გულზე ჩვილი ჰყავდა მიკრული. ქალმა ღიმილით შემომხედა და ჩემს ბიჭს მოეფერა. საუბარი გავაბით, უბრალოდ, ისე, როგორც საერთოდ ხდება. დავიწუწუნე, — ჩემი ქმარი ბათუმშია საქმეზე წასული. ცუდი სიზმარი მაქვს ნანახი და ძალიან ვდარდობ-მეთქი. მაგაზე არ იფიქრო, ყველაფერი კარგად იქნებაო, — დამამშვიდა ქალმა და დასძინა, — თუ გინდა, სიზმრით მკითხაობას გასწავლიო. ისეთი თვალებით მიყურებდა, თითქოს მეუბნებოდა, დიდი საიდუმლოს გამხელას გთავაზობ და სანამ რაიმეს მიპასუხებდე, დაფიქრდიო. თავი დავუქნიე — გისმენთ-მეთქი.

— საღამოს, როცა წვები, თუ მეუღლე გვერდით გყავს, ხმა არ უნდა გასცე და შენთვის, გონებაში დაიწყო თხრობა: სამრეკლოზე სამი ანგელოზი ზის, ერთი ამბავს ჰყვება, ერთი უსმენს და ერთი მართლისმთქმელია. მართლისმთქმელო ანგელოზო, შენ მიპასუხე ჩემს კითხვაზე, ასრულდება თუ არა იგი. იტყვი ნატვრას, მაგალითად, გაინტერესებს გაჩუქებენ თუ არა რაღაც ნივთს. მაშინ სთხოვ ანგელოზს, თუ ნატვრა ამისრულდება, სიზმარში საჩუქარი მომიტანონო. ამ ყველაფერს გაიმეორებ გონებაში სამჯერ და დაიძინებო, — მითხრა ქალმა.

თავაზიანად გადავუხადე მადლობა და შინ დავბრუნდი. თან მეცინებოდა, — ბავშვი ხომ არა ვარ, ასეთ სისულელეებს მივდიო. არც ღირს ამაზე ფიქრი-მეთქი. საღამოს, მშვიდობით დაბრუნებული მეუღლის დანახვაზე კარგა ხანს მიმავიწყდა უცნობი ქალის ნასწავლი. გაიარა დრომ. მეორე ბავშვზე ვიყავი ფეხმძიმედ. ერთ საღამოს გამახსენდა სამი ანგელოზი და გადავწყვიტე, გამეგო, ვინ შემეძინებოდა. მართლისმთქმელ ანგელოზს ვთხოვე: სიზმარში პატარა ბავშვს შემახვედრე, თუ ბიჭი უნდა შემეძინოს, ის ბავშვიც ბიჭი იყოს, თუ არადა გოგონა-მეთქი. დამესიზმრა სწორედ ალექსანდრეს ბაღი. ის ხის მერხი, სადაც უცნობი ქალი ვნახე ცხადში. ქალი სიზმარშიც მკერდზე ჩვილმიხუტებული გამომეცხადა. გამიღიმა და ბავშვი მომაწოდა — გამომართვი შენი გოგონააო. ექოსკოპიამაც გოგონა დამიდასტურა. ამ ამბით გაოცებულმა უცნობი ქალის სასწაულების გამოცდა დავიწყე. თუ რამე მაინტერესებდა, ყველაფერს მართლისმთქმელ ანგელოზს ვეკითხებოდი და ვხედავდი გამაოგნებელ სიზმრებს. როცა ქალიშვილი შემეძინა, საბოლოოდ დავრწმუნდი, ჩემს თავს მართლა რაღაც სასწაული ხდებოდა.

უამრავ ადამიანს ვასწავლე სიზმრით მკითხაობა, მაგრამ ვერავინ გამოსცადა ის, რასაც მე თითქმის ყოველ კვირაში განვიცდი. აქამდე, სხვაზე თუ ვიკითხავდი რამეს, პასუხი არ მესიზმრებოდა, ახლა კი უკვე სხვებისთვისაც ვნახულობ სიზმრებს. ეს ამბავი ჩემს მოძღვარსაც ვუამბე. გამკიცხა და ზიარებაც არ მომცა, მაგრამ ცდუნებას ვერ ვუძლებ და ისევ ვმკითხაობ სიზმრებით, რასაც ვერანაირ ახსნას ვერ ვუძებნი, მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ თითოეული ადამიანი გონებაში ატარებს რაღაც ჩაკეტილ უჯრედებს, რომელთა გახსნის შემდეგ ჩვეულებრივი მოკვდავისაგან განსხვავებული ცნობიერება უჩნდება.

გამოგიტყდებით და ჩემი უნარი ზოგჯერ მთრგუნავს ხოლმე და ის ქალიც, ალექსანდრეს ბაღში რომ შემხვდა, უფრო მოჩვენება მგონია, ვიდრე სინამდვილე. ის იყო ძალა, რომელმაც რაღაც გახსნა ჩემში.

***ეკატერინე კურდღელაშვილი***

## „საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — ბ); 2) — ა); 3) — ა); 4) — გ); 5) — დ); 6) — ა).

**II.** 10-6; 12-5; 11-9; 7-3; 4-2; 1-8.

**III.** მე-3 ხე.

**IV. რებუსი**

ნამუსიც კარგი საქონელიაო.

**V.** სწავლა.

**VI. გამოცანები**

ა) კურდღელი; ბ) ბროწეული.





# შოკოლადის ჰოროსკოპი

**ვერძი.** ვერძები უფრო მგრძნობიარენი არიან, ვიდრე მოაზროვნენი. ხელგაშლილებს უყვართ საჩუქრების მიძღვნა და ბრძანებების გაცემა. ტემპერამენტიან ვერძს მოეწონება შოკოლადის კანფეტი „რძიანი ყავა“, რომელშიც კარგადაა შერწყმული თეთრი და შავი შოკოლადისა და ყავის გემო.

**კურო.** კუროები მშვიდობისმოყვარენი და მომთმენნი არიან. ჰარმონიის მოყვარულნი ბევრ რამეს ეგუებიან, მაგრამ საშინელებაა, როცა მოთმინების ფიალა ევსებათ. კუროებს არ უყვართ კამათი და ვერ იტანენ დისჰარმონიულ ცხოვრებას. გუნებას მათ აუცილებლად გამოუკეთებს კანფეტი-პომადა „ბაბუაწვერა“, შედედებული რძით!

**მარჩბივი.** ინტელექტუალური, უშუალო და რთული ნიშანია. მარჩბივი ჰუმანური და სიმპათიურია. იოლი ცხოვრება და თამაში უყვართ, მახვილგონივრებიც არიან. ჰაეროვან ტყუპს უეჭველად ესიამოვნება ორმაგსუფლეიანი კანფეტის, „სანუკვარი ოცნების“ ორიგინალური გემო.

**კირჩხიბი.** კირჩხიბი ძალზე მგრძნობიარე, ინტუიციაგანვითარებული და დიდი გურმანია. მისთვის უმჯობესი იქნება, ხშირად და პატარ-პატარა ულუფებით იკვებოს. ამიტომ ნაზი ნაღების კანფეტი „ორმაგი სიხარული“ ზუსტად მიესადაგება კირჩხიბის ხასიათს.

**ლომი.** ლომები უკიდურესად დიდსულოვანნი არიან. საფრთხის შეგრძნება სრულიად არა აქვთ, ისევე, როგორც ზომიერების, ჭამაშიც კი. ამიტომაც მათთვის რეკომენდებულია ხილი და კაკალი. კანფეტი „ტყის ზღაპრები“ თხილით, ცირცელით ან ალუბლით აუცილებლად მოეწონებათ.

**ქალწული.** ქალწულები ჭკვიანები, საიმედოები და მშრომელები არიან. დიდი მოაზროვნეები და იდეალური შემსრულებლები, გენიოსები და მანიაკებიც კი უმეტესად ქალწულები არიან. შავი შოკოლადი „ოქროს მარკა“ ქალწულებს ცოდნისკენ სწრაფვას გაუღრმავებს და საუკეთესო არომატით თვითდაჯერებას შემატებს.

**სასწორი.** თავს ხშირად მოტყუებულად გრძნობს, მიაჩნია, რომ გარშემომყოფთ ნაკლებად უყვართ. აჩუქეთ სასწორს შოკოლადის კანფეტების ზღვა, რათა დაუმტკიცოთ, რომ გიყვართ და მისი დახმარება გსურთ. მის მენიუში აუცილებლად უნდა შედიოდეს ატამი და გარგარი, მარწყვი და შავი მოცხარი. სასწორებს ხილისჟელეიანი შოკოლადის კანფეტი „ზაფხულის გემო“ მოეწონებათ.

**ღრიანკალი.** ძლიერი, მტკიცე ნებისყოფისაა. ხასიათი არასოდეს ეცვლება, საკუთარი თავის კმაყოფილია, მიუხედავად გარეგანი ფაქტორებისა. სიყვარულში ერთგულია. მისი ბუნების შესაფერისი მაღალხარისხოვანი მწარე შოკოლადის ფილა „ოქროს მარკა“ იქნება.

**მშვილდოსანი.** მასში ორი უკიდურესობა შეიძლება იყოს შერწყმული და ამასთან, ჰარმონიულად — უარყოფითი და დადებითი, პასიური და აქტიური. მშვილდოსნები — უკლებლივ ყველა, დიდ ყურადღებას უთმობენ საკუთარ ადგილს საზოგადოებაში, უყვართ შთაბეჭდილების მოხდენა. ასეთებს მხოლოდ საუკეთესო შოკოლადი უნდა მიართვათ. პრემიუმის კლასის კანფეტების „კოლექცია“ მშვილდოსნისადმი დიდი პატივისცემის დასტური იქნება.

**თხის რქა.** შურისძიების, ფილოსოფიის, დროის ულმობელობის ეს ნიშანი ინსტინქტს უკავშირდება და ზომიერებასა და თავშეკავებას თვითგადარჩენის იარაღად მოიხმარს. უყვართ წარსულთან მიბრუნება, ამიტომ პრალინეიანი კანფეტის, „მშობლიური სივრცეების“ ნაზი გემო ყველაზე ტკბილ მოგონებებს გაუღვიძებს.

**მერწყული.** ცნობისმოყვარეა, იტაცებს ყველა სიახლე, ვიდრე არ მობეზრდება, ვიდრე ჭეშმარიტებას არ ჩასწვდება. ინსტინქტსა და გონებას შორის მერყეობს, უმრავლესობა რელიგიურია, მისტიკოსი, უყვარს ბუნება. მერწყული შეაფასებს თქვენს ფარულ ქათინაურს, თუ ნაზი კანფეტით „ობლოჩკოთი“ გაუმასპინძლდებით.

**თევზები.** მთელი სამყაროს მოქალაქეები არიან, საკუთარ თავს არ ეკუთვნიან, არიან ყველგან და არსად. აინტერესებთ ყველა და ყველაფერი. არ არსებობს შინაგანად უფრო მდიდარი ადამიანი, ვიდრე ინტელექტუალური თევზები, მაგრამ ასეთები ცოტანი არიან, რადგანაც საკუთარ თავზე მუშაობა კონცენტრაციას, ძალისხმევას და ნებისყოფას ითხოვს. თევზებს მრავალმხრივი ბუნება და ცვალებადი ხასიათი აქვთ. მიართვით მას შოკოლადის ნაკრები „პალიტრა“.

*ვოკრუგ სვეტა №9*

# ქერათმიანებს კანონი დაიცავს



ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მალე ახალი კანონი შევა ძალაში. სქესთა თანასწორობის შესახებ კანონის თანახმად, ამიერიდან ყველა ქერათმიანს შეეძლება უჩივლოს ნებისმიერს, თუკი თავიანთი მისამართით რაიმე შეურაცხმყოფელს გაიგონებენ (თუნდაც დაცინვა მათ ქერა თმას შეეხებოდეს). როგორც წესი, იუგოსლავიურ ანეკდოტებში ქერათმიანი ქალები სულელები და თავქარიანები არიან. ამას კი ქერათმიანები კატეგორიულად არ ეთანხმებიან.

კანონში არაფერია ნათქვამი, ვრცელდება იგი თუ არა თმაშეღებილ ოქროსფერთმიანებზე.

*კრიმინალნაია ხრონიკა*

# ასი ათასი ვარდი სატრფოსთვის



პეკინელმა შეყვარებულმა ახალგაზრდამ თავის რჩეულს 100.000 ვარდი მიართვა დღესასწაულზე, რომელსაც ევროპულის მსგავსად, ჩინური ვალენტინის დღეს უწოდებენ.

ახალგაზრდა ბიზნესმენმა, შენ სიანდონმა გიგანტურ თაიგულში 12.000 დოლარი გადაიხადა. შეყვარებულის სახლამდე რომ მიეტანა, რამდენიმე სატვირთო მანქანა დაიქირავა. შენმა რამდენიმე ყვავილების მეურნეობა „გაალატაკა“ — შენი საცოლის გარდა, იმ დღეს პეკინში ვარდი არც ერთ ქალიშვილს არ რგებია. შენი თქმით, მისი რჩეული ყველაზე ლამაზია, ამიტომ ასეთ თაიგულს ნამდვილად იმსახურებს.

ჩინური ვალენტინის დღეს სხვანაირად თხოვნის ფესტივალს, ანუ ქალიშვილის ფესტივალსაც უწოდებენ. ამ დღეს გოგონები ნესვითა და ხილით სავსე ხონჩით ზეცის ქალღმერთს სცემენ თაყვანს და ბედნიერ ქორწინებას ევედრებიან. შენის საცოლემ — ფან სიაოცინმაც გაამზადა ხილიანი ხონჩა, მაგრამ ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ ქალღმერთი ასე გულუხვად დაასაჩუქრებდა — შენთან ბედნიერი რომ იქნება, ეჭვიც არ ეპარება.

*ეხო პლანეტი №32*

# ელვისებური სიყვარული



ამ გამოგონების მადლიერი ალბათ ყველა შეყვარებულია — შესაკრავს, „ელვას“ 110 წელი შეუსრულდა. რომ არა ამერიკელი ინჟინერი უაითკომბ ჯადსონი, სულწასული წყვილები ერთმანეთს ღილებსა და დუგმებს დააგლეჯდნენ.

1893 წელს, ჩიკაგოში მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი „ელვის“ პირველი ნიმუშები ხშირად იჭედებოდა და იხსნებოდა. მხოლოდ 20 წლის შემდეგ სრულყვეს გამოგონება — „ელვას“ დღევანდელი სახე მიეცა. მას შემდეგ „ელვის“ ტრიუმფალური სვლა ვერაფერმა შეაჩერა. დღეს მსოფლიოში მილიონობით „ელვა“ იწარმოება. მას ხმარობენ ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ჩანთების, შლაპების, ხელთათმანების, ფუტლარებისა და შალითების შესაკრავად. ბოლო დროს ცნობილმა დიზაინერებმა ისევ გაიხსენეს მამაპაპური „ელვა“. იგი საპარიკმახერო ხელოვნებაშიც დამკვიდრდა: ვენელი სტილისტი მიხაელ დანლერი მას თმის აქსესუარადაც იყენებს — ახალმოდური ვარცხნილობების ფორმის შესანარჩუნებლად.

*ჟენსკიე დელა №32*

# ფულს სუნი არა აქვს



ცნობილ ჩოგბურთელს, ანდრე აგასის ამ ბოლო დროს თურმე ფული შემოაკლდა. ასე რომ, მზად არის ნებისმიერ ბიზნესს მოჰკიდოს ხელი. როგორც ამბობენ, აგასიმ (მას უკვე არც ისე წყალობს ბედი კორტზე) თავის ვარსკვლავ ჩოგბურთელ ცოლს სთხოვა სპორტში დაბრუნება. ბოლოს და ბოლოს, ვინმემ ხომ უნდა არჩინოს ოჯახი?! შტეფი გრაფმა კატეგორიული უარი განაცხადა. ამიტომაც აგასი თვითონ დატრიალდა — ღარიბი ოჯახების დასახმარებელი ფონდი დააარსა. სინამდვილეში, უფრო ჩოგბურთელს დაეხმარება ფონდი, რომლისთვისაც მდიდარი სპონსორების გამოძებნა არ გაუჭირდება. ამასთან, იგი პოპულარული ტუალეტის წყლის, „არამისის“ სარეკლამო კომპანიის სახეც გახდება. ამბობენ, რომ აგასი ისეთი გაშმაგებით ეკვეთა საქმეს, რომ „არამისის“ სუნით გაიჟღინთა არა მარტო კორტის გასახდელები, მისი სახლიც კი. სამაგიეროდ, ამაში 2 მლნ დოლარი აიღო და პირობაც დადო, ორი წლის განმავლობაში სხვა პარფიუმს ახლოსაც არ გაეკარებაო.

ამბობენ, შტეფი გრაფს ჩოგბურთში დაბრუნება გადაუწყვეტია, ოღონდ კი „არამისის“ სუნი აღარ იგრძნოს — ფლაკონის დანახვაზე გული ერევაო.

*ნიუ ზუიქი*

# მოდაშია პატიმრის უნიფორმა




ბერლინში, ტეგელის ციხეში, უკვე ას წელზე მეტია იკერება პერანგები, ქურთუკები, ჩანთები, ფეხსაცმელი ამავე ციხის პატიმრებისთვის. ეს, ასე ვთქვათ, მათი უნიფორმაა.

ამ ცოტა ხნის წინ, ციხის ერთმა ალღოიანმა თანამშრომელმა



პატიმრის ლურჯ-თეთრი უნიფორმის გაყიდვა გადაწყვიტა და მისი რეკლამა, სახელწოდებით „პატიმარი“, ციხის საიტზე მოათავსა — ვნახოთ ერთი, რა მოხდებაო.

და მოხდა წარმოუდგენელი რამ: ციხემ მსოფლიოს ყველა კუთხიდან იმდენი შეკვეთა მიიღო, რომ დირექცია იძულებული გახდა, სამკერვალოები გაეფართოებინა და თითქმის ყველა პატიმარი დაესაქმებინა.

შემოსული თანხის დიდი ნაწილი პატიმრების ხელფასს ხმარდება, ნაწილი — ციხისა და საამქროების კეთილმოწყობას. „სასწრაფოდ გვჭირდება ახალი საკერავი მანქანები. პატიმრები კმაყოფილნი არიან, რომ სამუშაო აქვთ და უხარიათ, რადგან მათი ხელით შეკერილ პროდუქციაზე ასეთი დიდი მოთხოვნილებაა,“ — ამბობს ალღოიანი ციხის თანამშრომელი.

ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, გერმანიაში პატიმრის შარვალმა მალე ჯინსი რომ შეცვალოს.

*შტერნი*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში შილერის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ა | ე | რ | თ | ე | დ | ა | დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ა | ა | ა | | დ | ო | ე | ი | | ნ | ა | ნ | ო | კ | ი | რ | | | რ | ა | დ | | | ო | ი | ე | ა | ო |

**გ.** სამხედრო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; **ა.** ადოლფ დასლერის მიერ ჩამოყალიბებული ფირმა; **ე.** ამაღლებული სცენა, სადაც მომღერლები გამოდიან; **რ.** თბილისის ერთ-ერთი უბანი; **თ.** ილია ჭავჭავაძის ტიტული; **ე.** ამაღლებული ფიცარნაგი, რომელზედაც სიკვდილით დასჯა სრულდებოდა; **დ.** საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე; **ა.** სამხედრო ნადავლი; **დ.** თიხის ჭურჭელი ღვინისა და წყლისათვის; **ა.** დიეგო მარადონას მეორე სახელი; **ი.** იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **ს.** ფრანგი მხატვარი, რომელსაც იმდენად აკრთობდა მენატურე ქალის სიშიშვლე, რომ იძულებული იყო, ცოლად შეერთო იგი და ისე დაეძლია თავისი სიმორცხვე; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ე.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **ნ.** ბაირონის ერთ-ერთი სახელი; **ე.** ლირიკული პოეზიისა და მუსიკის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; **ჩ.** ვაზის აჭრილი ტოტი მტევნებიანად; **ვ.** ხმლის ტარი; **ე.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **თ.** მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ა.** ორი ქალისა და ორი მამაკაცისაგან შემდგარი შვედური ანსამბლი; **ნ.** ბიბლიური პერსონაჟი; **ე.** მცენარე, რომლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **თ.** ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშანი; **ა.** ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოსული სინათლის სხივი; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დრეიფი; **ა.** აბრაზია; **ი.** ილიონი; **ს.** სასწორი; **ვ.** ვესპუჩი; **ე.** ეკიპაჟი; **ნ.** ნადეჟდა; **ე.** ელიოზი; **კ.** კრატერი; **ვ.** ვედრება; **ი.** იდიოტი; **რ.** რუსტი; **ი.** იოსები; **ს.** სლალომი; **პ.** პაწია; **ა.** ალყა; **ლ.** ლიახვი; **ი.** იპონი; **ტ.** ტალინი; **რ.** რეიგანი; **ი.** იშტა; **ს.** სმეტანა; **ფ.** ფერარი; **ე.** ეპარქია; **რ.** რატუშა; **ე.** ერუდიტი; **ბ.** ბერგამო; **შ.** შხარა; **ი.** იტალია.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ერის სიდიადის საწყაო ლიტერატურაა.**

# №1 იტალიელი

**იგი ნაპოლეონზე 4 სანტიმეტრით მაღალია, მზეზე გარუჯული, სპორტული აღნაგობის, 66 წლის. ჟურნალისტებს ეტრაბახება — ექიმმა მითხრა, ორმოცი წლის კაცის ორგანიზმი გაქვსო. მართალიცაა.**

**იგი ჰოლდინგ Fininvest-ის პატრონია, აქვს სამი მსხვილი კერძო ტელეარხი, ქვეყანაში უდიდესი გამომცემლობა Mondadori, ჟურნალები, გაზეთები, ინტერნეტ-პროვაიდერი New Media Investment-ი, წილები კინოსა და ვიდეობიზნესში, კინოთეატრების ქსელი Cinema-5, სატელეფონო კომპანია, სარეკლამო სააგენტო Publitalia, საფინანსო-სადაზღვევო კომპანია Ediolanum-ი, საფეხბურთო კლუბი „მილანი“.**

იტალიაში სილვიო ბერლუსკონი ყველაზე ცნობილი, ყველაზე მდიდარი, ყველაზე წარმატებული ადამიანია. თანამემამულეებმა იგი ორჯერ — 1994 და 2001 წლებში აირჩიეს პრემიერ-მინისტრად. აბა რა! კაცი, რომელმაც ასე გამდიდრება მოახერხა, თავისი ხალხის გამდიდრებასაც შეძლებს.

სილვიო ყოჩაღია!

ცნობილი მილანის კლუბის 90 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო მედლებზე ბერლუსკონის სახე ამოტვიფრეს. მისი პარტიის, Forza, Italia!-ს („წინ, იტალია!“) წევრები ამტკიცებენ, სილვიო ისეთივე დიდია, როგორიც იყო ლეონარდო და ვინჩი, „მეფე-მზე“ ლუდოვიკო XIV და როგორიც არის მიხაელ შუმახერიო.

ხალხის წინაშე იგი სიამაყით აღნიშნავს ხოლმე, — ყველას ვუყვარვარ! გარდა იტალიის საზიზღარი მერებისა და ბებრუხანა კომუნისტებისაო. და ის მართალია! 1993 წელს, როდესაც პოლიტიკურ კარიერას იწყებდა, ახალგაზრდა იტალიელებს შორის ჩატარდა გამოკითხვა; ბერლუსკონიმ პოპულარობით იესო ქრისტეს და არნოლდ შვარცენეგერს გაუსწრო. „არა იმიტომ, რომ ყველაზე ცნობილი ვიყავი. არა! მე უკვე მთელ ერს ვუყვარდი“, — უთხრა მან ერთ-ერთ რეპორტიორს.

რაც შეეხება მშვენიერ სქესს, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ხელთათმანებივით იცვლის მიჯნურებს და თავის ამ გატაცებას არც მალავს: — ვინ იცის, ამქვეყნად რამდენი ქალი ოცნებობს ჩემს ლოგინში ჩაწოლაზე და მე, სამწუხაროდ, მათ შესახებ არაფერი ვიციო, — ამბობს.

ბერლუსკონიმ ადამიანის გონზე თავისი ზემოქმედების საიდუმლო გაამხილა: „მსმენელებს ვეუბნები: „როგორც პლატონი ამბობს“ ან „როგორც აბრაამ ლინკოლნი ამბობდა...“ და მერე ციტატის ჭეშმარიტების დასადგენად თავს ვინ შეიწუხებს? არავინ. ადამიანები ერთობ გულუბრყვილონი არიან“.

იტალიური ჟურნალისტიკის მეტრმა ანდრეო მონტანელიმ ერთხელ შენიშნა: „ბერლუსკონი მატყუარაა, მაგრამ ცრუობს გაუცნობიერებლად. ცრუპენტელობას რომ იწყებს, ეშხში შედის, ვეღარ ჩერდება და მერე ეს ტყუილები თავადვე მართალი ჰგონია. ის ბრწყინვალედ ჰყიდის მოსწრებულ ფრაზებსა და სახეებს“.

მილანელი ბანკის კლერკის პატივმოყვარე ვაჟი, სილვიო, ახალგაზრდობაში მომღერალი იყო. ზღვაზე მოგზაურობისას ტურისტებსართობდა. როცა თავისუფალი დრო აქვს, იგი ახლაც მღერის, ის კი არა, ერთ ნეაპოლელ კომპოზიტორთან ერთად, სატრფიალო სიმღერებსაც თხზავს...

სხვათა შორის, ოქტომბერში გამოვა სილვიო ბერლუსკონის სიმღერების ალბომი. მასში შევა 7 სატრფიალო ბალადა, რომელსაც გიტარისტი მარიანო აპიჩელა ასრულებს. როგორც იტალიის პრესა წერს, სამწუხაროდ, არ არის ჩაწერილი ბერლუსკონის ყმაწვილკაცობის დროინდელი ნამღერი.

ამ ალბომში შევა, აგრეთვე, კომპოზიტორი პრემიერ-მინისტრის ახალი ბალადა „ყოველთვის შენზე ვფიქრობ“. ის საგანგებოდ იტალიაში სტუმრად ჩასულ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს უძღვნა ბერლუსკონიმ და თავის ვილაში, წვეულებაზე, უამრავი სტუმრის თანდასწრებით, უმღერა კიდეც. პუტინი ამგვარი პატივით დიდად კმაყოფილი დარჩა.



ერთ-ერთი ვილა სარდინიაზე

ბუნებრივია, ღარიბი მუსიკოსობიდან მედიის იმპერიის მფლობელობამდე განვლილი გზა ერთგვაროვანი არ ყოფილა, ხშირად უხდებოდა კანონის დარღვევა და ამიტომ სასამართლოს წინაშე დგომა. ხან თანამდებობის პირების მოქრთამვისათვის ასამართლებდნენ, ხანაც ბნელი მაქინაციებისთვის: ზოგიერთ პროცესზე სილვიო გაამართლეს, ზოგი ხანდაზმულობის ვადის ან ამნისტიის გამო დაიხურა, ზოგიც დღემდე გრძელდება...

ბერლუსკონის სულაც არ ეხამუშება, სამართალდამცავთა ლანძღვა. ამას წინათ ბრიტანულ ჟურნალ „Speqteitors“-ს მისცა ინტერვიუ და მოსამართლეებს სულ ცალტვინები და ფსიქიკურად არასრულფასოვნები უძახა. მაგრამ ამის გამო ნერვებს ხომ არ აიშლის, ცხოვრება გრძელდება და იგი მშვენიერია. ცოტა ხნის წინ სილვიომ აღმოაჩინა, რომ იგი არისტოკრატია და სასწრაფოდ შეიქმნა გერბიც: გვირგვინოსანი დრაკონი თუ გველი, რომელიც ადამიანს ჭამს და ტიტული Cavaliere del Lavovo, რაც „შრომის რაინდს“ ნიშნავს.

ცოტა ხნის წინ თურქეთის პრემიერის ვაჟმა ცოლი შეირთო. ბედნიერმა მამამ შვილის ქორწილში მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოიწვია კოლეგები. მათ შორის სილვიო ბერლუსკონიც. სხვა წვეულთაგან განსხვავებით, სილვიოს საპატიო მისია ჰქონდა დაკისრებული — ის სიძის ხელისმომკიდე გახლდათ.

ქორწილზე ტემპერამენტიანი იტალიელი სულ იმას ყვიროდა — ახლა თურქეთი და ევროსაბჭო უნდა დავაქორწინოთო. ევროკავშირში მოხვედრის მოსურნე თურქეთს ცხადია, ეს შეძახილი ძალიან მოეწონა, თუმცა ანკარამ ისიც კარგად იცის, რომ იტალიელი სტუმარი ევროკავშირში დიდი გავლენით არ სარგებლობს. პრესაში არ გაუხმაურებიათ, რა აჩუქა მილიარდერმა სილვიო ბერლუსკონიმ ახალგაზრდებს, მაგრამ ხელცარიელი რომ არ ჩავიდოდა, ცხადია.

ბერლუსკონი დიდი მამულების პატრონია, აქედან ხუთი — სარდინიაზე აქვს. ჰყავს დიდებული იახტა, ლურჯი რეაქტიული თვითმფრინავი, საყვარელი ავტომობილი — ჯავშნიანი „მერსედესი“.



ხალხის რჩეულის მთავარ რეზიდენციას „არკორე“ ჰქვია და მილანის ახლოს მდებარეობს. რეზიდენციაში 147 ოთახია. პრემიერის მეუღლე სამი შვილით ცალკე, ანალოგიურ, ეკლესია-სასახლის მაგვარ კომპლექსში, პრეზიდენტის სასახლიდან 2 კილომეტრში ცხოვრობს, რათა სილვიოს მუშაობაში ხელი არ შეუშალოს.

„შრომის რაინდმა“ სილვიომ სამუდამო განსასვენებელზეც იზრუნა. „არკორის“ პარკში მისთვის საკადრისი, საუკუნეებს რომ გაუძლებს, ისეთი მავზოლეუმი აღმართა საუკეთესო ხარისხის იტალიური მარმარილოსი...

იქ, ბრინჯაოს მძიმე კარს მიღმა, ბინდ-ბუნდში გამეფებულ სიჩუმესა და სიგრილეში, მნახველი მლოცველის სასოებით აივლის კიბის 36 საფეხურს და მიადგება დიდებულ სარკოფაგს, დაფარულს ტერაკოტისფერი რელიეფით, რომელზეც ამოტვიფრულია ის, რისკენაც ისწრაფოდა სიცოცხლეში იმპერატორის სული: ყვავილები, ბანანები, ყურძნის მტევნები. გვერდით კი — ტელეფონი და საფოსტო ყუთის გასაღები.

ო, იმპერატორო! მას უნდა სულთა საუფლოდანაც დაუკავშირდეს თავის იმპერიას..

# ზღაპარ იყო: მწყემსი გოგონა პრინცესად ქცეულიყო...



პრინცესა ბავშვობაში მათი სახლისკენ ქურდულად მომავალი კაცის ნაბიჯებს სუნთქვაშეკრული უსმენდა, მამაკაცები ყვავილების ოთახის კარზე მორიდებულად კი არა, მბრძანებლურად აბრახუნებდნენ. ყვავილების ოთახს უწოდებს პრინცესას ხალხი საძინებელს, სადაც ქალები საყვარლებს იღებენ. დილით კაცები საკუთარ ოჯახებში, დედებთან, დებთან ბრუნდებიან... ქალს თუ თაყვანისმცემელი მობეზრდება, კარზე თავის ჩანთას ჰკიდებს და ამით კაცს ანიშნებს, აღარ მინდიხარო. ქალები ამ ქვეყნად არსად ისეთი თავისუფლები არ არიან, როგორც აქ, მოსოს მიწაზე. ასეთ დამოკიდებულებას ეთნოლოგები „დროებით ქორწინებას“ უწოდებენ, რომლის საფუძველიც წამიერი შეხვედრებია, და რომელიც ქალს და მამაკაცს ერთგულებისა და ბავშვებზე ერთობლივი ზრუნვისაგან ათავისუფლებს.

„სიყვარული წელიწადის დროებს ჰგავს, ის მოდის და მიდის, — ამბობს მომღერალი და მწერალი **ერხე ნამუ**, — ჩვენ ერთმანეთისგან მკაცრად ვყოფთ სექსს, სიყვარულს და ოჯახზე ზრუნვას. 37 წლის წინ, ცხენის წელიწადში დაბადებულ გოგონას ბუდისტმა ბერმა აზავერის (ЯК) კარაქი სცხო და უწოდა ერხე („ძვირფასი განძი“) და ნამუ („პრინცესა“).

ღვთისა და კაცისგან დავიწყებულ სოფელში გაჩნდა ნამუ. ამ სოფელში სულების არსებობისა სჯერათ... გოგონა შინიდან რომ გაიქცა, დედამისმა ყველა ნივთი დაუწვა. დღეს კი, მის მოსოურ წარმომავლობას მხოლოდ ფართო ლაწვები ამჟღავნებს, რომლებსაც ჩამოშლილი თმით მალავს.

ჩინეთში, იუნანის პროვინციის მთიანეთში, ლუგუს ტბასთან ცხოვრობს უკანასკნელი, 20.000 მოსოელი, ერთადერთი ხალხი, ვისი აზრითაც ოჯახისთვის ყველაზე დიდ საშიშროებას ქორწინება წარმოადგენს. ამიტომ მოსოში ყველა

## ამ ხალხის ლექსიკონში არ არსებობს სიტყვა „მამა“

ბავშვი უმამოდ, დედის ოჯახში იზრდება. სიტყვა „მამა“ ამ ხალხის ლექსიკონში არ არსებობს. ერთადერთი მამაკაცი, ვინც დედას ბავშვის აღზრდაში ეხმარება, არის მისი ძმა. „მთელ მსოფლიოში განქორწინების სიმრავლე იმის დასტურია, რომ ქორწინებისთვის მხოლოდ სიყვარული მტკიცე გარანტი არ არის“, — ამბობს ნამუ.

გოგონა, რომელიც ოდესღაც აზავერებს მწყემსავდა და ტილები ეხვია, დღეს ბრწყინვალე ქალბატონია. „ახლა სამასი ფეხსაცმელი მაქვს და სამი ვილა — სან-ფრანცისკოში, ჟენევასა და პეკინში“, — თავს იწონებს ნამუ. ადრე კონკია იყო, თანაც ისეთი მჩხავანა, რომ დედამისმა სამჯერ დააპირა მისი გაშვილება.

აქ ზამთარი ისეთი ცივი იყო, რომ ჩანჩქერიც იყინებოდა. ამიტომ გასათბობად ღამღამობით აზავერებს ეხუტებოდა, დილაობით კი მათ შარდში ბანაობდა, დაკაწრულ ხელფეხსაც შარდით ირჩენდა.

ერთ დღეს სოფელში მაოს წითელგვარდიელებმა სალოცავები დაანგრიეს, წმინდანები შეურაცხყვეს და მოსოელები აიძულეს, დაქორწინებულიყვნენ. ისინი ასოციალურ ელემენტებად გამოაცხადეს, მაგრამ მკაცრმა ზომებმა არ გაჭრა: გვარდიელები წავიდნენ თუ არა, მოსოელ ქალებთან კვლავ ძველებურად იწყეს სიარული მამაკაცებმა.

დედა ნამუს ეუბნებოდა, — კეთილი ჩინელი ისეთივე იშვიათობაა, როგორიც თეთრი არწივიო, მაგრამ ნამუს სწორედ ჩინელებმა გაუღეს დიდების კარი. აღმოაჩინეს, რომ ნამუს მშვენიერი ხმა ჰქონდა და ის მომღერალთა კონკურსზე მიიწვიეს. გოგონამ გაიმარჯვა.

„დედაზე, მამაზე მეტად მაო-ძე დუნი გვიყვარს. მაო, მაო, უბრალო ადამიანებს ძალიან გვიყვარხარ“, — მღეროდა გოგონა კომუნისტი ფუნქციონერების წინაშე, — მელოდია გულს მითბობდა, მაგრამ მიკვირდა, იმ ხალხს დედაზე მეტად მაო რატომ უყვარდა.

ნამუ სოფლიდან რომ მოდიოდა, დედა უკან მისდევდა და ქვებს ესროდა. ნუ გარბიხარ, დარჩიო. მან კი შანხაიში ჩასასვლელად საგვარეულო ნივთი, ძვირფასთვლებიანი სამაჯური გაყიდა. უფულოდ, ჭუჭყიანი კაბით მიიღეს ის კონსერვატორიაში. ღამ-ღამობით კი ფულის საშოვნელად ბარში მღეროდა. გოგონა, რომელიც საერთო საცხოვრებელში, ოთახში ნამუსთან ერთად ცხოვრობდა, მას „ბინძურ მწყემსს“ ეძახდა, რისთვისაც ნამუმ მაგრად მიბეგვა. ამის გამო კონსერვატორიიდან კინაღამ გარიცხეს.

ნამუმ პეკინში 6 წიგნი გამოაქვეყნა. აქედან ერთს ჰქვია „ასე ვიქეცი ნამუდ“. ახალგაზრდობა ნამუს ეთაყვანება, „ჩინელ მადონას“ უწოდებს და მას ჰბაძავს. მისი მოცინარი სახე ათობით ჟურნალის გარეკანს ამშვენებს, რამდენიმე წელი მოდელად მუშაობდა და პირველ ქმართან, ამერიკელ ჟურნალისტთან სან-ფრანცისკოში კარგახანს ცხოვრობდა.

მან ლუგუს ტბასთან მუზეუმი ააშენა, პანსიონი დააარსა და ბავშვებს კანფეტებს ურიგებს. აქ ჩამოდიან ტურისტები, ძირითადად, ნამუს წიგნების მკითხველები და, ამდენად, თავისუფალი სექსის მაძიებლები.

მომღერალი და მწერალი თანასოფლელებს არ უყვართ. ამბობენ: „ის ერთი ჩვენგანი აღარ არის“. ამაზე ნამუ პასუხობს: „მოსოში დრო თითქოს გაჩერებულია. იქ ერთი სიგარეტის მოწევას ორი საათი უნდებიან“.

დედასთან შეგუებაც უჭირს. „პეკინში ყველაზე ცნობილი ქალი ვარ და დედაჩემი კი იმას მიყვება, რომელ მეზობელს რამდენი ქათამი მოუკვდა, ჩემი კი არაფერი აინტერესებს.“

ნამუ ყველგან უცხოა: ჩინელებისთვის ის მოსოა, მოსოელებისთვის — ჩინელი, ევროპელებისთვის — აზიელი. საყვარელი ადამიანის სანახავად შვეიცარიაში მიფრინავს, დაფრინავს საფრანგეთსა და იტალიას შორის, თამაშობს გოლფს თავის მეგობართან, ნორვეგიელ დიპლომატთან, რომელიც ყოველ დილას, ყავის ფინჯნის გვერდით, უტოვებს ბარათს: „მიყვარხარ“. მაგრამ მარწუხებში ჰყავს მოწყენილობას გამომწყვდეული: ენატრება მშობლიური მთები, ღვინო, რომელსაც მოსოელები ბრინჯისა და თაფლისგან აყენებენ, საყვირის ხმა, რომლითაც ბერები მოსოელებს დღესასწაულებს ამცნობენ. შვეიცარიაში კი მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს, რადგანაც იგი აივანზე მოსოურ სატრფიალო სიმღერას მღეროდა.

უკვე წელიწად-ნახევარია, ნამუ პეკინში ცხოვრობს, საძინებელი ოთახის კედლები თავისი სამშობლოს ცის ფერად აქვს შეღებილი. მაგიდაზე სუფრა ვერცხლისფრად ბრწყინავს, ისე, როგორც ლუგუს ტბა დილის მზეზე და სევდიანი თვალებით გაჰყურებს პეკინის ცათამბჯენებს. ნამუს წიგნის თითოეული გვერდიდან ჩანჩქერივით მოჩქეფს სიხარული და დაუოკებელი ენერგია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მოუცლელია, მაინც მარტოა. ოთახში უკიდია ორი ფერწერული ტილო, ორივეზე უსახო ქალია გამოსახული. ნამუ ღიღინებს სიმღერას, მოსოელები რომ უმღერიან ადამიანს, რომელმაც დაკარგა სული. „გარეთ ქარია და წვიმა. დედაშენი და შენი დები შინ არიან. მოდი“.

*გვერდი მოამზადა დოდო თოფურიამ*



# წარმატებული ექსპერიმენტი



### ზოგი რამ საქართველო-ალბანეთის დაპირისპირებიდან

საქართველო-ალბანეთის დაპირისპირება საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე ამ ბოლო ხანებში ტრადიციად იქცა. ეს ორი ქვეყანა მესამედ მოხვდა ერთად მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, რაც თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ ჩვენი გუნდები ტრადიციულ მეტოქეებად იქცნენ. გარდა ოთხი ოფიციალური მატჩისა, სადაც საქართველოს ნაკრებმა სამი მოიგო და ერთი წააგო, ჩვენი ნაკრების აქტივშია მალტის ტურნირზე სამიოდე წლის წინ ალბანეთის ნაკრების დამარცხება 3:0.

რაც შეეხება საკლუბო დაპირისპირებას, არც აქ გვაქვს მწირი გამოცდილება. ბოლო ხანს თბილისის „დინამოსა" და „ტირანას" საბრძოლო ბატალიებმა ვნებათაღელვა გამოიწვია. თბილისში დიდი ანგარიშით მოგებული მატჩის შემდეგ შუშაკის ბიჭებმა იმავე ანგარიშით — 3:0 წააგეს. თერთმეტმეტრიანების სერიაში, ალბანელებმა იმარჯვეს.

### რითი სჯობს ჟორდანიას კვარტეტი კრილოვის „კვარტეტს"

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ ბრძანა — ჩემი შუშაკი მხოლოდ მე მეკუთვნის და გუნდში და ნაკრებში ერთდროულად არ ივარგებს მისი მუშაობაო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ცაიტნოტში აღმოჩნდა. უცხოელი მწვრთნელის მოწვევას დრო სჭირდება, ამიტომაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დარჩენილ სამ მატჩს მე და ჩემი მეგობრები ვუხელმძღვანელებთო. ჟორდანიას განცხადებით, უცხოელ მწვრთნელს, რომელიც საქართველოს ნაკრებში წლის ბოლოსთვის დაინიშნება, ერთადერთ მიზანს — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას დაუსახავენ. ასეთი კატეგორიული მოთხოვნისას კი არც ერთი სპეციალისტი არ წამოვა მოლაპარაკებაზე, თუ არ იცის იმ გუნდების ვინაობა, რომელთანაც ჩვენს ნაკრებს მოუწევს ჭიდილი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის. ერთი სიტყვით, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნა 5 დეკემბრის შემდეგაა მოსალოდნელი. სწორედ ამ დღეს გაიმართება კენჭისყრა.

მანამდე კი მერაბ ჟორდანიასთან ერთად ნაკრებს მიხეილ ყაველაშვილი, თემურ ქეცბაია, რეზო არველაძე და ბერძნული წარმოშობის შვეიცარიელი ალექსიოს პაპასტერგიოსი გაწვრთნიან.

მერაბ ჟორდანია აცხადებს, რომ სამწვრთნელო ბანაკში ერთსულოვნებაა და იმ იდილიას, რომელიც გუნდური პრინციპისთვისაა აუცილებელი, მწვრთნელთა სიმრავლე არ არღვევს. საწვრთნელი ვარჯიშებისას ფეხბურთელებთან მიშა ყაველაშვილი და თემურ ქეცბაია ისე ბეჯითად ირჯებოდნენ, ჟორდანიას ვკითხე — მოედანზე თქვენი ასისტენტების გამოყვანას ხომ არ გეგმავთმეთქი. თუ დამჭირდება, რატომაც არაო, — იყო პასუხი.

ნაკრების ბოლოდროინდელ ვარჯიშებს განსაკუთრებული კოლორიტი ალექსიოს პაპასტერგიოსის ფიზიკურმა ვარჯიშებმა შესძინა, რომელიც ჩვენი ნაკრების წევრების სახალისო კომენტარებით მიმდინარეობდა. როგორც ფეხბურთელები აცხადებენ, ეს ვარჯიშები ხელს უწყობს წინასამატჩო მომზადების პროცესს, ე. წ. სწორად გახურებას, რის შემდეგაც მიეცემათ მათ საშუალება მოედანზე სრული კონდიციები გამოავლინონ.

### მატჩი

მატჩს, რომელიც საქართველოს ნაკრების აშკარა უპირატესობით წარიმართა, თამამად შეიძლება ვუწოდოთ ალექსანდრე იაშვილის ბენეფისი. მას შემდეგ, რაც „ფრაიბურგის" მთავარმა მწვრთნელმა ფინკემ ჩვენებური უკან დაწეულ თავდამსხმელად დააყენა, მან თამაშს აშკარად მოუმატა და თუ რა კონდიციებს მიაღწია მისმა გარჯამ, ეს ყველამ იხილა. მართალია საქართველოს მთელმა ნაკრებმა წარმატებულად გამოიყენა გუნდური მოქმედებების პრინციპები და საუკეთესოდ ითამაშა, მაგრამ მაინც გამორჩეული იყო იაშვილი, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, შექმნა სამივე გატანილი გოლი.

თამაშის დასაწყისში, მე-9 წუთზე შოთა არველაძემ აართვა ბურთი დედეს, მაგრამ ზუსტად ვერ ჩააწოდა. ბურთს მარჯვენა პირით ხაზთან მიუსწრო „იაშკამ" და შემოაბრუნა საჯარიმოში, სადაც ყველას შოთა არველაძემ დაასწრო და ანგარიში გახსნა.

მე-17 წუთზე ლადო ბურდულმა, რომელიც ამ მატჩში უჩვეულო პოზიციაზე — მარჯვენა მცველად თამაშობდა, ვარდნით აართვა ბურთი მეტოქეს და გადააწოდა იაშვილს, რომელმაც მაღალ ტემპში გაიარა ოციოდე მეტრი და ზუსტი პასით მიხეილ აშვეთია მეკარე სტრაკოშას პირისპირ დატოვა — 2:0.

თამაშის 30-ე წუთამდე იგრძნობოდა ჩვენი ნაკრების უპირატესობა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამის შემდეგ ქართველთა იერიშები ჩაცხრა. მეტოქემ თამაში გაათანაბრა და მოედნის შუაგულში უკომპრომისო ბრძოლაც გაჩაღდა. ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას,



მაგრამ საქართველოს ნაკრებმა ისევ იაშვილის წყალობით მესამე გოლის გატანა შეძლო. 43-ე წუთზე მიხეილ აშვეთია წააქციეს, მსაჯმა თამაში არ შეაჩერა, ბურთი იაშვილმა მიიღო, რომელმაც ზუსტად გადააწოდა შოთა არველაძეს და ანგარიში სამამდე გაიზარდა.

მატჩის მეორე ტაიმში ჩვენმა გუნდმა მოახერხა მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება. თუმცა, მეორე ტაიმის პირველი ოცწუთიანი მონაკვეთისას აშკარად გამოჩნდა, რომ ის გუნდური თამაში, რომლითაც გამოირჩეოდა ნაკრები პირველ ტაიმში, მოირღვა. თუმცა ქართველმა ფეხბურთელებმა უპირატესობა მალე დაიბრუნეს და თამაშის ბოლოს რამდენიმე გოლის გატანის შესაძლებლობაც მიეცათ. სამწუხაროდ, ეს მომენტები უშედეგოდ დასრულდა.

3:0 ამ შეხვედრის სრულიად ლოგიკური შედეგი გახლდათ.

### მატჩის შემდეგ

**ჰანს პეტერ ბრიგელი** (ალბანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):

— ეს მატჩი ჩვენთვის ერთ-ერთი ცუდი თამაში იყო, განსაკუთრებით პირველი ტაიმი მაქვს მხედველობაში. მთელი მატჩის განმავლობაში საქართველოს ნაკრები აშკარად გვჯობდა. ეს გარკვეულწილად იმით აიხსნება, რომ რამდენიმე ფეხბურთელი დამტვრეული გვყავდა, ორი დისკვალიფიცირებული იყო და მათი სრულფასოვანი შეცვლა ვერ მოხერხდა. ამჟამად, რამდენიმე სერიოზული პრობლემა გაჩნდა ნაკრებში. გარდა ამისა, ისიც გვაწუხებს, რომ რამდენიმე ფეხბურთელი უგუნდოდაა და შესაბამისად, სათამაშო პრაქტიკა არა აქვს.

ჩვენ ვიცოდით, რომ საქართველოს ნაკრები თავიდანვე შეტევაზე გადავიდოდა, სამწუხაროდ, როგორც თამაშმა აჩვენა, ვერ აღმოვჩნდით მომზადებულნი ამისთვის. მატჩის პირველი ოცწუთიანი მონაკვეთი ჩვენთვის მართლაც საშინელება იყო და ამის გამო ძალიან ვწუხვარ. არადა, დავალება ასეთი იყო — მთელი მატჩის მსვლელობისას ჩვენებს უნდა ებრძოლათ, მათ ეს ვერ მოახერხეს. მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრების იერიშები ჩაცხრა, მაგრამ ეს სათვალავში არაა ჩასაგდები, რადგანაც სამბურთიანი უპირატესობის შემდეგ თამაში პრაქტიკულად „გაკეთებული" იყო და მეტოქემ თავს მისცა დასვენების უფლება. ცხადი გახლდათ, რომ საქართველოს ნაკრები მატჩის ამ მონაკვეთში მთელი ძალით არ თამაშობდა, თუმცა, ბოლოს მან ისევ ხელთ იგდო უპირატესობა და რამდენიმე რეალური მომენტი შექმნა ჩვენს კართან. ჩვენ ოთხშაბათს კიდევ დავუპირისპირდებით ერთმანეთს და ვიმედოვნებ, იმ მატჩისას მდგომარეობას გამოვასწორებთ.

*საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მერაბ ჟორდანიამ ჟურნალისტებს გვთხოვა, რომ წმინდა საფეხბურთო თემების შესახებ კომენტარისთვის მიშა ყაველაშვილისა და თემურ ქეცბაიასთვის მიგვემართა.*

**მიხეილ ყაველაშვილი** (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი):

— გამოუვალი სიტუაცია შეიქმნა და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს თავზე აგვეღო ნაკრების ხელმძღვანელობა. რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილები ვართ. 90 წუთის განმავლობაში იყო ძალიან კარგი მომენტებიც, იყო შეცდომებიც. ასე რომ, ეს იყო ჩვეულებრივი თამაში თავისი კარგი და ცუდი მომენტებით. მოხარული ვარ, რომ ბიჭებმა დავალება პირნათლად შეასრულეს. მეორე ტაიმში პრობლემები შეგვექმნა მოედნის ცენტრში. ამ რგოლში განსაკუთრებით გამოირჩევა ალბანეთის ნაკრები. ირლანდიასთან და შვეიცარიასთან მატჩებში ეს თვალნათლივ წარმოჩნდა. პირველ ტაიმში აშკარად უკეთესად გამოვიყურებოდით.

**— საქართველოს ნაკრებში წინა მატჩისგან განსხვავებით, შვიდი ახალი მოთამაშე გამოჩნდა. ასეთი რამ საერთოდ არ მომხდარა ჩვენი ეროვნული გუნდის ისტორიაში...**

— რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, ის ფეხბურთელებიც ყოფილიყვნენ ჩვენთან ერთად, ვინც ტრავმის გამო ვერ ითამაშა. საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ეს ფეხბურთელები იყვნენ უკეთესად მომზადებულნი. ჩვენ მწვრთნელობაზე პრეტენზია არა გვაქვს და ასეთ დროს მოხარულნი ვართ, რომ ამ არჩევანმა გაამართლა.

### მეათე შესარჩევ ჯგუფში გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა

**ირლანდია-რუსეთი 1:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 0 | 12-7 | 12 |
| ირლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 11 |
| რუსეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-10 | 8 |
| საქართველო | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| ალბანეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-14 | 5 |

**10 სექტემბერი**

**რუსეთი-შვეიცარია**

**ალბანეთი-საქართველო**

*საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ალბანელ თანატოლებთან ბოლნისში გამართული მატჩი თავის სასარგებლოდ დაამთავრა: 3:1.*



# ბორჯღალოსანთა ტესტ-მატჩი იტალიაში

მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპამდე სულ რაღაც ერთი თვეა დარჩენილი. ავსტრალიაში წასვლამდე ჩვენმა მორაგბეებმა გასულ შაბათს ბოლო ოფიციალური ტესტ-მატჩი გამართეს. მათი მეტოქე იტალიის ნაკრები იყო.

ტორინოში გამართულმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. იტალიელებმა მანამდე ორი სპარინგი ითამაშეს — ირლანდიისა და შოტლანდიის ნაკრებებთან და ორივეში საკმაოდ სოლიდური ანგარიშით იწვნიეს მარცხი. ისინი თავისი პრესტიჟის აღდგენას საქართველოს ნაკრებთან მატჩისას ფიქრობდნენ. ბუკმეიკერებმა ისიც კი ივარაუდეს, რომ „სამფეროვნები" „ბორჯღალოსნებს" სულ მცირე 30-ქულიანი უპირატესობით დაამარცხებდნენ.

თუმცა, დაიწყო მატჩი და იტალიელთა ოპტიმიზმი გაქრა. მართალია, მასპინძლები ლელოთი დაწინაურდნენ, მაგრამ იტალიის ნაკრებს არაფრით ჩამოუვარდებოდა საქართველოს ნაკრები. ჩვენი ეროვნული გუნდი მთელ რიგ ეპიზოდებში უპირატესობას აღწევდა და ამის შედეგი იყო ის, რომ მახო ურჯუკაშვილის ლელოსა და პალიკო ჯიმშელაძის გარდასახვის წყალობით, პირველი ტაიმის დასრულებამდე 11 წუთით ადრე, „ბორჯღალოსნები" დაწინაურდნენ — 10:8, თუმცა, იტალიელებმა შეძლეს საპასუხო ლელოს დადება. ქართველმა სპორტსმენებმა პირველი ტაიმის მიწურულს ჯარიმით გაათანაბრეს ანგარიში 13:13.

მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე მახო ურჯუკაშვილს რთული პოზიციიდან არეკნით გააქვს ბურთი და საქართველოს ნაკრები ისევ წინ გადის — 16:13.

სამწუხაროდ, მეორე ტაიმის მე-14 წუთიდან იტალიელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა, დარჩენილ პერიოდში ქართველთა შეცდომები გამოიყენეს და გაიმარჯვეს კიდეც — 31:22.

მატჩის შემდეგ იტალიაში დავუკავშირდით საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტს **ზაზა ქასაშვილს:**

— სამწუხაროდ, სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო დავმარცხდით. ის შეცდომები, რომელიც ჩვენმა ნაკრებმა დაუშვა, სწორედ იმის ბრალია, რომ სათანადო რაოდენობის სპარინგები ვერ ვითამაშეთ, არადა, ჩვენს ნაკრებს 8 ივლისიდან კანადაში უნდა გაევლო შეკრება და იქ უნდა გაემართა რამდენიმე ტესტ-მატჩი. სამწუხაროდ, ეს შეკრება უსახსრობის გამო ჩაიშალა და სწორედ ამის შედეგს ვიმკით ახლა. სამწუხაროა, რომ სამჯერ დავრჩით რიცხვობრივ უმცირესობაში და სწორედ ეს მომენტები გამოიყენეს იტალიელებმა. სხვამხრივ ამ მატჩმა დამაკმაყოფილებლად ჩაიარა, ეს შეხვედრა ოფიციალური მატჩებისას აუცილებლად ჰპოვებს სათანადო ასახვას.

*საქართველოს ნაკრები საფრანგეთში დაბრუნდება და მონპელიეში გააგრძელებს საწვრთნელ პროცესს. თვის ბოლოს კი სორელის გუნდი ავსტრალიაში გაემგზავრება, სადაც ჩვენს ნაკრებთან ერთად ჯგუფში ითამაშებენ ინგლისი, სამხრეთ აფრიკა, სამოა და ურუგვაი.*

### შაბათს გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები დანარჩენ ჯგუფებში:

**I ჯგუფი**

სლოვენია-ისრაელი 3:1

საფრანგეთი-კვიპროსი 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 24-2 | 18 |
| სლოვენია | 6 | 4 | 1 | 1 | 13-8 | 13 |
| ისრაელი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-16 | 7 |
| მალტა | 7 | 0 | 0 | 7 | 3-22 | 0 |

**II ჯგუფი**

ბოსნია-ნორვეგია 1:0

რუმინეთი-ლუქსემბურგი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 19-7 | 13 |
| დანია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-6 | 13 |
| ნორვეგია | 7 | 3 | 2 | 2 | 8-5 | 11 |
| ბოსნია | 6 | 3 | 0 | 3 | 5-7 | 9 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 0-19 | 0 |

**III ჯგუფი**

ჰოლანდია-ავსტრია 3:1

ბელორუსია-ჩეხეთი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 17-2 | 16 |
| ჰოლანდია | 6 | 5 | 1 | 0 | 14-3 | 16 |
| ავსტრია | 7 | 3 | 0 | 4 | 10-11 | 9 |
| მოლდოვა | 6 | 1 | 0 | 5 | 3-13 | 3 |
| ბელორუსია | 7 | 1 | 0 | 6 | 3-18 | 3 |

**IV ჯგუფი**

ლატვია-პოლონეთი 0:2

შვედეთი-სან მარინო 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 17-2 | 14 |
| უნგრეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-4 | 11 |
| პოლონეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-4 | 10 |
| ლატვია | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 10 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 0-30 | 0 |

**V ჯგუფი**

შოტლანდია-ფარერები 3:1

ისლანდია-გერმანია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისლანდია | 6 | 4 | 1 | 2 | 11-6 | 13 |
| გერმანია | 6 | 3 | 3 | 0 | 8-3 | 12 |
| შოტლანდია | 6 | 3 | 2 | 1 | 10-6 | 11 |
| ლიტვა | 6 | 2 | 1 | 3 | 4-9 | 7 |
| ფარერები | 7 | 0 | 1 | 6 | 6-15 | 1 |

**VI ჯგუფი**

სომხეთი-საბერძნეთი 0:1

უკრაინა-ჩრდ. ირლანდია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 7-4 | 15 |
| ესპანეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 10-3 | 11 |
| უკრაინა | 7 | 2 | 4 | 1 | 10-8 | 10 |
| სომხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |
| ჩრდ. ირლ. | 6 | 0 | 3 | 3 | 0-6 | 3 |

**VII ჯგუფი**

მაკედონია-ინგლისი 1:2

ლიხტენშტეინი-თურქეთი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 17-5 | 18 |
| ინგლისი | 6 | 5 | 1 | 0 | 12-5 | 16 |
| სლოვაკეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 8-8 | 6 |
| მაკედონია | 7 | 1 | 2 | 4 | 10-13 | 5 |
| ლიხტენშტ. | 6 | 0 | 1 | 5 | 2-18 | 1 |

**VIII ჯგუფი**

ბულგარეთი-ესტონეთი 2:0

ანდორა-ხორვატია 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-3 | 14 |
| ხორვატია | 6 | 4 | 1 | 1 | 10-2 | 13 |
| ბელგია | 6 | 3 | 1 | 2 | 7-8 | 10 |
| ესტონეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 4-4 | 8 |
| ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 1-15 | 0 |

**IX ჯგუფი**

აზერბაიჯანი-ფინეთი 1:2

იტალია-უელსი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-3 | 13 |
| უელსი | 6 | 4 | 0 | 2 | 10-6 | 12 |
| ფინეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 7-10 | 9 |
| სერბეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| აზერბაიჯ. | 7 | 1 | 1 | 5 | 5-16 | 4 |

*გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა*

CMYK

## №35 (361) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 623 მკითხველი გამოეხმაურა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 234-მა ქალმა და 383-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ იმსახურებს ადამიანთა კრიტიკას დღეს ყველაზე მეტად?“**

მკითხველთა 65%-ის აზრით, ხალხის კრიტიკას დღეს პირველ რიგში პრეზიდენტი იმსახურებს. რესპონდენტთა მხოლოდ 1%-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით. **7,25** საშუალო ქულით პრეზიდენტი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე პოლიტიკოსები არიან, საშუალო ქულაა 6,18. მკითხველთა 12% თვლის, რომ მოსახლეობისაგან დამსახურებული კრიტიკა სწორედ მათ ეკუთვნით.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკოსები საშუალო ქულით მესამე ადგილზე არიან, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით წინ უსწრებენ პოლიტიკოსებს — მკითხველთა 16% მიიჩნევს, რომ ხალხს დღეს პრეზიდენტზე და პოლიტიკოსებზე მეტად სწორედ ისინი ალიზიანებენ. ენერგეტიკოსებს მცირე სხვაობით ჩამორჩებიან სამართალდამცავები, საშუალო ქულაა 5,73.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსებმა და სამართალდამცავებმა ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულები დაიმსახურეს — 0,2%-მა მიაკუთვნა მათ 1 ქულა.

ჩვენი მკითხველების აზრით, ბიზნესმენები, ტელეწამყვანები და ესტრადის მომღერლები ყველაზე ნაკლებად არიან დღეს ადამიანთა კრიტიკის ობიექტები. მათ შორის ყველაზე ნაკლებად კი — ესტრადის მომღერლები. არადა, ლოგიკური იქნებოდა, სწორედ ისინი ილებდნენ მაყურებლისაგან კრიტიკას — ხელოვნების განვითარება ხომ კრიტიკის გარეშე წარმოუდგენელია. მაგრამ, დღეს, როგორც ვხედავთ, ამ თვალსაზრისით ხელოვანები ახლოსაც ვერ მივლენ პრეზიდენტთან, პოლიტიკოსებთან და ენერგეტიკოსებთან.




საპრიზოს ზუსტად 25 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან — თბილისელები: 41 წლის **ნანა მოდებაძე,** 53 წლის **ციური ბათხაძე,** 30 წლის **მანანა ძოჩიაშვილი,** 48 წლის **ზოია დვალი,** 25 წლის **მაკა გოგობერიშვილი,** 49 წლის **ლია ჭოხონელიძე,** 59 წლის **მევლუდ სანდუხაძე,** 62 წლის **რეზო ქუჩულორია,** 68 წლის **ვაჟა ქიმერიძე,** 32 წლის **ჭაბუკა ბაბულაშვილი,** 19 წლის **ირაკლი გრიგოლია,** 60 წლის **გივი ალადაშვილი,** 36 წლის **მამუკა აფციაური,** 30 წლის **ზვიად რაზმაძე,** 20 წლის **ივერი თამაზაშვილი,** 29 წლის **კობა კობაიძე,** 51 წლის **ალექსანდრე შავლიაშვილი,** 50 წლის **ფრიდონ ოქროპირიძე,** 65 წლის **ჯემალ ჯანაშია,** 42 წლის **ხვიჩა ჭულუხაძე,** 44 წლის **ლევან ოზოლაძე,** 27 წლის **დავით ბოლაშვილი;** 56 წლის ქუთაისელი **უ. ჩომახიძე,** 35 წლის ზუგდიდელი **კახა ჭითანავა** და 40 წლის ბორჯომელი **კახა თაყაიშვილი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 10 სექტემბერს, 17 საათზე.

## №36 (362) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში**

**№36 (362) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 10 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 11 სექტემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

**თემა №36 (362) — მამაკაცის აქსესუარები**

**თქვენი აზრით, რომელია მამაკაცის ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანი აქსესუარი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე

**№36(362) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | აქსესუარი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | პალსტუხი | |
| 2 | საფულე | |
| 3 | ქამარი | |
| 4 | საათი | |
| 5 | ავტოკალამი | |
| 6 | მობილური ტელეფონი | |
| 7 | მზის სათვალე | |
| 8 | სანთებელა | |
| 9 | ცხვირსახოცი | |

### მკითხველის რეიტინგი

**რომელი პოლიტიკური პარტია (ბლოკი) იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?**

✓ ______________________

### მკითხველის პრემია

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი | ტელეფონი

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### ყველაზე თავმდაბალი თანამედროვე პოლიტიკოსები

| | | |
|---|---|---|
| 1. | ნინო ბურჯანაძე | 23,9% |
| 2. | აკაკი ასათიანი | 10,1% |
| 3. | შალვა ნათელაშვილი | 7,7% |
| 4. | ჯუმბერ პატიაშვილი | 6,8% |
| 5. | გოგი თოფაძე | 5,7% |
| 6. | ვახტანგ ხმალაძე | 3,0% |
| 7. | ზურაბ ქვაჩია | 2,8% |
| 8–9. | ფიქრია ჩიხრაძე | 2,0% |
| 8–9. | ნოდარ ნათაძე | 2,0% |
| 10. | გიგი წერეთელი | 1,6% |



რესპონდენტთა 6,9% აცხადებს, რომ თავმდაბალი პოლიტიკოსი არ არსებობს. 2%-ს გაუჭირდა კონკრეტული პოლიტიკოსის დასახელება.

*მკითხველის რეიტინგში 507 რესპონდენტი მონაწილეობდა*

## ფოტოანეკდოტი © · ფოტოპალიტრა ·



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— მთავრობებს ვიცვლი... უშიშო უშიშოდ ვრჩები

2003 წლის 3 ნოემბერი. სამძიმარზე.

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

ულვაშების გადანერგვა.

***ელდარ ბასილაძე, ქუთაისი***

**ა.ქ.** — *მოგილოცავ, ჩემო ავთო, დავარიგე წიგნები. სააკაშვილ დავამარცხე, ჩავუშალე ფიქრები.*

**ა.ჯ.** — *მიშას იდეებს არ ვეძებ, მომიტანე წილები?*

***ზურაბ ქართველიშვილი, თბილისი***

**ა.ჯ.** — ბიჭო, ახლა მაინც მოიპარსე ეგ ულვაში, ხომ ხედავ, არც ერთ უსინდისო მინისტრს ულვაში აღარა აქვს.

**ა.ქ.** — არც სინდისი მქონდეს და არც ულვაში?!

***ლიანა ბალიაშვილი, თბილისი***

**ა.ჯ.** — როგორც ჩანს, მოსწავლეთა სექსუალურ აღზრდას არ დასჯერდი და შენც ილებ აქტიურ სექსუალურ განათლებას.

**ა.ქ.** — საიდან დაასკვენი?

**ა.ჯ.** — დღეს უკვე მეათედ გადამკოცნე!

***ვანო ღვინაშვილი, ჯიმითი***

**ა.ჯ.** — გილოცავ სწავლის დაწყებას, ჩემო ძამიკო ალეკო,

მითხარი, ბავშვებს წიგნები ყველას ეყო თუ არ ეყო?

**ა.ქ.** — სააკაშვილმა გვაჯობა, უნდა გავლანძღო, დავრეკო.

მერჩია წიგნების თანხა მე და შენ ძმურად გაგვეყო.

***ჯუჯა დევი ხევსურეთიდან***

სიამის პოლიტიკური ტყუპები.

***დათიკო***



ალექსანდრე კარტოზია, ავთანდილ ჯორბენაძე

**ა.ქ.** — ამოდენა სად გაიზარდე, ჰა?

**ა.ჯ.** — აქა, მთავრობაში.

**ა.ქ.** — რას გაჭმევდნენ?

**ა.ჯ.** — რასაც შენ, ბიუჯეტს.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

„მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“

***შოთა რუსთაველი***

## ფოტოგანწყობა



— ჯანა, ვინმემ ხელი მახლოს...

## გარდაიცვალა ამერიკის მთავარი კოვბოი



ლოს-ანჯელესის ჰოსპიტალში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა უფროსი თაობისთვის ერთ-ერთი საყვარელი მსახიობი ჩარლზ ბრონსონი, რომელიც ახლო მომავალში 82 წლის შესრულდებოდა.

ბრონსონი, წარმოშობით ლიტვიდან — მეშახტეთა ოჯახიდან იყო. კინოში მიიღეს სახის „მხეცური“ გამომეტყველების გამო და თავდაპირველად ბოროტ გმირებს ასახიერებდა. ხოლო შემდეგ, უეცრად საკუთარი ნიჭი კოვბოის ამპლუას მოარგო, რომელიც ბოროტებას ებრძოდა და სიმართლეს იცავდა. ბრონსონმა 70-ზე მეტ ფილმში ითამაშა. მათ შორის კლასიკად იქცა „შესანიშნავი შვიდეული“, „დიდი გაქცევა“, „სიკვდილის წყურვილი“, „თეთრი ბუფალო“.

* * *



ორი ქალი საუბრობს:

— არ ვიცი, პირდაპირ, რა ვქნა. ტარაკნებმა სისხლი გამითეთრეს, ყველაფერს ედებიან, მოსვენება არა მაქვს მაგათგან.

— ტარაკნის ცარცი იყიდე?

— შველის?

— რა თქმა უნდა. ჩემები კუთხეში სხედან და ხატავენ...

**10/IX ● სავსე მთვარე**

**მაგნიტური დღეებია:**

8/IX 11-დან 13 საათამდე
10/IX 05-დან 07 საათამდე
13/IX 19-დან 21 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





**თარაზულად:** 1. ალექსანდრიაში მოღვაწე ძველბერძენი მათემატიკოსი, რომლის ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარეს მათემატიკის განვითარებას; 4. ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „აფერა“; 6. იტალიელი რეჟისორი, „სპაგეტი-ვესტერნის“ დამფუძნებელი; 7. ნახევრად ძვირფასი ქვა, რომლითაც მოპირკეთებული ოთახი რუსეთის ერთ-ერთ საოცრებად ითვლებოდა; 8. თვალის ფერადი გარსი; 9. მაგარმერქნიანი ხე; 10. მქუხარე აპლოდისმენტები; 13. მოზაიკის მასალა; 16. სპორტის სახეობა, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონი გვყავს პროფესიონალებში; 18. დათქმული შეხვედრა; 19. სკივრი; 20. კუნძული საბერძნეთში, ოდისევსის სამშობლო; 22. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება; 23. ბანქოს თამაში, რომლის მომგებიანი კომბინაციაა სურათზე; 25. ყველაზე იაფი ბოსტნეული (ძველად); 27. მცენარეული „ანტიბიოტიკი“; 28. საგანმანათლებლო დაწესებულება; 29. მდინარე გერმანიასა და შვეიცარიაში; 30. მცენარეთა კომპოზიციების შექმნის იაპონური ხელოვნება; 31. ერთ-ერთი ყველაზე რასისტული შტატი აშშ-ში;

**შვეულად:** 1. ყველაზე ცნობილი ხელოვნური ენა; 2. „უკვდავების წყალი“; 3. გრძედი და განედი ცალ-ცალკე; 4. პოზიტივის ანტიპოდი; 5. მტკნარი და მლაშე წყლების უმარტივესი ერთუჯრედიანი ცხოველი; 11. დგამი ოთახში; 12. ამურის იარაღი; 14. XX საუკუნის ულამაზესი მსახიობი; 15. რუსეთის ერთ-ერთი პოპულარული მუსიკალური ჯგუფი ქალაქ ლიუბერეციდან; 16. ჯოხი; 17. ილიას მიერ თარგმნილი ბუვიეს რომანი; 21. მეცნიერება მნათობთა შესახებ; 22. მეცნიერი, რომელიც თევზებს შეისწავლის; 24. ნეიტრალური ატომებისა და მოლეკულების იონებად გარდაქმნა; 25. ბენზინის პატარა, ჰერმეტული ავზი; 26. მიწების ხელოვნური მორწყვა.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**




## ნიკოლ კიდმანის ახალი სიყვარული



ეს-ეს არის ჰოლივუდის ერთ-ერთმა ულამაზესმა ვარსკვლავმა ნიკოლ კიდმანმა მოიგო სასამართლო პროცესი ცნობილ დასავლურ გამომცემლობასთან, რომელმაც მას რომანი მიაწერა ჯადი ლოუსთან. დღეს ნიკოლს ნამდვილად ჰყავს ახალი შეყვარებული, მაგრამ ეს არის ცნობილი კომპოზიტორი და მომღერალი, 39 წლის ლენი კრავიტცი. „ჩვენ მართლაც ლამაზი რომანი გვაქვს. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემი პირველი სერიოზული ურთიერთობაა ტომ კრუზთან განქორწინების შემდეგ“ — გამოტყდა ნიკოლი ერთ-ერთ პოპულარულ ტოქშოუში. კიდმანის სიტყვებს ადასტურებს ის ფაქტი, რომ რამდენიმე დღის წინ ვარსკვლავი თავისი ბინიდან გადავიდა მუსიკოსის ნიუ-იორკის აპარტამენტებში. წყვილი სულ უფრო ხშირად ჩნდება საზოგადოების წინაშე. ახლო მომავალში ნიკოლი კრავიტცისთან ერთად ტურნეში გამგზავრებას აპირებს...



**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**(36) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი

**სიტყვა და საქმე**

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№36 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 11 სექტემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲙᲐᲡᲞᲘ, ᲒᲝᲠᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲘ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, ᲮᲝᲑᲘ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ᲤᲝᲗᲘ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, ᲕᲐᲜᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ, ᲑᲐᲦᲓᲐᲗᲘ, ᲮᲝᲜᲘ, ᲑᲐᲜᲫᲐ, ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ, ᲝᲜᲘ, ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ, ᲬᲜᲝᲠᲘ, ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ, ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ, ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, ᲐᲮᲛᲔᲢᲐ, ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲚᲘ ᲒᲣᲜᲗᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

**ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲜᲣᲪᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

**ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra

ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ©518

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.